

მოვალეობის პრინციპი სამუელ პუფენდორფის
ბუნებითი სამართლის ფილოსოფიაში

ირაკლი თაბორიძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მამუკა ბერიაშვილი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

თანახელმძღვანელი: თეო კობუში,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი 2019 წ.

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი თაბორიძე

აბსტრაქტი

პუფენდორფის სააზროვნო მემკვიდრეობა სამართლის ფილოსოფიისთვის ფასდაუდებელ მნიშვნელობას ატარებს. მისმა მოღვაწეობამ განაპირობა ბუნებით სამართლის დამოუკიდებელი სამეცნიერო და საგანმანათლებლო პოზიციონირება ადრეული მოდერნის ეპოქიდან მოყოლებული და შექმნა ბუნებითი და პოზიტიური სამართლის დღემდე აქტუალური დიფერენციაციისთვის საჭირო ნაყოფიერი თეორიული ფუნდამენტი.

სამუელ პუფენდორფი აფუძნებს ბუნებითი სამართლის განსხვავებულ ვარიაციას - მოვალეობათა ბუნებით სამართალს, სადაც ადამიანის უფლებები გაგებულია, როგორც მოვალეობათა შესრულებისათვის აუცილებელი წინაპირობა, ხოლო ამ უკანასკნელთა ამოსავალ პრინციპად მიჩნეულია socialitas-ის ე.ი. საზოგადოებრივი ფორმით თანაარსებობის, ზოგადადადამიანური მოვალეობა. ბუნებით მოვალეობათა სისტემის აგების გზაზე იგი აყალიბებს პირველთან კონცეპტუალურ კავშირში მყოფ მოძღვრებას entia moralia-ს შესახებ, რომლის რაობას წარმოდგენილ ნაშრომში ეთმობა შესაბამისი თავი.

კვლევის მიზანია:

სამუელ პუფენდორფის ბუნებითი სამართლის ფილოსოფიაში მოვალეობის (officio) პრინციპის შესწავლა და ადრეული ახალი დროის ბუნებითი სამართლის ფილოსოფიისთვის მისი რელევანტურობის გააზრება, აგრეთვე იმ ისტორიულ-ფილოსოფიური კონტექსტის გამოკვეთა, რამაც ხელი შეუწყო მის ჩამოყალიბებას.

პუფენდორფის მიხედვით, კრიტერიუმი, რომელიც მორალური თეოლოგიის, სამართალმცოდნეობის და ბუნებითი სამართლის მიერ ჩამოყალიბებულ მოვალეობათა მოძღვრებებს ერთმანეთისგან განარჩევს, ამ მოვალეობების შესატყვისი ქმედების დასაბუთების წყაროში მდგომარეობს. მორალური თეოლოგიისთვის ეს არის საღვთო გამოცხადება, იურისპრუდენციისათვის - სახელმწიფო კანონი, ხოლო ბუნებითი სამართლისთვის - ადამიანური გონი.

სამუელ პუფენდორფი ახდენს გროციუსისა და ჰობსის ნააზრევს კრიტიკულ გადამუშავებას და ადრეული მოდერნის ბუნებითი სამართლის იდეა ყველაზე ცხადი ფორმით, სწორედ პუფენდორფის მიერ განხორციელებული ამ სინთეზის შედეგად ჩნდება.

პუფენდორფმა მიზნად დაისახა ბუნებითი სამართლის ერთიან მეცნიერულ სისტემად ჩამოყალიბება, რა დროსაც მის წინაშე დგება სამართლებრივ ცნებათა მოუწესრიგებელ სიმრავლეში სიცხადის შეტანის ამოცანა. მოცემული ამოცანის შესაბამისად, იგი ანსხვავებს ძალაუფლებასა და უფლებას მათი მოქმედების ძალის მიხედვით. მაშინ როდესაც ძალაუფლება საგანსა ან ადამიანზე ფაქტობრივ წვდომას გულისხმობს, უფლება მოთხოვნას წარმოადგენს. უფლება არის აქტიური მორალური თვისება, ვინაიდან იგი ადამიანებს გაცვლისა და ხელშეკრულების მხარეების სახით ვალდებულებით ურთიერთობებში აბამს. რა დროსაც ნივთზე არსებულ ერთის უფლებას კორელაციურად შეესატყვისება მეორის მოვალეობა ამ უფლების პატივისცემისა.

რაც შეეხება ვალდებულებას (*obligatio*), იგი გახლავთ ადამიანის ქმედების მორალური თვისება, რომელიც უფლებას ავსებს, ხოლო ადამიანის ვალდებულება, პატივი სცეს სხვის უფლებას - ქმნის სამართლის ჯაჭვს, ვალდებულების აღების უნარის ფესვები კი ადამიანის მორალურობაშია: ვალდებულება და ნებაყოფლობითობა მორალური ქმედების კომპონენტებს წარმოადგენს. მორალურობა მხოლოდ ადამიანის, როგორც თავისუფალი ნებით გამორჩეული ფიზიკური არსების თვისებაა. მორალური კანონი არის ჯაჭვი ჩვენი ბუნებრივი თავისუფლების.

პუფენდორფი განარჩევს ადამიანის აბსოლუტური ხასიათის მოვალეობებს ღმერთის, საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების მიმართ.

ღმერთის წინაშე მოვალეობები, რომლებიც ბუნებითი სამართლიდან გამომდინარეობს, არსებითად ბუნებრივი რელიგიის განაწესებს წარმოადგენს.

საკუთარი თავის წინაშე მოვალეობები იყოფა სულიერი და ფიზიკური ხასიათის მოვალეობებად. პირველ მათგანს განეკუთვნება თვითსრულყოფისკენ

სწრაფვა, გამოხატული მომადლებული ინდივიდუალური ტალანტებისა და უნარების განვითარებაში, ხოლო მეორეს - თვითგადარჩენაზე ზრუნვა.

საზოგადოების წინაშე არსებულ მოვალეობები პუფენდორფის მოვალეობათა მოძღვრების ქვაკუთხედს წარმოადგენს. მათი ცენტრალური მნიშვნელობა და აბსოლუტური ხასიათი უკავშირდება ადამიანის, როგორც სოციალური არსების ბუნებას. ვინაიდან პუფენდორფისთვის მოვალეობებისა და უფლებების ცნებები ადამიანის ბუნების იმანენტურ სოციალურობას ეფუძნება, შერწყმულს მისი ბუნებრივი უსუსურობიდან გამომდინარე საჭიროებების გაცნობიერებასთან, რაიმე მწვავე წინააღმდეგობა ინდივიდის პრივატულ უფლებებსა და თანამომძმეთა წინაშე არსებულ ზოგადსაკაცობრიო მოვალეობებს შორის არ არსებობს.

ყველა ადამიანის ესენციალურად თანასწორ არსებად მიჩნევის მოვალეობა საზოგადოების თითოეულ წევრს თანაბრად აკისრია და უკავშირდება შემოქმედის წინაშე ღვთის შვილთა დასაბამისეული თანასწორობის იდეას, რომელიც ქრისტეს მიერ ნაქადაგებ მოძღვრებაში იკითხება და რაც ეთიკურ-სამართლებრივი, ისევე როგორც პოლიტიკურ-კულტურული თვალსაზრისით კონსეკვენტური და დღემდე რელევანტური შედეგების მქონე პოსტულატად გვევლინება, მიუხედავად იმისა, განვიხილავთ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებების ფილოსოფიურ დაფუძნებას რელიგიურ, თუ არელიგიურ ფილოსოფიურ ჭრილში.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, უფრო ფართო რაკურსში თუ განვიხილავთ, ნაშრომი ემსახურება სამართლის, სახელმწიფოს, ადამიანთა საზოგადოებისა და მათი ურთიერთმიმართების ფუნდამენტური პრობლემების შესახებ იუსნატურალისტური პერსპექტივის აქტუალიზაციას ქართულ სამართლის ფილოსოფიურ აზროვნებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები:

პუფენდორფი, მოვალეობა, ბუნებითი სამართალი, სოციალურობა, entia moralia, ციცერონი, ბუნებითი მდგომარეობა, სამართლის ბუნება, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, ვალდებულება, ადრეული ახალი დრო, ჰობსი, გროციუსი, არისტოტელე, თომა აქვინელი, ქრისტიანული არისტოტელიზმი.

Abstract

Pufendorf's legacy is of universal significance for philosophy of law, inasmuch as his natural law attained independence from Theological supremacy, as well as from natural sciences and set an important precedent of differentiation between natural and positive law. Samuel Pufendorf creates a specific natural law on duties, wherein human rights are seen as a precondition of carrying out duties.

Dissertation's (*The Principle of Duty in Natural Law Philosophy of Samuel Pufendorf*)

purpose of the research: To study the duty (officio) principle in the natural law philosophy of Samuel Pufendorf and comprehend its relevance to the natural law of the early modern age, as well as to delineate the historical and philosophical context which facilitated its development. The Principle of Duty in the Natural Law Philosophy of Samuel Pufendorf

According to Pufendorf the difference between the notions on duty postulated by moral theology, jurisprudence and natural law lies in the source of justification of the corresponding action of these duties. It is revelation in case of moral theology, state law in case of jurisprudence and human mind in case of natural law.

Samuel Pufendorf critically revised the concepts of Grotius and Hobbes so that the idea of the early modern age natural law was shaped in its clearest form through the synthesis.

Pufendorf's intention to set up natural law as a unified scientific system led him to the task of adjusting the disorganized multitude of legal concepts. Thus, he differentiates between authority and right according to the strength of their action. Authority means actually possessing a thing or commanding a person, whereas right is a request. Right is an active moral quality as it binds people into committed relations making them parties of an agreement or a contract. When the right of one person on a thing is in correlation with other person's duty to respect this right and obligations derived from it.

Obligation (obligatio) refers to the moral quality of a human action which completes the right, whereas a person's duty to respect the rights of others creates a legal chain; the skill of taking up responsibility is rooted in morality of a human being; obligation and

discretion are the components of a moral action. Morality is a quality possessed by humans only, as beings bearing free-will. Moral law is a chain of our natural freedom.

Pufendorf differentiates human duties of an absolute quality towards God, oneself and other human beings.

Duties towards God which follow from natural law, essentially comprise rules of natural religion.

Duties towards oneself are divided into mental and physical ones. The former includes striving for self-development, expressed in cultivation of bestowed individual talents and skills; the later is responsible for self-preservation.

Duties towards the society are the vital elements of Pufendorf's notion on duties. Their utmost importance and absolute quality is due to the nature of a human as a social being. Since Pufendorf considers that notions of duties and rights depend on immanent sociality of human nature, there is no contradiction between private rights of a person and the universal duties toward his fellowman.

To consider each person an essentially equal being is a duty of every member of a society and it relates to the Christian idea of initial equality of sons and daughters of God, a postulate which remains consequential and relevant both from an ethical and legal, as well as a political or cultural standpoint.

If we look in more broad perspective, the work serves for reactualisation in legal philosophical thought of *jusnaturalistic* perspective on state, law and problematics of relations inside human society.

Key Words: Pufendorf, duty, natural law, sociability, entia moralia, Cicero, natural state, nature of right, social contract, obligation, early Modern period, Hobbes, Grotius, Aristotle, Thomas Aquinas, christian aristotelianism.

მადლობა

ბუნებითი სამართლის ფილოსოფიისადმი და კერძოდ სამუელ პუფენდორფის სააზროვნო მემკვიდრეობის კვლევისადმი 12 წლიანი პაუზის შემდეგ მიბრუნების ინსპირაციისა და პროდუქტიული დარგობრივი ორიენტირებისთვის განსაკუთრებული მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, მოცემული სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელს – ბატონ მამუკა ბერიაშვილს და თანახელმძღვანელს – ბონის უნივერსიტეტის პროფესორ ბატონ თეო კობუშს, ვისმა გულითადაც მხარდაჭერამაც შესაძლებლობა მომცა მიმელო *კათოლიკური აკადემიური უცხოელთა სამსახურის (KAAD)* კვლევითი სტიპენდია სადოქტორო თემაზე ნახევარწლიანი მუშაობისთვის ბონის უნივერსიტეტში, რის გარეშეც წინამდებარე ნაშრომი ვერ განხორციელდებოდა.

მადლობას ვუხდის ასევე ბატონ მიხაელ ჰაიდრიხს, რომელმაც 2001-2002 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ევროპული სამართლის გერმანულენოვანი მაგისტრატურის ფარგლებში, პირველად გამაცნო სამუელ პუფენდორფის დამსახურება ადრეული ახალი დროის სამართლის ფილოსოფიის წინაშე და ხელმძღვანელობას უწევდა ბუნებითი სამართლის თემაზე დაწერილ ჩემს პირველ აკადემიურ ნაშრომს.

სარჩევი

სარჩევი VIII

შესავალი 1

A. ადრეული მოდერნის ეპოქა, სამუელ პუფენდორფის Vita და მისი შრომები

I. ბუნებითი სამართლის გამოწვევები ადრეული მოდერნის ეპოქაში. პუფენდორფის ევოლუციური გზა ფილოსოფოსობამდე და მისი ბუნებით-სამართლებრივი შრომების დესკრიფციული წარმოდგენა

1. ადრეული მოდერნის ეპოქა და ბუნებითი სამართლის გამოწვევები 20
2. ცხოვრება და მოღვაწეობა 25
3. ბუნებით-სამართლებრივი შრომები
 - a) „*Elementia jurisprudentiae universalis*” 1660 40
 - b) „*De jure naturae et gentium*“ 1672 43
 - c) „*De officio hominis et civis juxta legem naturalem*” 1673 47

B. პუფენდორფის პოზიციონირება პრემოდერნულ და მოდერნულ ბუნებითი სამართლის მოძღვრებებთან და მისი სწავლება Entia Moralia-ს შესახებ

I. პრემოდერნული ბუნებითი სამართალი

1. სტოიკოსთა და სქოლასტიკოსთა ნააზრევია
 - a) საერთო სულისკვეთება სტოიციზმთან 51
 - b) კრიტიკული მიმართება სქოლასტიკურ არისტოტელიზმთან და სხვა პრემოდერნულ სააზროვნო დოქტრინებთან (თომისტური ბუნებითი სამართლის სისტემა) 64

II. მოდერნული ბუნებითი სამართალი და სწავლება Entia Moralia-ს შესახებ

1. ჰობსიანური კონტრაქტუალიზმის ტრანსფორმაცია და გროციუსის socialitas-ის პრინციპის აღება

a) სად შორდება პუფენდორფი ჰობსს? 78

b) პუფენდორფი და გროციუსის socialitas-ი 90

2. Entia Moralia 97

C. მოვალეობის შესახებ მოძღვრება, როგორც პუფენდორფის ორიგინალური წვლილი მოდერნული ბუნებითი სამართლის ფილოსოფიაში

I. თანდაყოლილი უფლება-მოვალეობების ერთიანობა

1. მოვალეობის პრინციპის მოკლე ისტორიული რეტროსპექტივა 109

2. აბსოლუტური მოვალეობები: ღმერთის, საკუთარი თავისა და სხვების წინაშე 121

3. რელატიური მოვალეობები დაკავშირებული: ქონების შეძენასთან, კონტრაქტის გაფორმებასთან, ქორწინებასა და ოჯახის შექმნასთან 129

შეჯამება: სამუელ პუფენდორფი – მოდერნული ბუნებითი სამართლის

არადოგმატიკოსი, ქრისტიან-პროტესტანტი მოაზროვნე 135

ბიბლიოგრაფია 151

შესავალი

*"Gott ist selber Recht, darum ist
ihm Recht so teuer"**

Sachsenspiegel, 1220

სამართლის მორალურ-ეთიკური და მეტაფიზიკური საფუძვლების რეფლექსიის თვალსაზრისით, ადრეული მოდერნის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოაზროვნე - ფილოსოფოსი, იურისტი, ჰაიდელბერგისა და ლუნდის უნივერსიტეტების პროფესორი, სტოკჰოლმისა და ბერლინის სამეფო კარის ისტორიოგრაფი, მნიშვნელოვანი სამეცნიერო ლიტერატურული მემკვიდრეობის დამტოვებელი სამუელ პუფენდორფი საქართველოში ნაკლებად არის ცნობილი. ამის მიზეზი მარტივია: პუფენდორფის კვლევა ნიშნავს – ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის კვლევას, ხოლო იდეალისტური სამართლის ფილოსოფიის¹ ამ უმთავრესი მიმართულების კვლევა, რომელიც პრაქტიკულად საფუძვლად უდევს თანამედროვე დასავლურ სამართლებრივ მსოფლმხედველობას ადამიანის ბუნებითი, წარუვალი უფლებების შესახებ, საბჭოთა მარქსისტულ-ლენინისტური ცენზურის ვერდიქტით იმთავითვე იყო უარყოფილი. საქმე მხოლოდ რიგით, „კონკურენტულ იდეოლოგიაში“ არ გახლდათ, რომელიც ერთნაირად მტრულად აღიქმებოდა, როგორც საბჭოეთის იურისპრუდენციის ადრეული – „კლასობრივი“, ისე გვიანდელი იურიდიული პოზიტივიზმის ეტაპებზე. წინააღმდეგობა უფრო ღრმაა - ადამიანის ბუნების გაგება-მიღებაზე, პიროვნების ღირსებისა და ძირითადი უფლებების ხელშეუხებლობაზე ორიენტირებულ ბუნებით სამართალსა და დიალექტიკურ-ისტორიულ კანონზომიერებაზე აპელირებით, ადამიანის ბუნების სასურველი მიმართულებით ნაძალადევი შეცვლის განზრახვის მქონე და ახალი

*„ღმერთი თავად არის სამართალი, ამიტომაც მისთვის სამართალი ასე ძვირფასი“, საქსონური მართლმსაჯულების სარკე, 1220 წ.

¹ რაც დასავლურ ფილოსოფიაში არსებითად სათავეს იღებს პლატონის მიერ მის „სახელმწიფოში“ გადმოცემული მოძღვრებიდან იდეათა სამყაროს შესახებ, სადაც სამართლიანობის იდეა არის ის სინათლე, რომლისკენაც *ნომოსი* - ე.ი. პოზიტიური კანონი უნდა იყოს ორიენტირებული და პლატონისვე შრომებიდან: „ტიმეოსი“ და „პოლიტიკოსი“, სადაც უკვე სამართლის მეტაფიზიკურ გენეზისზეა საუბარი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბუნებითი და ადამიანის მიერ დადგენილი სამართლის დიფერენციაციის იდეა და შესაბამისი ცნებები *ფა-სა* და *ლო-ს* სახით მოიპოვება ძველ ჩინურ ფილოსოფიაშიც კონფუციუსთან (551-479 წ.წ.). იხ. Moritz Nestor, *Friede herrscht nicht, er muss gestiftet werden.* <https://naturrecht.ch/>

ადამიანის გამოყვანის შლეგური იდეით განმსჭვალულ კომუნისტურ-ტოტალიტარულ პარადიგმას შორის (*შრომამ შექმნა ადამიანი და ისევ შრომა გააკეთილშობილებს მას კომუნიზმში შესასვლელად*). როგორც ცნობილია, მარქსიზმი და მის კვალად კომუნისტურ ქვეყნებში ოფიციალურ იდეოლოგიად ეტაბლირებული მარქსიზმ-ლენინიზმი, სახელმწიფოსა და სამართალს განიხილავს *ეკონომიკურ ბაზისზე დაშენებულ ზედნაშენად, რომელიც გაბატონებული კლასის ხელში ძალაუფლების განხორციელების ინსტრუმენტს წარმოადგენს*.² აქედან გამომდინარე, ადამიანის კლასიკური ძირითადი უფლებებიც ამ იდეოლოგიის მიერ განიხილება, არა დამოუკიდებელი ფასეულობის მქონე ფენომენად, არამედ უბრალო საშუალებად, რომლითაც *ბურჟუაზიულმა კლასმა მიაღწია გამარჯვებას ფეოდალიზმზე, რათა კაპიტალისტური წყობილება დაემყარებინა*.³ იყო მცდელობა, ბუნებითი სამართლის აღქმა რკინის ფარდის აქეთ მოქცეულ ადამიანთათვის დაყვანილი ყოფილიყო კონკრეტული *ფეოდალური ან „ბურჟუაზიული“ რევოლუციების ეპოქებისთვის დამახასიათებელ, მმართველ ფენათა ინტერესების გამომხატველ, ძალაუფლების მალეგეტიმირებელ თეორიამდე*, აგრეთვე *ბურჟუაზიის მომხვეჭელობის კამუფლიაჟურ იდეოლოგიამდე*, რაც მიზანმიმართულად ჩქმალავდა ბუნებით-სამართლებრივი მოძღვრების არსებით პოტენციალს – აღიარებულიყო სამართლის იმგვარ დოქტრინად, რომელიც გამოძახილს პოულობს თითოეული ადამიანის სინდისში, კავშირშია საზოგადოების საღ აზრთან და სამართლის რელატივისტური და პოზიტივისტური გაგებისგან განსხვავებით, პრინციპულად გამორიცხავს *კანონიერი უსამართლობის* სამართლად აღიარებას. მარქსიზმ-ლენინიზმმა ყველგან, სადაც ამის განხორციელების საშუალება მიეცა, ადამიანისა და საზოგადოების დიალექტიკურ-მატერიალისტური ხატის

² „Государство — это есть машина для поддержания господства одного класса над другим“.

Владимир Ленин, Лекция в Свердловском университете «О государстве» 11 июля 1919 г.— ПСС, 5-е изд., т. 39, с. 73.

„...Для нас нравственность, взятая вне человеческого общества, не существует; это обман. Для нас нравственность подчинена интересам классовой борьбы пролетариата. А в чём состоит эта классовая борьба? Это — царя свергнуть, капиталистов свергнуть, уничтожить класс капиталистов.“

Владимир Ленин, Речь на III Всероссийском съезде Российского коммунистического союза молодёжи «Задачи союзов молодёжи» 2 октября 1920 г.— ПСС, 5-е изд., т. 41, с. 310.

https://ru.wikiquote.org/wiki/%D0%92%D0%BB%D0%B0%D0%B4%D0%B8%D0%BC%D0%B8%D1%80_%D0%98%D0%BB%D1%8C%D0%B8%D1%87_%D0%9B%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%BD

³ Heinz Laufer, „Grundrechte und Marxismus-Leninismus“, in Informationen zur politischen Bildung, 239, Grundrechte, 1998, გვ. 31.

ატრიბუტებად აიღო, თუმცა თავდაპირველი შინაარსი გამოაცალა ბუნებითი სამართლის მიერ დამუშავებულ ისეთ ფილოსოფიურ კატეგორიებსა და იურიდიულ ინსტიტუტებს, როგორიცაა თავისუფლება, სამართალი (ჩაანაცვლა რა ის „სოციალისტური სამართალით“) და ადამიანის უფლებები („მშრომელთა უფლებებად“ ტრანსფორმაციით), ხოლო „მშრომელთა“ ობიექტურ ინტერესში კომპეტენციის მქონედ მიიჩნია არა თავად ეს უკანასკნელნი, არამედ მის მიერვე შექმნილ კვაზი-მეცნიერებაში - „მეცნიერულ კომუნიზმში“ ინდოქტრინირებულ პარტმუშაკებს, თავიანთი ესქატოლოგიურ-სოტერიოლოგიური წარმოდგენებით (რომელთა ნაწილს მართლა სჯეროდა ისტორიული სვლის კომუნიზმისკენ და მისი მეშვეობით კაცობრიობის ხსნის, დიდი ნაწილი კი თავს იკატუნებდა, რომ სჯეროდა).

ბუნებითი სამართლის განვითარების 2500-წლოვანმა ისტორიამ მოიტანა: ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული კერძო და სახელმწიფო სამართალი, ხელისუფლების დანაწილება, ლიბერალური კონსტიტუციური წყობილება და ამ საფუძველზე ევროპის რიგ ქვეყნებში ასევე შესაძლებელი გახდა სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარება. ამის საპირისპიროდ, პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალიზმი, როგორც შუალედური საფეხურის გზით კომუნიზმისკენ მავალი იდეოლოგია და ეკონომიკური წყობა, ძირშივე გამორიცხავდა ყველა ზემოთხსენებული პრინციპის რეალიზაციას, რამეთუ დეკლარირებული იდეალის – ჰარმონიული საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობა შეუძლებელია, ადამიანის უფლებებით, როგორც მოქმედი სამართალით, ხალხისა და სახელმწიფოს თვითშეზღუდვის გარეშე, აგრეთვე თავისუფალი ბაზრისა და ჯანსაღი კონკურენციის წესების უგულვებელყოფით. მხოლოდ ამ ინსტიტუტების ჩამოშლის ხარჯზე, რომლის ნანგრევებში შეუძლებელი იყო ასევე არ მოყოლილიყო ქრისტიანული ცივილიზაციის მიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე კულტივირებული ჰუმანისტური და ინდივიდუალისტური ღირებულებები (უპირველესად, *ადამიანის, როგორც ადამიანის* აღიარება ინდივიდუალურ და არა რაიმე კლასის კუთვნილებიდან გამომდინარე თანაბრად ფასეული პიროვნული ღირსების მატარებელ სუბიექტად), გახლდათ შესაძლებელი ლენინის პროლეტარიზაციისა და სტალინის კოლექტივიზაციის ხარჯზე - პოლიტიკური და ეკონომიკური ტერორის გზით შექმნილი მეურნეობის წარმოების კოლექტივისტური,

სოციალისტური მოდელის და გულაგის უუფლებო, პირადი ნომრით ვინაობა ჩანაცვლებული ტუსადების მიერ საბჭოთა ინდუსტრიის შექმნა და „ჭეშმარიტი“ თანასწორობის, არსებითად კი – ობლოკრატული, მექანიკური „ურავნილოვკის“ დამკვიდრება. მხოლოდ ასეთ ახალ ადამიანს შეეძლო ჰქონოდა არა ბუნებითი სამართლითა და განუსხვისებელი ბუნებითი უფლებების აღიარებით გარანტირებული, არამედ კლასობრივ ბრძოლაში მოპოვებული „ნამდვილი“ თავისუფლება. რეალურად კი კომუნისტური სისტემის კულტი, სადაც ცინიკური ექსპერიმენტის ფარგლებში, რომელმაც მხოლოდ საბჭოთა კავშირში – მის მიერ ოკუპირებულ, ნაციონალურ სუვერენიტეტწარმეული ქვეყნების ტერიტორიებსა და თავად რუსეთში, მშვიდობიანობის პერიოდში განხორციელებული წითელი ტერორისას (ხელოვნურად გამოწვეული შიმშილობის – გოლოდომორის, ინტელიგენციის, სასულიერო წოდებისა და არისტოკრატის იმ წარმომადგენლების, ვინც ემიგრირება არ ისურვა, ვერ მოასწრო ან სამშობლოში დაბრუნდა, მეურნეობის წარმოების უნარის მქონე გლეხების – გეგმიური, ბელადის მიერ წინასწარი ქვოტით გაწერილი დახვრეტების, მთელი ერების დევნა-გადასახლების გზით) განადგურდა 40 მილიონამდე ადამიანი. დაუყოვნებლივ დახვრეტას გადარჩენილთა ერთი ნაწილი გადაიქცა 1923 წელს შექმნილ საკუთარი მოქალაქეებისთვის განკუთვნილ მსოფლიოში პირველ საკონცენტრაციო ბანაკებში გაუსადღის პირობებში მომუშავე უფასო მუშახელად (ე.წ. ზეკ-ად), ხოლო მეორე ნაწილი ასეთი ბედის თავიდან ასარიდებლად თუ სხვა მოტივით მოგვევლინა „ხალხის მტრებისა“ და მათი შვილების დამსმენად და ერთი დიდი არქიპელაგ-გულაგის ზედამხედველად. კომუნისტური პარადიგმის რეალიზაციის მსხვერპლთა რაოდენობა და მისი ხორცშესხმის პროცესის ტრაგიკომიკურობა სხვა ქვეყნებში, მაგალითად ჩინეთში არანაკლებ მასშტაბურია. კომუნისტური ტოტალიტარიზმის პირობებში სამართლებრივი ცნებები მოგვევლინა კონსტიტუციებში ჩაწერილ რეალურ იურიდიულ შინაარსს მოკლებულ სიტყვებად, რომელთა პარალელურად დამკვიდრდა ადამიანის ღირსების, სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობის, საკუთრების, სინდისის და აზრის გამოხატვის თავისუფლების სრული გაარარავება.

რაც შეეხება ნებისმიერი ტოტალიტარული სააზროვნო სისტემისთვის პრინციპულად მიუღებელ ბუნებით სამართალს, იგი პირველ რიგში განსახიერებს

მარადიულ კითხვას სამართლის არსისა და ჯერარსის, მისი ქმნადობის შესახებ და იქვე ინტუიტიურად გვკარნახობს პასუხსაც: *Lex injusta non est lex!* - უსამართლო კანონი, კანონი არ არის!

ამ არსებით კითხვებზე უფრო ვრცელი და სისტემური პასუხები თავისთავად ცხადია, ყოველთვის ატარებს განსხვავებულ აქცენტებს, დაკავშირებულს ამა თუ იმ ეპოქის, იქნება ეს ანტიკურობის, ქრისტიანული შუა საუკუნეების, ახალი დროის ბუნებითი სამართლის ფილოსოფიისა და ჩვენი თანამედროვეობის, თუ ამ დარგში გამოკვეთილი ინდივიდუალური კვალის დამტოვებელი ავტორების მემკვიდრეობის სახით.⁴ და მაინც ყოველი დროის ბუნებითი სამართლის რეფლექსიას აერთიანებს ის მრწამსი, რომ არსებობს ისეთი რამ, რაც თავისი ბუნებიდან გამომდინარე ისეთი სამართალია, რომლის გაუქმებაც, ციცერონის სიტყვებით რომ ვთქვათ, არც სენატს და არც ხალხს არ შეუძლია, და არსებობენ ისეთი მოვლენებიც, რომლებიც პრინციპულად არ შეიძლება სამართალი იყოს. თუ გვსურს, რომ ადამიანის მიერ დადგენილი პოზიტიური სამართალი არ აღმოჩნდეს იმ კატეგორიაში, რაც თავისი არსით სამართალი ვერ იქნება, მუდმივად უნდა მოხდეს მისი კრიტიკული შეფასება ბუნებითი სამართლის, ან თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ ვიტყვი, სამართლის მორალისტური პერსპექტივიდან.

სამუელ პუფენდორფი ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის დიდი ნაგებობის ერთი ღირსშესანიშნავი ნაწილის - მოდერნული (რომელსაც სეკულარულსაც უწოდებენ ხოლმე) ბუნებითი სამართლის საქართველოსთვის აქამდე ნაკლებად ცნობილ კარს წარმოადგენს და მოცემული დისერტაცია ამ კარის შეღებას ისახავს მიზნად.

ჩამოთვლილი იდეოლოგიურ-პოლიტიკური პრობლემების გარდა, არსებობდა ენობრივი ბარიერის პრობლემაც. პუფენდორფის ნაწარმოებების თარგმანები ლათინურიდან, რომელ ენაზეც იგი შეიქმნა და რომელიც ქართველ მეცნიერთა უმრავლესობის, რომ აღარაფერი ვთქვათ ფართო საზოგადოებაზე, სამუშაო ენა არ არის, თანამედროვე ევროპულ ენებზე - მათ შორის გერმანულად, მე-17, მე-18 საუკუნეებს განეკუთვნება და არასრულია. *De officio*-ს გაცნობა მე-19 საუკუნეში, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, პეტერბურგში განათლება მიღებული

⁴ ირაკლი თაბორიძე, „*ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში*“, ქართული სამართლის მიმოხილვა, GEPLAK, თბილისი, 2004.

ქართველებისთვის შესაძლებელი იყო მხოლოდ ჰოლანდიასა და შვედეთში ხანგრძლივი დროით ნამყოფ, რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის (რომელიც დიდად აფასებდა პუფენდორფს⁵) და მოგვიანებით ეკატერინე II-ს დავალებით შესრულებული, შესაბამისი ტერმინოლოგიის მაშინდელ რუსულ ენაში ნაკლებობის გამო, არასრულყოფილი თარგმანების ან ფრანგულენოვანი თარგმანების მეშვეობით, რომელსაც კიდევ უფრო ცოტა ქართველი თუ ფლობდა.

მიუხედავად იმისა, რომ პუფენდორფი ადრეული ახალი დროის პოლიტიკური და სამართლის ფილოსოფიის სხვა ორი მოაზროვნის – გროციუსისა და ჰობსის რანგის აღიარებულ ფიგურას წარმოადგენდა, მის შემდგომ ეპოქაში, პირველი ორისგან განსხვავებით, მისი მნიშვნელობის აღქმა კლებულობს. ჰუგო გროციუსის მაღალი ცნობადობა უდავოდ უნდა დავუკავშიროთ (არა მხოლოდ დასავლეთში, არამედ საქართველოშიც), მისი მოღვაწეობის არეალის – ჰუმანიტარული სამართლის, ანუ ომისა და მშვიდობის სამართლის – რასაც ზოგჯერ კლასიკურ საერთაშორისო სამართლადაც მოიხსენიებენ, მეტ პოპულარობას ბუნებით სამართალთან შედარებით,⁶ რომელიც შეადგენდა პუფენდორფის ძალისხმევის მთავარ ორიენტირს. ბუნებით-სამართლებრივი იდეების ნაწილობრივი საკანონმდებლო ინსტიტუციონალიზაცია მოხდა საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ.⁷ ამას ბუნებითი სამართალი პრინციპში ესწრაფვოდა კიდევ – გადაქცეულიყო სამართლის იდეალიდან რეალურ, ესე იგი ვალიდური ნორმით გამოხატულ პოზიტიურ სამართლად, თუმცა კი ისე, რომ ამ უკანასკნელისთვის საფუძვლისა და მასშტაბის ფუნქცია არ დაეკარგა. მალევე მოვლენათა დინამიკა საპირისპირო მიმართულებით წარიმართა და ბუნებითი სამართლის ფილოსოფია მისდამი თეორიული ინტერესის თვალსაზრისით თანდათან საკმაოდ უკანა პლანზე გადავიდა, ხოლო სამართლის თეორიაში ისტორიული და ნორმატივისტული

⁵ Hans Welzel, Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs, ein Beitrag zur Ideengeschichte des 17. Und 18. Jahrhunderts, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1958, გვ. 2.

⁶ *ბუნებითი სამართლის* ცნების გაგებისას შემდეგი დეფინიციით შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ: ეს გახლავთ ნორმათა სისტემა, რომელიც *პოზიტიური სამართლისგან* (როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილ, ისე ჩვეულებით განსაზღვრულ) დამოუკიდებლად და თვით მასთან შესაძლო კონფლიქტის მიუხედავადაც კი ყოველთვის და ყველა ადამიანისთვის ნამდვილობის მქონეა.

⁷ რელევანტურ მაგალითებად გამოდგება: Codex Maximilianeus Bavaricus Civilis (1756); Preussisches Allgemeines Landrecht (1794); Code Civil (Code Napoleon, 1804); Österreichisches Allgemeines Bürgerliches Gesetzbuch (1811). იხ. ირაკლი თაბორიძე, „ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში“, ქართული სამართლის მიმოხილვა, GEPLAC, თბილისი 2004, გვ. 151.

სკოლების გაბატონების შემდეგ, მეორე მსოფლიო ომამდე (მცირე გამოწვევის შეადგენს მე-19 საუკუნის დასაწყისი), ნაწილობრივ დავიწყებასაც კი მიეცა.

ვინაიდან პუფენდორფი გერმანულ სამართლებრივ სააზროვნო გარემოში რეალიზებული ფიგურაა, უნდა ითქვას, რომ გერმანული ტრადიციული სამართლის ისეთი წერილობითი ნიმუში, როგორიცაა ააიკე ფონ რეპგოვის მიერ შედგენილი „ზახსენშპიგელი“ (*Sachsenspiegel* სიტყვა-სიტყვით „საქსონური სარკე“, დაახ. 1220 წ.), უკვე განასახიერებდა ბუნებით-სამართლებრივი პერსპექტივიდან პოზიტიური სამართლისა და კანონიკური სამართლის მიერ დამკვიდრებული და აღიარებული რეალობის უარყოფით შეფასებას; მაგალითად ადამიანის, როგორც ღმერთის მიერ თავისუფლად შექმნილი არსების, სხვა ადამიანის მიერ უსაფუძვლოდ და ძალადობრივად დამორჩილებული მდგომარეობის კრიტიკას. იგივე დოკუმენტი ამყარებს წმინდად ბუნებით-სამართლებრივ იდეას, რომელიც პირველად ჯერ კიდევ პლატონის მიერ სოფისტების კრიტიკისას ჩნდება, რომ სამართალი არ იქმნება, არამედ შეიძლება მხოლოდ აღმოჩენილ იქნას ადამიანის მიერ, რამეთუ „ღმერთი თავად სამართალია და ამიტომაც იგი მისთვის ასე მკვირვასი“.⁸

რაც შეეხება სამუელ პუფენდორფს, შეიძლება ითქვას, რომ იგი, ერთის მხრივ რომაელი სტოიკოსების, ხოლო მეორეს მხრივ ჰოლანდიელი ჰუგო გროციუსისა⁹ და ინგლისელი თომას ჰობსის ნააზრევის მემკვიდრეობის პარალელურად, უდავოდ განეკუთვნება ლუთერანული მსოფლმხედველობის მქონე ბუნებით-სამართლებრივ მოაზროვნეების იმ ტრადიციას, რასაც გერმანულ სააზროვნო სივრცეში, მე-16 საუკუნეში საფუძველი ჩაუყარა სამართლის ფილოსოფოსმა და მარბურგის უნივერსიტეტის რექტორმა, იოჰანეს ოლდენდორპმა ნაშრომებით: „*მოკლე განმარტება იმისა, თუ რა გვევლინება სამართლიანად, მართებულად და*

⁸ Peter Schel, Kleine Enzyklopädie des deutschen Mittelalters, Naturrecht. <http://u01151612502.user.hosting-agency.de/malexwiki/index.php/Naturrecht> .

⁹ უინტერესო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ გროციუსის შემოქმედების კარგი მცოდნე, პუფენდორფი მისი მთავარი შრომის De jure belli ac pacis-ის ინსპირატორად ვარაუდობს ინგლისის ლორდ კანცლერისა და (ამ უკანასკნელის მიერ ფილოსოფიაში აღიარებული ავტორიტეტებისადმი პიეტეტის უარყოფის გამო) მის მიერ პირველ ეკლექტიკოს ფილოსოფოსად მოხსენიებული – ფრენსის ბეკონის შრომას De augmentis Scientiarum (1623), ინგლისურ ენაზე შექმნილი პირველი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური თხზულების Advancement of Learning-ის (1605) განვრცობილ და ლათინიზირებულ ვერსიას. იხ. Tim J. Hochstrasser „Natural Law Theories in the Early Enlightenment“, Cambridge, Cambridge University Press, 2004, გვ. 84-85. ასევე: ENCYCLOPEDIA BRITANNICA, Francis Bacon, <https://www.britannica.com/biography/Francis-Bacon-Viscount-Saint-Alban#ref358813>

სასარგებლოდ ყველა წოდებისთვის“, და „შესავალი ბუნებით სამართალში, ანუ ელემენტარული შესავალი ბუნების, ხალხთა და სამოქალაქო სამართალში“ და „სამართლისა და სამართლიანობის შესახებ“.¹⁰

მე-17 და მე-18 საუკუნეებში პუფენდორფის დიდ პოპულარობაზე კონტინენტურ ევროპაში, ისევე როგორც დიდ ბრიტანეთში და ამერიკის ახლად გაჩენილ შეერთებულ შტატებში, მიუთითებს მისი ბუნებით-სამართლებრივი შრომების „De jure naturae et gentium“ და „De officio hominis et civis juxta legis naturalis“ მრავალ ევროპულ ენაზე თარგმნა და სასწავლო პროგრამაში შეტანა ევროპის უნივერსიტეტებში, აგრეთვე მისი აღიარება ლოკის, რუსოს, აშშ-ს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი მოაზროვნეების*: ჯონ ვაიზის, სამუელ ადამსისა და თომას ჯეფერსონის, ასევე შოტლანდიელი¹¹ განმანათლებლების მიერ.¹² რაც შეეხება მის შესამჩნევ, თუმცა კი დროებით ჩრდილში მოქცევას, ეს პროცესი უკვე პუფენდორფის სკოლის წარმომადგენლით – ქრისტიან ვოლფით იწყება¹³ და კანტის ავტონომიურობის შესახებ მომღვრების გამოჩენით სრულდება.¹⁴

პუფენდორფის აზროვნების ინტერდისციპლინურობა განაპირობებდა სხვადასხვა სამეცნიერო წრეების მხრიდან მის მიუღებლობას. გერმანული სამართლებრივი აზროვნების ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი, ერიკ ვოლფი ამ სიტუაციას ასე აღწერს: „ფილოსოფოსთათვის, მაგ. ლაიბნიცისთვის იგი ზედმეტად იურისტი გახლდათ, იურისტებისთვის ზედმეტად პოლიტიკოსი, პოლიტიკოსთათვის ზედმეტად ისტორიკოსი, ხოლო ისტორიკოსთათვის ზედმეტად ფილოსოფოსი“.¹⁵ საინტერესოა, რომ ყველა ამ მიმართულებით მას საკმაოდ ეკლექტურ ნიშებს

¹⁰ Erik Wolf, *Grosse Rechtsdenker der deutschen Geistesgeschichte*, 3. Aufl. Tübingen, 1951, გვ. 161-168.

* მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი კოლონისტების მიერ მათი დამოუკიდებლობის გამოცხადება ბუნებითი უფლებების სახელით განხორციელდა, საკითხი ამერიკულ რევოლუციაში ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის როლის შესახებ არაერთგვაროვნად ფასდება. მკვლევართა ერთ ნაწილს ეს პროცესი ესმის ინგლისის კონსტიტუციური სამართლის განვითარებისა და ინგლისის სახელოვანი რევოლუციის (Glorious Revolution) იდეურ კონტექსტში, რაც იმას გულისხმობს, რომ სახეზე იყო არა ბუნებითი უფლებებისთვის ბრძოლა, არამედ კონსტიტუციური დავა.

¹¹ Erik Wolf, *Grosse Rechtsdenker der deutschen Geistesgeschichte*, 3. Aufl. Tübingen, 1951, გვ. 334.

¹² Henning Ottmann, *Geschichte des politischen Denkens*, Band 3/1, Die Neuzeit, von Machiavelli bis zu grossen Revolutionen. J. B. Metzler Verlag, 2006, გვ. 405.

¹³ Dieter Hüning (Hrsg.), *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf*, Nomos, Baden-Baden, 2009, გვ. 11.

¹⁴ Tim J. Hochstrasser, *Natural Law Theories in the Early Enlightenment*, Cambridge University Press, Cambridge, 2000, გვ. 20.

¹⁵ Erik Wolf, *Grosse Rechtsdenker der deutschen Geistesgeschichte*, 3. Aufl. Tübingen, 1951, გვ. 334.

მიაკუთვნებენ ხოლმე, სახელდობრ: ვოლუნტარისტულს ეთიკაში (გამომდინარე იქიდან, რომ იგი მორალურობის საფუძვლად მიიჩნევს შემოქმედის ნებას), სუვერენიტეტის და აბსოლუტიზმის თეორეტიკოსთა ჯგუფს - პოლიტიკაში და რეალ პოლიტიკის მომხრეებს – საერთაშორისო ურთიერთობებში (სახელმწიფოთა ურთიერთობა მის ნააზრევში კვლავაც ბუნებითი მდგომარეობაში რჩება). ფართო ინტერდისციპლინური პერსპექტივა აძლევს პუფენდორფს უნიკალურ შესაძლებლობას ბუნებითი სამართლის ფილოსოფიაში ორიენტირებისას თავიდან აირიდოს იმგვარი სწორხაზოვნება, რომელსაც ვიწრო სპეციალიზაციის მქონე მეცნიერი დიდი ალბათობით შეეჩეხებოდა, მაგრამ ამავედროულად იჩენს თავს იმ ტიპის ეკლექტიზმი, რაც ვერ იქნება თავისუფალი წინააღმდეგობებისგან. მაგალითად ის თავის არსენალში იღებს როგორც ინდუქციურ, ისე დედუქციურ მეთოდს, სოციალურობის პრინციპს უთავსებს საჭიროების პრინციპს, რაციონალობის პრიმატს კი ავტორიტეტის პრიმატს. მასთან თანაარსებობს აბსოლუტიზმი და კონსტიტუციონალიზმი, სეკულარული ბუნებითი სამართალი და ლუთერანული მრწამსი. შეიძლება ითქვას, რომ მისი აზროვნების ეს ეკლექტიზმი არის ანარეკლი მისი გარკვეულწილად ამბივალენტური პიროვნული თვისებების, რაც ერთდროულად მოიცავდა დაუდალავი პოლემისტის მებრძოლ ხასიათს და გავლენიანი პატრონის ყოლის მისწრაფებას (რის საილუსტრაციოდაც საკმარისია მისი ნაშრომების მიმდვანათა ადრესატების რეტროსპექტივა), ღირსებით აღსავსე გამბედაობასა და გარემოებებისადმი შემგუებლურ დამოკიდებულებას, აგრეთვე სტატუსისა და მატერიალური პირობების გაუმჯობესების აშკარად თვალმიდევნებად ცხოვრებისეულ პრიორიტეტს.¹⁶

მთლიანობაში, მისი ნააზრევის პროდუქტიულობის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ პუფენდორფის ეკლექტიზმი უფრო დადებითი ფაქტორი აღმოჩნდა, ვიდრე ნაკლი. ამ მულტიპერსპექტიული ხედვის მნიშვნელობის დასანახად იგი „Eris Scandia“-ში ხაზს უსვამს ამა თუ იმ ტერმინის გამოყენებისას ერთსა და იმავე ცნებათა მრავალგვარი მნიშვნელობის გათვალისწინების საჭიროებას, გამომდინარე იქიდან, თუ რომელ მეცნიერებაშია იგი ნაგულისხმები და რომ იგივე *natura* და *naturalis*

¹⁶ Leonard Krieger „The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law, Chicago & London, The University of Chicago Press, 1965, გვ. 2-3., გვ. 23.

ატარებენ განსხვავებულ დატვირთვას ფიზიკოსისთვის, მედიკოსისთვის, თეოლოგისთვის და იურისტისთვის.¹⁷

რაც შეეხება პუფენდორფის მემკვიდრეობის კვლევის თანამედროვე ეტაპს, უნდა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამდგარი ბუნებითი სამართლის რენესანსი, ცოტა მოგვიანებით, მე-20 საუკუნის ბოლო და 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში პუფენდორფისადმი გამოღვიძებული ცხოველი ინტერესითაც აღინიშნა. გერმანიაში პროფესორ შმიდტ-ბიგემანის თაოსნობით გამოიცა პუფენდორფის ნაშრომების სრული კრებული, აგრეთვე მისი სააზროვნო მემკვიდრეობის თანამედროვე მკვლევართა ფუნდამენტური შრომები, მაგ. ისეთი ავტორებისა, როგორიცაა ფიამეტა პალადინი, ჰორსტ დენცერი, თომას ბემე, დიტერ ჰიუნინგი, ჰორსტ დრაიტცელი და სხვა; შედარებით ძველი ავტორებიდან სახელობითი აღნიშვნის ღირსია ერიკ ვოლფი და ჰანს ველცელი, ამ უკანასკნელის ხშირად ციტირებადი ნაშრომით - „Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs“ („სამუელ პუფენდორფის ბუნებითი სამართლის მოძღვრება“) და ჰორსტ რაბე, თავად პუფენდორფის ლათინურენოვანი შრომების არასრული და მოძველებული გერმანულენოვანი თარგმანები ელიან გადახალისებას დამუშავების პროცესში მყოფი ახალი სრული შრომათა კრებულის მეშვეობით.

ინგლისურენოვანი წყაროებიდან მნიშვნელოვანია ფონდ ლიბერტის მიერ *Natural Law and Enlightenment Classic*-ის სერიით, ორიათასიან წლებში გამოცემული პუფენდორფის შრომების სრული კრებული კნუდ ჰაკონსენის რედაქტირებით, აგრეთვე მკვლევარ ლეონარდ კრიგერის ფუნდამენტური ნაშრომი „The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law“ (1965), რომელშიც სამუელ პუფენდორფი მოხსენიებულია, როგორც რევოლუციური იდეების მომთვინიერებელი მოაზროვნე, ასევე სტენდფორდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ენციკლოპედია, სადაც პუფენდორფს ვრცელი და შინაარსობრივად მრავალსიმომცველი ჩანაწერი ეთმობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადრეული მოდერნის ეპოქის ფილოსოფოსთა შორის პუფენდორფი გამორჩეულია მისი საკვლევი არეალის ინტერდისციპლინური ხასიათით, რომელმაც თვითრეალიზაცია მოახერხა ერთდროულად ისეთ დარგებში,

¹⁷ Hans Welzel, „Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs, ein Beitrag zur Ideengeschichte des 17. Und 18. Jahrhunderts“, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1958, 20.

როგორცაა სახელმწიფო სამართალი, ბუნებითი სამართლის ფილოსოფია და ევროპის ისტორია, აგრეთვე პროდუქტიული გახლდათ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთმიმართებისა და სეკულარიზაციის პრობლემატიკის გააზრებისას; ავტორი, რომლის პროფესიულ მახასიათებელს წარმოადგენს მისწრაფება, იყოს გახსნილი ახალი დროის სამეცნიერო მეთოდოლოგიისა და შინაარსობრივი სტრუქტურისადმი, ამასთან მანამდე არსებულ სააზროვნო მემკვიდრეობასთან კავშირის ხელაღებით გაწყვეტის გარეშე.¹⁸ ეს მას აძლევს თვისობრივად განსხვავებული სააზროვნო მოდელების კონსტრუირების შესაძლებლობას - მაგალითად ისეთის, როგორცაა მოძღვრება სულიერი და ფიზიკური განზომილების არსებობაზე ადამიანში (*entia moralia** და *entia phisica*), რომელსაც პუფენდორფის მთელი იდეალისტური ფილოსოფიის გასაგებად გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება და ამიტომ მას მოცემულ კვლევაში სპეციალური ადგილი დაეთმო.

რაც შეეხება მოვალეობის პრინციპს პუფენდორფის ბუნებით-სამართლებრივ მოძღვრებაში, მასზე სადისერტაციო ნაშრომში ძირითადი აქცენტის გაკეთება უკავშირდება იმ გარემოებას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს რეალიზებაში, რომლის კონსტიტუციის პრეამბულით დეკლარირებულ მიზანს წარმოადგენს *თავისუფალი, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა*, უფლება-მოვალეობათა ურთიერთ მიმართების სიღრმისეულ გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ყურადღებას იმსახურებს საზოგადოებრივი ხელშეკრულების პუფენდორფისეული ვერსია, რომელიც ჰობსის ვარიანტისგან განსხვავებით სუვერენსაც ხელშემკვრელ მხარედ მოიაზრებს და ამას გარდა, რამდენიმე ეტაპს გულისხმობს: საზოგადოების წევრთა ხელშეკრულებას სახელმწიფოს დაფუძნების შესახებ, სახელმწიფოს მმართველობის ფორმის შესახებ დეკრეტს და მომავალ სუვერენთან მომავალი ქვეშევრდომების ურთიერთმავალეულ ხელშეკრულებას. პუფენდორფის ბუნებითი სამართლის დოქტრინა, რომელიც ორი საპირისპირო დაფუძნების მქონე – გროციუსისეული და ჰობსისეული თეორიების შეჯერებას და დახვეწას ახდენს, განსაკუთრებით პოპულარული იყო მე-17 საუკუნისთვის, მაგრამ

¹⁸ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, München 1972, შესავალი.

*ქართულ ენაზე ეს ტერმინი შეგვიძლია ვთარგმნოთ *მორალურ მოვალეობად* ან *ყოფნის მორალურ ფორმებად*.

იგი აქტუალობას არ კარგავს დღესაც, ვინაიდან კონტრაქტუალიზმის ამ ვერსიით, ხალხი სამართალ-სუბიექტობას არ თმობს სახელმწიფოს ფორმით საკუთარი ცხოვრების დაფუძნების მერეც. პირველი ხელშეკრულება, ისევე როგორც სამართალ-სუბიექტობა, მაშინაც ძალაში რჩება, როდესაც მმართველი არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რაც მისდამი მორჩილების ვალდებულებასაც ანულირებას უკეთებს, ხოლო ამბოხების უფლებას ხელშეკრულების თეორიის იმანენტურ ნაწილად აქცევს. ეს გარემოება ცხადს ხდის, თუ რამდენად დაუბალანსებელია აბსოლუტიზმის იდეოლოგიად პუფენდორფის შეხედულებების გამოყვანა.

მიუხედავად ლაიბნიცის ერთ-ერთ წერილში გამოთქმული მწარე გამონათქვამისა მის შესახებ (*vir parum jurisconsultus et minime philosophus*)¹⁹, რაც მანამდე სამუელ პუფენდორფის მისამართით გაკეთებულ, მისივე არა ერთ კარგ შეფასებას ეწინააღმდეგება, პუფენდორფი უნდა მოვიაზროთ იმ მოაზროვნედ, რომლის უგულვებელყოფა იქნება საზიანო, როგორც იურისტებისთვის, ისე ფილოსოფოსებისთვის. თუმცა ლაიბნიცის დიდი ავტორიტეტიდან გამომდინარე, შეუძლებელია, მის თუნდაც ასეთ ძალიან სუბიექტურ და პირად განაწყენებაზე დაფუძნებულ შეფასებას, ნეგატიური კვალი არ დაეტოვებინა პუფენდორფის ღვაწლის აღქმაზე მისი შემდგომი თაობების მხრიდან. პუფენდორფის სააზროვნო მემკვიდრეობის გამორჩეული მცოდნის, პროფ. თეო კობუმის შეფასება ასეთია: „არსებითად კი მისი დამსახურება კაცობრიობის აზროვნებაში ის გახლავთ, რომ პუფენდორფმა მისივე გადაუჭარბებელი შეფასებით დააფუძნა თავისი „ბუნებითი სამართალი“, როგორც პირველი „უნივერსალური ეთიკა“, რომლის საგანიც ერთმნიშვნელოვნად არის კულტურისა და რელიგიის შემეცნებით „*ens morale*“ და მასში ცენტრირებული პიროვნება. პუფენდორფი, არისტოტელესეული ეთიკის ტრადიციის საპირისპიროდ, რასაც იგი ბერძნულ პოლისთან დაკავშირებულ პარტიკულარულ ეთიკად აღიქვამს (მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელეს ევდემონიზმი არეტოლოგიურია და არა ჰედონისტური), წამოაყენებს პრეტენზიას, რომელიც „პირველად ტეხავს ყინულს“ და წმინდა გონების (*ex sola ratione*) პრინციპის კვლევის საფუძველზე აცხადებს: „ყველა ხალხი, რელიგიის მიუხედავად,

¹⁹ „კაცი, რომელიც გახლავთ პატარა იურისტი და კიდევ უფრო პატარა ფილოსოფოსი“, Hans Welzel, Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs, ein Beitrag zur Ideengeschichte des 17. Und 18. Jahrhunderts, Walter de Gruyter, Berlin, 1958, გვ. 2.

მიზეზთა სიცხადის მეშვეობით დაუშვებს მას [ადამიანის ღირსებას], ან შესაძლოა იძულებული (adigi) გახდეს, რომ დაუშვას იგი.²⁰ სამართლის მეცნიერების მიერ ბუნებითი სამართლის ფილოსოფიიდან აღმოცენებული ფილოსოფიური კატეგორიის - ადამიანის ღირსების საკუთარ ენაზე თარგმნაში, რაც წამების აბსოლუტურ აკრძალვად იქნა ფორმულირებული, პუფენდორფს და მის მოწაფეს ქრისტიან თომასიუსსაც მიუძღვით დიდი დამსახურება, თუმცა ეს ცალკე კვლევის საგანია.

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, საქართველოში ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის სწორად გაგების და შემდგომი განვითარების მიზნით რამდენადმე მაინც გაფანტოს ის ბინდი, რითაც სრულიად დაუმსახურებლად არის მოცული სამუელ პუფენდორფის ფიგურა, ისევე როგორც მთლიანად ბუნებითი სამართლის მოძღვრება (იგი უარეს შემთხვევაში ბევრს, მათ შორის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონეს – ჩვეულებით სამართალში ერევა, უკეთეს შემთხვევაში კი – ბუნებით უფლებებში, რაც ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის საფუძველზე აღმოცენებული ბევრად გვიანდელი კონცეფციაა) და ახალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ცოდნის შექმნის მეშვეობით საფუძველი მოამზადოს ამ მიმართულებით შემდგომი კვლევებისთვის. საქმე იმაშია, რომ თუ სახელმწიფოსა და სამართლის ფილოსოფიას დასავლური გამოცდილებისა და დღევანდელი კონსტიტუციური ასპექტების გათვალისწინებით შევისწავლით, დავინახავთ, რომ ისინი წარმოდგენელია ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე, როგორც სამართლიანობისა და თავისუფლების იდეების მაკულტივირებელ მოძღვრებაზე დისკუსიის გარეშე; მიუხედავად იმისა, რომ წმინდა ისტორიულ პერსპექტივაში თუ განვიხილავთ, უმეტესად ბუნებითი სამართლის „აფეთქებებს“ ვხედავთ (სტოიკოსები, ქრისტიანული ბუნებითი სამართალი*, მოდერნული - სეკულარული ბუნებითი სამართალი, ბუნებითი სამართლის რენესანსი), ვიდრე მის უწყვეტ, პარადიგმულ არსებობას, მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბუნებითი სამართლის თანშობილების განცდა ადამიანობის იმანენტურია მთელი მისი ცნობიერი არსებობის მანძილზე, ხოლო ხსენებული მონაკვეთები წარმოადგენს გარკვეულად კრიზისის

²⁰ თეო კობუში, „ადამიანის ღირსება“, ლექცია წაკითხული ილიაუნში, თბილისი, მაისი 2015 წ.

*აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქრისტიანული ბუნებითი სამართალი მიუხედავად მისი კუთვნილებისა ამ ტრადიციისადმი, მაინც გარკვეულწილად გადახრილია მისგან, ვინაიდან აქ ღმერთი გვევლინება ბუნებითი სამართლის შემოქმედად, რაც მას პოზიტიურ ხასიათს ანიჭებს.

შემდგომ, კათარზისულ ეპოქებს, როდესაც ბუნებითი კანონების ვიზიონირება ხელახლა კი არ ჩნდებოდა, არამედ კაცობრიობის ესა თუ ის ნაწილი ახდენდა ბუნებითი სამართლის და მასთან ერთად საკუთარი თავის, როგორც ბუნებითი სამართლის მოქმედების არეალში მყოფი კაცობრიობის ნაწილის, ხელახლა აღმოჩენას.

ხსენებულ დისკუსიაში სამუელ პუფენდორფს, როგორც მოდერნული ჰუმანიზმის თვალსაჩინო მოაზროვნეს და ადრეული გერმანული განმანათლებლობის პირველი ტალღის წარმომადგენელს, თავისი სრულიად განსაკუთრებული სიტყვა აქვს ნათქვამი სამართლებრივი პრობლემატიკისა და ცნებობრიობის ახალი დროისთვის დამახასიათებელ სტილში აგებაში, ამავდროულად მისთვის ნორმატიულობის სულის დაუკარგავად.

ვფიქრობთ, პუფენდორფის სააზროვნო მემკვიდრეობის ცოდნა და მისი ეთიკური მრწამსის გააზრება, გახლავთ მასტიმულირებელი იმ კრედოსი საზოგადოებრივ, მორალურ-ფილოსოფიურ და სამართლებრივ-პოლიტიკურ სიბრტყეზე, რისი დეფიციტიც ქართულ რეალობაში დღეს მწვავედ იგრძნობა და რომელიც მოიცავს: ადამიანის გონების აღიარებას ოპტიმალური საზოგადოებრივი თანაცხოვრების ფორმების შემეცნების წყაროდ; უარის თქმას სტერეოტიპულ აზროვნებაზე, მათ შორის იმაზე, რასაც მოდერნული ფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი მიმდინარეობის - ემპირიზმის დამფუძნებელი, დიდი ინგლისელი ფილოსოფოსი - ფრენსის ბეკონი (1561-1626), *გამოქვაბულის იდოლას* უწოდებდა, ხოლო ესპანელი მოაზროვნე ბალთაზარ გრაციანი (1601-1658) - *მშობლიური ერის ნაკლს*,²¹ რაც არა მხოლოდ თითოეული ინდივიდის გადასალახი დაბრკოლება საკუთარი პიროვნების განვითარების გზაზე, არამედ ამა თუ იმ საზოგადოებისაც, თუკი მას სურს ზიანის მომტანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული კატაკლიზმებისთვის თავის არიდების გზით, სოციალური ჰარმონიის პოვნა და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი როგორც გარე, ისე თავის შინაგან სოციალურ ბუნებასთან თანხმობაში მყოფი მეტა პროექტის რეალიზაცია.

კვლევის მიზანია:

²¹ იხ. ბალთაზარ გრაციანი „ჯიბის ორაკული ანუ კეთილგონიერების ხელოვნება“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2014 წ.

სამუელ პუფენდორფის ბუნებითი სამართლის ფილოსოფიაში მოვალეობის პრინციპის და მასთან დაკავშირებული მორალურ არსობათა შესახებ მოძღვრების შესწავლა და ახალი დროის ბუნებითი სამართლის ფილოსოფიისთვის პუფენდორფის ნააზრევის რელევანტურობის გააზრება, აგრეთვე იმ ისტორიულ-ფილოსოფიური კონტექსტების გამოკვეთა, რამაც ხელი შეუწყო მის ჩამოყალიბებას.

ამოცანები:

- პუფენდორფის ორიგინალური სააზროვნო პროდუქტის - მოვალეობის შესახებ მოძღვრებისა და მასთან უშუალო კავშირში მყოფი entia moralias შესახებ სწავლების ჯეროვანი წარმოჩენა, ახალი დროის ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის ერთიან კონტექსტში;
- მე-17 საუკუნის ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის იდეური წანამძღვრების და ამოსავალი პოზიციის ჩვენება, რომელთა ნაწილს ავტორი ინარჩუნებს, ნაწილს უპირისპირდება, ხოლო ნაწილის ტრანსფორმაციას ახდენს;
- მოდერნული ბუნებითი სამართლის მეთოდის პუფენდორფისეული სამართლის ფილოსოფიური ვერსიის იდენტიფიცირება;
- პუფენდორფის, როგორც პროტესტანტი ქრისტიანი მოაზროვნის მორალური ფილოსოფიის პოზიციონირების დადგენა მის მიერ მორალურ ფორმებზე, მორალურ საჭიროებაზე, ბუნებით მდგომარეობაზე და ბუნებით სამართალზე მსჯელობისას;
- მოვალეობათა კლასიფიკაციის დეტალური წარმოდგენა და მოვალეობისა და უფლების, როგორც ურთიერთგადაჯახებული და თანშობილი ადამიანური მოცემულობის გადმოცემა;
- პუფენდორფის როლის ჩვენება ადრეული მოდერნის ხანის უნივერსალისტური ეთიკის ჩამოყალიბების საქმეში.

პრაქტიკული ღირებულება

სამუელ პუფენდორფის მოვალეობათა კონცეფციას თანამედროვე ქართველ იურისტთა, კანონმდებელთა და სამართლის ბუნების რეფლექსიით დაკავებულ სოციალურ მეცნიერებათა და ფილოსოფიის წარმომადგენელთათვის დიდი

პრაქტიკული ღირებულება გააჩნია იმდენად, რამდენადაც პუფენდორფის მიერ მისი ბუნებითი სამართლის ადამიანის ბუნებრივ მოვალეობებთან ფუძემდებლური დაკავშირება გულისხმობს ისეთი საზოგადოების იდეურ კონსტრუირებას, რომლის წევრები ურთიერთ-პასუხისმგებლობით არიან განმსჭვალულნი, როგორც ნაკისრ ვალდებულებებთან, ისე ზოგადად სხვათა უფლებებთან მიმართებაში, აცნობიერებენ რა ადამიანთა გარდაუვალ დამოკიდებულებას ერთმანეთზე. მაშინ როდესაც მთავარი აქცენტის გაკეთება თვითმიზნურად გაგებულ ადამიანის უფლებებზე და სამართლის აქედან გამოყვანა იმ ტიპის ინდივიდუალიზაციას წაახალისებდა, რაც ბუნდოვანს გახდიდა, თუ რატომ უნდა სცენ ადამიანებმა პატივი სხვათა უფლებებს. ამ შემთხვევაში მოვალეობები უკანა პლანზე გადადის და საზოგადოების წევრთა თავდაპირველი გამაერთიანებელი საწყისის მნიშვნელობას აღარ ატარებს.²² ამას გარდა, პუფენდორფი თავისი მოვალეობის პრინციპით გვევლინება არა მხოლოდ ადამიანის ღირსების უნივერსალურობის, არამედ ადამიანთა არსებითი თანასწორობის მასწავლებლად. მოვალეობები ყველასი ყველას წინაშე მოიცავს ადამიანთა თანასწორობის პატივისცემის მოვალეობას, რამეთუ, მისი რწმენით, ყველა ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი არსებაა და ყოველ მათგანს ელის დაბადება, ბედის არაერთგვაროვნების გამოცდა და სიკვდილი.

ნაშრომის მნიშვნელობის ხაზგასასმელად აღსანიშნავია ორი ფაქტორი:

- გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს მარქსისტულ-ლენინისტური იდეოლოგიის დიქტატურისგან გათავისუფლების შემდეგ იდეალისტური სამართლის ფილოსოფიის ერთერთი ძირითადი მიმართულების – ბუნებითი სამართლის გააზრების პირველ ფუნდამენტურ მცდელობას, იგი ამავე დროს სხვასთან ერთად უზრუნველყოფს, როგორც მინიმუმ, ისეთი უხერხული ცდომილების აღმოფხვრას ქართველ სამართალმცოდნეთა და მომიჯნავე აკადემიური დისციპლინების წარმომადგენელთა წარმოდგენაში, როგორიცაა ბუნებითი და ჩვეულებითი სამართლის გაიგივება.
- იმის გათვალისწინებით, რომ ნაშრომი პუფენდორფის კვლევების ევროპულ და ანგლო-ამერიკულ ტრადიციას მიკუთვნებულ პრობლემათა რიგს ამუშავებს ახალი

²² Henning Ottmann, Geschichte des politischen Denkens, Band 3/1, Die Neuzeit, von Machiavelli bis zu grossen Revolutionen. J. B. Metzler Verlag, 2006, გვ. 407.

ასპექტით, კერძოდ სწავლობს პუფენდორფის ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის ორ საფუძველმდებარე მოძღვრებას, მისი ფილოსოფიის ისტორიული კონტექსტისგან მოუწყვეტლად, რაც უკავშირდება ადრეული ახალი დროის მოაზროვნეების – ჰუგო გროციუსისა და თომას ჰობსის სააზროვნო მემკვიდრეობის კრეატიული სინთეზირების დანახვას პუფენდორფის შემოქმედებაში – მას დამოუკიდებელი საერთაშორისო სამეცნიერო ღირებულება გააჩნია.

დისერტაცია მოიცავს:

შესავალს, კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევის სამ თავს, შეჯამებას, გამოყენებული ლიტერატურის სიას.

კვლევის მეთოდოლოგია

დასახული ამოცანების მისაღწევად გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი, რაც გამოიხატა შემდეგი ლიტერატურის დამუშავებასა და კრიტიკულ ანალიზში:

პირველადი წყაროები*

სადისერტაციო კვლევისას ყურადღების არეალში მოექცა ისეთი პირველადი წყაროები, როგორიცაა პუფენდორფის ბუნებით-სამართლებრივი შრომები:

• „უნივერსალური იურისპრუდენციის ელემენტები, ორი წიგნი“, **Elementorum Jurisprudentiae Universalis Libri Duo, 1660;**

• „ბუნებითი და ხალხთა სამართლის შესახებ, რვა წიგნი“ **De Jure Naturae et Gentium Libri Octo, 1672;**

• „ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობა, თანახმად ბუნებითი კანონისა, ორი წიგნი“ **De Officio Hominis et Civis Juxta Legis Naturalis, Libri Duo, 1673;**

რელევანტური სეკუნდარული ლიტერატურა

* მოცემულ წყაროებს გავეცანი ინგლისურ თარგმანში. საჭირო ნიუანსების უკეთ გასაგებად შევისწავლე აგრეთვე შესაბამისი პასაჟები ორიგინალში. დისერტაციაში სათაურების ლათინურენოვანი ვარიანტებისთვის უპირატესობის მინიჭება განპირობებულია მათი მაღალი ცნობადობით შესაბამის სამეცნიერო წრეებში და მრავალენოვან სეკუნდარულ ლიტერატურაში მათი ამ სახით მოხსენიების გავრცელებული პრაქტიკით, აგრეთვე პუფენდორფის ნაშრომების სიახლოვის ჩვენების სურვილით გროციუსისა და კვლევის თემატიკასთან დაკავშირებული სხვა ავტორების შრომებთან.

დასავლეთში ე.წ. ბუნებითი სამართლის რენესანსმა, რაც უმთავრესად მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს განეკუთვნება და სამართლის პოზიტივიზმის უპირობო დომინირების დასასრულს უკავშირდება, თუნდაც არა ერთმნიშვნელოვნად ბუნებითი სამართლის დოქტრინის სასარგებლოდ, სტიმული მისცა პუფენდორფის სააზროვნო მემკვიდრეობის რეაქტუალიზაციასაც, შედეგად შეიქმნა რიგი ფუნდამენტური სამეცნიერო შრომებისა.

დღეისათვის აღიარებულია მისი რამოდენიმე გამორჩეული, ყველაზე ხშირად ციტირებული მკვლევარი და მათი შრომები, რომელთა ნაწილი გამოყენებულ იქნა წინამდებარე დისერტაციაზე მუშაობისას:

- **ჰორსტ დენცერი**, „მორალური ფილოსოფია და ბუნებითი სამართალი სამუელ პუფენდორფთან, ინტელექტუალური და სამეცნიერო-ისტორიული კვლევა პრაქტიკული ფილოსოფიიდან ბუნებითი სამართლის დაბადებაზე“ (Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf. Eine geistes- und wissenschaftsgeschichtliche Untersuchung zur Geburt des Naturrechts aus der Praktischen Philosophie*);
- **თომას ბემე**, „სამუელ პუფენდორფი. ბუნებითი სამართალი და სახელმწიფო“ (Thomas Behme, „Samuel von Pufendorf. Naturrecht und Staat“);
- **ჰანს ველცელი**, „სამუელ პუფენდორფის ბუნებითი სამართლის მოძღვრება“ (Hans Welzel, „Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs“);
- **დეტლეფ დიორინგი**, „პუფენდორფის კვლევები“ (Detlef Döring, „Pufendorf-Studien“);
- **თეო კობუში**, „პიროვნების აღმოჩენა, თავისუფლების მეტაფიზიკა და თანამედროვე ადამიანის სურათი“ (Theo Kobusch, „Die Entdeckung der Person, Metaphysik der Freiheit und modernes Menschenbild“);
- **ჰორსტ დრაიტცელი**, სამუელ პუფენდორფი, კრებულში: „მე-17 საუკუნის ფილოსოფია“ (Horst Dreitzel, „Samuel Pufendorf in die Philosophie des 17. Jahrhunderts“);
- **ჰორსტ რაბე**, „ბუნებითი სამართალი და ეკლესია სამუელ პუფენდორფთან“ (Horst Rabe, „Naturrecht und Kirche bei Samuel von Pufendorf“);
- **გერალდ ჰარტუნგი**, ბუნებითი სამართლის დებატი, „obligatio“-ს ისტორია მე-17 საუკუნიდან მე-20 საუკუნემდე (Gerald Hartung, „Die Naturrechtsdebatte. Geschichte der ‘Obligatio’ vom 17. bis zum 20. Jahrhundert“);

- ვანდა ფიორილო, „გროციუსიდან პუფენდორფამდე. სამეცნიერო რევოლუცია და სამართლის თეორიული საფუძვლები (Fiorillo Vanda, *„Von Grotius zu Pufendorf. Wissenschaftliche Revolution und theoretische Grundlagen des Rechts“*).
- ფიამეტა პალადინი, „პუფენდორფი, ჰობსის მოსწავლე“ (Fiameta Palladini, *„Pufendorf disciple of Hobbes“*);
- ლეონარდ კრიგერი, „დისკრეციის პოლიტიკა, პუფენდორფი და ბუნებითი სამართლის მიღება“ (Leonard Krieger, *„The politics of Discretion, Pufendorf and the Acceptance of Natural Law“*).
- ტიმ. ი. ხოხშტრასერი, „ბუნებითი სამართლის თეორიები ადრეულ განმანათლებლობაში“ (T. J. Hochstrasser, *„Natural Law Theories in the Early Enlightenment“*).
- კნუდ ჰაკონსენი, „გროციუსი, პუფენდორფი და მოდერნული ბუნებითი სამართალი“ (Knud Haakonssen *„Grotius, Pufendorf and Modern Natural Law“*).

A. ადრეული მოდერნის ეპოქა, სამუელ პუფენდორფის Vita და მისი შრომები

I. *ბუნებითი სამართლის გამოწვევები ადრეული მოდერნის ეპოქაში. პუფენდორფის ევოლუციური გზა ფილოსოფოსობამდე და მისი ბუნებით-სამართლებრივი შრომების დესკრიფციული წარმოდგენა*

1. ადრეული მოდერნის ეპოქა და ბუნებითი სამართლის გამოწვევები

თუკი ნებისმიერ მოცემულ დროის მონაკვეთს ლოგიკურად შეიძლება ეწოდოს ახალი მის წინა, განსხვავებული შინაარსისა და აქცენტების მქონე პერიოდთან მიმართებაში, რა არსებითი სიახლე გახდა განმაპირობებელი კაცობრიობის ისტორიაში კონკრეტული ეპოქისთვის მოდერნის ანუ ახალი დროის სახელის დამკვიდრებისა? რა გამოწვევებისათვის თვალის გასწორება მოუხდა ბუნებით სამართალს ამ დროს?

ისტორიის ანტიკურ, შუა საუკუნეებამდე და ახალ დროდ პერიოდიზაცია პირველად მოახდინა გერმანელმა ისტორიოგრაფმა ქრისტოფერ კელარიუსმა 1701 წელს გამოცემულ ნაშრომში „Historia Universalis“.²³ დღეისათვის ახალი დროის დასაწყისად ერთი ან ერთდროულად რამოდენიმე ათვლის წერტილი განიხილება - ისეთები, როგორიცაა წიგნის ბეჭდვის დაწყება (1450), კონსტანტინეპოლის დაცემა (1453, რასაც მოჰყვა ბერძნულენოვანი ლიტერატურით აღჭურვილი ბიზანტიელი სწავლულების მიგრაცია იტალიაში), ამერიკის აღმოჩენა (1492) და ამით დედამიწის ახალი სურათის მიღება (ამ მოვლენის ქრისტიანული ევროპის მცხოვრებთა აზროვნებაზე ზემოქმედების მნიშვნელობა უკავშირდება იმ ფაქტისთვის თვალის გასწორების საჭიროებას, რომ თურმე არსებობენ ხალხები და კონტინენტებიც კი, რომლებიც ბიბლიაში ნახსენები არ არიან²⁴), კოპერნიკისეული

²³ <http://geboren.am/person/christoph-cellarius>.

²⁴ გურამ თევზაძე, აღორძინების ეპოქის ფილოსოფია (მარსილიო ფიჩინოდან იაკობ ბოემემდე) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 2008, გვ. 96.

ჰელიოცენტრისტული გარდატეხის შედეგად სამყაროს ახალი სურათის გაცნობიერება (1543) და ასე შემდეგ²⁵, თუმცა მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომელ სფეროზე ვსაუბრობთ. ასე მაგალითად – ფილოსოფიაში ახალი დრო მე-17 საუკუნეში იწყება – ბეკონით, დეკარტით და ჰობსით; თეოლოგიაში – მე-16 საუკუნეში რეფორმაციით; ლიტერატურაში ამის თქმა უკვე მე-14 საუკუნეზე შეიძლება, თუ პეტრარკას შემოქმედებას განვიხილავთ, ხოლო პოლიტიკაში ახალი დროის ათვლა ბევრად გვიანდელ მოვლენას – საფრანგეთის რევოლუციას უკავშირდება.²⁶ რაც შეეხება ახალი დროის დასასრულს, საუბარი არის ხშირად მე-19 საუკუნის მეორე ნახევარზე, საიდანაც აითვლება მოდერნი ვიწრო გაგებით, რაც დღემდე გრძელდება, ან ჩანაცვლებულია პოსტ მოდერნით.

რამდენად ევროპაცენტრულიც არ უნდა იყოს ისტორიის მოცემული დაყოფა, ის გარემოება უდავოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ ახალი დროის აღმნიშვნელმა ზემოთ მოყვანილმა მოვლენებმა შეცვალეს არა მხოლოდ ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს რეალობა, თუმცა ეს კარდინალური ცვლილებები ცალსახად პოზიტიურ შინაარსს არ ატარებდა, იგივე ამერიკის კონტინენტის აბორიგენული ცივილიზაციების ტრაგიკული ბედის გათვალისწინებით. და მაინც, სიახლის იმ ყოვლისმომცველ პათოსს, რომელიც მე-15 საუკუნის ბოლოდან ევროპაში გამეფდა, გარდაუვალად მოჰყვა სააზროვნო პარადიგმათა იმგვარი ტრანსფორმაცია, რამაც თავისი წარუშლელი კვალი დატოვა არა მხოლოდ ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს შემდგომ განვითარებაზე.²⁷

ობიექტური ხასიათის სამი მნიშვნელოვანი მომენტი, რაც განსაზღვრავდა ადრეული ახალი დროის, კერძოდ მე-17 საუკუნის ევროპის ადამიანთა ცხოვრებას იყო:

- რელიგიური და სამოქალაქო ომებით გამოწვეული ნგრევა, ძალადობა და განუკითხაობა;
- პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული ტრანსფორმაცია დაკავშირებული ფეოდალური სისტემის და მისი სამფენიანი საზოგადოების (თავად-აზნაურობა,

²⁵ <http://www.enzyklopaedie-der-neuzeit.de/download/neuzeit.pdf>.

²⁶ თეო კობუმი, ლექციების ციკლი ფილოსოფიის ისტორიაში წაკითხული ბონის უნივერსიტეტში, 2015-2016.

²⁷ Henning Ottmann, Geschichte des politischen Denkens, Band 3/1, Die Neuzeit, von Machiavelli bis zu grossen Revolutionen. J. B. Metzler Verlag, 2006, გვ.1-3.

სასულიერო წოდება, გლეხობა) თვითორგანიზებად ქალაქურ ცხოვრების სტილზე გადასვლასთან;

- პერმანენტულად ფეთქებადი უკუზრუნებელი შავი ჭირის ეპიდემია, რომელიც საყოველთაო პანიკას ბადებდა და სხვადასხვა ცრურწმენას წაახალისებდა.

სწორედ ასეთი ქარტეხილებით მდიდარ ეპოქაში ადამიანური აზროვნების უძველეს პრობლემატიკას - ბუნებით სამართალს ეწერა მისი ისტორიის ახალ ფაზაში შესვლა და თავისი სპეციფიკური სათქმელის მეშვეობით თვით ამ ეპოქის არაუკანასკნელ მსაზღვრელ ფაქტორთა შორის აღმოჩენა.

ბუნებითი სამართლის იდეა, თვალმიდევნებადი ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში ჰერაკლიტედან მოყოლებული, თავისი ყველაზე გამოკვეთილი ფორმით, ადრეულ ხანაში წარმოსდგება უკვე ბერძნულ სტოიციზმში, სადაც იგი სამართლისა და საზოგადოების შემმეცნებელი კომპლექსური ფილოსოფიური აზრის ცენტრალურ მეტაფიზიკურ კატეგორიას წარმოადგენს,²⁸ ახალი დროის ფილოსოფიისთვის რელევანტურ ფორმას კი იგი რომაულ სტოიციზმში იძენს.

ბუნებითი სამართლის მეორე დიდი ნავსაყუდელი გახლავთ ქრისტიანული ფილოსოფია, განსაკუთრებით კათოლიკური სქოლასტიკა.

რაც შეეხება გროციუსისა და ჰობსის მიერ ჩამოყალიბებულ, ხოლო პუფენდორფის მიერ სისტემატიზირებულ სეკულარულ ბუნებით სამართალს, იგი იბადება ერთი მხრივ - კათოლიკურ და ამ უკანასკნელის იდეური დომინირების ქვეშ მყოფ პროტესტანტულ სქოლასტიკასთან დაპირისპირებაში, ხოლო მეორეს მხრივ - ევროპული ჰუმანიზმის მეშვეობით, ბუნებითი სამართლის სტოიკოსთა მოდელის ფუნდამენტური ცოდნისა და მნიშვნელოვანწილად გაზიარების პირობებში.

ამოცანები, რომელსაც პუფენდორფი საკუთარ თავს უსახავს, სამართლის ფილოსოფიისთვის გლობალურ მნიშვნელობას ატარებს: ბუნებითი სამართლისთვის დამოუკიდებლობის მოპოვება თეოლოგიური პრიმატისგან, ამ უკანასკნელთან სამკვდრო-საციცოცხლო ბრძოლაში შეუსვლელად, და ახალი ტრენდის – საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ბუნებითი ფილოსოფიის ყველა სიკეთის

²⁸ Hans Welzel, Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs, ein Beitrag zur Ideengeschichte des 17. Und 18. Jahrhunderts, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1958, გვ. 9.

გამოყენება მასთან ბუნებითი სამართლის, როგორც ნორმატიული მეცნიერების გაიგივების გარეშე. აქვე უნდა ვახსენოთ ბუნებითი სამართლის იმანენტური თვითგამიჯვნა პოზიტიური სამართლისგან, რასაც ბუნებითი სამართლის განვითარების ყოველ ეტაპზე თავის მხრივ ახალი თეორიული ბაზა ესაჭიროება, მით უმეტეს, რომ პოზიტიური სამართლის ავტორის - სახელმწიფოს სახეები სხვადასხვა ეპოქაში საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან.

პირველი ამოცანა გულისხმობდა დაპირისპირებას უკვე ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ავტორიტეტთან, რომელსაც არც პროტესტანტულ ევროპაში გამოსჩენია მანამდე სერიოზული მოწინააღმდეგე, თუ თავად ლუთერს და მისი ერთგულ მიმდევარ სამუელ პუფენდორფს არ ჩავთვლით - ეს გახლავთ კათოლიკური და პროტესტანტული საუნივერსიტეტო სქოლასტიკა. ამ უკანასკნელს, რომელსაც რაიმე ღირებული კვალი არ დაუტოვებია ბუნებითი სამართლის განვითარებაში და საკუთარ ავტორიტეტებად უდრტვინველად აღიარებდა თომა აქვინელს, დუნს სკოტს, სუარესსა და სხვა კათოლიკე მოაზროვნეებს, დავიწყებისთვის მიეცა ლუთერის დაპირისპირება არისტოტელესთან და მის ლოგიკას ღვთაებრივ ლოგიკად მიიჩნევდა.²⁹ ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ პუფენდორფი პირველია გერმანელ მოაზროვნეებს შორის, ვინც პროტესტანტული ფილოსოფიური აზრის ემანსიპაციას ახერხებს და გამოჰყავს იგი რომის ეკლესიის მიერ სანქციონირებულ მოაზროვნეთა უპირატესობის უპირობო აღიარების მდგომარეობიდან.

მეორე, არანაკლებ სირთულეებთან დაკავშირებული ამოცანა, უკავშირდება თავად ახალი დროის მიერ მოტანილ ტრენდთან, კერძოდ პუფენდორფისთვის საპატივცემულო დეკარტისა და ბუნებითი სამართლის ახალი ავტორიტეტის – თომას ჰობსის მიერ უაპელაციოდ მიჩნეული საბუნებისმეტყველო-მექანიცისტური მეთოდის მიმართ დაბალანსებული და კრიტიკული პოზიციის დაკავებას, რასაც მოგვიანებით მეთოდური ეკლექტიზმი ეწოდა, ვინაიდან პუფენდორფის მიერ ხსენებული მეთოდის ნაწილობრივი შენარჩუნების პარალელურად ადგილი

²⁹ Hans Welzel, Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs, ein Beitrag zur Ideengeschichte des 17. und 18. Jahrhunderts, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1958, გვ.10.

გამოინახა ფილოსოფიის ისტორიის მანძილზე დაგროვილი ცოდნის მნიშვნელოვნების გათვალისწინებისთვისაც.³⁰

რაც შეეხება პოზიტიური სამართლის მიმართების განსაზღვრას ერთიან სამართლებრივ აზროვნებაში, აქ პუფენდორფი, გარდა ზოგადი ბუნებით-სამართლებრივი მოძღვრებისა, თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, აყალიბებს „კერძო ბუნებით სამართალსაც“, სახელმწიფო, ხალხთა სამართლის (რომელსაც ის გროციუსის მსგავსად ბუნებით სამართლად განიხილავს, რამეთუ ხალხები ერთმანეთთან მიმართებაში რჩებიან ბუნებით მდგომაროებაში და არა ხალხთა პოზიტიურ სამართლად), სისხლის და სამემკვიდრეო სამართლის დისციპლინების სახით.

ყველა ამ ბრძოლაში პუფენდორფის გამარჯვების შედეგად, ბუნებითმა სამართალმა მოიპოვა როგორც თეოლოგიისგან, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან დამოუკიდებელი ადგილი და შექმნა ბუნებითი და პოზიტიური სამართლის დიფერენციაციის ნაყოფიერი პრეცედენტი. ერთის მხრივ, პუფენდორფმა ხმამაღლა განაცხადა, რომ არა გამოცხადება, არამედ მხოლოდ გონებაა ფილოსოფიურ ჭეშმარიტებათა წყარო, რითაც განმტკიცებულ იქნა თეორიული გონების ავტონომიურობა. მეორეს მხრივ, ახალი დროის სამეცნიერო მეთოდის კონკურენტულ მიმართულებებს - ინდუქციის გზით ახალი ცოდნის მოპოვებაზე ორიენტირებულ – ემპირიულსა და უმაღლესი, თავისთავად ცხადი პრინციპებიდან, მოვლენათა განსაკუთრებულობის დედუქციის მაღიარებელ რაციონალისტურ მიმართულებას შორის, ბუნებითი სამართლისთვის ოპტიმალური შუალედური პოზიცია დაიკავა გალილეის კომპოზიტიური და დეკარტის ანალიზისა და სინთეზის მეთოდის აღიარებით.³¹ დეკარტის პატივისცემა პუფენდორფის მხრიდან კიდევ ერთი გამოწვევა იყო მისი თანამედროვე პროტესტანტი სქოლასტიკოსებისადმი, რომელთაც ის მოძულეებული ჰყავდათ არისტოტელეს განდიდების ფონზე. დაბოლოს, ბუნებითი სამართლის არისტორიულ ხასიათზე და საყოველთაო ნამდვილობაზე აპელირებით გამოყო იგი, როგორც დამოუკიდებელი

³⁰ Tim J. Hochstrasser „*Natural Law Theories in the Early Enlightenment*“, Cambridge, Cambridge University Press, 2004, გვ. 56-57.

³¹ Hans Welzel, *Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs, ein Beitrag zur Ideengeschichte des 17. Und 18. Jahrhunderts*, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1958, გვ. 13.

სამეცნიერო დისციპლინა სამართალმცოდნეობისგან და ამ უკანასკნელთან საერთო ოპერაციულ ტერმინებს: ძალაუფლება, სამართალი, კანონი, ვალდებულება - ახალი განზომილება შეუქმნა.

2. ცხოვრება და მოღვაწეობა

სამუელ პუფენდორფი დაიბადა 1632 წლის 8 იანვარს საქსონიის საკურფიურსტოს პატარა ქალაქ დორფხემნიცში.* ზუსტად ამ პერიოდში საქსონელებმა გადაწყვიტეს რელიგიურ ომში მანამდე შენარჩუნებული ნეიტრალიტეტის დარღვევა და შეუერთდნენ შვედეთის მეფე გუსტავ ადოლფსა და პროტესტანტულ კოალიციას ჰაბსბურგების წინააღმდეგ ბრძოლაში. სამუელის ოჯახი პროტესტანტიზმის ლუთერანული მიმართულების აღმსარებელი გახლდათ. მისი პაპა, იოჰან პუფენდორფი ხელს აწერს „კონკორდიის აქტს“, რომელიც აუგსბურგის მრწამსის (1530) სახელით არის ცნობილი და ლუთერანულ ორთოდოქსიას აფუძნებს. ამ უკანასკნელს ემიჯნება პროტესტანტიზმის „რეფორმისტული“ ფრთა ჰულდრიხ

* მაშინდელი გერმანული სამეფო-სამთავროები ნომინალურად შედიოდნენ *გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიაში*, რომლის ტერიტორიაზეც, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი _ საერთო მოსახლეობის 30%-ის გამანადგურებელი ოცდაათწლიანი (1618-1648) რელიგიური ომი მიმდინარეობდა, როგორც იმპერიაში შემავალ, ისე სხვა კათოლიკურ და პროტესტანტულ სამეფო-სამთავროთა მონაწილეობით. ომი გაჩაღდა მას მერე, რაც საღვთო რომის იმპერიის ახლადარჩეულმა კათოლიკე იმპერატორმა, ფერდინანდ II-მ აუგსბურგის შეთანხმების (1555 წელს რომის საღვთო იმპერიაში *Cuius regio, eius religio*, - ვისიც ხელისუფლება, მისივე რელიგია პრინციპის მიხედვით, კათოლიკებსა და ლუთერანებს შორის გავლენის სფეროების გაყოფაზე დამყარებული მშვიდობა) უგულვებელყოფით კონტრ რეფორმაციული პოლიტიკა წამოიწყო, რამაც პირველი ამბოხი ჰაბსბურგთა ავსტრიულ დომინიონში შემავალ პროტესტანტულ ბოჰემიაში გამოიწვია. ამბოხების ჩასაქრობად ავსტრიისა და ბავარიის ლიდერობით შექმნილ *კათოლიკურ ლიგას* მოგვიანებით შეუერთდნენ სხვა მოკავშირეები: ესპანეთის სამეფო, უნგრეთი, ხორვატიის სამეფო, პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობა და მოგვიანებით - თავდაპირველად საწინააღმდეგო ბანაკში მყოფი დანია (1643-1645) და თავად ბოჰემიაც კი (1620-დან). *პროტესტანტულ კავშირს* წარმოადგენდნენ: შვედეთი, დანია (1625-1629), ჰოლანდიის გაერთიანებული პროვინციები, ბოჰემია (1618-1620), საქსონია, პალატინატი, ბრანდენბურგ-პრუსია, ბრუნსვიკ-ლიუნებურგი, ინგლისი (1625-30), შოტლანდია (1625-38), ტრანსილვანია და ჰაბსბურგების დასუსტებით დაინტერესებული კათოლიკური საფრანგეთი. ეს უკანასკნელი კოალიცია სარგებლობდა აგრეთვე ოტომანთა იმპერიისა და რუსეთის იმპერიის მხარდაჭერით. ომი დასრულდა ვესტფალიის ქალაქებში მიუნსტერსა და ოსნაბრიუკში ხელმოწერილი შეთანხმებით, რომელსაც ვესტფალიის ზავი ეწოდა და ევროპაში ეროვნული თვითგამორკვევისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპის ჩამოყალიბების საფუძვლად მიიჩნევა. იხ. THE THIRTY YEARS' WAR AND THE PEACE OF WESTPHALIA, [HTTPS://WWW.BRITANNICA.COM/PLACE/GERMANY/THE-THIRTY-YEARS-WAR-AND-THE-PEACE-OF-WESTPHALIA](https://www.britannica.com/place/Germany/the-thirty-years-war-and-the-peace-of-westphalia).

ცვინგლისა და იოჰანეს კალვინის მეთაურობით.³² მამა - ელია ესაია პუფენდორფი, იძულებული იყო ოცდაათწლიანი რელიგიური ომის დამანგრეველ შედეგებს ფლოას თემიდან ოჯახთან ერთად გასცლოდა, სადაც ის 1633 წლიდან პასტორად მსახურობდა და აუგუსტუსბურგში გადასულიყო. ომისა და მასთან დაკავშირებული ქაოსის მოძულე პასტორი თავის მეხუთე ვაჟიშვილს, 13 წლის სამუელს ადგილობრივი თავადის ფინანსური მხარდაჭერით პრესტიჟულ სათავადაზნაურო სკოლაში, ლაიფციგის სიახლოვეს, გრიმაში აგზავნის.³³ აქ იგი ლუთერანული კონსერვატული განათლების ჩარჩოებში მოქცეულ რამოდენიმე დისციპლინას ეუფლება, კერძოდ: გრამატიკას, ლოგიკას, რიტორიკას, ბიბლიას და თეოლოგიას, ასევე ეცნობა ბერძენ და რომაელ ავტორებს და ბეჯითად სწავლობს რამოდენიმე მათგანს, მაგ. კეისარს, ციცერონსა და რუფუსს, რომლებიც მის ყველა გვიანდელ ნაწარმოებში არისტოტელისტურ-სქოლასტიკური წყაროს სახით გვხვდება. როგორც ლათინურის კარგ მცოდნეს, ხვდა პატივი ამ ენაზე პოეტური ნაწარმოების შედგენისა სასწავლებლის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1650 წელს, 18 წლის სამუელი განათლების მიღებას საქსონიის იმ დროისთვის მოდურ, თუმცა გამორჩეულად ლუთერანულ არისტოტელიზმსა და მეტაფიზიკურ სქოლასტიკაზე ორიენტირებულ ლაიფციგის უნივერსიტეტში აგრძელებს, სადაც 1658 წლამდე რჩება (თუ არ ჩავთვლით იენაში გატარებულ 1657 წელს). ლაიფციგის უნივერსიტეტში იმ პერიოდში სწავლობდნენ აგრეთვე ქრისტიან თომასიუსი და გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი. სამუელი თანმიმდევრულად ეუფლება შემდეგ დისციპლინებს: თეოლოგია, იურისპრუდენცია, ფილოსოფია და მათემატიკა. სწავლის პერიოდში პუფენდორფი ახერხებს უნივერსიტეტთან არსებულ სტუდენტურ-აკადემიურ საზოგადოება Collegium Anthologicum-ში წარსდგეს ორმოცდაათამდე მოხსენებით ფილოლოგიურ, ბიბლიურ, ისტორიულ და პოლიტიკურ თემებზე.³⁴

³² Jakob Rösel „Das Leben von Samuel Pufendorf und eine deskriptive Darstellung seiner Werke „De statu imperii germanici“ sowie „De officio hominis et civis iuxta legem naturalem“.Universität Rostock, 2003/2004 „HS Vergleichende Regierungslehre II Rechtentstehung und Politik des Rechts II“,გვ. 5.

³³ Pufendorf's Moral and Political Philosophy,Stanford Encyclopedia of Philosophy.

<http://plato.stanford.edu/entries/pufendorf-moral/>

³⁴ Pufendorf's Moral and Political Philosophy, Stanford Encyclopedia of Philosophy.
<http://plato.stanford.edu/entries/pufendorf-moral/>.

ასევე ლაიფციგში დაბინავებული მათემატიკოსი, ასტრონომი და ფილოსოფოსი, კარტეზიანელი ერჰარდ ვაიგელი (1625-1699) ამ პერიოდში ახდენს მათემატიკურ-დემონსტრაციული მეთოდის მორალურ ფილოსოფიაზე გადატანის მცდელობას.³⁵ სამუელის ძმა, იმ დროის ევროპაში ცნობილი დიპლომატი, ესაია პუფენდორფი (1628–1687), რომელიც მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე გავლენიანი კონტაქტების საშუალებით, გზის გამკვალავად ევლინება მას, ეხმარება ვაიგელთან კონტაქტის დამყარებაში და 1657 წელს ამ მოაზროვნესთან ერთად გადადის იენაში, სადაც მისი მენტორობით აგრძელებს ჩაღრმავებას არისტოტელეს, გალილეის, დეკარტისა და თომას ჰობსის სააზროვნო მემკვიდრეობაში, ასევე ეცნობა ჰუგო გროციუსის მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებითი სამართლის დოქტრინას. ამავე წელს ვაიგელის ხელმძღვანელობით, რომელთანაც კონტაქტს პუფენდორფი მთელი ცხოვრების მანძილზე ინარჩუნებს³⁶ და ვინც მისცა მას პირველი იმპულსი ფიზიკური და მორალური ფორმების (*entia moralia*) დიფერენციაციის მიმართულებით სამუშაოდ, ისევე როგორც მორალურ ფილოსოფიაში არისტოტელეს ღირებულებით თეორიასთან გამოსამშვიდობებლად და მეთოდოლოგიურ იდეალად მათემატიკურ-დემონსტრაციული სისტემის საღიარებლად, ხდება იგი ფილოსოფიის მაგისტრი.

სქოლასტიკურ მეთოდზე უარის თქმისა და აკადემიური მომავალით ამ ეტაპზე დაუინტერესებლობის გამო, იგი არ ეძიებს დოქტორის ხარისხს და ლაიფციგში ბრუნდება. ასევე უარყოფს რეკომენდაციას იმუშავოს და იქორწინოს ჰალეში და სამუდამოდ ტოვებს საქსონიას. აღსანიშნავია, რომ იგი საკუთარ იდენტობად გერმანელობას უფრო მიიჩნევს, ვიდრე საქსონელობას.³⁷ პუფენდორფი მიემგზავრება დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში, რომელიც ამ დროს შვედურ დომინიონს განეკუთვნება, ხოლო შვედეთის დიპლომატიურ სამსახურში მყოფ მის ძმას შეუძლია მისთვის იქ შვედეთის სპეციალური წარმომადგენლის, პეტერ იულიუს კოიეტის ოჯახში კერძო მასწავლებლის ადგილის შოვნა. თუმცა მოულოდნელად

³⁵ Jakob Rösel, „Das Leben von Samuel Pufendorf und eine deskriptive Darstellung seiner Werke „De statu imperii germanici“ sowie „De officio hominis et civis iuxta legem naturalem“. Universität Rostock, 2003/2004 „HS Vergleichende Regierungslehre II Rechtsentstehung und Politik des Rechts II“, გვ. 7.

³⁶ Detlef Döring, Erhard Weigels Zeit an der Universität Leipzig (1647 bis 1653), in Reinhard Schielicke; Klaus-Dieter Herbst; Stefan Kratochwil „Erhard Weigel – 1625 bis 1699 Barocker Erzieher der deutschen Frühaufklärung“, Jena 1999, გვ. 89.

³⁷ Leonard Krieger „The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law, Chicago & London, The University of Chicago Press, 1965, გვ. 12.

1658 წლისზაფხულში შვედეთის მეფე კარლ გუსტავ X დანიასთან ომს განაახლებს. შვედური ჯარის მიერ კოპენჰაგენის დაკავების უშედეგო მცდელობის შემდეგ, შვედურ ელჩობასთან დაკავშირებული პერსონალი და მათ შორის სამუელიც რვა თვიან პატიმრობაში ამოყოფს თავს. სამართლის ფილოსოფიაში თავისი პირველი ნაშრომის დაწერას პუფენდორფი სწორედ თავისუფლების აღკვეთის პერიოდში ახერხებს.

ერთი წლის მერე გათავისუფლებული, მაგრამ მძიმე ავადმყოფი და ბალტიის საზღვაო კატასტროფას ბედზე გადარჩენილი პუფენდორფი კოიეტთან ერთად ამ უკანასკნელის მდივნის რანგში ჰოლანდიას მიაშურებს.³⁸ მე-17 საუკუნის ჰოლანდია – ერთი საუკუნით ადრე ესპანეთისგან ომით მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდგომ იმყოფება თავისი ისტორიის ოქროს ხანაში და ახერხებს არა მხოლოდ ხელოვნების დარგში ჩრდილოური რენესანსის ლიდერ ქვეყნად ქცევას, არამედ ზოგადად ინტელექტუალთათვის ყველაზე პროგრესულ და თავისუფალ სივრცედ მიიჩნევა, ცნობილი უნივერსიტეტით ლეიდენში, რომლის უმთავრეს ძლიერ მხარესაც ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის კლვევა წარმოადგენდა. გერმანული სამეფო-სამთავროებისგან განსხვავებით, აქ ჩნდება ახალი ლიბერალური თეოლოგია, რომელიც აქცენტს სამების დოგმატზე აღარ აკეთებს და ზოგადად დიდი ტოლერანტობით გამოირჩევა. 1660 წელს ლეიდენის უნივერსიტეტში ჩარიცხული სამუელი იმსჯელება იქ გამეფებული ნეო სტოიციკური სულით და უბრუნდება კლასიკური ფილოლოგიის შესწავლას, აგრეთვე რედაქტირებას უკეთებს ნეო-ლათინი ავტორების, მათ შორის იოჰანეს მეურსიუსის ნაშრომს *Miscellanea Laconica* (1660) და იოჰანეს ლაურემბერგის *Graecia antiqua*-ს (1661). ამ პერიოდში აქვეყნებს საპყრობილეში დაწერილ: „*Elementorum iurisprudentiae uiversalis libri duo*“-ს („უნივერსალური იურისპრუდენციის საფუძვლები, ორი წიგნი“ 1660). აქვე შედგება მნიშვნელოვანი ნაცნობობა ჰუგო გროციუსის ვაჟთან – პეტერ დე გროტთან, რომელიც გახლდათ კურპფალცის (პალატინატი) კურფიურსტის* წარმომადგენელი ნიდერლანდებში. ეს ნაცნობობა ორგვარ დატვირთვას ატარებს მისთვის, ერთის მხრივ – უბიძგებს აქტიურად

³⁸ Pufendorf's Moral and Political Philosophy, Stanford Encyclopedia of Philosophy. <http://plato.stanford.edu/entries/pufendorf-moral/>.

*იმპერატორის არჩევის პრივილეგიის მქონე შვიდი კურფიურსტიდან (ელექტორიდან) ერთ-ერთი.

დაუბრუნდეს გროციუსის მოძღვრებას, რომელიც საბოლოოდ ახდენს მის ინსპირირებას, რათა ირწმუნოს ვაიდელისგან ნაკარნახები იდეის, რომ ეთიკა შეიძლება მეცნიერებად განვითარდეს³⁹ და მეორეს მხრივ, სწორედ პეტერი ურჩევს მას პატიმრობაში დაწერილი თხზულების სტრატეგიულად სწორი მიმდგნის გაკეთებას შედარებით ნაკლები დოგმატიზმით გამორჩეული გერმანული კალვინისტური ფრთის წარმომადგენელ კურპვალცის კურფიურსტ კარლ ლუდვიგისთვის, რომელმაც 1661 წელს მიიწვია კიდეც დღევანდელი გერმანიის ტერიტორიაზე ყველაზე ძველ – ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, რომელიც იმ პერიოდში ხელახლა გაიხსნა (1652) რეგიონის მიერ ოცდაათწლიანი ომის შედეგად გადატანილი ჰუმანიტარული და ეკონომიკური კატასტროფის შემდეგ.⁴⁰ აქ პუფენდორფი თავდაპირველად უარს ამბობს მისთვის შეთავაზებულ რომის სამართლის კათედრაზე, ეს სფერო მას მისი ტალანტის გამოვლენისთვის არაჯეროვნად მიაჩნდა და ითხოვს პოლიტიკის მეცნიერებათა პროფესორის ადგილს სამართლის კათედრაზე. საბოლოოდ უნივერსიტეტის სენატის რეკომენდაციით ელექტორი მას აძლევს ხალხთა სამართლისა და კლასიკური ფილოლოგიის ექსტრაორდინარიუსის (ასოცირებული პროფესორის) ადგილს ფილოსოფიის ფაკულტეტზე.⁴¹ მალე იგი მას გარდაქმნის ბუნებითი და ხალხთა სამართლის პირველ გერმანულ კათედრად,⁴² რაც ამავედროულად სათავეს უდებს სამართლის ფილოსოფიური მიმართულების – ახალი დროის ბუნებითი სამართლის, როგორც საუნივერსიტეტო დისციპლინის სწავლებას გერმანიაში და ამით მნიშვნელოვან ათვლის წერტილს ქმნის ამ ქვეყნის შემდგომი სამართლებრივი განვითარებისთვის.⁴³ ჰაიდელბერგში იწყებს პუფენდორფი თავის გაწონასწორებულ, რევოლუციური სიშმაგისაგან თავისუფალ და ამავე დროს ორიგინალურ მეცნიერულ პოზიციონირებას, რამაც სამოქალაქო ხასიათის ბუნებითი და ხალხთა სამართალი

³⁹ Jakob Rösel, „Das Leben von Samuel Pufendorf und eine deskriptive Darstellung seiner Werke „De statu imperii germanici“ sowie „De officio hominis et civis juxta legem naturalem“. Universität Rostock, 2003/2004 „HS Vergleichende Regierungslehre II Rechtsentstehung und Politik des Rechts II“, გვ. 8.

⁴⁰ Leonard Krieger „The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law, Chicago & London, The University of Chicago Press, 1965, გვ. 17-18.

⁴¹ Leonard Krieger „The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law, Chicago & London, The University of Chicago Press, 1965, გვ. 19-20.

⁴² Gerald Hartung, Samuel Pufendorf und die Verbreitung der Naturrechtslehre, Einleitung zur *De officio hominis et civis juxta legem naturalem* (1673), in Series: *Samuel Pufendorf: Gesammelte Werke.*, Wilhelm Schmidt-Biggemann Bd. 2, Gerald Hartung (Hrsg.), Berlin 1997; lt/dt, გვ. VIII.

⁴³ Samuel von Pufendorf, <http://oll.libertyfund.org/people/samuel-von-pufendorf>.

უნდა დააშოროს ფეოდალური პარტიკულარიზმით განმსჭვალული სახელისუფლებო წყობისათვის მისაღებ სტანდარტებს. ლექციებში ძირითად დროს უთმობს გროციუსსა და ტაციტუსს, ამასთან აგრძელებს „უნივერსალური სამართლის საფუძვლებში“ მოცემული იდეების შემდგომ მეცნიერულ დამუშავებას, რაც 1663 წელს გამოქვეყნებული მისი პირველი პატრიოტული ესსეს სახეს იღებს: „De obligatione erga patriam“ („სამშობლოს წინაშე არსებული მოვალეობების თაობაზე“), რასაც მოსდევს „ფილიპე მაკედონელის ისტორია“ („De Rebus gestis Philippi Amyntae“). პუფენდორფი ყურადღებას ინარჩუნებს შვედური ინტერესების დაცვისადმიც ჰაიდელბერგში, რაც მის შემდგომ კარიერაზე კვლავაც დადებით ზემოქმედებას იქონიებს. მისი დისერტაციების ზეპირი ფორმით დაცვას ახორციელებენ მისი სტუდენტები, რომელთა რიცხვში არიან შვედი არისტოკრატებიც, მათ შორის მისი ყოფილი აღსაზრდელი – უმცროსი კოიეტი, შვედეთის კანცლერის გაბრიელ გაბრიელსონის და შვედეთის მომავალი მეფის კარლ X-ის შვილები.⁴⁴ ფილოსოფიის ფაკულტეტზე დაკავებული ბუნებითი და ხალხთა სამართლის კათედრის პარალელურად, პუფენდორფი განაცხადს აკეთებს უკეთესი ანაზღაურების მქონე იურიდიულ ფაკულტეტზე, კონსტიტუციური სამართლის კათედრაზე, რაზეც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი მას უარით პასუხობს, მისი ამ სფეროში კომპეტენციის ნაკლებობის საბაბით. აკადემიური ლეგენდის მიხედვით, პუფენდორფი ამის საპასუხოდ და საკუთარი კვალიფიკაციის კრიტიკული ფორმით დასამტკიცებლად ქმნის თავის პირველ ცნობილ ნაშრომს *De statu Imperii Germanici* (*გერმანიის იმპერიის კონსტიტუცია (წესწყობილება) 1667*), რომლის თუნდაც გაკვრით მიმოხილვა აუცილებელია ჩვენთვის საინტერესო მოაზროვნეზე მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენის შესაქმნელად.

გერმანული ფეოდალური დაქსაქსულობისა და კლერიკალიზმის წინააღმდეგ მიმართულმა ამ ნაწარმოებმა პალატინატის კურფიურსტის კარლ ლუდვიგის ცენზურა ვერ გაიარა და ამიტომ ავტორმა იგი თავისი ძმის, ესაიას დახმარებით ამსტერდამსა და ჟენევაში გამოსცა გამოგონილი იტალიელი მოგზაურის – სევერინუს დე მონზამბანო ვერონეზის-ის (Severinus de Monzambano Veronesis) ფსევდონიმით. ხსენებულ ნიღაბს ამოფარებული პუფენდორფი ამ თავის ყველაზე

⁴⁴ Pufendorf's Moral and Political Philosophy, [Stanford Encyclopedia of Philosophy. http://plato.stanford.edu/entries/pufendorf-moral/](http://plato.stanford.edu/entries/pufendorf-moral/).

რადიკალურ წერილობით აქტში, რაც არსებითად წარმოადგენს კონსტიტუციონალისტურ კრიტიკას, ახდენს სახელმწიფო ფორმებისა და ინსტიტუტების ფუნდამენტურ განხილვას ისტორიულ-ემპირიული და საღი აზრის პერსპექტივიდან. გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია, მისი სიტყვებით, მოცემულ პერიოდში განასახიერებს, „რადაც უცნაურ და ურჩხულის მსგავს სხეულს“ (*irregulare aliquid corpus et monstro simile*),⁴⁵ ხოლო „საიმპერატორო ხელისუფლების სისავსისა და სრულყოფილების თაობაზე მოხელეთა ბარათებსა და დეკრეტებში ნაგალობები ქებათა-ქება სიტყვების ცარიელი რახარუხია (პარაგრაფი 6). მას არ შეუძლია არსებობა თავისი ახლანდელი სახით, ვინაიდან რადაც საშუალოა დაშლად მონარქიასა და სახელმწიფოთა ჩამოყალიბებად კავშირს შორის. საქმის ასეთ ვითარებაში სუვერენიტეტი ბუნებრივად უნდა გადავიდეს იმპერატორისგან საიმპერიო ჩინებზე. თითოეულ სამთავროში ხელმწიფეს (მთავარს) უნდა ეკუთვნოდეს უმაღლესი, სიტყვაშეუბრუნებელი, პასუხისმგებლობის არმქონე, კანონისადმი დაქვემდებარებისგან თავისუფალი, ქვეშევრდომთათვის წმინდა ხელისუფლება, შეზღუდული მხოლოდ თავად ხელმწიფის შინაგანი, ზნეობრივი მოტივებით. „აუცილებლობის შემთხვევაში“ (*in casu necessitatis*) საერო ჩინთა პრივილეგიები უნდა მოიდრიკოს ხელმწიფის სუვერენიტეტის წინაშე.⁴⁶ მას შემდეგ *de Statuu* ოცჯერ გამოიცა ლათინურდ, ხუთჯერ გერმანულად, სამჯერ ფრანგულად და ერთხელ ინგლისურად.

1665 წელს სამუელი ქორწინდება მასზე სამი წლით უფროს, მდიდარ ქვრივზე კატარინა ელისაბედ პალათენზე, რომლის სახლში თანაცხოვრებისასაც ჰაიდელბერგში, მათ ორი ქალიშვილი, მაგდალენა და ერემენტია ეყოლებათ. თუმცა, მისი წარმატებითა და არსებული წყობილების მაკრიტიკებელ ნაშრომში დაკავებული უკომპრომისო პოზიციით პროფესორთა წრეში გამოწვეული ნეგატიური დამოკიდებულების გამო, მისთვის ჰაიდელბერგში დარჩენა ინტერესს კარგავს. 1667 წელს, კვლავაც ძმის მონაწილეობითა და საკუთარი კონტაქტების მეშვეობით, სამუელი იღებს ბუნებითი და ხალხთა სამართლის (იურიდიულ ფაკულტეტზე), ასევე ეთიკისა და პოლიტიკის პროფესორ პრიმარიუსის (სრული პროფესორის)

⁴⁵ Samuel Pufendorf, *Verfassung des deutschen Reiches* (1667), lat.-dt., Horst Denzer (Hrsg.) Frankfurt a. M., 1994.

⁴⁶ იქვე.

ადგილს (ფილოსოფიის ფაკულტეტზე) ახლად დაარსებულ ლუნდის უნივერსიტეტში, შვედეთში. თუმცა კარგი ანაზღაურების დანაპირები მცდარი აღმოჩნდება, რასაც ადასტურებს მის მიერ გამოთქმული წუხილი სხვადასხვა მიმოწერაში.

ამ პერიოდში პუფენდორფი მუშაობს სამართლის ფილოსოფიის მიმართულებით მის უმთავრეს ნაწარმოებზე „De jure naturae et gentium libri octo“ („ბუნებითი და ხალხთა სამართლის შესახებ, რვა წიგნი“, მიუძღვნა შვედეთის მეფეს კარლს XI-ს), რომლის ლათინურ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზე ასამდე გამოცემა არსებობს და რომელიც დიდი ხნის მანძილზე რჩებოდა რაციონალური ბუნებითი სამართლის სასწავლო დისციპლინის საბაზისო თეორიულ საფუძვლად.

ლუნდშიც პუფენდორფის, როგორც პედაგოგის პოპულარობა იზრდებოდა, კოლეგათა არაკეთილგანწყობის ზრდის პარალელურად – მისი, როგორც თავდაჯერებული და სარკასტული პოლემისტისადმი. ოპონენტები - კერძოდ იურისტი ნიკოლაუს ბეკმანი და თეოლოგი ჯოშუა შვარცი, პუფენდორფისთვის ათეისტის ეტიკეტის მიკერებას ცდილობდნენ. მათ მოამზადეს წერილი: Index quarundam novitatum contra orthodoxa fundamenta (ორთოდოქსიის საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული გარკვეული სიახლეების ინდექსი, 1673) და იმედოვნებდნენ რომ მას დეკრეტის ძალით პუფენდორფის ნაშრომის აკრძალვა მოჰყვებოდა. გერმანელმა მეცნიერმა ბუნებითი სამართლის მოძღვრება ბრწყინვალედ დაიცვა 1674 წელს გამოქვეყნებული „Apologia Germanipolis“-ისა და „Epistola ad Scherzerum, Herdervici“-ის მეშვეობით, ხოლო სამეფო კარზე გავლენის წყალობით მისი მოწინააღმდეგის – ბეკმანის ინტრიგები თავად ამ უკანასკნელის დათხოვნის საფუძველი აღმოჩნდა უნივერსიტეტიდან. თუმცა „ინდექსმა“ მის სამშობლოში, საქსონიაში გამოიწვია de Jure-ს აკრძალვა და ხანგრძლივი პოლემიკა იქაურ პროფესორებთან. ადრეული ახალი დროისთვის დამახასიათებელი ბუნებითი სამართლის იდეებისა და კონსერვატიული ლუთერანული სქოლასტიკის მწვავე დებატების ამსახველმა მასალებმა და საკუთარი თავის გამოსარჩლების სტილში დაწერილმა ავტობიოგრაფიამ საბოლოოდ თავი მოიყარა ე. წ. „სკანდინავიურ პოლემიკაში“ (Eris scandica, 1686).

პუფენდორფის მიმართ ლუთერანიზმის ორთოდოქსული ფრთიდან განხორციელებულ კრიტიკაში სერიოზულად ალბათ მხოლოდ ლაიფციგის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორი ვალენტინ ალბერტი და მისი 1676 წლის ნაშრომი უნდა მივიჩნიოთ სახელწოდებით - ორთოდოქსული თეოლოგიის კონფორმული ბუნებითი სამართლის კომპენდიუმი (*Compendium Juris Naturae, Orthodoxae Theologiae Conformatum*). ეს გახლავთ მანამდელი ლუნდის პრეცედენტების – პიროვნული გაღიზიანებისა და კუდიანებზე ნადირობის კონტექსტისგან განსხვავებული სისტემური კრიტიკა პუფენდორფის *De Jure*-ში მოცემული სამართლის არსებითად სეკულარული კონცეფციის, რა მიზნითაც მას შემოაქვს *status integratis*-ის ცნება, რომელიც აღნიშნავს კავშირს ბუნებითი სამართლის ღვთაებრივად დადგენილ ბუნებასა და მის წარმომავლობას შორის.⁴⁷

ამ დაპირისპირებათა უმრავლესობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პუფენდორფის „მხილება“ ათეიზმში ისეთივე ნონსენსია, როგორც მისი აბსოლუტიზმის თავგადაკლულ ადვოკატად გამოყვანა, რაც ზოგიერთ ზედაპირულ შეფასებებში შეიძლება შეგვხვდეს. საქმე იმაშია რომ - მართალია პუფენდორფს გამოცხადება, როგორც გონებით მიუწვდომელი ფენომენი გააქვს ბუნებითი სამართლის არეალიდან, მაგრამ მას თავად ბუნებითი სამართლის ნამდვილობის აუცილებელ წინაპირობად, უმაღლესი კანონმდებლის – ღმერთის არსებობა მიაჩნია.⁴⁸ ხოლო სახელმწიფოს თეორიულ დაფუძნებასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ პუფენდორფის სამეცნიერო ინსპირაციას სახელმწიფო მმართველობის აბსოლუტისტური ფორმის დაცვა, ან პირიქით – მასთან თვითმიზნური დაპირისპირება კი არ წარმოადგენდა, არამედ ისეთი დასაბუთებული და პრაქტიკულად რეალიზებადი სწავლების შემუშავება, რაც ადამიანთა თანაცხოვრების პროცესს უფრო ჰარმონიულს გახდიდა.

თუ გვინდა გავიგოთ ის ობიექტური შესაძლებლობები, რაც მას საამისოდ შეიძლებოდა ჰქონოდა, უნდა გავიხსენოთ, რა ისტორიულ რეალიებთან არის მისი ეპოქა დაკავშირებული. დროში ჩვენგან საუკუნეების მანძილზე დაშორებული

⁴⁷ Tim J. Hochstrasser, „*Natural Law Theories in the Early Enlightenment*“, Cambridge, Cambridge University Press, 2004, გვ. 55-56.

⁴⁸ Henning Ottmann, *Geschichte des politischen Denkens*, Band 3/1, Die Neuzeit, von Machiavelli bis zu grossen Revolutionen. J. B. Metzler Verlag, 2006, გვ. 406.

მოვლენების შეფასებისას ისტორიული კონტექსტისთვის ყურადღების არ მიქცევა და შეფასების თანამედროვე სტანდარტის გამოყენება ფაქტიურად იგივეა, რაც გავრცელებული გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ: „თევზის შეფასება მისი ხეზე ასვლის უნარის მიხედვით“.

ერთ-ერთი თეორიული ინსტრუმენტი, რომელსაც სამუელი იყენებს, არის ბუნებრივი მდგომარეობის მისეული გაგება, რომელიც მისი რწმენით, არ შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო სამოთხის მდგომარეობასთან, არამედ მხოლოდ დაცემულ ადამიანს გულისხმობდა და ის მას ფიქტიურ მდგომარეობად და სააზროვნო ექსპერიმენტად მოიაზრებს, რომელიც ნათელყოფს, რომ მხოლოდ საკუთარ თავს მინდობილი ადამიანი უუნაროა გადარჩეს.^{49*}

სამართლებრივ-კულტურული ფუნდამენტი იმ დროს, როცა სამუელ პუფენდორფი იწყებს თავის მოღვაწეობას - სამართლის ახლებურ ფილოსოფიურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე (*mos geometricus*-ზე ე.ი. გეომეტრიაზე, როგორც მეცნიერული კვლევის ნიმუშზე) დასაფუძნებლად, კარდინალურად განსხვავდებოდა არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ მე-18 საუკუნის რეალიებისგანაც კი და ეს გზა თავის თავში იმპლიციტურად მოიცავდა სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პარადიგმებამდე მისვლას. ეს ყველაზე ლაკონური ფორმით გადმოიცა ავტორის მიერ 1673 წელს გამოცემულ ნაშრომში: „ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობის შესახებ თანახმად ბუნებითი კანონისა“, რომელმაც დაახლოებით ასი წლის მანძილზე დაიკავა თავისი ადგილი ევროპის უნივერსიტეტების კურიკულუმებში. 1675 წელს გამოიცა მისი ჰაიდელბერგისა და ლუნდის პერიოდის ესსეები, აგრეთვე პოლიტიკური შინაარსის თხზულება: ბრანდენბურგის ზოგიერთი მწერლის დისკუტირება (*Discussio quorundam scriptorium Brandeburgicorum...*), რომელშიც იგი გამართლებას უძებნის შვედეთის საფრანგეთის მხარეზე ჩართვას ჰოლანდიასთან ომში, რაც ამ უკანასკნელის მხრიდან ბრანდენბურგზე უმიზეზო თავდასხმასაც უკავშირდებოდა და რამაც დანიელებს შონენის (სკანია) ნახევარკუნძულისა და მასთან ერთად

⁴⁹ Henning Ottmann, Geschichte des politischen Denkens, Band 3/1, Die Neuzeit, von Machiavelli bis zu grossen Revolutionen. J. B. Metzler Verlag, 2006, გვ. 407.

* აქ საინტერესო პარალელი ებმება, ჯონ როულზის ცნობილ კონცეფციასთან ბუნებითი მდგომარეობის შესახებ, რომლის ფიქტიურობის ხაზგასასმელადაც მას ე.წ. უცოდინრობის ფარდის (*veil of ignorance*) ალეგორია აქვს გამოყენებული.

ლუნდის დაკავების შესაძლებლობა მისცა. მიუხედავად კარლ XI-ს მიერ მათი დამარცხებისა, უნივერსიტეტი მრავალი წლით დაიხურა.⁵⁰ დევნილობას ნაჩვევი სამუელი ოჯახთან ერთად 1677 წლიდან სტოკჰოლმში სახლდება. იქ იგი მეფის ისტორიოგრაფის ადგილს იკავებს. აღნიშნული თანამდებობა საიდუმლო არქივთან წვდომასაც ითვალისწინებდა და მას შესაბამისად აგრეთვე საიდუმლო საბჭოს წევრად და მოგვიანებით დაქვრივებული დედოფლის ჰედვიგ ელეონორას პირად მდივნადაც ასახელებენ (1682). წლიური გასამრჯელო 1000 ტალერს შეადგენს, რის მიღებასაც იგი მხოლოდ სამი წლის შემდეგ ახერხებს. პუფენდორფი ამ პერიოდში ფოკუსირებულია შვედეთისა და სხვა ქვეყნების საისტორიო ანალების დამუშავებაზე. როგორც ცნობილია, პერიოდულად ის ახერხებს ისტორიაში ლექციების კითხვას ლუნდსა და ჰაიდელბერგში. ამავე დროს ის მიიჩნევა პირველ ისტორიკოსად, ვინც ისტორიის გადმოსაცემად მეცნიერულ მეთოდს იყენებს. 1679 წელს ბასილი ჰიპერეტეს ფსევდონიმით ჰამბურგში გამოიცა „რომის ტახტის სასულიერო მონარქიის ისტორიული და პოლიტიკური აღწერა“. პუფენდორფი რომის პაპის მსოფლიო ძალაუფლების კრიტიკისთვის ბიბლიაზე დაფუძნებულ არგუმენტებს იყენებს. 1682 წელს ლუნდსა და მაინის ფრანკფურტში გამოდის მისი ნაშრომის - „შესავალი უმთავრეს იმპერიათა და სახელმწიფოთა ისტორიაში“ (Einleitung zur Historie der vornehmsten Reiche und Staaten) პირველი, ხოლო 1688 წელს მეორე ნაწილი, რომელიც არის მისი ორი გერმანულენოვანი ნაწარმოებიდან ერთ-ერთი. იგი სხვადასხვა ევროპულ ენებზე სამოც გამოცემამდე ითვლის და დიდი ხნის მანძილზე დიპლომატთა და პოლიტიკოსთა სახელმძღვანელოდ იქცევა. ამ ნაშრომის მეთორმეტე თავად ამჯერად ღიად არის შეტანილი პაპიზმის კრიტიკის, რამდენიმე წლით ადრე, ზემოთხსენებული ფსევდონიმით გამოსული ტექსტი.⁵¹

1684 წელს, რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, იგი მიემგზავრება ჰოლანდიაში, რათა საკუთარი ხარჯით გამოსცეს მის მიერ სტოკჰოლმის სამეფო არქივში გაწეული დიდი სამუშაოს შედეგი: შვედეთის ვრცელი ისტორია, რასაც ახერხებს კიდევ 1686 წელს. „შვედეთის ისტორია ოცდაექვს ტომად, გუსტავ

⁵⁰ Pufendorf's Moral and Political Philosophy, Stanford Encyclopedia of Philosophy. <http://plato.stanford.edu/entries/pufendorf-moral/>.

⁵¹ Pufendorf's Moral and Political Philosophy, Stanford Encyclopedia of Philosophy. <http://plato.stanford.edu/entries/pufendorf-moral/>.

ადოლფის გერმანიაში ლაშქრობიდან, ქრისტიანს გადადგომამდე“ („Commentariorum de rebus sueciis libri 26 ab expeditione Gustavi Adolphi in Germaniam ad abdicationem usque Christianae“), ძირითადად შვედეთის საგარეო პოლიტიკის ისტორიაზეა კონცენტრირებული. ამ მოგზაურობისას პუფენდორფი ბრანდენბურგის დიდი კურფიურსტის ფრიდრიხ ვილჰელმის საიდუმლო მდივანსა და დიპლომატ პაულ ფონ ფუქსს ხვდება, რომელიც სთავაზობს მეცნიერული მუშაობის ბერლინში გაგრძელებას. პროტესტანტიზმის მთავარი დამცველის როლში ბრანდენბურგმა ამ დროისთვის ჩაანაცვლა შვედეთი, რომელმაც ძირითადი ენერგია საკუთარ საზღვრებში აბსოლუტური მონარქიისა და რელიგიური კონსერვატივიზმის გაძლიერებისკენ მიმართა.⁵² მაგრამ ამ წინადადებით დაინტერესებული პუფენდორფი ბრანდენბურგთან დაპირისპირებული შვედეთის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მქონე პირია, ამიტომ იგი წასვლაზე კარლოს XI-ის ნებართვას ვერ მოიპოვებს. ამასობაში შვედეთის სამეფო კარზე პუფენდორფის გავლენიანი მფარველის, მაგნუს გაბრიელ დე გარდიეს გარდაცვალებით და მისი ძმის ესაიას პრო-ფრანგული პოზიციის გამო, რაც მომავალში ამ უკანასკნელის შვედეთის სამსახურიდან დათხოვნის მიზეზი გახდება, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო არამყარად ხდება, რასაც პერმანენტული ფინანსური პრობლემებიც ამძაფრებს. თუმცა პუფენდორფი დროს უქმად არ კარგავს და შვედეთის სასულიერო წრეებისგან ფილოსოფიური კვლევის ფორმით იცავს კარტეზიანიზმს, რომლის საუნივერსიტეტო სივრციდან განდევნასაც ისინი ცდილობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ როგორც თავად იგი ღიად ამბობს, მისი ბუნებითი სამართალი არ გამომდინარეობს კარტეზიანული პრინციპებიდან.

მომდევნო წელს შვედეთის მეფემ მას ქვეყნის დატოვების უფლება მისცა, რასაც ხელი შეუწყო პოტსდამის ედიქტმა (1685), რომლის ძალითაც ბრანდენბურგის კურფიურსტმა 20 000 ფრანგ პროტესტანტ ჰუგენოტს ქვეყანაში თავშესაფარი მისცა.

თავად გერმანელი მოაზროვნისთვისაც ეს ედიქტი რელიგიური ტოლერანტობის გამოხატულება იყო, რასაც მან უძღვნა თავისი მორიგი ნაშრომი „De

⁵² Pufendorf's Moral and Political Philosophy, [Stanford Encyclopedia of Philosophy](http://plato.stanford.edu/entries/pufendorf-moral/). <http://plato.stanford.edu/entries/pufendorf-moral/>.

habitu religionis christianae ad vitam civilem” („ქრისტიანული რელიგიის არსი სამოქალაქო ცხოვრებასთან მიმართებაში“, 1687). იგი ჰერმან კრონინგის დისერტაციებთან ერთად მე-17 საუკუნის გერმანიაში ამ იდეის მხარდასაჭერ ნაშრომთაგან ერთ-ერთი გამორჩეულია და მას მნიშვნელობა და აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს, ვინაიდან აქ ავტორი იძლევა მწყობრ არგუმენტაციას იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რელიგიური ტოლერანტობის მისაღწევად ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გამიჯვნა; სამუელი ერთის მხრივ აქცენტს აკეთებს კანონისათვის შეუვალი ინსტიტუციის დაუშვებლობაზე, რომელიც პრივილეგირებული, თავადაც მონარქიული სტრუქტურის მქონე, ქმნიდა სახელმწიფოს სახელმწიფოში⁵³ (როგორსაც მისი აზრით წარმოადგენთა რომის ეკლესია) და მეორეს მხრივ, აკრიტიკებდა ეკლესიის მოქცევას საერო ფეოდალური ხელისუფლის ძალაუფლების ქვეშ, როგორც პროტესტანტული, ისე კათოლიკური სუვერენული პოლიტიკური ერთეულების მაგალითზე (აუგსბურგის ზავის (1555) საფუძვლად აღებული ფორმულის: cuius regio eius religio-ს და ფეოდალის ადგილობრივი ეკლესიის ეპისკოპოსად მიჩნევის პრინციპების კრიტიკა).⁵⁴ ამავე ნაწარმოებში იცავს პუფენდორფი აღმსარებლობის თავისუფლებას, გმობს რა საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის მიერ ჰუგენოტების დევნას,⁵⁵ რამეთუ ქრისტეს საუფლოსთვის, როგორც ჭეშმარიტების საუფლოსთვის, უცხოა ძალადობა და საკუთარ მიზანს – კაცობრიობის ხსნას, ის ინსტიტუციური წარმომადგენლის გარეშე, მხოლოდ მშვიდობიანი სწავლებითა და შეგონებით ესწავის.⁵⁶ რელიგიური პლურალიზმის აღმოფხვრა არის ნიშანი ძალაუფლების გამოყენების ისეთი ფორმის, რომელიც სახელმწიფოს მიერ ტირანიაში გადაზრდის ზღვარის გადალახვაზე მიანიშნებს. პუფენდორფი ღრმად არის დარწმუნებული, რომ რელიგიურ

⁵³ Samuel von Pufendorf, *Of the Nature and Qualification of Religion, in Reference to Civil Society* [1687] <http://oll.libertyfund.org/titles/pufendorf-of-the-nature-and-qualification-of-religion-in-reference-to-civil-society>.

⁵⁴ Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, in Helmut Holzney (Hrsgb.), DIE PHILOSOPHIE DES 17. JAHRHUNDERTS: BAND 4 / 1-2: DAS HEILIGE RÖMISCHE REICH DEUTSCHER NATION. NORD- UND OSTMITTELEUROPA, Schwabe & CO AG Verlag, Basel 2001. გვ. 775.

⁵⁵ Jakob Rösel, „Das Leben von Samuel Pufendorf und eine deskriptive Darstellung seiner Werke „De statu imperii germanici“ sowie „De officio hominis et civis iuxta legem naturalem“.“ Universität Rostock, 2003/2004 „HS Vergleichende Regierungslehre II Rechtsentstehung und Politik des Rechts II“, გვ. 13.

⁵⁶ Thomas Behme, Ziele und Grenzen der Staatsgewalt bei Samuel Pufendorf, in Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf, Dieter Hüning (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009. გვ. 64.

შეუწყნარებლობასა და ომებს იწვევს არა სახელმწიფოში მცხოვრებთა კონფესიური სიჭრელე, არამედ აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვა.

პუფენდორფი აქაც, როგორც სხვა საკითხებში, ბუნებით-სამართლებრივი პერსპექტივიდან აზროვნებს, ის მიიჩნევს, რომ ბუნებრივი რელიგია სახელმწიფოზე ძველი ინსტიტუტია, რომელიც სახელმწიფოში მოქალაქეთა ბუნებრივი თავისუფლების ნაწილად რჩება და იგი მოიცავს არა მხოლოდ სინდისის თავისუფლების შინაგან ასპექტს, არამედ მის საფუძველზე რელიგიურ თემად გაერთიანებასა და ღვთისმსახურების თავისუფლად განხორციელებასაც.⁵⁷ პუფენდორფი იძლევა რაციონალურ გაფრთხილებას, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისგან გამოჯვნა განსაკუთრებით რთულდება მაშინ, როდესაც მოქალაქეთა ერთობა ქვეყნის ძირითად კანონებში დომინანტ რელიგიას განსაზღვრავს.

1688 წელს პუფენდორფი ოჯახთან ერთად ტოვებს შვედეთს და ბერლინში მკვიდრდება, სადაც კურფიურსტი ფრიდრიხ ვილჰელმი მას სამეფო კარის ისტორიოგრაფად ნიშნავს და გასამრჯელოდ 2000 ტალერს უნიშნავს. მომდევნო ექვსი წლის შემდეგ მისი გავლენა ბრანდენბურგის სამეფო კარზე იზრდება, რასაც ადასტურებს 1694 წელს პუფენდორფის დანიშვნა საიდუმლო საბჭოს წევრად. მისი მოღვაწეობის ამ პერიოდს განეკუთვნება „ბრანდენბურგის დიდი კურფიურსტის ფრიდრიხ ვილჰელმის მეფობის ხანის ისტორია“ („Commentariorum de rebus gestis Friderici Wilhelmi Electoris Brandenburgici” 1695) და თეოლოგიური ტრაქტატი „ღვთაებრივი ფეოდალური სამართალი“ („Jus facile divinum” 1695). ეს უკანასკნელი ნაწარმოები ლუთერანთა და კალვინისტთა შორის მათი თავისებურებების შენარჩუნებით ინტერ-კონფესიონალური შერიგებისა და მათ შორის არა მხოლოდ რელიგიურ-პოლიტიკური შემწყნარებლობის, არამედ ერთიანი საეკლესიო თანამეგობრობის ერთგვარ ეკუმენურ იდეას ავითარებს.⁵⁸ საერთო დოგმატური ფუნდამენტის არ ქონის გამო ამ ერთობისგან გამოირიცხებიან კვაკერები, ხელახლა მომნათლავთა თემი და სოცინიანისტები. ეს ერთობა უნდა ეფუძნებოდეს ხსნის

⁵⁷ Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, გვ. 775.

⁵⁸ Samuel Pufendorf, *The Divine Feudal Law: Or, Covenants with Mankind, Represented* [1695], <http://oll.libertyfund.org/titles/pufendorf-the-divine-feudal-law-or-covenants-with-mankind-represented>.

შესახებ სწავლებას და არა სასულიერო პირთა პრივილეგიებსა და სიმდიდრეს, ამიტომ პუფენდორფი მასში ვერც კათოლიკურ ეკლესიას მოიაზრებს.⁵⁹

1694 წელს სამუელ პუფენდორფი მეუღლესთან ერთად გაემგზავრა სტოკჰოლმში კარლ გუსტავის 7 ტომიანი ისტორიის გამოცემის (*De rebus a Carolo Gustavo Sueciae rege gestis commentariorum libri septem*, 1696), ორ მონარქს შორის დიპლომატიური საკითხების მოგვარებისა და აგრეთვე შვედეთის სამეფო ჯილდოს - ბარონის ტიტულის მიღების მიზნით, რასაც 8 000 ტალერიც ახლდა. იქვე გადაიტანა მან მსუბუქი გულის შეტევა. უკანა გზაზე სამუელი დაავადდა, რასაც დაერთო მდგომარეობის შესამსუბუქებლად ჩატარებული წარუმატებელი ოპერაცია ბერლინში.⁶⁰ გარდაიცვალა იმავე წლის 26 ოქტომბერს. მისი მეგობრის, გერმანული პიეტიზმის ერთერთი დამაარსებლის ფილიპ იაკობ სპენერის მიერ ჩატარებული სამგლოვიარო ცერემონიით დაკრძალულია ბერლინის XIII საუკუნის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (Nikolaikirche), რომელიც გახლავთ გერმანიის დედაქალაქის ყველაზე ძველი ეკლესია და დღეისათვის ფუნქციონირებს, როგორც მუზეუმი. ნიკოლაიკირხეში აუდიო-ვიზუალური საშუალებების მეშვეობით ვიზიტორს აქვს შესაძლებლობა მიიღოს მოკლე ცნობები სამუელ პუფენდორფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.



⁵⁹ Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, გვ. 776.

⁶⁰ Erik Wolf, *Grosse Rechtsdenker der deutschen Geistesgeschichte*, 3. Aufl. Tübingen, 1951, გვ. 361.

3. ბუნებით-სამართლებრივი შრომები

a) „*Elementia jurisprudentiae universalis*” 1660

როგორც ბიოგრაფიის ამსახველ თავში იყო აღნიშნული, „უნივერსალური იურისპრუდენციის საფუძვლები“, დანიის ხელისუფლების გადაწყვეტილებით პუფენდორფის, როგორც შვედური დიპლომატიური მისიის წევრის, რვა თვიანი პატიმრობის პერიოდშია დაწერილი ამ ორ ქვეყანას შორის დაწყებული ომის შემდეგ. ზოგადად კატაკლიზმები, როგორც შემოქმედებითი პროცესის კატალიზატორი, პუფენდორფის მთელ ინტელექტუალურ ევოლუციას პარალელურად მიყვება.

ელემენტია გახლავთ ვაიგელის მოღვაწეობით ინსპირირებული ადრეული პუფენდორფის პირველი ბუნებით-სამართლებრივი ნაშრომი, რომელიც ყველაზე მეტად არის ახალი დროის აზროვნებისთვის დამახასიათებელი დედუქციური და ევკლიდური გეომეტრიული მეთოდის მიხედვით აგებული. ამ მეთოდის გამოყენება ბუნებით სამართალში გულისხმობდა ორ ძირითად ასპექტს: მთელი კონსტრუქციის რედუცირებადობას ძირითად ამოსავალ პრინციპებამდე და სისტემურობას. ჰობსთან ასეთი ძირეული პრინციპი, რომელზეც მისი სამართლის სისტემა დაიყვანებოდა, გახლდათ ადამიანის თვითგადარჩენის ბუნებითი უფლება.⁶¹

Elementia-ს დეკლარირებული მიზანია სახელმწიფო სამართლის მიერ მოუცველი ადამიანის უფლებათა და სამართლიანობის პრობლემატიკის გადაქცევა ზუსტი მეცნიერების შესწავლის საგნად.⁶²

შესავალში პუფენდორფი აღნიშნავს, რომ თავდაპირველად მოსაძიებელია ბუნებითი სამართლის შემცენების ობიექტები, შემდგომ მყარი პრინციპები, საიდანაც ხსენებულ ობიექტებთან დაკავშირებით აუცილებლობის წესით ჭეშმარიტი დებულებების გამოყვანა იქნება შესაძლებელი. ის, რასაც ამგვარად მოცულ საგნებზე შევიმეცნებთ, ჩამოყალიბდება დეფინიციებში, რომლებიც წმინდა ფორმალურად ქმნიან ცნებობრივ ნაგებობას, იმ სქემის მიხედვით, რაც გულისხმობს ზოგადი ცნების

⁶¹ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, C. H. Beck, München, 1972, გვ. 124.

⁶² Thomas Behme, *Einleitung, zur Elementia jurisprudentiae universalis*, Thomas Behme (ed.), (Series: *Samuel Pufendorf: Gesammelte Werke.*, Wilhelm Schmidt-Biggemann [ed.], Volume 3), Berlin: Akademie Verlag, 1999.

დანაწევრებას მის შემადგენელ ქვე-ცნებებად, შემდეგ ამ უკანასკნელთა კვლავ დანაწევრებას და ასე შემდეგ.

მოცემულ შემთხვევაში, მეცნიერების საბაზისო კრიტერიუმი იქნება არა საგნის ყოფნის აუცილებლობა, არამედ მტკიცების მეთოდი მასთან მიმართებაში მყოფ მსჯელობასთან დაკავშირებით, რაც უეჭველი პრინციპებიდან (*principiis certas*) მომდინარეობს და კოჰერენტული - ე.ი. განსახილველი სფეროს შესახებ ყველა დებულების უწყვეტად ერთმანეთთან დამაკავშირებელი აქსიომატური სისტემის პროგრესირების შესაძლებლობას იძლევა.

ალბათობით წანამძღვრებად მიჩნეულია ისეთები, რომლებიც უმრავლესობის ან ბრძენი ადამიანების მიერ არიან ჭეშმარიტებად მიჩნეული. არსებითი სხვაობა ევკლიდური ტიპის *mos geometricus*-თან პრინციპების შესახებ მოძღვრებაში მდგომარეობს, სადაც *აქსიომატასთან* ერთად მოცემულია - „*observationes*“ ანუ ის, რაც *აქსიომატას* უეჭველობას თვალნათელს ხდის საღ აზრსა და ცდაზე დაყრდნობით.

ორი წიგნისაგან შემდგარი *Elementia* სტრუქტურირებულია დეფინიციების, აქსიომებისა და დაკვირვებების ფორმით.⁶³ პირველ წიგნში მოცემული დეფინიციები შეეხება ძირითად მორალურ ან სამართლებრივ ცნებებს, რომლებიც საბოლოოდ პუფენდორფის *entia moralia*-ს (მორალურად მყოფები) შესახებ მოძღვრებად ყალიბდება. საუბარია იმგვარ შინაარსებზე, რომელთა წარმომავლობაც განსხვავებით *entia fisica*-სგან ადამიანის შექმნიდანვე (*creatio*) არ იღებს სათავეს, არამედ გონიერი არსების თავისუფალი ნებელობის აქტის საფუძველზე მისი ცხოვრების სრულყოფის მიზნით შეემატება (*impositiones*) ადამიანს, ანდა ამის შემდეგ, ხსენებული მიზნის საპირისპიროდ, ისევ მოაკლდება მის ბუნებრივ თვისებებზე რაიმე ზმოქმედების გარეშე. ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანური ბუნების უცვლელობა არის გარანტი ღმერთის ნებითვე ჩასახული სიღრმისეული *entia moralia*-ს უცვლელობისა და აუცილებლობის.⁶⁴

⁶³ Samuel Pufendorf, *The Elements of Universal Jurisprudence in Two Books* (Editet by Craig L. Carr translated by Michael J. Seidler Series: Natural Law and Enlightenment Classics, K. Haakonssen [ed.]), Indianapolis: Liberty Fund; revised edition of New York, Oxford University Press, 1927b. 2009 Political Writings of Samuel Pufendorf 1 (P. 1-104).

⁶⁴ Thomas Behme, *Einleitung zur Elementia jurisprudentiae universalis*, Thomas Behme (ed.), (Series: Samuel Pufendorf: Gesammelte Werke., Wilhelm Schmidt-Biggemann [ed.], Volume 3), Berlin: Akademie Verlag, 1999. გვ. 15.

Observation-თა სახით დიფერენცირებულია ადამიანური აზროვნებისათვის დამახასიათებელი შემეცნებისა და განსჯის უნარი, ნების თავისუფლება, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ბუნებრივი მიდრეკილება, საკუთარი ინტერესის რეალიზაციისას საჯარო სიკეთის გათვალისწინების მოთხოვნა, სოციალური ცხოვრების შენარჩუნებაზე მოწოდებული ძალაუფლების დამკვიდრება. პირველი და მეორე გონებრივი უნარის სქემატიზაციისას, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის ქმედების შერაცხვაუნარიანობის საფუძველს, პუფენდორფი არისტოტელესეულ ტრადიციას მისდევს. მესამე-მეხუთე observation-თა უკან, სადაც ადამიანის სოციალურ ბუნებაზე, როგორც მასში არანაკლებ ბუნებრივი imbecilitas-ის* აუცილებელ კომპენსაციაა საუბარი და აგრეთვე გონებითა და საუბრის უნარით დაჯილდოებული ბუნების ტელოსია მიმოხილული, სტოიკოსთა ნააზრევის გროციუსისეული გადამუშავება იკითხება.⁶⁵ მეოთხეში კი უარყოფს ჰობსის დებულებას ბუნებითი კანონების თვითგადარჩენაზე დაფუძნების თაობაზე.

ნაშრომის შემაჯამებელი, მეხუთე დაკვირვება განასახიერებს ავტორის მცდელობას, დაიკავოს შუალედური პოზიცია ადამიანთა სხვადასხვა თანამეგობრობის ფორმების - ოჯახის, სახლელულის, სახელმწიფოს მართვის არისტოტელესეულ გაგებას, ვისთვისაც ოჯახი პოლისის ბაზისურ უჯრედს წარმოადგენს, და ჰობსის ინდივიდუალისტურ შეხედულებას შორის, რომლის მიხედვითაც ბატონობის ყველა ფორმა ხელშეკრულებიდან იღებს სათავეს, მაშასადამე _ ბუნებით მდგომარეობაში ფუძნდება.

Elementia-ს იენის 1669 წლის გამოცემას დაემატა ასევე დანართი, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი არა სამუელ პუფენდორფს, არამედ რიჰარდ ვაიგელს ეკუთვნის. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ იგი მისი ძირითადი ნაშრომის de Jures-ს დასრულების წელს ჩნდება, ანუ მაშინ, როდესაც მისი ინტერესი მორალური და პოლიტიკური მიმართებების ასტორნომიულ-მათემატიკური ანალოგიებით წარმოდგენისადმი, რითაც გამოირჩევა ხსენებული დანართი, თავად პუფენდორფისვე შეფასებით ახალგაზრდულ

* უსუსურობის.

⁶⁵ Thomas Behme, Einleitung, zur Elementia jurisprudentiae universalis, Thomas Behme (ed.), (Series: *Samuel Pufendorf: Gesammelte Werke.*, Wilhelm Schmidt-Biggemann [ed.], Volume 3), Berlin: Akademie Verlag, 1999. გვ. XVI.

უმწიფრობას უკავშირდებოდა. უფრო მეტიც, დანართში მიმოხილულია ასტროლოგიური საკითხები, რომელთა მიმართ ვაიგელს, განსხვავებით პუფენდორფისგან, ასევე ჰქონდა გამოკვეთილი ინტერესი.

b) „*De jure naturae et gentium*“ 1672

პუფენდორფის ძირითადი ნაშრომის *ბუნებითი და ხალხთა სამართლის შესახებ (De jure naturae et gentium, libri octo)* ცალკეულ დებულებებზე აპელირება მთელი სადისერტაციო კვლევის განმავლობაში გაკეთდება. რაც შეეხება მოცემულ ქვეთავს, აქ შედარებით ვრცლად მხოლოდ მის იმ ასპექტზე შევჩერდებით, რაც სხვაგან მეტად აღარ შეგვხვდება: ნაშრომის მიმართებას საერთაშორისო სამართალთან, გამომდინარე იქიდან, რომ სახელწოდებაში დაფიქსირებული ცნება *jus gentium* (ხალხთა სამართალი) საერთაშორისო სამართალთან ასოცირდება ხოლმე, მათ შორის ამ სიტყვის თანამედროვე შინაარსით და იგი აღარ მეორდება მისი კომპენდიუმის სახით კულმინირებულ ვერსიაში - *ადამიანის მოვალეობის შესახებ თანახმად ბუნებითი კანონისა (De officio)*, რომელიც გამოყენებული მეთოდისა და მასში დასმული ძირითადი აქცენტების თვალსაზრისით პირველისგან პრინციპულად არ განსხვავდება.

შვედეთის ქალაქ ლუნდში შექმნილი, შვედეთის მეფის კარლ XI-სადმი მიძღვნილი რვა წიგნისგან შემდგარი ფუნდამენტური ტრაქტატი „*ბუნებითი და ხალხთა სამართლის შესახებ*“ პუფენდორფის *ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის* ყველაზე მნიშვნელოვან და ვრცელ ასახვას წარმოადგენს. მასში მოცემულია სამართლის ფილოსოფიისა და იურისტის სისტემური ხედვა, როგორც ზოგადი *ბუნებითი სამართლის*, რაც მოიცავს *ბუნებითი მდგომარეობის*, *socialitas*-სისა და *მოვალეობის* პრინციპის, ისე კერძო ნაწილების ორიგინალურ გააზრებებს, წარმოდგენილს სახელმწიფო, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის, ასევე ხალხთა სამართლის საბაზისო თეორიულ კონცეპტებით.

მეორე წიგნი კარტეზიანული პრინციპის მიხედვით თანმიმდევრულად მიმოიხილავს კანონის მეშვეობით მოწესრიგებული ცხოვრებისკენ ადამიანის *ბუნებით* მიდრეკილებას, ასევე *ბუნებით* მდგომარეობასა და *ბუნებით* კანონს. ამას მოსდევს *ბუნებითი მოვალეობების* იმის მიხედვით დალაგება, მიეკუთვნებიან ისინი

ბუნებით, ოჯახურ თუ სამოქალაქო მდგომარეობას. ამავე დროს პუფენდორფის ძირითადი ნაშრომი, პირველისგან განსხვავებით, მთლიანობაში აღარ ეფუძნება ლოგიკურ-დედუქციურ მეთოდს და მისდევს უფრო მეტად პრაქტიკული ფილოსოფიისთვის დამახასიათებელ სტილს, რაც ნააზრევს თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად ჩამოყალიბებში გამოიხატა, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათათვის დამახასიათებელ მკაცრად ლოგიკურ სტრუქტურასთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებს სამართლის მეცნიერებისთვის უფრო მეტად რელევანტურ თემატურ სტრუქტურირებას.⁶⁶ Elementia-დან შენარჩუნებულია ფუძემდებლური დეფინიცია entia moralia, ასევე პირველი აქსიომა, ხოლო ხუთი დაკვირვებიდან მხოლოდ ერთი - observatio - *ბუნებითი სამართლის პრინციპი*, რომელიც საკმარისი უნდა იყოს მისგან ყველა დანარჩენი ბუნებით-სამართლებრივი დებულების გამოსაყვანად.

რაც შეეხება სათაურში მოცემულ jus gentium-ის ცნებას: იგი საერთაშორისო სამართალთან მისი ბუკვალური ასოციაციის წყალობით, არაერთხელ გამხდარა სამუელ პუფენდორფის საერთაშორისო სამართლის მამად მოხსენიების მიზეზი. ამ საკითხში არა მხოლოდ ეპისტემოლოგიური სიცხადის შესატანად, უპირველესად უნდა გავიხსენოთ ხსენებული სიტყვისა და ცნების ისტორიული დინამიკა, რომლებიც ერთმანეთს არ ემთხვევა და მისი გამოყენების სპეციფიკა ადრეული ახალი დროის პოლიტიკურ-სამართლებრივ კონტექსტში უადგილოა. რომაული სამართლის პერიოდს რომ გვერდი ავუაროთ, შუა საუკუნეებში გავრცელებული წარმოდგენის მიხედვით, ხალხთა სამართალი (ius gentium) თავისი ბუნებით წარმოადგენდა რაღაც შუალედურს ბუნებით სამართალსა და პოზიტიურ სამართალს შორის, რამეთუ შეიცავდა ხალხთა საყოველთაო, და ეს ტერმინი დღემდე აქტუალურია საერთაშორისო სამართლის ენისთვის, ურთიერთობების მომწესრიგებელ პრინციპებს, რომლებიც უზოგადესი სახით გამომდინარეობდნენ ბუნებითი სამართლიდან და ამ გზით ხელს უწყობდნენ მის სტაბილურობას.⁶⁷

⁶⁶ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, C. H. Beck, München, 1972, გვ. 124.

⁶⁷ Erik Wolf, *Grosse Rechtsdenker der deutschen Geistesgeschichte*, 3. Aufl. Tübingen, 1951, ალთუსიუსი, გვ. 133-136.

ტერმინ *jus gentium*-ის სამართლის ისტორიულ და ფილოსოფიურ დისკურსში საინტერესო განხილვას ვხვდებით ცნობილი თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსის ვალტერ იეშკეს სტატიაში - *Vom Volkerrecht zum Völkerrecht (ხალხთა სამართლიდან საერთაშორისო სამართლამდე)*. მისი მიხედვით ადრეული ახალი დროიდან მე-18 საუკუნემდე, *იუსტინიანეს ინსტიტუციების* მოხმობისას „*ius gentium*“-ად უპირველესად გაიგებოდა „სამართალი, რომელიც ადამიანთა შორის ბუნებრივი გონის მიერ დადგინდა, რაც ყოველ ხალხში თანაბარი პატივისცემით სარგებლობს, ხოლო *ius gentium*-ად იწოდება იმდენად, რამდენადაც ესაა სამართალი, რომელსაც ყველა ერი მისდევს“. ამგვარად „*ius gentium*“-ს ვერ შევადარებთ იმ „საერთაშორისო სამართალს“, რომელიც განმანათლებლობის შემდგომ, თუნდაც მოდერნული ბუნებითი სამართლის გავლენით ჩამოყალიბდა, რომ აღარაფერი ვთქვათ დღევანდელზე. საუბარია „ბუნებით“ სამართალთან შინაარსობრივად მეტად მსგავს სამართლის გაგებაზე, ოღონდ რომლის ნამდვილობის საფუძველიც არა „ბუნებაში“, არამედ ხალხთა შეთანხმებულ სამართლის მამკვიდრებელ ნებასა ან პრაქტიკაში მდგომარეობს. მაშასადამე, ის სამართალი, რომლის გამოყვანაც შესაძლებელია ერთის მხრივ - საგნის ბუნებიდან ანდა სპეციალურად ადამიანის ბუნებიდან, ხშირ შემთხვევაში, აგრეთვე შეიძლება ყველა (ან სულ ცოტა მრავალი) ხალხის ურთიერთშეთანხმებული პრაქტიკით დასაბუთდეს, ან მისი მეშვეობით განვრცობილ იქნას.⁶⁸ პუფენდორფთან დუალობა - „ბუნებითი და ხალხთა სამართალი“ აღნიშნავს არა სამართლის ორ სხვადასხვა იურისდიქციას, არამედ ერთი სამართლის დაფუძნების ორ განსხვავებულ სახეს _ ერთ „ბუნებითსა“ და ერთ „ნებითს“, რა დროსაც „ნება“ გახლავთ არა ცალკეულის, არამედ (თუნდაც ცალკეულის მიერ არტიკულირებული) მრავალი ხალხის ურთიერთშეთანხმებადი ნება. ორივე ფორმა _ *jus naturae* (ბუნებითი სამართალი) და *jus gentium* განევრცობა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების სფეროთა მრავალფეროვნებაზე. ამიტომაც ამ „ბუნებითი და ხალხთა“ სამართლის ფარგლებში არ გამოიყოფა სპეციფიკური ნაწილი, როგორც „ბუნებითი სამართალი“, ან როგორც „ხალხთა სამართალი“-თუნდაც ამის გაკეთება დამაჯერებლად შეიძლებოდა იქ, სადაც „ხალხთა სამართლის“ ხასიათი ჭარბობს ან იკვეთება, ან სადაც სამართლის ნორმები მრავალ

⁶⁸ Walter Jaeschke, *Vom Völkerrecht zum Völkerrecht. Über das Verhältnis von Philosophie und Rechtsgeschichte*. Deutsche Zeitschrift für Philosophie (DZPH), Berlin 56 (2008), 001-0002.

ხალხთა ინტერესებს შეეხება – როგორც მაგალითად ომის ტყვეებთან მოპყრობის შემთხვევაში. თუმცა „ხალხთა სამართალი“ მოიცავს სხვა შინაარსებსაც, მაგალითად სპეციფიკურ, განსხვავებულ ხალხებში საკუთრების შეძენის შეთანხმებად ფორმებს, როდესაც საამისო ლეგიტიმაციის საფუძველს ქმნის სწორედაც რომ არა „ბუნება“, არამედ ამ ხალხებში შეთანხმებადი სამართლებრივი პრაქტიკა. ნამდვილი სახელწოდება იმ სფეროსი, რაც მოგვიანებით „საერთაშორისო სამართლად“ იწოდება, გახლავთ არა ხალხთა სამართალი (*jus gentium*), არამედ „ომისა და მშვიდობის სამართალი“ („*jus belli ac pacis*“), როგორადაც არის დასათაურებული ჰუგო გროციუსის ნაშრომი.⁶⁹ და მაინც, ამ უკანასკნელის მოხსენიებაც სწორი იქნებოდა ომისა და მშვიდობის სამართლის, მაგრამ არა საერთაშორისო ან თუნდაც კლასიკური საერთაშორისო სამართლის მამად. „ბუნებითი და ხალხთა სამართლის“ მეშვიდე და მერვე წიგნებში, პუფენდორფი ეხება პოლიტიკურ თემატიკას და გროციუსის პარადიგმის მიხედვით, ამ კონტექსტში მე-8, მე-10 თავებში „*jus belli*“-სა და „*jus pacis*“-ს – ომისა და მშვიდობის სამართალს. მაგრამ ეს „ომისა და მშვიდობის სამართალი“, განსხვავებით ბუნებითი სამართლისგან, არ გაიგება სპეციფიკურად, „საერთაშორისო სამართლად“; პუფენდორფთან ომისა და მშვიდობის სამართლის კონტექსტში „*jus gentium*“-ზე სულაც არ არის საუბარი. ვინაიდან „*jus gentium*“-ი არ გახლავთ „საერთაშორისო სამართალი“ გვიანდელი მნიშვნელობით, და ბუნებით სამართალზე რაიმენაირად უფრო ახლო მიმართებაში არ არის „*Jus belli ac pacis*“-თან. ნიშანდობლივია აგრეთვე, ის მარტივად აღსაქმელი ასპექტი, რაც უხეში შეცდომის დაშვების გარეშე არ იძლევა ხალხთა სამართლის თანამედროვე საერთაშორისო სამართალთან გაიგივების შესაძლებლობას: ადრეული ახალი დროის ხალხთა სამართალი, განსხვავებით საერთაშორისო სამართლისგან, მისი დღევანდელი მნიშვნელობით, არ იცნობს ამა თუ იმ მოტივით რომელიმე სახელმწიფოსთვის სხვა სახელმწიფოთა მხრიდან არასახელშეკრულებო ხასიათის სავალდებულო ქცევის წესის დადგენის შესაძლებლობას, ისევე როგორც რაიმე ტიპის სანქციებს, რაც არ უკავშირდება ხელშეკრულების დარღვევას. ეს უკანასკნელი სამართლებრივ სინამდვილედ იქცა მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, მსოფლიოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების რეფლექსიის შემდეგ; რამაც ისეთივე

⁶⁹ იქვე.

დიდი როლი ითამაშა დღევანდელი საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებაში, როგორც მიუძღვის ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ოცდაათწლიან ომს თანამედროვე სახელმწიფო სამართლის შექმნაში (ეს შედარება ასევე ეკუთვნის პროფ. ვალტერ იემკეს). პუფენდორფისთვის, ისევე როგორც ჰობსისთვის, ბუნებითი სამართლის საპირწონე - დამოუკიდებელი საერთაშორისო სამართალი, რისი მცდარი ასოციაციის გამოწვევაც ჩვენს მიერ მიმოხილული ნაშრომის სათაურს შეუძლია, უაზრობა იქნებოდა, რადგან ხალხთა მომცველ ჩვეულებით სამართალს ვერ ექნებოდა მავალელები ხასიათი, იურიდიული ძალა და სახელმეკრულებო სამართლებრივი დასაბუთება - ხალხთა სამართლის გაგება „ხალხთა ხელმეკრულებით სამართლად“ სათვალავიდან ვარდება, ვინაიდან ხელმეკრულების მავალელები ეფექტი შეიძლება ვარირებდეს ხელმეკრული სახელმწიფოების ცვალებადი საჭიროებების საფუძველზე შემდგარი შეთანხმებების მიხედვით.⁷⁰ ასე აღმოჩნდება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის მოწესრიგება, რაც სხვა შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის ამოცანად იწოდება ხოლმე, ექსკლუზიურად ბუნებითი სამართალში. მაშასადამე „jus gentium“-ი ადრეული ახალი დროის რაციონალისტური სამართლებრივი აზროვნების კონტექსტში ერწყმის „jus naturale“-ს.⁷¹

c) „De officio hominis et civis juxta legem naturalem, libri duo” 1673

პუფენდორფის ყველაზე პოპულარული, მრავალ ევროპულ ენაზე თარგმნილი და არაერთხელ გამოცემული ბუნებითი სამართლის კომპენდიუმი „ადამიანისა და მოვალეობის შესახებ თანახმად ბუნებითი კანონისა, ორი წიგნი“,⁷² არის ზემოთ მიმოხილული ძირითადი ნაშრომის რეზიუმირებული ვერსია, რომელიც პირველად ლუნდში 1673 წელს გამოიცა. პუფენდორფის მოსწავლის, ასევე ბუნებითი

⁷⁰ Leonard Krieger „The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law, Chicago & London, The University of Chicago Press, 1965, გვ. 165.

⁷¹ Walter Jaeschke, Vom Völkerrecht zum Völkerrecht. Über das Verhältnis von Philosophie und Rechtsgeschichte. Deutsche Zeitschrift für Philosophie (DZPH), Berlin 56 (2008), 001-0002.

⁷² გარდა რამოდენიმე ათეული ლათინურენოვანი გამოცემისა ცნობილია ფრანგული (1694), გერმანული და ინგლისური (1691), რუსული (1724), დანიური (1742), ჰოლანდიური (1751), იტალიური (1761) და ესპანური (1834) თარგმანები. ამასთან დაკავშირებით იხ. Horst Denzer, Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf, C. H. Beck, München, 1972, გვ. 360-362.

სამართლის მოძღვრების მიმდევარი იურისტისა და ფილოსოფოსის, ქრისტიან თომასიუსის ძალისხმევით, ეს ნაშრომი სტაბილურად იმკვიდრებს წამყვანი სახელმძღვანელოს ადგილს ჰუგო გროციუსის *opus magnum*-ის გვერდით გერმანულ უნივერსიტეტებში. საუბარია როგორც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც პუფენდორფმა დააარსა ბუნებითი და ხალხთა სამართლის პირველი გერმანული კათედრა, ისე სხვა გერმანულ და არა მხოლოდ გერმანულ უნივერსიტეტებზე. პუფენდორფის ამ ნაშრომის დახმარებით, ფაქტობრივად, ეყრება საფუძველი ბუნებითი სამართლის და, მაშასადამე, სამართლის ფილოსოფიის, როგორც პრაქტიკულ ფილოსოფიას მიკუთვნებული დისციპლინის შესწავლას უნივერსიტეტებში.

ნაშრომის წარმატებული რეცეფციის შემდეგ მე-17 საუკუნის ბოლოს, რასაც გარდა გამართული და ადვილად გასაგები ავტორისეული ლათინურისა, უდავოდ შეუწყო ხელი ფრანგი ჰუგენოტისა და პუფენდორფის კრიტიკოსთაგან ეფექტური დამცველის, ჟან ბარბერიაკის (1674-1744)⁷³ მიერ შესრულებულმა ფრანგულმა თარგმანმა და ვრცელმა კომენტარმა, დაიწყო წინააღმდეგობრივი პროცესები მასთან და მთლიანად ბუნებით სამართალთან მიმართებაში. ერთის მხრივ დეაქტუალიზაციას ადგილი აქვს უკვე მე-18 საუკუნეში, რაც უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ბუნებითი სამართლის დისციპლინამ ადგილი ვერ დაიმკვიდრა იურიდიულ ფაკულტეტებზე. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ჰალესა და გიოტინგენის უნივერსიტეტებში ინიცირებული პროცესი იურისპრუდენციაში ისტორიზმის გაბატონებისა, აღარ ტოვებს მასში ადგილს ბუნებით-სამართლებრივი დისკურსისთვის. მეორეს მხრივ, ნაშრომისადმი აშკარა ინტერესი და ბუნებითი სამართლის აღმავლობა სახეზეა კათოლიკურ უნივერსიტეტებში, როგორც გერმანიაში, ისე მისი ნაგვიანევი რეცეფციისას ესპანეთში, სადაც სამართლის ისტორიზმი სამართლის მეცნიერებაში პრაქტიკული ფილოსოფიის შევიწროების ხარჯზე არ იქნა გაზიარებული ისევე, როგორც წოდებრივი სოციალური წყობილების რევოლუციის გზით ტრანსფორმირების იდეები და სადაც გროციუსის, პუფენდორფისა და ვოლფის სახელებთან დაკავშირებული მცდელობა, ერთმანეთს

⁷³ Tim J. Hochstrasser, „Natural Law Theories in the Early Enlightenment”, Cambridge University Press, Cambridge, 2000, გვ. 30.

სისტემურად დაკავშირებოდა სამართლისა და სეკულარული მორალური პრინციპები, კვლავაც აქტუალობას ინარჩუნებს.⁷⁴

პუფენდორფის სააზროვნო მემკვიდრეობაში ორიგინალობისა და სამართლის ფილოსოფიისათვის მნიშვნელობის თვალსაზრისით ცენტრალურ მოვალეობათა სისტემას ავტორი *de jure*-ში ორ ფორმად ყოფს: მოვალეობებად საკუთარი თავისა და მოვალეობებად სხვების წინაშე, ხოლო *de officio*-ში სამად: ღმერთის, საკუთარი თავისა და სხვების წინაშე. ვინაიდან ეს ნაშრომი მოსდევს პირველს, ამდენად უკანასკნელი კლასიფიკაციაც მოვალეობის შესახებ მოძღვრებასთან მიმართებაში, ავტორის აზროვნების სიმწიფის პროექტად უნდა მივიჩნიოთ, ამასთან, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ *de jure*-ს 8 წიგნისაგან შემდგარი შრომის 2 წიგნიანი შეჯამების სათაურში სწორედ მოვალეობაა (*officio*) წინა პლანზე გამოტანილი, რაც პრაქტიკულად იმაზე მიანიშნებს, რომ პუფენდორფის ბუნებითი სამართალი ამავედროულად მოვალეობათა შესახებ მოძღვრებაა. მას აგრეთვე დაემატა კონცეპტუალური მნიშვნელობის მქონე თავი ბუნებრივი რელიგიის შესახებ, რაც მის *Opus magnum*-ში არ მოიპოვება.

mos geometricus-ით ნაკლებად განსაზღვრულ ნაშრომში პუფენდორფი აღწერს ადამიანურ ქმედებას, შემდეგ ბუნებით კანონს, როგორც ადამიანური ქმედების წინაპირობას, რასაც მოსდევს მისგან წარმომდგარი აბსოლუტური და ჰიპოტეტური მოვალეობები, "De officio:"-ში ბუნებითი მდგომარეობა, როგორც ადამიანური თანაცხოვრების პირველი ფორმა და ერთადერთი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე არ არის წარმომდგარი, ინკორპორირებულია ერთიან მოვალეობათა მოძღვრებაში, რომელიც ადამიანებს მოიაზრებს თანაცხოვრებისკენ ბუნებრივი მიდრეკილების მქონე არსებებად.⁷⁵

„De officio“-ს შესავალშივე მოცემულია რამოდენიმე ლაკონური ფორმულირება, რაც სამართლის სეკულარიზაციის ლოგიკურად დასაბუთებულ საფუძველს ქმნის: „ისიც ცხადია, რომ ბუნებითი სამართალი არავითარ კონფლიქტში არ არის ჭეშმარიტი თეოლოგიის დოგმებთან; ის უბრალოდ აბსტრაგირებს

⁷⁴ Gerald Hartung, Samuel Pufendorf und die Verbreitung der Naturrechtslehre, Einleitung zur *De officio hominis et civis juxta legem naturalem* (1673), in Series: Samuel Pufendorf: Gesammelte Werke., Wilhelm Schmidt-Biggemann Bd. 2, Gerald Hartung, (Hrsg.), Berlin 1997; lt/dt., გვ. X.

⁷⁵ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, C. H. Beck, München, 1972, გვ. 125.

გარკვეული თეოლოგიური დოგმებისგან, რომელთა შესწავლისთვისაც მხოლოდ გონება არ არის საკმარისი”.⁷⁶

„შესაბამისად, ვინაიდან ბუნებითი სამართალი ვერ განეწმინდა იქამდე, სადამდეც გონება ვერ წვდება, დაუშვებელი იქნებოდა იმის ცდა, რომ იგი ადამიანის დაუზიანებელი ბუნებიდან გამოგვეყვანა.“ მით უმეტეს, რომ თვით ათი მცნების ადრესატიც დაცემული ადამიანია, წინააღმდეგ შემთხვევაში კერპთაყვანისმცემლობის, მკვლელობის და სხვა მსგავსი ქმედებების აკრძალვა აზრს მოკლებული იქნებოდა.⁷⁷ ერთ-ერთი უმთავრესი იდეა, რომლის მიწოდებასაც ავტორი კაცობრიობისთვის თავისი აზროვნების სიმწიფის პერიოდის ამ ნაწარმოებით ცდილობს და რომლის წყალობითაც „ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობა თანახმად ბუნებითი კანონისა“ მუდმივად შეინარჩუნებს აქტუალობას სამართლის ბუნებისა და მისი ძირეული პრინციპების ფილოსოფიური რეფლექსიისთვის, გახლავთ შემდეგი:

ადამიანის სოციალურობა⁷⁸ მისი ბუნებითი მოვალეობაა. პუფენდორფი გაემიჯნა რა გროციუსის სქოლასტიკურ ესენციალიზმს ამ საკითხში, რომელიც *apetitus societatis*-ს მოცემულობად განმარტავდა ადამიანში, ამბობს, რომ ეს არა უბრალოდ იმთავითვე კონსტანტას სახით არსებული მიდრეკილებაა, არამედ მეტა-მოვალეობა.⁷⁹ იგი პრაქტიკულ გონებაში საბუთდება, ბუნებრივ რელიგიაში* დასტურდება და საბოლოოდ ქმნის იმ საერთო სამირკველს, რომელსაც კონკრეტული უფლება-მოვალეობები ემყარება.

⁷⁶ Samuel Pufendorf, *De officio hominis et civis juxta legem naturalem* (1673), in Series: *Gesammelte Werke*, Wilhelm Schmidt-Biggemann Bd. 2, Gerald Hartung, (Hrsg.), Berlin 1997; It/dt. *Die Pflicht des Menschen und des Bürgers nach dem Gesetz der Natur*, hrsg. U. Übers. v. K. Luig, Frankfurt a. M. 1994, გვ. 103.

⁷⁷ Samuel Pufendorf, *De officio hominis et civis juxta legem naturalem* (1673), in Series: *Gesammelte Werke*, Wilhelm Schmidt-Biggemann Bd. 2, Gerald Hartung, (Hrsg.), Berlin 1997; It/dt. *Die Pflicht des Menschen und des Bürgers nach dem Gesetz der Natur*, hrsg. U. Übers. v. K. Luig, Frankfurt a. M. 1994, იქვე.

⁷⁸ ე.ი. სხვა ადამიანებთან ინტერაქციისა და ერთობლივი აქტივობების მოსურნეობა. ტერმინი სოციალურობისგან მას განასხვავებს მახვილის გაკეთება ინდივიდუალურ მისწრაფებაზე. პუფენდორფმა *animal sociabile* გააზრებულად არჩია *animal social*-ს. ამასთან დაკავშირებით იხ. Leonard Krieger „The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law, Chicago & London, The University of Chicago Press, 1965. გვ. 94.

⁷⁹ Knud Haakonssen, *Natural law and moral philosophy from Grotius to the Scottish Enlightenment*, Cambridge University Press, 1996, გვ. 41-42.

* გაგებული, როგორც მინიმალისტური ფილოსოფიური ხედვა კრეატიულ, პროვიდენციალურ ღვთაებაზე და მის როლზე მორალური მოვალეობის გენერირებაში.

B. პუფენდორფის პოზიციონირება პრე მოდერნულ და მოდერნულ ბუნებითი სამართლის მოძღვრებებთან და მისი სწავლება *Entia Moralia*-ს შესახებ

I. პრემოდერნული ბუნებითი სამართალი

„ჭეშმარიტი კანონი – ბუნების შესატყვისი, გონიერი, მუდმივი და მყარი დებულება, რომელიც ვრცელდება ყველა ადამიანზე და მოუწოდებს მას მისი მოვალეობის შესრულებას; უბრძანებს დანაშაულზე ხელის აღებას, თუმცა მაშინ როდესაც ამის საჭიროება არ არის, ის პატიოსან ადამიანს არაფერს უბრძანებს და არაფერს უკრძალავს. ასეთი კანონის სრული ან ნაწილობრივი აკრძალვა – მკრეხელობაა; დაუშვებელია მისი მოქმედების რაიმე სახით შეზღუდვაც კი. მისი სრული გაუქმება შეუძლებელია და ჩვენ, ვერც სენატის დადგენილებით და ვერც ხალხის კანონით ვერ გავაუქმებთ მას.“

ციცერონი, *De legibus*⁸⁰

1. სტოიკოსთა და სქოლასტიკოსთა და ნააზრევო

a) საერთო სულისკვეთება სტოიციზმთან

შეიძლება ითქვას, რომ ბუნებითი სამართლის პირველი მიგნებები ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში, უკვე ჰერაკლიტესთან, განსაკუთრებით კი პლატონთან არის საძიებელი. ეს უკანასკნელი ადამიანის აღქმისგან დამოუკიდებელ, ობიექტურად არსებულ ღირებულებებზე საუბრობს და სამართლიანობის იდეაზე, როგორც ერთ-ერთ მათგანზე. უფრო მეტი სპეციფიკა ამ მიმართულებით აზროვნებამ ძველ ბერძენ და რომაელ სტოიკოსებთან შეიძინა. სწორედ ამ უკანასკნელთა

⁸⁰ Marcus Tullius Cicero, *The Treatises of M. T. Cicero on The Laws*, literally translated, chiefly by the editor, C. D. Yonge, B.A., London, Henry G. Bohn, York Street, Covent Garden. MDCCCLIII, გვ. 360.

ნაყოფიერი გავლენა არის აშკარა პუფენდორფის აზროვნებაზე, რასაც თავადაც აცხადებს. ასე მაგალითად De jure-ს გამოსასარჩლებელ წერილში, De origine et progressu juris naturalis, რომელიც Eris Scandica-ში შევიდა, იგი აღნიშნავს, რომ *ჰუგო გროციუსამდე, უნივერსალურ ბუნებით კანონთან ყველაზე ახლოს მისვლა სტოიკოსებმა შეძლეს, ისეთი შეხედულებების გამოთქმით, რომელთა გარკვეული კორექტირების შემდეგ, ბუნებითი სამართლის მყარ სისტემაში მოაზრება მარტივად შეიძლება*.⁸¹ ცნობილია აგრეთვე, რომ პუფენდორფი სტოიკოსებს აყენებდა უფრო მაღლა, ვიდრე არისტოტელეს, იმ ფილოსოფოსს, რომლის გავლენა მასზე ასევე ერთმნიშვნელოვნად დიდია.

მოუხედავად ამისა, პუფენდორფის მკვლევარები სტოიკოსთა გავლენას მის აზროვნებაზე განსხვავებულად აფასებენ. ასე მაგალითად, ჰანს ველცელი დარწმუნებულია, რომ „დიდთი გადაჭარბებულად აფასებს სტოიკოსთა გავლენას პუფენდორფზე“ და თავისი პოზიციის გასამყარებლად მოჰყავს ის არგუმენტი, რომ სტოიკოსთა ციტატები საერთოდ არ გვხვდება პუფენდორფის პირველ ბუნებით-სამართლებრივ ნაშრომში – „Elementia jurisprudentiae-ში“ და ისინი ჩნდებიან მხოლოდ მოგვიანებით, ისიც უმთავრესად იმ საყვედურის გასაბათილებლად, რომ პუფენდორფი არ უთმობდა ჯეროვან ყურადღებას ანტიკურ მოაზროვნეებს.⁸² თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ „Elementia“ ბიბლიოთეკასთან წვდომის არ არსებობის პირობებში შეიქმნა და არც ის ფაქტი, რომ ძველ ავტორებს სიღრმისეულად სამუელი ცოტა მოგვიანებით, ლეიდენის უნივერსიტეტში შეისწავლის. აღსანიშნავია, აგრეთვე ავტორის მიერ თავისი სოციალურობის მოძღვრების გასამყარებლად მოყვანილი ციტატები სენეკას „De beneficiis“-დან და პარალელები მარკუს ავრელიუსის „ფიქრების“ ოთხ პასაჟთან.⁸³ სტოიკოსთა ციტატების უმეტესობა მოდის De Jure-ს პირველ სამ წიგნზე, რომლებიც ბუნებითი

⁸¹ Kari Staatsamoinen, Pufendorf and the Stoic Model of Natural Law, in Grotius and the Stoa. Laurens C. Winkel, Grotiana, a journal under the auspices of the Grotiana Foundation, New Series vo. 22/23 2001-2002 https://books.google.de/books?id=47i-A7j9dTQC&pg=PA245&lpg=PA245&dq=Pufendorf+and+Stoicism+Fiammetta+P&source=bl&ots=KbhbGSgg9i&sig=X5Q65V2U-eboXB5KFRcit4B7064&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwjR_tjer4bMAhWCjg8KHx4LB_AQ6AEIHDA#v=onepage&q=Pufendorf%20and%20Stoicism%20Fiammetta%20P&f=false. გვ. 257.

⁸² Hans Welzel, Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs, ein Beitrag zur Ideengeschichte des 17. und 18. Jahrhunderts, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1958, გვ. 10.

⁸³ Horst Denzer, Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf, გვ. 259.

სამართლის მორალურ-ფილოსოფიურ დაფუძნებას ემსახურებიან. ციტირებულია უმეტესად გვიანდელი სტოას წარმომადგენლები, რომლებთანაც სულიერ სიახლოვეს პუფენდორფი *De Jure*-ს მეორე გადამუშავებულ გამოცემაში უფრო ღიად აფიქსირებს. რაოდენობრივად ყველაზე ხშირად ციცერონის ციტატები გვხვდება, მათ შორისაა მისი შედარებით ნაკლებად ცნობილი, ვრცელი ფილოსოფიური ტრაქტატი *De finibus bonorum et malorum* - სიკეთისა და ბოროტების საზღვრების შესახებ, რომელშიც ციცერონი კრიტიკულად მიმოიხილავს მისი დროის მორალური ფილოსოფიის გავლენიანი სკოლების: სტოელების, ეპიკურელებისა და პერიპატეტიკოსების სწავლებებს.⁸⁴ ციცერონს ცოტა ჩამორჩება სენეკა - 109 და ეპიქტიტე 34 ციტირებით; წარმოდგენილია აგრეთვე მარკუს ავრელიუსი 12 ციტატით. უნდა ითქვას, რომ ციტატები სტოიკოსთა სააზროვნო მემკვიდრეობიდან, მაგალითად ისეთი როგორიცაა: *ადამიანები ურთიერთდახმარებისთვის არიან გაჩენილნი*, ავტორს მისი ფართო განათლების საილუსტრაციოდ არ აქვს მოტანილი, არამედ მოიხმობს მათ მისი ბუნებითი სამართლის მოძღვრების ფუძემდებლური პრინციპის – საზოგადოებრიობისაკენ მისწრაფების გასამყარებლად.⁸⁵

ნიშანდობლივ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას ფიამეტა პალადინი: პუფენდორფი *De jure*-ს მეორე გამოცემის შესავალში, რომელიც პირველის გამოსვლიდან თექვსმეტი წლის შემდეგ ჩნდება, წარმოადგენს ბუნებითი სამართლის კვლევის *desiderata*-ს (განზრახულობას), რომლის ფარგლებშიც მიზნად დაისახავს უპასუხოს ასეთ შეკითხვას – „არის რაიმე უფრო დასრულებული და ამაღლებული სტოიკოსების: სენეკას, ეპიქტიტეს, მარკუს ავრელიუსის თხზულებებში, ვიდრე ეს ჩვენს საკუთარ მორალურ სწავლებებშია?“⁸⁶ პუფენდორფი ამ მიზნის დასახვისას ბრანდენბურგის სამეფო კარის ისტორიოგრაფის საქმიანობით იყო დაკავებული, ხოლო ექვსი წლის შემდეგ მისი სიცოცხლე შეწყდა, ამიტომ მას ამ კითხვაზე პასუხის

⁸⁴ Tim J. Hochstrasser „*Natural Law Theories in the Early Enlightenment*“, Cambridge, Cambridge University Press, 2004, გვ. 78.

⁸⁵ Kari Staatsamoinen Pufendorf and the Stoic Model of Natural Law, გვ. 257.

⁸⁶ Fiammetta Palladini, Pufendorf and Stoicism, გვ. 245. https://books.google.de/books?id=47i-A7j9dTQC&pg=PA245&lpg=PA245&dq=Pufendorf+and+Stoicism+Fiammetta+P&source=bl&ots=KbhbGSGg9i&sig=X5Q65V2U-%20eboXB5KFReit4B7064&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwJR_tjer4bMAhWCjg8KHx4LB_AQ6AEIHDA#v=onepage&q=Pufendorf%20and%20Stoicism%20Fiammetta%20P&f=false

გაცემის შესაძლებლობა არ მისცემია, მაგრამ უარყოფითი პასუხის დაშვების შემთხვევაშიც კი, თავად საკითხის ასეთი ფორმით დაყენებით ბევრი რამეა ნათქვამი.

თუ რა იდეური სიახლოვე აკავშირებს პუფენდორფს სტოიკოსებთან, ამ საკითხზე საკუთარი პოზიციის დასაკავებლად გავიაზროთ სტოიციზმის იმ სკოლის ბუნებით-სამართლებრივი მსოფლმხედველობის ძირითადი ატრიბუტები, რომელსაც პუფენდორფი ყველაზე უკეთ იცნობდა – ეს გახლავთ რომაული სტოიციზმი: ციცერონი (ქრ. შობამდე 106-ქრ. შობიდან 43 წ.წ.), სენეკა (ქრ. შობამდე 4-ქრ. შობიდან 64 წ.წ.), ეპიქტიტე (50-138 წ.წ.) და მარკუს ავრელიუსი (121-180 წ.წ.).

ცნობილია, რომ როგორც ძველ ბერძენ, ისე რომაელ სტოიკოსებთან შემმეცნებელი, ბუნების ჭკრეტით დაკავებული, სიბრძნის მოყვარული ადამიანი კოსმოსურ მასშტაბში აზროვნებს. იგი საკუთარ თავს განიხილავს იმ ერთიანი ცოცხალი მთლიანობის ნაწილად, რომელსაც კოსმოსს უწოდებს. ეს სამყარო ერთი დიდი სახელმწიფოს ანალოგიის მეშვეობით გაიგება, სადაც რეალურ თვალსაწიერში მყოფი მსოფლიო წარმოდგენილია მიკრო კოსმოსის სახით. მისი სურვილი, მიიჩნიოს საკუთარი თავი და მისი თანამოქალაქეები კოსმოპოლიტებად⁸⁷ – მსოფლიო მოქალაქეებად, ატარებს ამავე დროს მეტა დატვირთვასაც: ეს გახლავთ სურვილი სამყაროს ნაწილად თვითიდენტიფიცირებისა. სამყარო ერთ ცოცხალ მთლიანობად მოიაზრება, ერთიანი და უცვლელი სამართლებრივი პრინციპის მეშვეობით იმართება, რომელიც თავის მხრივ მსოფლიო გონს, ლოგოსს ეფუძნება. ადამიანური გონი სამყაროსეული გონის ნაწილს განასახიერებს და უნივერსუმის საყოველთაო ბუნებითი სამართლის შესაცნობად მას უპირველესად საკუთარი ბუნების შემეცნება მოეთხოვება,⁸⁸ რამეთუ როგორც წამი უდრის და მოიცავს მარადისობას, ისე ცალკეული ჩვენგანის ბუნებაში არეკლილია სამყაროს ბუნება.⁸⁹ თავად ადამიანი ატარებს „პირველად“ და „მეორად ბუნებას“. პირველი (oikeion), რომელიც ადამიანის უშუალო კუთვნილებაა, გამოირჩევა საკუთარი თავისადმი

⁸⁷ პიერ ადო, „ფილოსოფია, როგორც ცხოვრების წესი“ <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.10&d=HASHc5e05db089b7f9057c77fa.4.1>=1>.

⁸⁸ Hans Welzel, Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs, ein Beitrag zur Ideengeschichte des 17. Und 18. Jahrhunderts, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1958, გვ. 9.

⁸⁹ პიერ ადო, „ფილოსოფია, როგორც ცხოვრების წესი“ <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.10&d=HASHc5e05db089b7f9057c77fa.4.1>=1>.

სიყვარულით და ისეთი ბუნებისმიერი მდგომარეობის შენარჩუნებისკენ ისწრაფვის, როგორიცაა: ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, საღ გონებაზე ყოფნა, მეხსიერება და სხვა.⁹⁰ პირველადი ბუნება უკვე შეიცავს ბიძგს საზოგადოებრიობისაკენ, მაგრამ უფრო გამოკვეთილად ეს მეორადი ბუნების განხილვისას ხდება ცხადი, რომელიც გულისხმობს გონიერ არსებობას, რაც ბუნებრივი მისწრაფებებისა და აფექტების გონების მეშვეობით კონტროლის უნარს და უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, საკუთარ თავთან თანხმობაში მყოფ არსებობას გულისხმობს. ეს უკანასკნელი, ცხადია, რომ კოლექტიურ დონეზე მხოლოდ პოტენციის სახით შეიძლება მოიაზრებოდეს, რეალობაში კი ყოველ ცალკეულ ინდივიდში ჩადებული განსაკუთრებული იდეის ხორცმესხმის საჭიროების გაცნობიერებაა. ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის ყველა ეტაპისთვის ნიშანდობლივი კავშირი პიროვნულობასა და უნივერსალური ნამდვილობის მქონე ბუნებით კანონს შორის სწორედ ამ აზროვნებაში იბადება, რომელსაც სწამს, რომ ძლევამოსილი და ღვთაებრივი პრინციპი ყოველ ცოცხალშია დაბუდებული, ის მყოფობს „თვით წუმპეში, მატლებსა და დამნაშავეებში“.⁹¹ ბუნებითი სამართალი და მისი გონების მეშვეობით განჭვრეტადი ბუნებრივი, სწორი ნორმათა წესრიგი, სტოიკოსთა ინტერპრეტაციით, გახლავთ როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების მომცველი, საყოველთაო, მთელი კაცობრიობის მავალელები სამყაროსეული კანონის კონკრეტიზება.⁹²

შემოდის ადამიანის ბუნებიდან მომდინარე მორალური მოვალეობის იდეა: ყოველი კაცი, ვისაც პრეტენზია აქვს იმაზე, რომ ცხოველისგან განსხვავდება, ვალდებულია საკუთარ თავში გონება გამოაღვიძოს, ვინაიდან ადამიანურ საწყისთაგან მხოლოდ გონება შეესატყვისება მსოფლიო გონს და მაშასადამე, ამ გზით შეცნობილს აქვს ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის ქონის უფლება. რაც შეეხება ადამიანის თავისუფლებას, ისინი მას განიხილავენ არა უბრალო ნებელობად, არამედ იმად, რაც გონებით არის ნაკარნახები. მდიდარი პატრიცი ან მეფე, თუ ის საკუთარ აფექტურ ბუნებას მისდევს, მონად უნდა მივიჩნიოთ და არა თავისუფლად. თავისუფლება ეს

⁹⁰ Klaus-Gert Lutterbeck, „Pufendorfs Unterscheidung von physischem und moralischem Sein und seine politische Theorie“, *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf*, Dieter Hüning (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009. გვ. 29.

⁹¹ ირაკლი თაბორიძე, „ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში“, *ქართული სამართლის მიმოხილვა GEPLAC 2004*. გვ. 114.

⁹² Wilhelm Weischedel, *Die philosophische Hintertreppe*, dtv, München, 2002, გვ. 66.

არის ღვთაებრივი წესრიგის ნებაყოფლობითი მორჩილება.⁹³ სტოიკოსებს სჯერათ, რომ არსებობს ზნეობრივი კანონი, უმაღლესი გონის მოთხოვნის სახით, რომელიც მიგვითითებს იმაზე, თუ რა არის საკეთებელი და რისი კეთება არ შეიძლება – ეს არის თითოეულ კაცში არსებული ცხოველმყოფელი დემონის ხმა, რომელიც სამყაროს მბრძანებლის ხმას ექოსავით იმეორებს. arete-ს (სათნოების) არსს ამ ღვთაებრივი პრინციპისადმი დაქვემდებარება შეადგენს.⁹⁴

ანალოგია ამ რწმენასთან პუფენდორფის შეხედულებისა, რომ ქმედებები მორალური კანონის გარეშე თავისთავად არც კარგია და არც ცუდი, პირდაპირ იკვეთება.

რწმენა იმისა, რომ ადამიანურ რაციოს აქვს უნარი სამყაროს განმსჭვალავი ბუნებითი კანონის წვდომის, პრაქტიკულად გაზიარებულია პუფენდორფის მიერაც, იმ დათქმით, რომ ბუნებითი კანონის პირველ წყაროდ და საბოლოო მასშტაბად მას პიროვნული ღმერთი ეგულება, ხოლო ინდივიდუალურთან მიმართებაში ადამიანის სოციალური ბუნება პრევალირებს, რომელიც მისთვის გამოსახულია *ყოფნისა და უნდას* ანთროპოლოგიური ერთიანობით.⁹⁵ ამ ასპექტის მნიშვნელობას თავად პუფენდორფისთვის ხაზს უსვამს მის მიერ კრიტიკული ხსენება სტოიკოსთა რწმენის, როდესაც ის არგუმენტირებს ღმერთამდე კეთილისა და ბოროტის არსებობის საწინააღმდეგოდ. ის ამბობს, რომ თუ ასეთ რამეს დავუშვებდით, მაშინ უნდა გაგვეზიარებინა სტოიკოსთა რწმენა, რომლის მიხედვითაც არსებობს საგნის ფორმათა განმსაზღვრელი ღმერთამდელი ან ღმერთთან ერთად პარალელურად არსებული სინამდვილე, რაც სამყაროში პირველობაზე ღმერთის მეტოქის არსებობის დაშვება იქნებოდა.⁹⁶

სტოიკოსთა პიროვნული იდეალი განასახიერებს ბრძენკაცს, რომელიც ფლობს *ატარაქსიას* (აუმღვრევლობას), ისწრაფვის *აუთარკიისკენ* (თვითკმარობისკენ), რაც

⁹³ Wilhelm Weischedel, Die philosophische Hintertreppe, dtv, München, 2002, გვ. 68.

⁹⁴ Ernst Bloch, Naturrecht und menschliche Würde, 3. Aufl., Frankfurt M., 1999, გვ. 27-29.

⁹⁵ Renata Rapp Wagner, Joachim Höfele, Moritz Nestor, Naturrecht als Grundlage für ein friedliches und gerechtes Zusammenleben der Menschen. <https://naturrecht.ch/das-naturrecht-als-grundlage-fuer-ein-friedliches-und-gerechtes-zusammenleben-der-menschen/>.

⁹⁶ Fiammetta Palladini, Pufendorf and Stoicism, გვ. 248, https://books.google.de/books?id=47i-A7j9dTQC&pg=PA245&lpg=PA245&dq=Pufendorf+and+Stoicism+Fiammetta+P&source=bl&ots=KbhGSGg9i&sig=X5Q65V2U-%20eboXB5KFReit4B7064&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwJR_tjer4bMAhWCjg8KHx4LB_AQ6AEIHDA#v=onepage&q=Pufendorf%20and%20Stoicism%20Fiammetta%20P&f=false.

მთლიანობაში ქმნის მისთვის *ევდამონიის* (სვებედნიერების) საწინდარს. ამ იდეალში ადამიანთა განსხვავებული სოციალური მდგომარეობა ნაკლებად არის აქცენტირებული და პრინციპში ნებისმიერი სოციალური წრის ადამიანისთვის მიღწევად ამოცანას წარმოადგენს.

ბუნების შესატყვისი ცხოვრების პრინციპის შემდეგ, სტოიკოსთა დოქტრინაში მოდის *საერთო აზრების* პოსტულატი. საუბარია იმ აზრებზე, რომლებიც ჩვენი აზროვნების განსაკუთრებული უნარის მეშვეობით გამოცდილებიდან ყველას მიერ ერთნაირად მიიღება. ისინი ქმნიან არა მხოლოდ არსებით ურთიერთშეთანხმებულობას ადამიანებსა და ხალხებს შორის (შესაძლებელია პარალელის გავლება consensus gentium-ის გროციუსისეულ კონცეფციასთან), არამედ მათშია მოცემული ყველაზე ზუსტი ჭეშმარიტებაც იმდენად, რამდენადაც ისინი ბუნებრივი აუცილებლობით მიმდინარეობენ. იურიდიული ჭეშმარიტება, ყველა სხვა ჭეშმარიტების მსგავსად, „ელვისებური წარმოდგენის ფორმით გვეძლევა“, ე.ი. ისეთის, რომელსაც გონება უშუალოდ სწვდება, ისევე როგორც პირიქით – ობიექტი გონებას, ისე, რომ უკანასკნელი პირველს დაემთხვეს. ამიტომ ჭეშმარიტი ცხოვრების, ჭეშმარიტი სამართლისა და შემეცნების უმაღლესი კრიტერიუმები კოსმომორფულია, ანუ მსოფლიო გონში წილის მქონეა. აუთარკიის ნიმუშს სამყარო თავის სისავსეში ქმნის, რამეთუ მას ყოველივე, რაც სჭირდება, თავის თავში აქვს.⁹⁷

სამყარო და მისი რაციონალურ-თვითმიზნური, ყოველივეს შემაკავშირებელი კანონი, *ananke*, არ იწყნარებს ლოკალურ წყვეტას, არც საზღვრებს. გონისმიერი კანონი არის თავად ზევისი. მაშასადამე, იგივეობა *lex naturae*, *lex divina* სამყაროს იმანენტურად რჩება. კოსმომორფული (არა კოსმიური, არა უშუალოდ ღმერთისგან მიღებული) არ ითხოვს ტრანსცენდენტურ კანონმდებელს ან რაიმე ისეთ მცნებათა დაცვას, რომლებიც თავად სამყაროს კანონში არ იყოს ჩადებული.

სტოიკოსთა მოძღვრებები არ არის წინააღმდეგობისგან თავისუფალი. წინააღმდეგობრივ სურათს ვხედავთ მაგალითად სამყაროს შესახებ კონცეფციებში, რომელთაგან ერთი ბრძენთა დამოუკიდებლობის, მეორე კი უნივერსალური აუცილებლობის ძალის იდეას ეფუძნება. იგივე სიტუაციაა პოლიტიკასთან მიმართებაშიც: სტოიციზმი რესპუბლიკასა და მონარქიას თანმიმდევრობით,

⁹⁷ Arthur Kaufmann, Winfried Hassemer, *Problemgeschichte der Rechtsphilosophie, Einführung in Rechtsphilosophie und Rechtstheorie der Gegenwart*, 6. Aufl., Heidelberg, 1994, გვ. 46-48.

ერთნაირი გულმოდგინებით იცავს. ერთმანეთის პარალელურად ასაბუთებს ადამიანურ მიუმხრობლობასა და *მიწიერი ზევსის* მორჩილებას იმ იმედით, რომ იგი სამყაროს ზევსთან ურთიერთგაგებაში იმყოფება (მსგავს პოზიციას ვხვდებით ჰობსის *მოკვდავი ღმერთის* შემთხვევაშიც).

თუმცა სტოიკოსთა მოძღვრებებისთვის დამახასიათებელი გარკვეული ეკლექტიურობა ვერ გადაფარავს იმ უექველ გარემოებას, რისი მეშვეობითაც მან დროში ბევრად გვიანდელი მოვლენა – ქრისტიანული რელატივისტური ბუნებითი სამართალი, მისი კონფორმისტული, ბატონ-ყმობის ბუნებით-სამართლებრივ კონტექსტში მალეგეტიმირებული ფილოსოფიით, არსობრივად უკან მოიტოვა – საუბარია სტოიციზმის მიერ მონობის, როგორც ბუნების საწინააღმდეგო მოვლენის დაგმოებაზე.⁹⁸

შეიძლება ითქვას, რომ ბუნებითი სამართლისთვის რელევანტურობის თვალსაზრისით, თავის ანტიკურ წინამორბედთაგან ყველაზე გამორჩეული იდეური კავშირი პუფენდორფს ციცერონთან აქვს, რომელიც თავის მხრივ, როგორც იურისტი და ბერძნული ენიდან ლათინურზე ცნობილი მთარგმნელი, ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და საკანონმდებლო აქტების რეცეფციის საფუძველზე შექმნილი რომაული სამართლის უფრო სიღრმისეულ დასაბუთებას ცდილობდა წყაროების შესწავლის მეშვეობით. ტერმინ *res publica*-ს (საჯარო საქმე) ავტორთან პუფენდორფის სიახლოვეს ეს მულტიდისციპლინურობაც აძლიერებს. არ არის უკანასკნელი მნიშვნელობის პუფენდორფის კომპენდიუმის *De officio hominis et civis juxta legis naturalis*-ისა და ციცერონის ნაშრომის *De officiis* სახელწოდებათა მსგავსებაც, სადაც ძირითადი აქცენტი მოვალეობის მნიშვნელობაზეა დასმული, მიუხედავად იმისა,⁹⁹ რომ ციცერონის ეს თხზულება საკუთარი ვაჟიშვილისადმი ადრესირებულ მორალურ-ეთიკური დარიგებების ხასიათს ატარებს, *civita romana*-ს ღირსეულ წევრად მის ჩამოსაყალიბებლად.

ციცერონი საზოგადოების გაჩენის პირველმიზეზებად ასახელებს ყველაფერ იმას, რაც განსაკუთრებით გვიანდელი პუფენდორფის ინტერესის სფეროდ და მის მიერ დამუშავებულ საკვანძო ცნებებად გვევლინება: ადამიანის გონება, მეტყველების

⁹⁸ Arthur Kaufmann, Winfried Hassemer, *Problemgeschichte der Rechtsphilosophie, Einführung in Rechtsphilosophie und Rechtstheorie der Gegenwart*, 6. Aufl., 1994, Heidelberg, გვ. 461.

⁹⁹ Ottman, H. *Geschichte des politischen Denkens*, 2/1 Die Römer, J.B. Metzler, Stuttgart-Weimar, 2002. გვ. 99.

უნარი, კომუნიკაციის მოთხოვნილება; სახელმწიფოს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საფუძველი, საკუთრების ორგანიზაციული დაცვის სურვილი.

რაც შეეხება ადამიანის ღირსების ფენომენს, მისი შეხედულება ამ საკითხზე უფრო კომპლექსურია, ვიდრე ისტორიის მოცემულ მონაკვეთში მცხოვრებ მოაზროვნეებზე გავრცელებული სტერეოტიპული წარმოდგენის საფუძველზე შეიძლებოდა გვეფიქრა. Dignitas-ს ორმაგი მნიშვნელობა აქვს: პირველი – ეს არის ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობის მაჩვენებელი, ხოლო მეორე, ადამიანის ბუნების გამოხატულება. სახელმწიფოს შესახებ მის მოძღვრებაში, რომელიც შერეული ტიპის მმართველობის ფორმას ანიჭებს უპირატესობას, ამგვარი ორმაგობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს წილი აღმასრულებელ ხელისუფლებაში და მისი ეს წილი dignitas-ის მიხედვით უნდა დადგინდეს. ამ შემთხვევაში ციცერონი გულისხმობს ისეთი ღირსების ხარისხს, რომელიც პირის პროფესიული ვარგისიანობისა და პასუხისმგებელი ცნობიერების არსებობით განისაზღვრება, ე. ი. რომელიც ერთს ღირსების მატარებლად მიიჩნევს, სხვას კი არა. და რაც ყველაზე მეტად საინტერესო უნდა ყოფილიყო პუფენდორფისთვის ციცერონის სოციალ-პოლიტიკურ დოქტრინაში, ეს გახლავთ ამ უკანასკნელის მიერ შემოთავაზებული, როგორც ინდივიდთან, ისე ადამიანთან ერთობასთან ერთნაირად დაკავშირებული კონცეპტუალური ფორმულა: *cum dignitate otium*, რომელიც ქართულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც ღირსებით შენარჩუნებული საზოგადოებრივი სიმშვიდე, რომელიც ამ უკანასკნელმა რომაული რესპუბლიკის კრიზისის პერიოდში საგადოების პოლარიზაციის დასაძლევად შეიმუშავა.¹⁰⁰

თუმცა იგივე ციცერონი, რომელიც ცდილობს ოპტიმატების ცნების მაქსიმალურ განვრცობას საზოგადოების სხვადასხვა ფენაზე, განსხვავებით რომაელ სტოიკოსთა წარმომადგენლების უმეტესობისგან, ამართლებს მონობას და არისტოტელეს მსგავსად აცხადებს მას აუცილებლობად, გამომდინარე იქიდან, რომ გარკვეული სამუშაოს შესრულება თავისუფალი მოქალაქისთვის უღირსი საქმე იქნებოდა. ღირსეული ცხოვრების საწინდარია თავისუფლება, უსაფრთხოება და საკუთრება.

¹⁰⁰ Henning Ottmann, Geschichte des politischen Denkens, 2/1 Die Römer, J.B. Metzler, Stuttgart-Weimar, 2002, გვ. 89-90.

ციცერონისთვის ოპტიმალური მმართველობის შერეული მოდელის შესაბამისად, სახელმწიფოში სასურველი იქნებოდა, რაიმე გამორჩეულისა და მეფურის ქონა, ასევე უმჯობესი იქნებოდა, ძალაუფლების ნაწილი „პირველ კაცთა“ ავტორიტეტისთვის გადაგვებარებინა, ხოლო გარკვეული საქმეების მოგვარება ხალხის ნებით მომხდარიყო. მმართველობის სამივე მარტივი ფორმის ელემენტი ერთმანეთს უნდა ავსებდეს. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ კონსულთა მიერ განსახიერებული მონარქიის, სენატის ფორმით არსებული არისტოკრატიითა და სახალხო კრების, ასევე სახალხო ტრიბუნატის სახით გამოხატული დემოკრატიის მეშვეობით მმართველობის სრულყოფილი ფორმა მივიღოთ. ხელისუფლების ამ ნაწილებს თანაბარი წონა უნდა ჰქონდეთ.

ციცერონის აზროვნება შეიძლება მივიჩნიოთ პუფენდორფის წინამორბედ ჰარნომიულ სინთეზად იურისტისა და ფილოსოფოსის; მან, პლატონის მსგავსად, ჯერ დაწერა *De republica - რესპუბლიკის შესახებ* (ქრისტეს შობიდან, 51 წ.) შემდეგ: *De legibus - კანონთა შესახებ* (ქრისტეს შობიდან 53 წ.), ხოლო ამ უკანასკნელში ჩამოაყალიბა იურიდიული ლოგიკის შესაბამისად ფორმულირებული ცნება ბუნებითი სამართლისა, რომელიც თავისი სულით სტოიკურია: „ჭეშმარიტი კანონი ე.ი. ბუნების შესატყვისი, გონიერი, მუდმივი და მყარი დებულება, რომელიც ვრცელდება ყველა ადამიანზე და მოუწოდებს მას მისი მოვალეობის შესრულებისაკენ; უბრძანებს დანაშაულზე ხელის აღებას, თუმცა მაშინ, როდესაც ამის საჭიროება არ არის, ის პატიოსან ადამიანს არაფერს უბრძანებს და არაფერს უკრძალავს. ასეთი კანონის სრული ან ნაწილობრივი აკრძალვა მკრეხელობაა; დაუშვებელია მისი მოქმედების რაიმე სახით შეზღუდვაც კი. მისი სრული გაუქმება შეუძლებელია და ჩვენ, ვერც სენატის დადგენილებით და ვერც ხალხის კანონით ვერ გავაუქმებთ მას.“

მაშასადამე, ციცერონი აცხადებს, რომ ჭეშმარიტი კანონი *lex vera*, არის უმაღლესი, ბუნებრივად ადამიანის გონებასა და წიაღში ფესვგადგუმული რამ, რომელიც მას სწორად მოქმედებას უთითებს და არსასწორად მოქმედებას უკრძალავს. ვინც გონების კანონს არ ემორჩილება, არის „ლტოლვილი საკუთარი თავისგან“. ციცერონი ამგვარად - გონებაზე დამყარებული კანონისა და პროცედურისთვის ახლებური მნიშვნელობის მინიჭებით, გარკვეულ

რელატივიზაციას ახდენს პლატონის იდეისა სრულქმნილი მმართველის, მეფე ფილოსოფოსის შესახებ, ისე, რომ ბოლომდე არ უარყოფს მას.¹⁰¹

ბუნებით კანონში შემდეგ მოთხოვნებს მოიაზრებს: ზიანის მიუყენებლობას; თუ არ არსებობს უსამართლო პროვოცირება, სხვისი საკუთრების ხელშეუხებლობას; საერთო საკუთრების საზოგადო, ხოლო კერძო საკუთრების პირადი მოხმარების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

ისტორიულად ცვალებად კანონებზე მაღლა მდგომი ბუნებითი სამართალი ციცერონისთვის არის სამართლიანობის კრიტერიუმი პოზიტიური სამართლისთვის. ის კომენტარს უკეთებს მის თანამედროვე რამოდენიმე კანონს და ახდენს მათ კვალიფიკაციას როგორც ბუნებით კანონთან წინააღმდეგობრივის. ასეთად იგი მიიჩნევს მაგალითად ქრ. შობამდე 82 წელს მომხდარ ფაქტს, სულასთვის კანონის საფუძველზე რომის მოქალაქეთათვის სიკვდილის მისჯის უფლების მინიჭებას.

ძალაში შესული კანონის ასეთი ფორმით კრიტიკული კვალიფიკაციის მეშვეობით ციცერონი ქმნის უმნიშვნელოვანეს პრეცედენტს ბუნებით სამართალთან შეუსაბამო კანონის მანკიერი იურიდიული სინამდვილის აღქმის და მისი უსამართლოდ გამოცხადებისა. ამ პრეცედენტის მნიშვნელობა დიდია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სამართალის მეცნიერებაში პოზიტივიზმის დომინირების შემდგომ, სამართალთან შეუსაბამო კანონის ფენომენის სიღრმისეულ გაცნობიერებას, მე-20 საუკუნეში ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი მასიური დანაშაულებით გამოწვეული საყოველთაო შოკი დასჭირდა.

თუ პუფენდორფის აზროვნების ძირითადი ამოსავალი დებულებების შეფასებისას გამოვალთ იმ დაშვებიდან, რომ იგი სტოიკოსთა *სამყაროს* ერთგვარ რედუცირებას ახდენს მსოფლიო ადამიანურ საზოგადოებაზე, მაშინ პირდაპირი პარალელის გავლება რთული აღარ იქნება, ვინაიდან პუფენდორფის მიერ ეთიკური თვალსაზრისით უნივერსალისტურად გაგებული ცალკეული ადამიანი, მისი არა მხოლოდ მატერიალური, არამედ სოციალური განვითარების თვალსაზრისითაც არის საკაცობრიო უნივერსუმის განუყოფელი ნაწილი და ყოველმხრივ დამოკიდებული მთელზე, რაც დამაჯერებელი ფორმით გადმოიცა კიდევ socialitas-ის შესახებ სწავლებით.

¹⁰¹ Henning Ottman, Geschichte des politischen Denkens, 2/1 Die Römer, J.B. Metzler, Stuttgart-Weimar, 2002. V Cicero, <<De legibus>>, გვ. 113-118.

სტოიკოსები კაცობრიობის სააზროვნო ისტორიაში ამკვიდრებენ ცალკეული ადამიანის, როგორც სამყაროს ნაწილის იდენტობას და აქედან გამომდინარე - კოსმოპოლიტურ ეთიკას; პუფენდორფი ამკვიდრებს ყველა გონიერი არსებისთვის მართებული გონებით („უმაღლესი მნიშვნელობით, როგორც საგნების ცნებათა კომბინაციით იმაზე უფრო მაღალი ჭეშმარიტების დადგენის უნარის მქონესი, ვიდრე იმ ჭეშმარიტებებისა, რომლებიც ფაქტების ანალიზით შეიძლება გავიგოთ“¹⁰²) საწვდომ ბუნებით-სამართლებრივ იდენტობას, რაც გულისხმობს ადამიანთა, როგორც თანაბარი ღირსებისა და ერთნაირი უსუსურობით (მათ შორის თანდაყოლილი სიბოროტით, რაც მას აძლევს საშუალებას გაიხაროს სხვისთვის მინიჭებული მაქსიმალური ზიანით),¹⁰³ აგრეთვე სამეტყველო ენითა და მოაზროვნე გონებით გამორჩეული არსებების მიერ ამქვეყნიური ყოფნის, როგორც ერთმანეთზე ეგზისტენციურად დამოკიდებული მოცემულობის თვითშეგნებას და ამის საფუძველზე, სოციაბელურობის აღიარებას უმთავრეს გონებისმიერ მოდუს ვივენდიდ.

პუფენდორფი ასევე ახლოსაა ყველა ადამიანის ბუნებისმიერ ძმობაზე აქცენტირებულ გაგებასთან ადამიანის ღირსებისა, რომელიც საგრძნობლად განსხვავდებოდა რომაული სამართლის *dignitas*-ის გაგებისგან, რაც იმ დროის საზოგადოებაში დამკვიდრებული რანგირების ანარეკლს წარმოადგენდა.* უფრო მეტიც, პუფენდორფი ახორციელებს ამ იდეის შემდგომ ჰუმანისტურ-სამართლებრივ განვითარებას, რაც გულისხმობს ადამიანის ღირსების მოაზრებას, როგორც ადამიანის ზნეობრივ თავისუფლებაში დაფუძნებული ფენომენის, რითიც იძლევა

¹⁰² გურამ თევზაძე, ახალი ფილოსოფიის ისტორია, ნაწილი I, გამომცემლობა CARPE DIEM, თბილისი, 2010, გვ. 336.

¹⁰³ Klaus-Gert Lutterbeck, Pufendorfs Unterscheidung von physischem und moralischem Sein und seine politische Theorie, in Dieter Hüning (Hrsg.), *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf*, Nomos, Baden-Baden, 2009, გვ. 27.

* ამასთან მნიშვნელოვანია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ არც სტოიკოსთა, არც პიკო დელა მირანდოლას (ადამიანის ღირსება, როგორც უპირატესობა სხვა ქმნილებებთან გამოხატული მის დაუსრულებლობაში, ვისაც „შეუძლია გახდეს ის, რაც სურს“) და არც თავად პუფენდორფის ინტერპრეტაცია ადამიანის ღირსების, არ არის იდენტური ადამიანის ღირსების თანამედროვე გაგების, რომელიც უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე თავად ადამიანის უფლებათა ცნება და მის გამოკვეთას წინ უძღოდა ის პოლიტიკურ-მორალური კატასტროფა, რასაც მე-20 საუკუნეში ჰქონდა ადგილი. ამასთან დაკავშირებით, იხ. თეო კობუში „ადამიანის ღირსება“, კრებულში სახელმწიფო და რელიგია, აწს-ს გამომცემლობა, ქუთაისი, 2017 წ.

პირველ იმპულსს იმ დინამიკისკენ ადამიანის უფლებათა აღიარებისა, რასაც მის შემდგომ ეპოქაში მე-18 საუკუნეში ჰქონდა ადგილი.

მოკლედ თუ შევაჯამებთ პუფენდორფის რომაელ სტოიკოსთა მოძღვრებასთან მიმართების საკითხს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად პუფენდორფის მიერ ცალკეული სტოიკური სწავლებების მიუღებლობისა, მაგ. რელიგიური წარმოდგენების, ის აფასებს სტოიკოსთა მიერ გაწეულ ღვაწლს ბუნებითი სამართლის კვლევა-ძიების ადრეულ ეტაპზე და ხედავს მათში მისთვის ყველაზე ახლობელი სოციალიზაციის თვისებისა და ადამიანის საკუთარ ბუნებასთან თანხმობაში ცხოვრების იდეების წყაროს.¹⁰⁴

სტოიკოსებთან ეს იდეა შედარებით მარტივი ფორმით იყო წარმოდგენილი, გულისხმობდა რა ადამიანებისა და ცხოველების ბუნებრივ მიდრეკილებას თვითგადარჩენისა და შთამომავლობის დატოვებისკენ, და ამ ფონზე ადამიანის განსაკუთრებულ გონებრივ უნარს მოვლენების მიზეზთა წვდომისა და მომავლის პროგნოზირებისა, რასაც თან ახლავს სურვილი თავის მსგავსებთან რაციონალურად ორგანიზებულ საზოგადოებებში გაერთიანებისა. ამ ბუნებრივი მიდრეკილების მიყოლა იგულისხმება ციცერონის სიტყვებში, რომ „ბუნებასთან თანხმობაში ცხოვრება გონივრულია.“

ადრეული ახალი დროის მოაზროვნეებმა და მათ შორის სამეულ პუფენდორფმა, სტოიკოსთა თეორიებში უკვე არსებულ ამ ძირითად ბუნებით-სამართლებრივ იდეებს შესძინეს სისტემურობა და შესატყვისი თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით ჩართეს ისინი ახლად ფეხადგმული მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ასე მაგალითად - არსებითად რომაული სტოიციზმის წარმომავლობის მქონეა გროციუსის მიერ მისი *De jure-ს prolegomena*-ში (შესავალში) მოცემული რაციონალური ბუნებითი სამართლის საფუძველმდებარე აზრი: *ადამიანთა მახასიათებელია მისწრაფება იცხოვრონ მშვიდობიან და გონების საფუძველზე ორგანიზებულ საზოგადოებაში, მათი გვარეობის დანარჩენ წევრებთან ერთად.* ¹⁰⁵ ანალოგიურად: ციცერონის *De officiis*-ში (მოვალეობათა შესახებ, III, 15) მოცემული

¹⁰⁴ Kari Staatsamoinen, Pufendorf and the Stoic Model of Natural Law, გვ. 259.

¹⁰⁵ Kari Staatsamoinen, Pufendorf and the Stoic Model of Natural Law, გვ. 259.

მაქსიმა: „საქმიანი შეთანხმებების დროს ნებისმიერი სიცრუე უნდა გამოირიცხოს“¹⁰⁶ იძლევა პირდაპირი პარალელის გავლების შესაძლებლობას ჰუგო გროციუსის ბუნებითი სამართლის მოძღვრების ცნობილ ფუძემდებლურ პრინციპთან: *pacta sunt servanda* (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს).

b) კრიტიკული მიმართება სქოლასტიკურ არისტოტელიზმთან (თომისტური ბუნებითი სამართლის სისტემასთან)

პუფენდორფის მიერ გაწეულ ბუნებითი სამართლის სისტემატიზაციას, თან ახლდა ამ უკანასკნელის ფუძემდებლური წანამძღვრების არსებითად განსხვავებული, ახლებური კონსტელაცია, რამაც როგორც საკუთარი, ისე მისი უშუალო მოწაფეების შეფასებით ნათელი გახადა მოდერნული ბუნებითი სამართლის ეპოქალური გაყრა ქრისტიანულ ბუნებით სამართალთან. ის დისტანცირებს არისტოტელესა და არისტოტელიზმის პოლიტიკური ფილოსოფიისგან, მათ შორის სიქველეთა შესახებ მოძღვრების საგრძნობი ნაწილის კრიტიკით. ამ უკანასკნელში, პუფენდორფის აზრით, ბერძნული რესპუბლიკების მოქალაქეთა ლტოლვა ძალაუფლებისა და განდიდებისკენ წარმოჩენილია, როგორც ბუნებრივი სიქველეები, ხოლო თავისუფლება განმარტებულია, როგორც მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლება. სამაგიეროდ იზიარებს სიქველეთა შესახებ მოძღვრების იმ ასპექტს, რაც მას ესაჭიროება ბუნებითი კანონის მიყოლის ჩვევის შეძენილი მიდრეკილების წარმოსადგენად, როგორც ადამიანში იმთავითვე ჩადებული ტელოსის ნაწილის.¹⁰⁷

ამ ინოვაციათა და მორალური ფილოსოფიის არისტოტელისეულ ტრადიციასთან დისტანცირების ნაწილია ის მსჯელობა, რაც ჩვენთვის საინტერესო ავტორს გადმოცემული აქვს უკვე თავისი პირველი ბუნებით-სამართლებრივი ნაშრომის *Elementia jurisprudentiae naturalis*-ის შესავალში. ეს არის მისი გამოსვლა

¹⁰⁶ Gerald Hartung „Vertragstheorie und Konstruktion der Souveränität bei Samuel Pufendorf, in Dieter Hüning (Hrsg.), Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf, Nomos, Baden-Baden, 2009.

¹⁰⁷ Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, in Helmut Holzney (Hrsgb.), DIE PHILOSOPHIE DES 17. JAHRHUNDERTS: BAND 4 / 1-2: DAS HEILIGE RÖMISCHE REICH DEUTSCHER NATION. NORD- UND OSTMITTELEUROPA, Schwabe & CO AG Verlag, Basel 2001, გვ. 796.

არისტოტელიზმის პრაქტიკული ფილოსოფიის კრიტიკით, კერძოდ იმ გაგებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ნორმათა შემეცნებას, როგორც ინტელექტუალურ მოძღვრებას, გააჩნია მხოლოდ არაზუსტი ხასიათი. ამის საპირისპიროდ და ბუნებითი სამართლის მეცნიერული დაფუძნების ამბიციით, სამუელი ამტკიცებს, რომ სამართლის შესახებ მოძღვრება მეცნიერებაა, რამეთუ ადამიანური ქმედებები, ისევე როგორც ადამიანის ბუნება კონტინგენტურია, მაგრამ ქმედებათა მორალური ხარისხები აუცილებლობით წარმოდგებიან ამ კონტინგენტური ბუნებიდან. თეორიულ დისციპლინებში (მაგ. ნატუროფილოსოფიაში, სადაც მოცემული იყო მცდელობა პასუხი გასცემოდა კითხვას თუ რა იყო სამყაროს შექმნის მიზანი და რატომ იყო იგი მოწყობილი ასე და არა სხვაგვარად) კავშირი პრინციპებსა და კონკრეტულ შინაარსებს შორის ამიტომ რჩება უმეტესად დაფარული და მათი შეცნობა მხოლოდ გარკვეული ალბათობითაა შესაძლებელი. ამის საპირისპიროდ, პრაქტიკულ ფილოსოფიაში შესაძლებელია მცირე რაოდენობით უეჭველი პრინციპებიდან კონკრეტული ნორმების მარტივად და სარწმუნოდ გამოყვანა.¹⁰⁸ არაუკანასკნელი როლი შუა საუკუნეების ბუნებით სამართალთან გამოთხოვების საქმეში ითამაშა მტკიცების წარმართვისა და სისტემის აგების საქმეში პუფენდორფის მიერ მანამდე ჩანასახის სახით გროციუსთან და უფრო გამოკვეთილად ჰობსთან არსებულმა, შემეცნების ახალი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესატყვისი) მეთოდის გამოყენებამ. იგი მდგომარეობდა გონების ცხად პრინციპებზე აპელირებასა და მათგან კონკრეტული ნორმების გამოყვანაში (პრაქტიკული სილოგიზმი) ისე, რომ მოხერხდა პრაქტიკული ფილოსოფიის ფარგლებში უეჭველი შემეცნების სფეროს უზრუნველყოფა, რომელიც ერთის მხრივ თავისუფალი იქნებოდა არისტოტელიზმის (მისთვის დამახასიათებელი ემპირიზმით, მხოლოდ ალბათობითი ცოდნით) და გამოცხადების თეოლოგიის (თავისი ირაციონალიზმითა და ინტერპრეტაციაზე სასულიერო წოდების მონოპოლიით) იმპლიკაციებისგან, და ამავდროულად, სამართლისა და ეთიკისთვის ზეკონფესიურად მავალეხელ ნორმათა სისტემას დააფუძნებდა.¹⁰⁹

¹⁰⁸ Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, in Helmut Holzney (Hrsgb.), DIE PHILOSOPHIE DES 17. JAHRHUNDERTS: BAND 4 / 1-2: DAS HEILIGE RÖMISCHE REICH DEUTSCHER NATION. NORD- UND OSTMITTELEUROPA, Schwabe & CO AG Verlag, Basel 2001, გვ. 763.

¹⁰⁹ იქვე, გვ. 755.

ვაიგელის მათემატიკურ მეთოდზე დაყრდნობით, პუფენდორფი უარყოფს არისტოტელიზმისთვის ჩვეულ განსხვავებას პრაქტიკული დისციპლინებისთვის განკუთვნილ ანალიტიკურ მეთოდსა (მიზანი-სუბიექტი-საშუალება) და თეორიული ფილოსოფიისთვის განსაზღვრულ სინთეზურ მეთოდს შორის (დედუქციური კავშირი). მისი აზრით, არსებობს მხოლოდ ერთი მეცნიერული მეთოდი, რომელიც იწყება შესაბამის შინაარსთა და მათი სპეციფიკაციების თვალნათელი ცნებების დეფინირებით, რასაც მოსდევს საფუძველმდებარე და თვალნათელი დებულებები, როგორც ზოგადი აქსიომები, საიდანაც გამოიყვანება დაკვირვებებად წოდებული კონკრეტული შინაარსები.¹¹⁰ ამ არგუმენტაციას იმეორებს პუფენდორფი De jure-შიც და ხაზს უსვამს, რომ მის მიერ ადამიანის ბუნებიდან მომდინარედ მიჩნეული socialitas-ის კანონი აკმაყოფილებს მის მიერვე მეცნიერების კრიტერიუმად მიჩნეულ პრინციპს მათემატიკური მოდელის მიხედვით ძირითადი თეზისიდან დანასკვების უწყვეტი ჯაჭვის სახით გამოყვანისა.¹¹¹

მნიშვნელოვანი წყალგამყოფი, რაც ჩაიდო ახალი ბუნებითი სამართლის დაფუძნების შედეგად, გახლდათ მორალურ ფილოსოფიაში ორიენტირებისას სათნოებათა კატეგორიების ჩანაცვლება მოვალეობათა და უფლებათა კატეგორიებით. ბუნებითმა სამართალმა უპირველესად შეიძინა ქმედებათა სამართლიანობის (justitia actionum) მნიშვნელობა, გაემიჯნა რა ბუნებითი სამართლის, როგორც ინდივიდუალური სათნოების (justitia personarum) ძველ სქოლასტიკურ გაგებას.¹¹² შედეგად სეკულარიზებული სამართლებრივი აზროვნების კონცენტრაცია ხდება ადამიანთა ამქვეყნიური ყოფნისა და მათი თანაცხოვრების წმინდად იურიდიულ ასპექტებზე, რაც იწვევს მის დისტანცირებას რელიგიური და თეოლოგიური დასაბუთებისგან ისე, რომ თავად რელიგიური დიმენსიის დამოუკიდებელი ღირებულების დაკნინებას არ ისახავს მიზნად. თუმცა არ იქნებოდა სწორი, რომ ეს პროცესიც ერთ დღეს ცარიელ ადგილას აღმოცენებულად წარმოვიდგინოთ. მაგალითად თომას დე ვიო კაიეტანუსი (1521) ხსნის დისკუსიას და უბრუნდება თომა აქვინელის მიერ ღიად დატოვებულ კითხვას იმის შესახებ, თუ რა სამოქალაქო სამართლებრივი შედეგები აქვს პატიოსანი სიტყვის გატეხვას მაშინ, როდესაც

¹¹⁰ Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, გვ. 764.

¹¹¹ Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, გვ. 766.

¹¹² Dieter Hüning (Hrsg.), Einleitung, Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf, Nomos, Baden-Baden, 2009, გვ. 12.

ბუნებითი სამართალი ვიწრო გაგებით მხოლოდ მორალურ საზღვრებში ოპერირებს? ის ასკვნის, რომ ამგვარი დანაპირების შეუსრულებლობა იურიდიულად გასაჩივრებადი ხასიათის დარღვევა ვერ იქნება, თუ პირობის მიმღებ მხარეს რაიმე ზიანი არ მიაღება, ვინაიდან სიტყვის მიცემისა და მისი გატეხვის საკითხები სინდისის სფეროს არ სცდება. ამას ეწინააღმდეგება ლუდოვიკუს მოლინა იმ არგუმენტით, რომ მიცემული სიტყვა მის მიმცემში გაჩენილ განზრახულობას გულისხმობს და ამიტომ მავალეზე და გასაჩივრებად ხასიათს მიცემული პირობა მისი გაცხადების მომენტიდანვე იძენს.¹¹³

თავად არისტოტელესთან პუფენდორფის დამოკიდებულება, რომლის ციტირებასაც ის თავის ნაშრომებში იმდენადვე ხშირად ახდენს, როგორც სტოიკოსების, შეიძლება არაერთგვაროვანი მოგვეჩვენოს. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, მისი კრიტიკა უფრო მეტად შეეხება სქოლასტიკოსთა მიერ არისტოტელეს შეუვალ ავტორიტეტად და პუფენდორფის აზრით არასწორად ინტერპრეტაციას, ვიდრე თავად არისტოტელეს.

ის რასაც პუფენდორფი ნამდვილად აკრიტიკებს არისტოტელესთან, უფრო სწორად, რის გადალახვასაც ცდილობს, ეს არის ბერძნული პოლისის პოლიტიკიდან გამოყვანილი პარტიკულარული და სისტემის კონფორმული მორალური ფილოსოფია (არისტოტელეს პოლიტიკაში ჩამოყალიბებული ადამიანთა მკვეთრი უთანასწორობის ბუნებრივობის მტკიცება, ელინსა და ბარბაროსს, კაცსა და ქალს, ბატონსა და მონას შორის და აქედან გამომდინარე *ბუნებრივი მონობის* ცნება).

სხვა მხრივ, თავად პუფენდორფის უნივერსალური ეთიკაც კი არ არის დაცლილი არისტოტელესეული მიდგომებისგან, ვინაიდან წარმოადგენს იდეალური სამართლისა და პოლიტიკის გარკვეულ კავშირს. არისტოტელეს მორალური ფილოსოფიისგან განსხვავებით, პუფენდორფისთვის სრულიად მისაღებია მისი პოლიტიკური აზროვნების გარკვეული პოსტულატები: კერძოდ ის, რომ ორივე მათგანისთვის სახელმწიფო არ გვევლინება თვითმიზნად. პოლიტიკა განასახიერებს გამოყენებით ეთიკას იმდენად, რამდენადაც მისი გაგებით *პოლიტიკიას* (მმართველობის ფორმებიდან ყველაზე სწორ, საერთო ინტერესზე მზრუნველ, შერეულ ფორმას, დემოკრატიისა და არისტოკრატიის ელემენტებით) ფუნქციას

¹¹³ Gerald Hartung, Vertragstheorie und Konstruktion der Souveränität bei Samuel Pufendorf, in Dieter Hüning (Hrsg.), Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf, Nomos, Baden-Baden, 2009.

წარმოადგენს ადამიანების, როგორც საზოგადოებრივი არსებების გონივრული და სამართლიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფა.¹¹⁴

პუფენდორფისთვის მიუღებელია არისტოტელეს თაყვანისცემის ის ფორმა, რაც დამკვიდრებული იყო არა მხოლოდ შუა საუკუნეების სქოლასტიკურ ფილოსოფიაში, რომელსაც პუფენდორფი საერთოდ არ აღიარებდა, მიიჩნევდა რა მას არამეცნიერულად, არამედ მის თანამედროვე ლუთერან სქოლასტიკოსთა შორისაც, რომელთა მხრიდან დეკარტის ფილოსოფიის არაქრისტიანულად შერაცხვაზე ირონიულად მიანიშნებდა ხოლმე არისტოტელეს „დიდ ქრისტიანობაზე“. ¹¹⁵

ადრეული ახალი დროის აზროვნება უნდობლობას უცხადებს იმ თავდაჯერებულად კომპლექსურ და მოჩვენებითად ცხად ეპისტემოლოგიურ და მეტაფიზიკურ სურათს სამყაროსი, რითიც სქოლასტიკა ხასიათდება.¹¹⁶ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც განასხვავებს პუფენდორფის აზროვნებას გვიან არისტოტელიზმთან ესაა, ადამიანთა ბატონობის საკითხი სხვა ადამიანებზე. საუბარია არა მხოლოდ ამ პროცესის გაუმჯობესების გზების ძიებაზე, რაც შეადგენდა უწინდელი სამართლებრივი და სახელმწიფო აზროვნების მიზანს, არამედ გარკვეულ ჩანასახობრივ დონზე ამ ბატონობის ლეგიტიმაციის საჭიროების გაჩენაზე. ეს უკანასკნელი თუნდაც იქ შეგვიძლია შევნიშნოთ, სადაც პუფენდორფი სახელმწიფოს შექმნას არა ერთაქტიან ხელშეკრულებას უკავშირებს, არამედ რამოდენიმე აქტად ჰყოფს ამ პროცესს, რა დროსაც საზოგადოებად კონსოლიდირებული ადამიანთა ერთობა მას მერე, რაც დაადგენს მმართველობის მისაღებ ფორმას, დებს მეორე დამფუძნებელ ხელშეკრულებას ხელისუფალთან და შესაბამისად რჩება საზოგადოებად ამ მეორე ხელშეკრულების არ შედგომის შემთხვევაშიც.

პუფენდორფის ამ შედეგამდე მისვლა უნდა დავუკავშიროთ მის მიერ მოდერნის ბუნებითი სამართლის არსის სწორ გაგებას და მის შემდგომ ორიგინალურ განვითარებას. საქმე იმაშია, რომ ადრეული ახალი დროის ბუნებითი სამართალი გაემიჯნა ბუნებითი სამართლის ძველ ვერსიებს, როგორც დასაბუთების წყაროს

¹¹⁴ Renata Rapp Wagner, Joachim Höfele, Moritz Nestor, *Naturrecht als Grundlage für ein friedliches und gerechtes Zusammenleben der Menschen*. <https://naturrecht.ch/das-naturrecht-als-grundlage-fuer-ein-friedliches-und-gerechtes-zusammenleben-der-menschen/>.

¹¹⁵ Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, München 1972, გვ. 261.

¹¹⁶ Leonard Krieger „*The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law*, Chicago & London, The University of Chicago Press, 1965, გვ. 42.

გადმოტანით მეტაფიზიკური ინსტანციებიდან ადამიანურ გონებაში, ისე მეთოდად ახალი, სამეცნიერო რევოლუციის მიერ მოტანილი, გეომეტრიული მეთოდის ალბით. ეს უკანასკნელი მკაცრ ლოგიკურობასა და სისტემურობას გულისხმობდა და ბუნებრივია, რომ ამ ინსტრუმენტარიის გამოყენებელი ვიზიონერი იურისტი ვერც მმართველობის ფორმის საკითხს აუვლიდა გვერდს ისე, რომ ამ უკანასკნელის მალეგეტიმირებელ საწყისებამდე რედუცირების საჭიროება ვერ დაენახა და მხოლოდ მისი სრულყოფილი ფორმების პროექტირებას დასჯერებოდა. სიახლეა თავად ბუნებითი მდგომარეობის გაგების ახლებურ ფორმულირებაში და იგი მის ორ პირობით ნაწილად დიფერენციაში მდგომარეობს: ე.წ. წმინდა ბუნებით, მდგომარეობაში, სადაც ადამიანი იარსებებდა ყოველგვარი მეტაფიზიკური და ადამიანური დეტერმინანტების გარეშე და ეს მდგომარეობა წმინდა აბსტრაქციაა, მას პუფენდორფის რწმენით რეალურად არასოდეს უარსებია (ის მისთვის წარმოადგენს აბსურდამდე დაყვანის ილუსტრაციას, რათა აჩვენოს ადამიანის ბუნების სოციაბელურობა) და მეორე, მოდიფიცირებული ან შერეული ბუნებითი მდგომარეობა, რომელიც არის ადამიანთა ცხოვრება სახელმწიფომდე მდგომარეობაში, რა დროსაც ადგილი ქონდა თანამშრომლობისა და თანაცხოვრების ისეთ ფორმებს, როგორიცაა ოჯახი, და ეს მდგომარეობა ნამდვილად არსებობდა და განაგრძობს არსებობას თუნდაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ურთიერთობის სახით.¹¹⁷

მიუხედავად იმისა, რომ პუფენდორფის ბუნებითი სამართლის ფილოსოფია ცალსახად არ გამომდინარეობს ლუთერის *ორი სამეფოს შესახებ* სწავლებიდან (რაც თავის მხრივ ნეტარი ავგუსტინეს ცნობილ ნაშრომში *De civitate Dei*-ში - „ღვთის ქალაქისათვის“ ჩამოყალიბებული ხედვის გამმაფრებული რეაქტუალიზაციაა), პრემოდერნული დოქტრინებიდან მისი მაქსიმალური სიახლოვე აშკარაა სწორედ ლუთერანულ მრწამსთან, მის თეოლოგიასა და ეთიკასთან.

მრავალ საკვანძო მნიშვნელობის საკითხში პუფენდორფის ლუთერანული პოზიციონირების ნიმუშებია რელიგიისა და ფილოსოფიის მკაფიო გამოჯვნა, რომელიმეს მნიშვნელობის უგულვებელყოფის გარეშე, რელიგიის სფეროს განსაზღვრა, როგორც იმპერეციურ ხსნაზე მზრუნველი ინსტიტუტის, თეოლოგიური

¹¹⁷ Leonard Krieger, *The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law*, Chicago & London, The University of Chicago Press, 1965, გვ. 89-90.

სწავლებების მიღმა ნების თავისუფლების აქცენტირება, მეცნიერებათა ავტონომიის დადებითი შეფასება.

ამასთან, პუფენდორფი ახდენს გამოცხადებისა და გონების ლუთერანული გამიჯვნის რადიკალიზაციას, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი არ არის გაგებული ყოფნის წესრიგის ნაწილად, განსხვავებით სქოლასტიკური მეტაფიზიკისა და თეოლოგიის საფეხურეობრივი წესრიგისგან, რომლის წევრი თავად ღმერთიცაა, არამედ მხოლოდ პილიგრიმად, რომელსაც როგორც *ღმერთის მსახურს*, ამ ქვეყნად ორიენტირების უფლება აქვს, მაგრამ მის ჰარმონიაზე ხელი არ მიუწვდება. გამიჯვნა ბუნებრივი რელიგიისა დოგმატურისგან მასთან ასევე უფრო მკვეთრია, ვიდრე ლუთერანობაში ზოგადად.¹¹⁸

კლასიკური პროტესტანტული მსოფლმხედველობის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ პუფენდორფის პოსტულატები ბუნებითი კანონისა და მისგან გამომდინარე მოვალეობების უშუალოდ მოცემული ხასიათისა და ამ უკანასკნელთა მეშვეობით თითოეული ადამიანის შემოქმედთან მიმართების შესახებ, რაც სხვა დამატებით შუამავალს აღარ საჭიროებს, თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქრისტიანული ბუნებითი სამართლის დამუშავებაში ლუთერან თეოლოგებს დიდი წვლილი არ აქვთ შეტანილი და უწევდათ კათოლიკური სქოლასტიკის სააზროვნო მემკვიდრეობის აღიარება. შესაძლო ერთ-ერთი მიზეზი უშუალოდ ოცთაათწლიანი რელიგიური ომის შემდგომი ეპოქის წარმომადგენელი სამუელ პუფენდორფის ამ ტრადიციისადმი გულგრილობისა და მის მიერ სამართლის ფილოსოფიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებაში ნიშანდობლივი წვლილის შემტანი ისეთი ავტორების ფრაგმენტული მოხსენიებისა, როგორებიც არიან ესპანური გვიანი სქოლასტიკის ცნობილი წარმომადგენლები - ფრანცისკო დე ვიტორია და ფრანცისკო სუარესი, რომელთა ნააზრევსაც არცთუ იშვიათად ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის პირველ თეორიადაც მიიჩნევენ ხოლმე, სწორედ მათ კათოლიკობაში იყოს საძიებელი, მიუხედავად იმისა, რომ ერთიც და მეორეც, ისევე როგორც მთლიანად სალამანკას სკოლა, პრინციპში იმავე უნივერსალისტური სამართლიანობის იდეითა და ჰუმანისტური სულისკვეთებით იყო განმსჭვალული,

¹¹⁸ Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, გვ. 797.

რითაც თავად პუფენდორფი¹¹⁹. თუმცა არის სხვა უფრო მეტად არსობრივი ხასიათის ნიუანსებიც, რომელთა გასაგებადაც სწორი სამყაროსეული სურათის ფლობის პრეტენზიით გამორჩეული ქრისტიანული ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის ძირითადი პოსტულატებისა და თავისებურებების მხედველობაში ქონა გვესაჭიროება. ეს აგრეთვე დაგვეხმარება იმ ახალი ათვლის წერტილის უკეთ გაგებაში, რაც შექმნა მოდერნულმა ბუნებითმა სამართალმა.

თომისტური ბუნებითი სამართლის სისტემა გახლავთ რომის კათოლიკური ეკლესიის იმ პერიოდში გაჩენილი ინტელექტუალური კონსტრუქცია, როდესაც იგი იქცა სოლიდური პოლიტიკური და ფინანსური ძალაუფლების ცენტრად ევროპაში.

ამკარად იკვეთება საჭიროება მისი ინტერესების შესატყვისი მოქნილი ბუნებითი სამართლის ფორმულირებისა.¹²⁰ ამ ამოცანას წარმატებით ართმევს თავს კათოლიკური ეკლესიის მიერ Philosophia Christiana-ს დამფუძნებლად აღიარებული თომა აქვინელი (დაახ. 1225-1274), რომლის მოძღვრებაც საეკლესიო სწავლების რანგში იქნა აყვანილი. იგი ახდენს სტოიკოსთა ბუნებითი სამართლის იდეისა და ადამიანის სრულყოფის ქრისტიანულ-არისტოტელისტური ტელოსის იდეის შეჯერებას.¹²¹

ამ ეპოქაში თეოლოგიური აზროვნება სამყაროს უკვე არა ნათელ და ბნელ ნაწილებად ყოფს, როგორც მანამდე აკეთებდა, არამედ სამად, ზნეობრივსა და ანტიზნეობრივს შორის, ღმერთის დაშვებით არსებობს ბუნებრივიც. ახალი სწავლების შედეგად, რეალური, მიწიერი ცხოვრების სფერო, იძენს უფლებას თავის საკუთარ, საპატიო ადგილზე, ხოლო მიწიერი ფასეულობები სიწმინდის რანგში ადის და ეკლესია, რომელიც სახელმწიფო საქმეებში მოურიდებლად ერევა, ქმნის სახელმწიფო და სამოქალაქო ცხოვრებისათვის სავალდებულო, რელიგიურად დამუხტულ დღის წესრიგს.

¹¹⁹ ვიტორიამ ესპანელ და პორტუგალიელ კონკისკადორთა მცდელობას ინდიელთა გენოციდი გაემართლებინათ იმ არგუმენტით, თითქოს ისინი, როგორც მოუნათლავები სამართლის სუბიექტად არ განიხილებოდნენ, უპასუხა წმინდად ბუნებით-სამართლებრივ საფუძველზე, რომ *ყველა ადამიანი თავისი ბუნებით არსებითად თანასწორი და თავისუფალია*, ხოლო მისმა მოწაფემ, სუარესმა შეძლო ინდიელთათვის მათი მიწით სარგებლობის უფლების ბუნებით-სამართლებრივად დასაბუთება და პრაქტიკული მოპოვება. იხ. Moritz Nestor, Friede herrscht nicht, er muss gestiftet werden. <https://naturrecht.ch/>

¹²⁰ Ernst Bloch, Naturrecht und menschliche Würde, 3. Aufl., Frankfurt M., 1999, გვ. 34.

¹²¹ Kari Staatsmoinen, Pufendorf and the Stoic Model of Natural Law, გვ. 259.

განვითარებული სქოლასტიკა კვლავაც ობიექტივიზმისა და სუბსტანციური ონტოლოგიის ხანაა. პრაქტიკულ ფილოსოფიაში შუა საუკუნეების მანძილზე შექმნილი ყველაზე ანგარიშგასაწევი ნაშრომის - Summa theologiae-ს ავტორის, თომა აქვინელის შეხედულებით ადამიანს, საკუთარი ინტელექტით, ხშირად არაადეკვატურად და ნაკლულად, მაგრამ მაინც ხელეწიფება ყოფნის შეცნობა მის ფასეულობაში (არისტოტელეს მსგავსად, აქაც ფასეულობა განუყოფელია სინამდვილისგან). ამიტომ ყოველ კონკრეტულ დროსა და ვითარებასთან დაკავშირებულ გარემოებასთან მიმართებაში, საჭიროა პოზიტიური კანონის მეშვეობით დადგინდეს, თუ რა ჩაითვალოს მისაღებად. იგი ნეტარი ავგუსტინეს მიერ ღიად დატოვებულ კითხვას იმის შესახებ lex aeterna, მარადიული სამყაროსეული კანონი, დაკავშირებულია ღმერთის ინტელექტთან თუ მის ნებასთან, პირველის სასარგებლოდ პასუხობს. Lex aeterna-ს შესახებ ადამიანი ღმერთის მცნებათა და გამოცხადების მეშვეობით (Lex Divina) შეიტყობს, ხოლო ბუნებით სამართალს (Lex naturalis) საკუთარი ზნეობრივი გამოცდილების რეფლექსიის შედეგად, საკუთარი გონიერი ბუნების ძალით უშუალოდ აღმოაჩენს. ეს რეფლექსია პრაქტიკული ფილოსოფიის პირველად პრინციპს - სიკეთის ცნებას ეყრდნობა, ხოლო აქედან გამომდინარეობს თომა აქვინელის მიერ ფორმულირებული მცნება - „მისდით კეთილს და დაუტევებ ბოროტს!“.¹²² ამ გზით შეცნობილი ბუნებრივი კანონის მოთხოვნებია მაგალითად, მომავალი თაობის ქვეყნად მოვლინება და გაზრდა, საზოგადოებაში ცხოვრება, მშვიდობის შენარჩუნება, დანაშაულისგან თავის დაცვა და წესრიგი. რამდენადაც ბუნებითი სამართლის პრინციპები ხშირად ზედმეტად ზოგადია, ისინი უნდა დაკონკრეტდნენ და ეს შეადგენს პოზიტიური სამართლის - lex humana-ს ამოცანას, რაც არის ადამიანთათვის ღვთივბოძებული ხელისუფლების მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო კანონი. lex humana გაგებული lex naturalis-ის დაკონკრეტებად წყვეტს ნამდვილობას და კარგავს სავალდებულო ხასიათს, თუკი ის წინააღმდეგობაში მოვა lex aeterna-სთან.¹²³

¹²² თეო კობუში, „თომა აქვინელის სწავლება სამართლიანობაზე“, მოხსენება წაკითხული თბილისში, 2018 წ.

¹²³ Arthur Kaufmann, Winfried Hassemer, Problemgeschichte der Rechtsphilosophie, Einführung in Rechtsphilosophie und Rechtstheorie der Gegenwart, 6. Aufl., 1994, Heidelberg, გვ. 47-49.

თომისტური ონტოლოგიის საფუძველმდებარე დებულების თანახმად, სამყარო არის ღვთაებრივ ფორმათა სრულყოფილი იერარქია, რომლის სათავეში მისივე შემოქმედი დგას და სხვა დანარჩენებს სიცოცხლეს ანიჭებს.

ყოველივე მყოფს ღმერთმა ყოფნის რიგში თავისი დრო და ადგილი მიაკუთვნა და ამასთან ერთად განსაზღვრა უმთავრესი ბუნებრივი სათნოებანი. ღმერთმა კარდინალური სათნოებანი განაწესა, როგორც ადამიანის ბუნებრივ უნართა საუკეთესო მდგომარეობა. ასე ეწყობა გონებას – *სიბრძნე*, ნებას – *სამართლიანობა*, მისწრაფებას – *სიძამაცე*, ხოლო სურვილს – *ზომიერება*. უმაღლესი კანონმდებელი და სამყაროს მომწესრიგებელი გახლავთ ღმერთი.¹²⁴

თომა აქვინელის სამართლის გაგება განარჩევს ზოგად-აბსტრაქტულ კანონს, რომელიც ავტორიტეტის მიერ იქმნება და „ითქმება“. ამ კანონის არეალს ზოგადი ნორმები წარმოადგენს. ბუნებითი სამართლის უმაღლესი კანონი შეიცავს მხოლოდ უზოგადეს, ყველასათვის საერთო ფუნდამენტურ – გონების კარნახით კეთილის ქმნისა და ბოროტის უარყოფის ნორმას. ამას გარდა, არსებობს ბუნებითი კანონების ის მოთხოვნები, რომლებიც ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებების გვარიდან წარმოდგებიან: თვითგადარჩენის ინსტინქტიდან – სიცოცხლის მოსპობის აკრძალვა; გამრავლების ინსტინქტიდან – ქორწინებისა და შვილების ჩასახვის მცნება; გონიერებისა და ერთმანეთთან ურთიერთობისკენ მიდრეკილებიდან – სიძმართლის თქმის მცნება და მოთხოვნა – ერთმანეთისთვის ზიანის მიუყენებლობისა.

ამ მიმართებით საუბარია *ბუნებით კანონზე* და ის ვრცელდება ყველაზე, ყოველ დროში. *ბუნებითი სამართალი*, ამის საპირისპიროდ ჩნდება კანონებში მისი კონკრეტული განსხეულების შედეგად – მოცემული დროისა და არეალისთვის. იმდენად, რამდენადაც ადამიანის კონკრეტული ბუნება ცვალებადია, გამოდის, რომ ბუნებითი სამართალიც (თუმცა თომა აქვინელის გამიჯვნა ერთისა მეორისგან ხშირად ბუნდოვანია და ზოგჯერ ისინი სინონიმურად გამოიყენება) ისტორიული და კულტურულ-სოციალური ფაქტორებით დეტერმინირებული სამართალია.

მარადიული კანონის ფარგლებში არა, მაგრამ სამაგიეროდ ამ „მეორადი ბუნებითი სამართლის“ ჩარჩოებში, რომელიც კარგავს აბსოლუტურ ხასიათს,

¹²⁴ Peter Kunzmann, Franz-Peter Burkard, Franz Wiedmann, dtv-Atlas zur Philosophie, Tafeln und Texte, Deutscher Taschenbuch Verlag, München, 1991, გვ. 73-74.

ამართლებს თომა აქვინელი ისეთ ფონომენს, როგორიც არის ბატონყმობა.¹²⁵ არისტოტელესგან განსხვავებით, თომა აქვინელი უარყოფს ბუნებრივი მონობის ფენომენს, სამაგიეროდ იძლევა ამ ინსტიტუტის თეოლოგიურ დასაბუთებას და გამართლებას, აცხადებს რა მას ადამიანის მიერ ჩადენილი პირველცოდვის სასჯელად. იგი განმარტავს, რომ არისტოტელეს კონცეფცია „ბუნებისმიერ მონაზე“ სწორედ ამ სასჯელად უნდა გავიგოთ: ზოგიერთი ადამიანი მონობის თვისებით იბადება და წინასწარ დეტერმინირებულია ყმობისთვის. ის არც იმაში ხედავს პრობლემას, რომ გაიმეოროს არისტოტელეს საკმაოდ საჩოთირო მტკიცება იმის შესახებ თითქოს თავად ყმებისთვისაც სასარგებლოა, რომ მათ ბრძენი ადამიანი ხელმძღვანელობდეს.¹²⁶

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ერნსტ ბლოხის წიგნში „ბუნებითი სამართალი და ადამიანის ღირსება“, ავტორის მიერ გაკეთებული უკომპრომისო შეფასება. იგი ამბობს, რომ რელატივისტური ბუნებითი სამართალი სტოიციზმთან შედარებით დგამს დიდ ნაბიჯს უკან. იმპერატიული სტატუსის მიუნიჭებლად, მაგრამ მაინც, ის ახდენს ბატონყმური ურთიერთობის სანქცირებას, რაც უპირველესად ამა ქვეყნის ძლიერთა სტატუს კვოს ლეგიტიმაციას და მათი ძალმომრეობის გამართლებას ემსახურება.

კათოლიკური დოქტრინა ადამიანის ბუნებას მიიჩნევდა ცოდვისგან არა სრულიად დაცემულად, არამედ მხოლოდ დასუსტებულად, სახელმწიფო ხელისუფლება კი იტოვებდა „სიკეთისთვის იძულების“ არისტოტელესეული პრინციპის მსგავს უფლებას, რაც სინამდვილეში წარმართა ძალდატანებითი გაქრისტიანების მალეგიტიმირებელ ფორმულად იქნა გამოყენებული. სიკეთისთვის იძულება საზოგადო კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისთვის რაციონალურ მიზანს ასახიერებს და რელატიური ბუნებითი სამართლის უმაღლესი სახელმძღვანელოს, დეკალოგის მეშვეობით ნორმირდება. თავად დეკალოგის მოთხოვნები ქმნიან არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველს, მათი დარღვევის შედეგად, არამედ მათშივეა ხსნაც, იგი ამ მოთხოვნათა დაცვაში გამოიხატება. ამგვარად, ათ მცნებას თომა აქვინელი, მათი გათანაბრებით ბუნებით

¹²⁵ Arthur Kaufmann, Winfried Hassemer, Problemgeschichte der Rechtsphilosophie, Einführung in Rechtsphilosophie und Rechtstheorie der Gegenwart, 6. Aufl., Heidelberg, 1994, გვ. 48-49.

¹²⁶ თეო კობუში, „თომა აქვინელის სწავლება სამართლიანობაზე“, მოხსენება წაკითხული თბილისში, 2018.

სამართალთან, ტექნიკურ-რაციონალურად, პოზიტიური სამართლის დოგმად აწესებს. გარდა ამისა, სამართლიანობის კატეგორიას* იგი ბუნებითი სამართლის ფარგლებში ათავსებს, ოღონდ რელატიური, არა პოზიტიურ სამართალზე აღმატებული, არამედ, უფრო მეტად მისი იდეურად სრულმყოფი მდგენელის მნიშვნელობით - სამართალი გახლავთ სამართლიანობის ობიექტი, საგნობრივად მართალი, ხოლო სახელმწიფო კანონი არის სამართლის განსაზღვრება, მისი წესი.¹²⁷

ბლოხისვე შეფასება რომ გავიხსენოთ „თომიზმი შეიძლება გავიგოთ, როგორც ერთგვარი კომპრომისი ქრისტესა და ქვეყნიერებას შორის“.¹²⁸

განვითარებული (თომისტური) სქოლასტიკის პროგრესის შემდგომი ეტაპი დგება მე-16 საუკუნის ესპანეთში, რომელიც იმ პერიოდისთვის ახლად აღმოჩენილი სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ნახევარზე მეტის ბატონ-პატრონად და ევროპის ზესახელმწიფოდ გვევლინება.

სალამანკას სკოლის სახელით ცნობილი სააზროვნო მიმდინარეობა მსოფლიოს მანამდე არსებული სურათის მსხვრევით გამოწვეული კრიზისის გადალახვას საიმედო სამართლებრივი და ზნეობრივი კრიტერიუმების შემუშავებით ცდილობს, რომლის ფუძემდებელი, თეოლოგიის პროფესორი, ფრანცისკო დე ვიტორია (1483-1588), საჯაროდ გამოხატავს ესპანეთის დაპყრობით პოლიტიკას და ინდიელების მიმართ განხორციელებულ ძალმომრეობას. ხოლო ფილიპე II-ის კარის იურისტი, ფერნანდო ვესკუვარ დე მენჩენცა ავითარებს მსოფლიო თანამეგობრობის თეორიას, რომელიც ყველა ქვეყანას ხალხთა სამართლის ბუნებრივად მოწესრიგებულ სისტემაში მოიაზრებს (*jus gentium naturale*), ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური ხელშეუხებლობის პრინციპის შეუღლებად და მათი ერთმანეთში ვაჭრობის თავისუფლების გარანტიას უზრუნველყოფს, რითაც ფაქტიურად გროციუსის ხალხთა სამართლის წინამორბედად გვევლინება.

* მისი ძირითადი ნაშრომის მეორე წიგნში, იზიარებს რა არისტოტელეს თეორიას სამართლიანობის შესახებ, ისიც ყოფს მას ორ სახედ: I პარტიკულარულ (რომელიც, თავის მხრივ, იყოფა 1. *justitia regulativa*-დ *გამთანაბრებელ სამართლიანობად* და 2. *justitia distributiva*-დ *გამწიფებელ სამართლიანობად*. ერთ შემთხვევაში გვანიტერესებს რა ვალი აქვს ცალკეულ პერსონას სხვა ცალკეული პერსონის მიმართ, ხოლო მეორე შემთხვევაში - რა ვალი აქვს საზოგადოებას ცალკეული პერსონის მიმართ); და II საყოველთაო ანუ კანონისმიერ სამართლიანობად. იხ. Henning Ottman, *Geschichte des politischen Denkens, Die Griechen*, J.B. Metzler, Stuttgart, Weimar, Band 1/2, გვ. 151. აგრეთვე თეო კობუში, „თომა აქვინელის სწავლება სამართლიანობაზე“, მოხსენება წაკითხული თბილისში, 2018 წ.

¹²⁷ იქვე.

¹²⁸ Ernst Bloch, *Naturrecht und menschliche Würde*, 3. Aufl., Frankfurt M., 1999, გვ. 38-40.

ესპანური *secunda scholastica*-ს ხსენებული და სხვა წარმომადგენლები, მაგალითად, ფრანცისკო სუარესი (1548-1617), თავიანთი მიზნების მიღწევას ბუნებითი სამართლის რეინტერპრეტაციით ცდილობენ. ეს გამოიხატა სამართლის უმაღლესი ფორმალური პრინციპებიდან ბუნებითი სამართლის დეტალური განაწესების (*conclusiones*) გამოყვანაში. თუმცა მათ მიერ გაზიარებული, მკვეთრად ნომინალისტური პოზიციის პირობებში, ადგილი შეიძლება დარჩენილიყო მხოლოდ სუბიექტივისტური ბუნებითი სამართლის სწავლებისთვის, რაც უბრალო თეორიულ კონსტრუქტად შეიძლება იყოს მოაზრებული და არა რაიმე სუბსტანციურად და მარადიულად.¹²⁹

მე-16 საუკუნეში თომისტური ბუნებითი სამართლის სისტემა უარყო მარტინ ლუთერმა, რომლის რწმენითაც ცოდვით დაცემული ადამის მოდგმის ბუნება ტოტალურად არის გახრწნილი, და შესაბამისად, იგი გამოუსადეგარია მორალური ნორმისთვის სისწორის კრიტერიუმის ფუნქციის შესასრულებლად. ხსნა შესაძლებელია მხოლოდ შემოქმედისადმი რწმენით და მისი მადლის წყალობით და არა კეთილი საქმეებით. ადამიანური ცხოვრება უნდა განვიხილოთ, შემოქმედისადმი არსებული მოვალეობების ისეთ ჯაჭვად, რომელთა ბოლომდე მოხდასაც ვერასოდეს შევძლებთ.¹³⁰

მიუხედავად ამისა, მე-17 საუკუნის პროტესტანტული საუნივერსიტეტო ფილოსოფია ცდილობს შუალედური პოზიციის დაკავებას და ამბობს, რომ მაშინ, როდესაც ადმიანის ბუნება დაცემულია, მის გონებას მაინც რჩება უნარი იმ გაუხრწნელი ბუნების გარჩევის, რაც ადმიანს დაცემამდე გააჩნდა. შედეგად ბუნებითი სამართლის დოქტრინამ პროტესტანტულ მორალურ ფილოსოფიაში უფრო მეტად კათოლიკური ნეოთომისტური მოდელის ანალოგიით დაიდო ბინა, ვიდრე თავად ლუთერის შეხედულებების.¹³¹

მეტნაკლები მსგავსების შენარჩუნებით სქოლასტიკური ტრადიციის რეცეფციის განმახორციელებელი პროტესტანტი თეოლოგები, რომლებთანაც პუფენდორფი მწვავე დისკუსიაში იმყოფება, რაც ჩანს პოლემიკური წერილების

¹²⁹ Arthur Kaufmann, Winfried Hassemer, *Problemgeschichte der Rechtsphilosophie, Einführung in Rechtsphilosophie und Rechtstheorie der Gegenwart*, 6. Aufl., 1994, Heidelberg, გვ. 47-49.

¹³⁰ Knud Haakonssen, *Natural law and moral philosophy from Grotius to the Scottish Enlightenment*, Cambridge University Press, 1996, გვ. 24-26.

¹³¹ Kari Staatsamoinen, *Pufendorf and the Stoic Model of Natural Law*, გვ. 260.

კრებულში *Eris Scandica*, გახლდნენ: ვალენტინ ალბერტი, ჯონ სელდენი და ვეიტ ლუდვიგ ფონ სეკენდორფი. სქოლასტიკის პუფენდორფისეული კრიტიკა არ ამოიწურება მხოლოდ ჰუმანისტური არგუმენტაციით მეტაფიზიკური ბუნებითი სამართლის წინააღმდეგ, არამედ მიმართულია ისეთი თემებისკენ, როგორიცაა ღმერთის ცნება, შემეცნების თეორია და ათნოპოლოგია.

პუფენდორფის აზრით, ღმერთის სამართლიანობა სრულიად არათანაზომადია ადამიანთა შორის არსებულ სამართლიანობასთან, ამიტომ თანხმობა ღმერთთან არ შეიძლება ბუნებითი სამართლის პრინციპი იყოს. ასეთი „ანთროპომორფული ღმერთის“ რწმენის ფესვები, რომლისთვისაც ღმერთის არსი ადამიანის შემეცნების მასშტაბით შეიძლება იყოს ნაწვდომი, „სოფისტური ფილოსოფიის ქიმერებში ძევს“, რომელსაც სწამს, რომ საგანთა არსობრიობა (*essentia*) შეიძლება მათი არსებობისგან აბსტრაქტირდეს და, რომ მათ თავიანთი აუცილებელი შესაძლებლობის სახით საკუთარი ყოფნის ფორმა გააჩნიათ.¹³² პუფენდორფი დარწმუნებულია, რომ ადამიანური შემეცნების უნარი არ გამომდინარეობს მხოლოდ გრძნობითი აღქმიდან ან გონების თანდაყოლილი იდეებიდან, არამედ ეს შემოქმედებითი პროცესია: ადამიანი ეწევა გრძნობითი აღქმის დამუშავებას, რა დროსაც ახდენს იდეების აბსტრაქტირებას, ერთმანეთთან მიმართებაში მათ დალაგებასა და განსჯას. მორალური თვისებები წარმოდგება მხოლოდ ღმერთის მიერ ადამიანისთვის სპეციალურად შექმნილ კანონებთან თანხმობის გზით. პუფენდორფის შეხედულებით, ქმედებები, ღმერთის მიერ შექმნილ კანონმდებლობამდე თავისი ბუნების მიხედვით, „არც კეთილია და არც ბოროტი, განსხვავებით სქოლასტიკოსთა მტკიცებისგან, ამიტომ ბუნებითი სამართლის გამოყვანაც შესაქმნეული წესრიგისგან მთლიანობაში არაჯეროვანად მიაჩნია. ცხოველზე აღმატებული ადამიანის განსაკუთრებული ღირსება მდგომარეობს არა მის უკვდავ სულში, ან მის გონებასა და მის მიერ ყოფნის წესრიგის შეცნობაში, არამედ მისთვის ბოძებულ თავისუფლებასა და მორალურ ბუნებაში, ანუ ადამიანის კავშირში ღვთის კანონთან.¹³³ თავისუფლების პუფენდორფისეული გაგება, რომელიც შორსაა სპონტანურობისგან, პირდაპირ კავშირშია თავისუფლების სტოიკოსთა გაგებასთან, რაზეც იყო საუბარი შესაბამის თავში.

¹³² Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, გვ. 799-800.

¹³³ Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, გვ. 801.

II. მოდერნული ბუნებითი სამართალი და სწავლება Entia Moralia-ს

შესახებ

1. ჰობსიანური კონტრაქტუალიზმის ტრანსფორმაცია და გროციუსის socialitas-ის პრინციპის გაზიარება

a) სად შორდება პუფენდორფი ჰობსს?

განსაკუთრებული სიფრთხილის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ახალი დროის ბუნებითი სამართლის ათვლის წერტილი უკავშირდება ორი მასშტაბური პროექტის გამოჩენას, როგორც თეზისისა და ანტითეზისის, რომლებიც ჩამოყალიბდა ჰუგო გროციუსის 1625 წლის ხალხთა სამართალში და თომას ჰობსის 1651 წლის სახელმწიფო თეორიაში. მათი სრულყოფა კი მიღწეულ იქნა ორივეს კვინტესენციის კომბინაციით, სინთეზით, რომელიც სამულ პუფენდორფმა განახორციელა მისი ბუნებითი სამართლის სისტემით 1672 წელს.

პუფენდორფის თანამედროვე კვლევებში არსებული დისკუსია ხშირად უკავშირდება მისი როლის შეფასებას ევროპული სახელმწიფოების კონსტიტუციური პრინციპების ჩამოყალიბებაში,* ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დეკლარაციების შექმნაზე მისი ნააზრევის ზეგავლენას. ამ თვალსაზრისით, მკვლევართა ერთი ნაწილი პუფენდორფს მიიჩნევს სამართლებრივი პირის თანამედროვე გაგებისა და ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობის, აგრეთვე ადამიანის უფლებათა უნივერსალური ნამდვილობის პრინციპის ჩამოყალიბების პირველ მოაზროვნედ.¹³⁴ მეორე ჯგუფის შემთხვევაში კი პირიქით, სახეზეა

* მაგ. ჰამბურგის 1860 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში ვკითხულობთ ფრაზას, რომელიც უცვლელადაა გადმოტანილი დღევანდელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამავე ლანდის - ჰამბურგის მოქმედ კონსტიტუციაში: *თითოეულს აქვს ზნეობრივი მოვალეობა იზრუნოს მთელის კეთილდღეობაზე* (Jedermann hat die sittliche Pflicht für das wohl des Ganzen zu wirken). <http://www.hamburg.de/contentblob/1604280/5e354265cb3c0e3422f30f9184608d9d/data/verfassung-der-freien-und-hansestadt-hamburg-stand-2012.pdf;jsessionid=9F4AB0FB0C1F7B4EF5C118042ABD1635.liveWorker2>

¹³⁴ ამასთან დაკავშირებით იხ. Theo Kobusch, Von der Rhetorik zur Methaphysik der Freiheit. In Person und Rechtsperson, zur Ideengeschichte der Personalität, (Hrsg.) R. Gröschner, Stephan Kirste.O.W. Lembke, Mohr Siebeck, Tübingen, 2015.

მცდელობა მისი მთლიანად მოთავსებისა სამართალმცოდნეობის გროციუსისეული ჰუმანისტური ტრადიციის ან თომას ჰობსის პოლიტიკური ფილოსოფიის ჩარჩოებში.¹³⁵

იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელ ხსენებულ მიდგომას გაიზიარებს პუფენდორფის აზროვნებით დაინტერესებული ადამიანი და რაოდენ დარწმუნებულიც არ უნდა იყოს ის პუფენდორფის ბუნებით-სამართლებრივი მოძღვრების ორიგინალობაში, განსაკუთრებით მოვალეობათა შესახებ სწავლებასთან მიმართებაში (მოცემული კვლევის ავტორის ჩათვლით), პუფენდორფის შესწავლა ჰობსსა და გროციუსთან მისი პოზიციონირების გამორკვევის გარეშე, საკმარისად პროდუქტიული ვერ იქნება, რამეთუ ამ ორმა ინოვაციურმა ავტორმა (პუფენდორფის ფართო განსწავლულობის გათვალისწინებით ანტიკურ და ქრისტიანულ მორალურ ფილოსოფიაში, ერთი მხრივ და ევროპულ სამართლებრივ აზროვნებაში, მეორე მხრივ) შეასრულეს უმთავრესი იმპულსის ფუნქცია პუფენდორფისთვის ისეთი პრობლემების ფილოსოფიური რეფლექსის დასაწყებად, როგორებიცაა ბუნებითი მდგომარეობა და მისი (პუფენდორფის შემთხვევაში არააბსოლუტური) გადალახვა სახელმწიფოს მეშვეობით, ადამიანისა და სამართლის ბუნების კონსტრუირება ტრანსცენდენტური პირველსაწყისის, როგორც ყოველივე არსებულის შემოქმედისა და მორალური მასშტაბის დამდგენის ფონზე, ცალკეული პიროვნებისა და საზოგადოების ოპტიმალური ურთიერთმიმართების პრაქტიკულად რეალიზებადი ფორმები და სხვა.

იმისდა მიუხედავად, თუ რა ხარისხში აფასებენ ხოლმე პუფენდორფის დავალებულობას თომას ჰობსისგან (1588-1679), მრავალ არსებით საკითხში პუფენდორფი, მსგავსებასთან ერთად, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანის არასახარბიელო, თუმცა ნაკლებად ქაოტური არსებობა ბუნებით მდგომარეობაში, შეიძლება ითქვას, რომ მისგან განსხვავებულ, მათ შორის საზოგადოებრივი

¹³⁵ ამ უკანასკნელი პოზიციის დეტალურად გასაცნობად იხ. Vanda Fiorillo (ed.), „Von Grotius zu Pufendorf. Wissenschaftliche Revolution und theoretische Grundlagen des Rechts,” Archiv für Rechts- und Sozialphilosophie vol. 75(2): 1989, გვ. 218–38. და Fiammetta Palladini, Pufendorf disciple of Hobbes: The nature of man and the state of nature: The doctrine of socialitas, in History of European Ideas, Volume 34, Issue 1, March 2008, გვ. 26–60.

ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, უფრო ოპტიმიზირებულ პოსტულატებს გვთავაზობს.

ის, რაც ორივე მათგანისთვის აზროვნების საერთო ბიძგის და მიმართულების მიმცემს წარმოადგენს, არის პოლიტიკური, რელიგიური და ჰუმანიტარული კატაკლიზმები, რომელთა მოწმენიც ისინი აღმოჩნდნენ. ჰობსი არანაკლებ, ვიდრე კონტინენტური ევროპის მცხოვრებლები მე-17 საუკუნეში, იყო მომსწრე საზოგადოებისთვის მანამდე ნაცნობი კულტურული და სოციალური ნიადაგის რღვევის, რაც მოიტანა რელიგიურმა და სამოქალაქო ომებმა. ჰობსის მსოფლმხედველობა გარკვეულწილად ასახავს სამართლის ვაკუუმით გამოწვეული განუკითხაობის შედეგებს, რამაც მისთვის ცხადყო ადამიანთა ტოტალური თანასწორობა, გამომდინარე ყველას თანაბარი მოწყვლადი ბუნებიდან და იმ საშინელი რეალობის გააზრებიდან, რომ არავინაა დაცული მეორე ადამიანის გამანადგურებელი ძალადობის წინაშე.

ადამიანის უსუსურობის ანთროპოლოგიური მოცემულობის ეს ხედვა ერთდროულად კიდევ აახლოებს პუფენდორფს, როგორც ოცდაათწლიანი ომით ანალოგიურად შერყეული ღირებულებითი ნიადაგის ფონზე გაჩენილ მოაზროვნეს, ჰობსთან და დისტანცირებისკენაც უბიძგებს განსხვავებული გამოსავლის ძიების პროცესში, რაც ფაქტიურად მთელი მისი შემოქმედების მანძილზე ჰობსთან შეუწვეტელ პოლემიკაში გადაიზრდება. ამიტომ მათ შორის არსებით განსხვავებებზე საუბარი უპრიანი იქნება დავიწყოთ სწორედ ამ ცნობილი სააზროვნო ფიქციის, კაცობრიობის ბუნებითი მდგომარეობის გაგების აღწერით ჰობსთან და პუფენდორფთან.

De Jure naturae et gentium-ის პირველი წიგნის პირველივე თავში, პუფენდორფი ემიჯნება ჰობსისეული ბუნებითი მდგომარეობის მახასიათებელ ერთ-ერთ არსებით გარემოებას და ამბობს: განსხვავებით საყოველთაო მშვიდობისგან, „არ არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა საყოველთაო ან უნივერსალური ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“.¹³⁶

¹³⁶ Samuel Pufendorf, *On the Law of Nature and of Nations in Eight Books*, (edited by Craig L. Carr translated by Michael J. Seidler Series: Natural Law and Enlightenment Classics, K. Haakonssen [ed.]), Indianapolis: Liberty Fund; revised edition of New York, Oxford University Press, 1927b. 2009 *Political Writings of Samuel Pufendorf* 2., გვ. 114.

როგორც ვიცით, ჰობსისეულ ბუნებით მდგომარეობაში, რომელიც ჩამოყალიბებულია 1651 წელს გამოქვეყნებულ მის ცნობილ ინგლისურენოვან ნაშრომში: *ლევიათანი, ანუ საეკლესიო და სამოქალაქო სახელმწიფოს მატერია, ფორმა და ძალაუფლება (Leviathan or The Matter, Form and Power of a Common Wealth Ecclesiasticall and Civil)**, სუფევს ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ, ადამიანი ადამიანისთვის მგელია, ხოლო თავად სიცოცხლე, რასაც მის ღირებულებით სისტემაში უმაღლესი ადგილი ენიჭება, არის „*ეული, ღარიბი, საზიზღარი, სასტიკი და ხანმოკლე*“, ¹³⁷ ხოლო სახელმწიფოს დამფუძნებელ ხელშეკრულებას უსაფრთხოებით მოტივირებული ბუნებრივი თავისუფლების შეზღუდვის ნებაყოფლობითი აქტი უდევს საფუძვლად. ბუნებითი მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის ბუნების ანთროპოლოგიურ სურათთან. თუ ადამიანს მგლური ბუნება აქვს, გამოდის, რომ მისი ბუნებიდან ვერც საყოველთაოდ მისაღები თანაცხოვრების მორალური ფორმები იქნება გამოყვანილი. ეს დაზიანებული ბუნება სახელმწიფოებრივი ფორმით თანაცხოვრების აუცილებლობას განაპირობებს, მაგრამ ვერ იქნება ამ თანაცხოვრების შინაარსის წყარო. სიკეთისა და ბოროტების კრიტერიუმების დამდგენად სახელმწიფოს ნებელობითი აქტები გვევლინება.

ჰობსი თავის ნაშრომში *De cive* (სახელმწიფოს შესახებ, 1651) დისტანცირებას ახდენს ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების არისტოტელესეული გაგებისგან. მისი რწმენით, ადამიანი დაბადებით საერთოდ უუნაროა იყოს საზოგადოებრიობისკენ მიდრეკილი და სოციალურ სტრუქტურაში მისი ინტეგრაციის შესაძლებლობას მხოლოდ აღზრდა იძლევა. ისეთი კატეგორიაც კი, როგორიცაა თავისუფლება, მას ესმის სრულიად მექანიცისტურად და მატერიალისტურად: როგორც წინააღმდეგობის არ არსებობის მოცემულობა, ხოლო თავისუფალი ადამიანი, შესაბამისად, ისეთად, რომელსაც არავინ უშლის ხელს მისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ფარგლებში განხორციელებადი სურვილების რეალიზებაში. ¹³⁸

* „სახელმწიფო იწოდება სამოქალაქოდ, რადგანაც მისი ქვეშევრდომები ადამიანები არიან, ხოლო ეკლესიად, ვინაიდან მისი ქვეშევრდომები ქრისტიანები არიან“. დავით პატარაია, თომას ჰობსის ლევიათანი <https://burusi.wordpress.com/2013/10/28/leviathan/>.

¹³⁷ დავით პატარაია, თომას ჰობსის ლევიათანი, <https://burusi.wordpress.com/2013/10/28/leviathan/>.

¹³⁸ იქვე, <https://burusi.wordpress.com/2013/10/28/leviathan/>.

თავისუფლების შემდგომ, ბუნებითი მდგომარეობის მეორე ატრიბუტი, თანასწორობა ჰობსიანური გაგებით ნიშნავს სხვა ადამიანებისგან მომდინარე ზიანის რისკის თანაბრობას. რაც შეეხება თითოეულის ბუნებრივ უფლებას თავისუფლებაზე გამოიყენოს მისი ბუნებრივი უნარი სწორი გონების კარნახის შესაბამისად (*secundum rectam rationem utendi*), იგი რაიმე სახის მორალურ თვისებას არ შეიცავს.¹³⁹ ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანი თავისუფალია იმგვარი მოვალეობებისგან, რომელიც მის ქმედებას სოციალურად მისაღებს გახდიდა. ნება არ არის თავისუფალი, იმდენად რამდენადაც შიშითაა დეტერმინირებული. ერთი შეხედვით, ადამიანური სოლიდარობის აქცენტის მატარებელი ისეთი ფენომენიც კი, როგორიცაა თანასწორობა, ჰობსის რწმენით, უნდობლობის წყაროა, რაც კონფლიქტის მთავარ საფუძველს წარმოადგენს მეტოქეობასა და ამპარტავნებასთან ერთად, რამეთუ ბუნებრივი უნარების და მათგან გამომდინარე შესაძლებლობების თანასწორობის რწმენა ბაღებს თანასწორი შედეგების მიღწევის ილუზორულ იმედს, ხოლო ასეთი შედეგების ვერ მიღება, მტრობას.¹⁴⁰ რაც შეეხება უფლებას, იგი არ გახლავთ მორალური თვისება და იქ მთავრდება, სადაც გადის ფიზიკური ძალების საზღვარი.

ასეთ ვითარებაში, უსაფრთხოება და მის პირობებში რეალიზებადი ბუნებრივი ადამიანური სწრაფვა სიმშვიდის, ცოდნისა და გრძნობითი სიამოვნებისკენ უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. ფიზიკურ ძალთა პაექრობისთვის ბოლოს მოღების შანსს მხოლოდ გონება იძლევა. ამდენად, *recta ratio*-ს (მართებული გონების) უპირველესი მცნება, მშვიდობის ძიებაა. გონების ამ და სხვა მცნებებს თუმცა კი უწოდებს ჰობსი ბუნების კანონს, მაგრამ მათ კანონის ძალას არ ანიჭებს. ისინი მხოლოდ ადამიანის სინდისზე არიან ორიენტირებული და ამ დონეზე ფლობენ უნივერსალურ ნამდვილობას. მაშასადამე, მორალური ნორმები, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსალურ ნამდვილობას ფლობენ, სამართლებრივად მავალეებელ ხასიათს მოკლებულნი არიან. იძულების შინაარსის მქონე ხელისუფლება ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური წარმონაქმნი უნდა იყოს, ვინაიდან მისი ამოცანა ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებების შეზღუდვა იქნება. ასეთია დიდი ლევიათანი - რომელიც ცალკეული ადამიანების უფლებებსა და ნებისყოფას სამართლებრივ და

¹³⁹ Gerald Hartung, *Die Naturrechtsdebatte. Geschichte der 'Obligatio' vom 17. bis zum 20. Jahrhundert*, Freiburg/München, Verlag Karl Albert, 1998, გვ. 40-41.

¹⁴⁰ დავით პატარაია, თომას ჰობსის ლევიათანი, <https://burusi.wordpress.com/2013/10/28/leviathan/>.

ნებელობით ერთობად კრავს. ჰობსის თეზისს იმის შესახებ, რომ მორალ-ფილოსოფიური ცოდნა იმდენადაა უეჭველი, რამდენადაც მის შინაარსს ჩვენ თვითონ ვადგენთ, პუფენდორფი უპირისპირდება ჭეშმარიტად ბუნებით-სამართლებრივი პოზიციიდან და ამბობს, რომ სამართლიანობის პრინციპს ჩვენ არ ვაყალიბებთ, არამედ ის ჩვენგან დამოუკიდებლადაა მოცემული და მისი მხოლოდ მიგნება შეგვიძლია.¹⁴¹

საზოგადოებრივი ხელშეკრულების ჰობსიანური მოდელი ძირითადად ორი ელემენტისგან სტრუქტურირდება: მავალეხელი ძალის დაპირებას ნების ერთიანობისა მივყავართ უფლებების გადაცემის გზით უმაღლესი სამართლებრივი და იძულებითი ძალაუფლების დაფუძნებამდე. ჰობსი ასახელებს იმ სირთულეებს, რომლებიც მისი ხელშეკრულების მოდელის პირობებში ქმედითი ვალდებულის გენეზისთან დაკავშირებით სამოქალაქო ეტაპზე იჩენენ თავს. სამოქალაქო კანონების სავალდებულობა უშუალოდ სახელშეკრულებო კონსენსუსიდან ვერ გამოიყვანება, რადგან ასე გამოვიდოდა, რომ სამოქალაქო მორჩილება ხელშეკრულების ყოველი მონაწილის ნებაზეა დამოკიდებული. უფლებათა დელეგირებისა და მოქალაქეთა უფლებების შეკვეცის გზით ხელოვნურად შექმნილი ლევიათანი უფრო მეტია, ვიდრე მისი ნაწილების ჯამი. იგი გვევლინება ყველა სხვა უფლების მატარებელზე აღმატებულ სამართლებრივ პირად, რომლის ნება არ არის რაიმეთი შეზოჭილი. სახეზეა კაუზალური ლოგიკა, მხოლოდ იმის წყალობით, რომ სუვერენი სამართლებრივ ურთიერთობათა იმანენტურ სავალდებულობის მიღმაა, ძალუმს მას საკუთარი კანონმდებლობისთვის სავალდებულო ძალის მინიჭება.

პუფენდორფი აფასებს ჰობსის ბუნებით მდგომარეობის მომღვრებას, როგორც აბსოლუტურად მცდარს, რა დროსაც ძალაუფლება და უფლება აღრეულია ერთმანეთში, *ყველას პრეტენზია ყველაფერზე* გამორიცხავს სამართლებრივ მოვალეობებს, ხოლო თვითგადარჩენის მოთხოვნილება და საზოგადოებრიობისაკენ სწრაფვა, ურთიერთ დაპირისპირებულია. საიდანაც არაბუნებით-სამართლებრივ შედეგებს ვიღებთ: სამართალი არის მხოლოდ პოზიტიური სამართალი, რომლის ერთადერთ ინტერპრეტატორად სუვერენი გვევლინება, საკუთრება მხოლოდ სახელმწიფოს მეშვეობით წარმოიშობა. ამ უკანასკნელის დაფუძნებისთანავე

¹⁴¹ Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, გვ. 778.

მოქალაქეები კარგავენ თავიანთ დამოუკიდებელ მოვალეობებსა და უფლებებს, ხოლო სამართალი მხოლოდ ხელშეკრულებიდან გამოიყვანება, როგორც ეს ეპიკურესთან იყო, იმის მაგივრად, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება დასაბუთდეს მანამდე არსებული სამართლებრივი მოვალეობიდან.¹⁴²

სამაგიეროდ, პუფენდორფი აყალიბებს ბუნებითი მდგომარეობის მისეულ, ნაკლებად გაუსაძლის სურათს, ადამიანის ბუნების ასევე დაბალანსებული გაგების ანალოგიურად და საფუძველზე. ადამიანის ბუნება მასთან ცალსახად მგლური არ არის. ისეთი ანთროპოლოგიური ბალასტი, როგორიცაა საკუთარი თავის სიყვარული (*amor sui*), ფიზიკური და მორალური უსუსურობა (*imbecilitas*, რომლის გადალახვაც საციცოცხლოდ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს), მისი ხასიათის ტენდენცია მორალური გახრწნისკენ (*varitas*),¹⁴³ აგრეთვე ადამიანთა მონაცემებისა და მიდრეკილებების არაერთგვაროვნება და მრავალფეროვნება (*varietas ingeniorum*, რაც სირთულეებთან ერთად კაცობრიობის მრავალფეროვან განვითარებასაც განაპირობებს კანონით მოწესრიგების შემთხვევაში) თანაარსებობს მასში ისეთ მოცემულობებთან, როგორიცაა თავისუფლად მოქმედი, შერაცხვაუნარიანი გონება და ნება და კანონის საფუძველზე საკუთარი ქმედების შეზღუდვის პრინციპული შესაძლებლობა.

თუ ჰობსთან სამართლის განმსაზღვრელი უფლებისა და მოვალეობის ურთიერთგადაჯაჭვულობა მხოლოდ ბუნებითი მდგომარეობის გადალახვის შედეგად არის შესაძლებელი, პუფენდორფთან იგი სახეზეა უკვე ბუნებით მდგომარეობაში.¹⁴⁴ ვინაიდან ადამიანის გონების გამოყენებას ბუნებით მდგომარეობაშიც აქვს ადგილი, მისგან გონებით ნაკარნახები მოვალეობის იზოლირება არასწორი იქნებოდა. ბუნებითი მდგომარეობა არ გამორიცხავს საზოგადოებრივ არსებობას.

მნიშვნელოვნად განსხვავებულია საზოგადოებრივი კონტრაქტის შესახებ პუფენდორფის წარმოდგენაც. ჰობსთან აღწერილია ერთსაფეხურიანი

¹⁴² Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, გვ. 799.

¹⁴³ Thomas Behme, Ziele und Grenzen der Staatsgewalt bei Samuel Pufendorf, in *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf*, Dieter Hüning (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009, გვ. 52.

¹⁴⁴ Thomas Behme, Ziele und Grenzen der Staatsgewalt bei Samuel Pufendorf, in *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf* Dieter Hüning (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009, გვ. 53.

ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, *დამფუძნებელი კონსენსუსის* მეშვეობით მომავალი ქვეშევრდომები აფუძნებენ სუვერენულ სახელმწიფო ხელისუფლებას, გადააბარებენ რა მას თავიანთ ბუნებრივ თავისუფლებას პრაქტიკულად მთლიანად, ისე რომ თავად მომავალი სუვერენი, როგორც საყოველთაო ნების განსხეულება, არ არის მოაზრებული მოვალეობათა მატარებელ, კონტრაქტორ მხარედ და, შესაბამისად, არც არის მისით შებოჭილი ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით.

პუფენდორფისეული საზოგადოებრივი კონტრაქტი სამი აქტისგან შედგება: პირველი, *pactum unionis* ხელშეკრულება იდება ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი კაცობრიობის ცალკეულ სუბიექტებს შორის - ერთიანი და ხანგრძლივი კავშირის (*unum et perpetuum coetum*) საზოგადოებად, ანუ სამართალსუბიექტობის მქონე ხალხად დაფუძნებასთან დაკავშირებით, რასაც მოსდევს უკვე ამ სტატუსის მქონე ხალხის მიერ *დეკრეტის* მიღება - სახელმწიფო მმართველობის ფორმის (*decretum circa forma regiminis*) განსაზღვრის მიზნით და ბოლოს მეორე, *სახელისუფლებო-საქვეშევრდომო* ხელშეკრულების (*pactum subjectionis*) გაფორმება მომავალ სუვერენთან (რომელიც შეიძლება იყოს ერთი პირი, რჩეულ მოქალაქეთაგან შემდგარი კრებული ან მთელი ხალხი), რომლის ძალითაც ეს საზოგადოებრივი ერთობა - ხალხი ხელისუფლებას გადასცემს სუვერენულ უფლებებს. ამ უკანასკნელი სახელისუფლებო-საქვეშევრდომო ხელშეკრულების ძალით, მომავალი სუვერენი კისრულობს საერთო კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვას, ხოლო ყველა დანარჩენი, ე.ი. მომავალი ქვეშევრდომები, მორჩილებას. გადამწყვეტი განსხვავებაა პუფენდორფსა და ჰობსს შორის კონტრაქტუალიზმის ძირითად ასპექტში, რაც ერთს სახელმწიფოს თანამედროვე გაგებასთან აახლოებს, მეორეს კი აშორებს. იგი იმაში მდგომარეობს, რომ სუვერენი პუფენდორფთან უფლება-მოვალეობების მატარებელ კონტრაქტის ხელშემკვრელ მხარედ გვევლინება, ხალხი კი დაქვემდებარების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომაც რჩება სახელმწიფო უფლებების მატარებლად.¹⁴⁵ მართალია, სახელმწიფო ურთიერთობაში მონაწილე სუვერენ-ქვეშევრდომთა ურთიერთმიმართება პარიტეტულ საფუძველს არ ემყარება: აქ სუვერენის უფლებების უზრუნველყოფის სრული გარანტირებულობა და მისი დომინანტური მდგომარეობა პრევალირებს, რაც მისი ქმედებების შემფასებელ

¹⁴⁵ Thomas Behme, Ziele und Grenzen der Staatsgewalt bei Samuel Pufendorf, in *Naturrecht und Staatsheorie bei Samuel Pufendorf*, Dieter Hüning (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009, გვ. 60.

უმაღლეს ინსტანციად თავად მისივე სინდისის კარნახის მოაზრებაში და სახალხო დაუმორჩილებლობის უფლების ქვეყნიდან გაქცევის უფლებამდე რედუცირებაში გამოიხატება, მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ თავისი მოვალეობების უხეში დარღვევის შემთხვევაში, მოქალაქეებს ამ მეორე ხელშეკრულების შეწყვეტის თეორიული შესაძლებლობა ეძლევათ, პირველი ხელშეკრულების სტადიაზე დაბრუნების პირობებით, ქმნის იმ ტიპის სამართლებრივ-პოლიტიკურ მოცემულობას, რომელიც თავის თავში პროგრესირების მასშტაბურ პოტენციალს ღიად შეიცავს. სუვერენის (მას შეიძლება ჰქონდეს, როგორც მონარქიის, ისე არისტოკრატის ან დემოკრატის ფორმა¹⁴⁶ და ამგვარი კონსტიტუციური რელატივიზმის დაშვება, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, მისი, როგორც აბსოლუტიზმის უპირობო თეორეტიკოსად შერაცხვის ზედაპირულობას) მიერ საკუთარი მოვალეობების დარღვევის მაგალითად პუფენდორფს მოჰყავს *ბრძანება, რომლის შესრულება ქვეშევრდომებს შეცოდების გარეშე არ შეუძლიათ*, ანუ როდესაც ხელისუფალი წარმოშობს კოლიზიას მისი ნების მორჩილების მოვალეობასა და თავად იმ მორალის მორჩილებას შორის, რომლის დაცვა მისი უპირველესი მოვალეობაცაა.¹⁴⁷

პუფენდორფის მიერ ჰობსის კრიტიკა იმ გარემოებასაც უკავშირდება, რომ ამ უკანასკნელს ბუნებითი კანონები იურიდიული ძალის მქონედ არ მიაჩნია და სამართალს მორალურ თვისებად არ განიხილავს. პუფენდორფის აზრით, ამგვარი მცდარი წანამძღვრებიდან ჩნდება სუვერენიტეტის ჰობსისეული მოდელის შეუსაბამობები და დასაბუთების დეფიციტი.

თუ სამართალი ბუნებით მდგომარეობაში მავალელები მოდუსის მატარებელი არ გახლავთ, ანუ თუ უფლებას არ შეესატყვისება მოთხოვნა სხვათა მხრიდან ამ უფლების პატივისცემისა, მაშინ უფლების დელეგირების ორმხრივი დაპირება ვერც სავალდებულო ხასიათის მატარებელი იქნება და ვერც სუვერენულ ხელისუფლებას დაამკვიდრებს, რომელიც თავის მხრივ მის სამართლებრივ მოთხოვნას სავალდებულო ხასიათით აღჭურავდა. მხოლოდ შეთანხმება, სარგებლიანობის კალკულაცია ან გონივრული ანალიზი ეფექტიან მოვალეობას ვერ დააფუძნებს.

¹⁴⁶ Leonard Krieger „The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law, Chicago & London, The University of Chicago Press, 1965, გვ. 165-166.

¹⁴⁷ Thomas Behme, Ziele und Grenzen der Staatsgewalt bei Samuel Pufendorf, in Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf, Dieter Hüning (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009, გვ. 67.

პუფენდორფი პატივს მიაგებს ჰობსს - განსაკუთრებით მის მიერ პირველად ბუნებით სამართალში მათემატიკური მეთოდის გამოყენებისთვის, რომლის შედეგადაა ბუნებით-სამართლებრივი პრინციპების ერთ საფუძველმდებარე, თვითგადარჩენის პრინციპზე რედუცირება¹⁴⁸ (თუნდაც შინაარსობრივად არ ეთანხმებოდეს რედუქციის ამ კონკრეტულ შედეგს) და მაინც, ჰობსის სახელმწიფო ფილოსოფიის პუფენდორფისეული რეზიუმე საკმაოდ მკაცრია: ვინაიდან ჰობსმა სამართლებრივი შებოჭვის გენეზისი მისი სახელშეკრულებო მოდელით ვერ დაასაბუთა, მის მიერ მოაზრებული სუვერენული ინსტანციაც მხოლოდ წმინდა წყლის ძალმომრეობის ინსტიტუტია, რომლის კანონმდებლობაც უბრალოდ იძულების ნორმებს შეადგენს.¹⁴⁹ ამდენად, ვერ გავიზიარებთ იტალიელი მკვლევარის ფიამეტა პალადინის მიერ პუფენდორფის გამოცხადებას ჰობსის მოწაფედ მის ამავე სახელწოდების წიგნში, სადაც საუბარია საკუთარი თავის ეგოისტურ სიყვარულზე (*amor sui*), როგორც პუფენდორფის სოციალიტასის დოქტრინის წამყვან ადამიანურ იმპულსზე.¹⁵⁰

ჰობსის საპირისპიროდ, პუფენდორფისთვის სუვერენული ხელისუფლება უნდა განასახიერებდეს *persona moralis composita*-ს (შედგენილ მორალურ პირს), რომელიც მის დაქვემდებარებულ თითოეულ ადამიანს მისცემს საკუთარი თავის, როგორც მორალური პირის რეალიზების შესაძლებლობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, პუფენდორფი იძლევა მოყვასის ქრისტიანული სიყვარულის მცნების რაციონალისტურ პროექციას პოლიტიკურ-სამართლებრივ რეალობაზე.¹⁵¹ საგულისხმოა, რომ ის ამას აკეთებს არა რაღაც უტოპიური ფანტაზიის ფორმით, არამედ ამ საგნის სულ ცოტა ოთხი: ფილოსოფიური, სამართლებრივი, თეოლოგიური და ისტორიული პერსპექტივის ცოდნითა და მათი ურთიერთმიმართების გათვალისწინებით.

¹⁴⁸ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, München 1972, გვ. 262.

¹⁴⁹ Gerald Hartung, *Die Naturrechtsdebatte. Geschichte der 'Obligatio' vom 17. bis zum 20. Jahrhundert*, Freiburg/München, Verlag Karl Albert, 1998, გვ. 44-45.

¹⁵⁰ Fiammetta Palladini, *Pufendorf disciple of Hobbes: The nature of man and the state of nature: The doctrine of socialitas*, ILIESI, CNR, Rome, კრებულში: *History of European Ideas* 34 (2008) 26-60, გვ. 30-31; ამონარიდი წიგნიდან: *Samuel Pufendorf discepolo di Hobbes. Per una reinterpretazione del giusnaturalismo moderno*, Bologna, 1990.

¹⁵¹ Gerald Hartung, *Samuel Pufendorf und die Verbreitung der Naturrechtslehre, Einleitung zur De officio hominis et civis juxta legem naturalem (1673)*, in Series: *Samuel Pufendorf: Gesammelte Werke.*, Wilhelm Schmidt-Biggemann Bd. 2, Gerald Hartung (Hrsg.), Berlin, 1997; lt/dt. გვ. XIII.

მას აგრეთვე პრობლემურად ეჩვენება ის შედეგები, რასაც იწვევს არასავალდებულო ხასიათის ბუნებითი კანონების კონცეფცია, ბუნებითი კანონის, როგორც მასშტაბის მეშვეობით სამოქალაქო კანონმდებლობის აქტუალიზაციის შეუძლებლობა. სავალდებულო ძალის არ მქონე ბუნებითი კანონი ვერ შეასრულებს ხიდის ფუნქციას მორალური მცებების დაცვის შინაგან მოვალეობასა და სამოქალაქო კანონებისადმი გარეგნულ მორჩილებას შორის. ჰობსი განმსჭვალულია იმ რწმენით, რომ ადამიანის თავისუფალი ნება ვერ იქნება ღვთაებრივი ყოვლისშემძლეობისა და ბუნებითი კანონის იმპლიციტური მავალელები ძალის მატარებელი მაშინ, როდესაც პუფენდორფი პრინციპულად მიიჩნევს, ბუნებით მდგომარეობაში მოქმედი უნივერსალური მავალელები ძალის მქონე ბუნებითი კანონების შესახებ ცხადი წარმოდგენის არსებობას, რაც არის კიდევ დასტური უმაღლესი, ღვთაებრივი კანონმდებლის არსებობის. პუფენდორფის მიხედვით, ბუნებითი კანონი გახლავთ შინაგანი მცნების სახით ადამიანური სინდისის მაკონსტრუირებელი ღვთაებრივი კანონმდებლის ბრძანება. მაშასადამე, ბუნებითი მდგომარეობა არ გახლავთ კანონიერებისგან დაცლილი ადამიანური მოქმედების ასპარეზი. გამოდის, რომ ხელშეკრულების ერთგულების დაპირება მავალელებია იმდენად, რამდენადაც ეს ბუნებითი კანონის მიერ არის მოთხოვნილი და უფლების დელეგირება ამკვიდრებს სუვერენულ ინსტანციას, როგორც სამართლებრივ მორალურ პირს (*persona moralis*), რამეთუ სახეზე გვაქვს არა უბრალოდ ფიზიკური იძულების პოტენციალი, არამედ მოთხოვნის უფლების, როგორც მორალური თვისების ტრანსფერირება.¹⁵² ასე გამოიკვეთება ზღვარი იძულებასა და მოვალეობის დაკისრებას შორის, რომელიც ჰობსის მიერ აგებულ კონსტრუქციაში არ მოიპოვება.

ჰობსთან, როდესაც ის მოკვდავი ღმერთის (სახელმწიფოს მნიშვნელობის ხაზგასასმელად მის მიერ გამოყენებული შედარება) ყოვლისშემძლეობაზე, მათ შორის საკანონმდებლო პრეროგატივაზე საუბრობს, ვხვდებით პასაჟებს, რომლებიც მას არა ბუნებითი სამართლის თანმიმდევრულ წარმომადგენლად, არამედ სამართლის პოზიტივიზმის შემამზადებლად წარმოგვიდგენს და ამ შთაბეჭდილებას „ლევიათანის“ პირველი გამოცემის ყდაზე გამოსახული სურათიც აძლიერებს: ადამიანთა თავებისგან აგებული გოლიათური ფიგურა, რომელიც არის იმ

¹⁵² იქვე, გვ. 47.

ინსიგნიების მპყრობელი, რაც ყველა ტიპის ძალაუფლებას უკავშირდება. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ნაშრომში მოცემული სიტყვები:

„უმაღლესი ძალაუფლება და არა რაიმე სახის ჭეშმარიტება არის იმის განმსაზღვრელი, თუ რა არის კანონი“; „კარგი კანონის მიღება სუვერენის მოვალეობაა, მაგრამ რა არის კარგი კანონი? კარგ კანონში მე სამართლიან კანონს არ ვგულისხმობ, რადგანაც არც ერთი კანონი არ შეიძლება იყოს უსამართლო. კანონს სუვერენული ხელისუფალი იღებს და ყველაფერი, რასაც ეს ხელისუფალი მოიმოქმედებს, თითოეულის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით ხდება და იმას, რაც თითოეულის სურვილს შეადგენდა, არ შეიძლება ვინმემ უსამართლო უწოდოს“.¹⁵³

ჰობსისგან განსხვავებით, წმინდად ბუნებით-სამართლებრივად მოაზროვნე პუფენდორფისთვის წარმოდგენილია მშვიდობა სამართლიანობის გარეშე, სამართლიანობა კი თანშობილი სახელმწიფოში ვერ დამკვიდრდება კორელაციური მოვალეობებისა და უფლებების, მათ შორის ბუნებითი თავისუფლების შენარჩუნების გარეშე. სამართლიანობას გარკვეულ, გამონაკლის ვითარებაში თვით სახელმწიფოს საწინააღმდეგოდაც კი შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მისთვის ბუნებითი სამართალი ბევრად უფრო სუბსტანციურია და არ დაიცვანება სუვერენული ხელისუფლების მაკონსტრუირებელ ერთჯერადი დანიშნულების მქონე ფუნქციამდე.

აქედან გამომდინარე, ჰობსის სახელმწიფო თეორიასთან პუფენდორფის ყველაზე პრინციპული და საგნობრივი დისტანცირების ნიმუშია მის მიერ შემუშავებულ მოვალეობათა მოძღვრება, როგორც რეფლექსია ადამიანის სოციაბელურობის ბუნებრივი მოვალეობისა, რომელიც მართებული გონების კარნახით შეიცნობა და წარმოადგენს ქმნილების შემოქმედისადმი დავალებულობის ქრისტიანული წარმოდგენის ანარეკლს. სოციაბელურობის იდეა არსებითად წინ წამოწევა სახარებისეული ოქროს წესისა:

ვითარცა-იგი თქუენ გნებავს, რაიცა გიყონ კაცთა, თქუენცა ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მათ (ლუკა, 6:31).

¹⁵³ ირაკლი თაბორიძე, „ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში“, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა GEPLAK, თბილისი, 2004, გვ. 140-141.

b) პუფენდორფი და გროციუსის socialitas-ი

ჩვენი საკვლევი თემისთვის პუგო გროციუსთან (1583-1645) პუფენდორფის მიმართება აქტუალურია, გამომდინარე თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ გროციუსს იგი „ბუნებითი სამართლის კეთილშობილი მეცნიერების დამფუძნებელს“ უწოდებს, იგი ამავე დროს არის პუფენდორფის მიერ ყველაზე ხშირად ციტირებული ავტორი (330-ჯერ).

თუ ჰობსთან პუფენდორფს პოლემიკა მეტი აქვს, ვიდრე თანხვედრა, გროციუსის შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ პირიქითაა: მთელ რიგ არსებით საკითხებში ისინი ერთიან საფუძველს ემყარებიან. გროციუსი ადამიანური ბუნებითი გონების მანიფესტს ხალხთა ურთიერთშეთანხმებად პრაქტიკაში ხედავს, ხოლო პუფენდორფს ეს მიდგომა გადმოაქვს სახელმწიფო სამართლის სიბრტყეზე, რომელსაც ადამიანთა ორმაგი კონსენსუსი განსაზღვრავს (ადამიანთა შეთანხმება ბუნებითი მდგომარეობის დასრულების შესახებ - სახელმწიფოს დაფუძნების გზით და სახელისუფლებო საქვეშევრდომო შეთანხმება სუვერენთან მათი უფლება-მოვალეობების გაწერით, რასაც წინ უძღვის დეკრეტი მმართველობის ფორმის შესახებ).

პუფენდორფი თავს მიიჩნევს გროციუსის თეორიული ბაზის გამფართოვებლად, საყვედურობს რა მას ბუნებითი სამართლის არასრულ და არასისტემურ ჩამოყალიბებას და საჭიროდ თვლის მასთან უეჭველად მიჩნეული დებულებების დასაბუთებას.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც პუფენდორფს გროციუსთან აკავშირებს, ეს არის სტოიკურ მოძღვრებაში ფესვგადგმული ის საკვანძო ცნება, რომლის გარეშეც პუფენდორფის ბუნებითი სამართლის სისტემა რთულად წარმოსადგენია. ეს გახლავთ socialitas-ი, ანუ მიდრეკილება საზოგადოებრიობისაკენ და მისი კავშირი სუბიექტურ უფლებებთან, იმ არსებითი ცვლილების გათვალისწინებით, რაც პუფენდორფს შეაქვს ამ კონცეფციის დასაბუთებაში, როდესაც ძირითად ამოსავალ პუნქტს – სოციაბელურობისადმი ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებას, როგორც მოცემულობას კი არ გაიგებს, არამედ საყოველთაო ბუნებით მოვალეობად.¹⁵⁴

¹⁵⁴ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, München, 1972, გვ. 263.

მოკლედ მიმოვიხილოთ გროციუსისეული ბუნებითი სამართლის მოძღვრება. ჰუგო გროციუსი ფუნდამენტურ ბუნებით-სამართლებრივ ტრაქტატში „ომისა და მშვიდობის სამართლის შესახებ“ („De Jure Belli ac Pacis“, 1625) პირველადაა დასაბუთებული საერთაშორისო წესრიგის არა ძალმომრეობის, არამედ ბუნებრივი ადამიანური გონებიდან (ratio naturalis) მომდინარე კანონების მეშვეობით რეალიზაციის შესაძლებლობა და აუცილებლობა. გროციუსის ცნობილი გამონათქვამი, რომლის თანახმადაც „ბუნებითი სამართალი იმ შემთხვევაშიც ძალაში იქნებოდა, ღმერთი რომ არ არსებობდეს, ან ის არ ინტერესდებოდა ადამიანური საქმეებით“, ემყარება მის შეხედულებას სამართლის არსის შესახებ, რომელსაც ორი, ბუნებრივი და ნებით განსაზღვრული ნაწილები გააჩნია. ბუნებითი სამართალი უცვალელებელი ხასიათისაა, რამეთუ თავად ბუნებრივი წესრიგია სტაბილური, მას საღი აზრი გვკარნახობს და ამდენად ავტონომიურია. მისი წყარო ბუნებრივი წესრიგის მორალური სტაბილურობის შემმცნებელი ადამიანის გონებაა (jus naturae est dictatum rectae rationis).¹⁵⁵ ღმერთს, გროციუსის აზრით, ისევე არ შეუძლია მორალური კანონზომიერების შეცვლა, როგორც არითმეტიკულის ($2+2=4$). თუმცა აქ დგება მტკიცებულების პრობლემა: ავლენენ კი მორალური კანონები ისეთსავე სიცხადეს, როგორც მათემატიკური კანონზომიერებები?¹⁵⁶

რაც შეეხება ნებით განსაზღვრულ სამართალს, იგი ღვთაებრივი ან ადამიანური ნებიდან გამომდინარეობს. ადამიანის *პირველი ბუნება*, ისევე როგორც ეს სტოიკოსებთან იყო, განაპირობებს ერთობისკენ (საზოგადოებრიობისაკენ) მისწრაფებას, appetitus societatis-ს, საიდანაც გამომდინარეობს იმპერატიული ხასიათის ბუნებითი სამართალი: „jus naturale strictum“.¹⁵⁷ იგი სრულ თანხმობას ავლენს არისტოტელეს მიერ დამუშავებულ გამთანაბრებელ სამართლიანობასთან (justitia regulativa).¹⁵⁸ ადამიანის სოციალურ ბუნებასთან ერთად, რაც საზოგადოებრიობისაკენ სწრაფვაში გამოიხატება, ბუნებითი სამართალი ამ შემთხვევაში უკვე სარგებლიანობასა და მართებულობაზე დაფუძნებული: jus

¹⁵⁵ Gerald Hartung, G., *Die Naturrechtsdebatte. Geschichte der 'Obligatio' vom 17. bis zum 20. Jahrhundert*, Freiburg/München, Verlag Karl Albert, 1998, გვ. 55-56.

¹⁵⁶ იქვე.

¹⁵⁷ Emerich Coreth, Harald Schöndorf, *Grundkurs Philosophie: Philosophie des 17. und 18. Jahrhunderts: Grundkurs Philosophie*, BD 8, 2008, 7. Früneuzeitliche Staats- und Rechtsphilosophie, გვ. 28.

¹⁵⁸ ირაკლი თაბორიძე, „ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში“, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა GEPLAK, თბილისი, 2004 წ. გვ. 111.

naturalis laxius-ი, ასევე უკავშირდება ადამიანის სისუსტეს (infirmitas) და გამოიყვანება მისგან.¹⁵⁹ იგი ხსენებულ ტრადიციაში ადამიანის მეორე ბუნებასთან ასოცირდება და თანხმობაშია გამნაწილებელ სამართლიანობასთან (justitia distributiva). სტოიკოსთა რეცეფციის შედეგად გროციუსის მიერ პოსტულირებული, ადამიანის მისწრაფება საზოგადოებრიობისაკენ (apetitus societatis-ი), ინტელექტუალურ სიბრტყეზე სუბლიმირდება „საზოგადოებაზე ზრუნვად“ (custodia societatis-ად) და ასეთ გონისმიერ სოციალიზაციის თვისებად დედუცირდება გროციუსის მიერ ბუნებითი სამართლის პრინციპი.¹⁶⁰ ეს მიდგომა ბოლომდე არ არის ემანსიპირებული ადამიანის არისტოტელესული ტელეოლოგიური გაგებისგან, რომლის მიხედვითაც მიზანი (ტელოსი) ყოველი ცოცხალი არსების, არის მისი ბუნების განხორციელება, ხოლო ადამიანის შემთხვევაში ეს მხოლოდ პოლისის პირობებშია შესაძლებელი.

ბუნებითი კანონის არსის გაგებისას, გროციუსი რაციონალურ მომენტს ვოლუნტარისტულზე მაღლა აყენებს. თავად ღმერთის ნებაც კი ვერ მოვა მისსავე გონებასთან წინააღმდეგობაში, ვინაიდან რაც ღმერთს სურს, ეს იმთავითვე გონებრივია და რაც მის მიერ ერთხელ ნასურვებია: ბუნებრივი წესრიგის მორალური კანონით აღჭურვა, ყოველი გონიერი არსებისთვის უშუალოდ არის შემეცნებადი.

ვალდებულებით მიმართებას აფუძნებს არა ბუნებრივი წესრიგი, არამედ ადამიანური გონების მოთხოვნა - იმოქმედოს მორალური თვითკანონმდებლობის აზრით.¹⁶¹ აქ ვხედავთ განსხვავებას პუფენდორფის ვოლუნტარისტულ კონცეფციასთან, რომელიც კანონის საფუძველს ნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებაში ხედავს. რაც შეეხება გროციუსის ზემოთ განხილულ ჰიპოთეზას - ბუნებითი სამართლის ღმერთის ნებისგან დამოუკიდებლობის შესახებ („ბუნებითი სამართალი ძალაშია მაშინაც, თუ დავუშვებდით, რომ ღმერთი არ არსებობს ან ის არ ზრუნავს ადამიანურ საქმეებზე“), პუფენდორფი მიიჩნევს, რომ მას მორალური ბუნებრივი მოვალეობის კონცეფცია აბსურდებამდე დაჰყავს.

¹⁵⁹ Gerald Hartung, G., *Die Naturrechtsdebatte. Geschichte der 'Obligatio' vom 17. bis zum 20. Jahrhundert*, Freiburg/München, Verlag Karl Albert, 1998. გვ. 55.

¹⁶⁰ Klaus-Gert Lutterbeck, „Pufendorfs Unterscheidung von physischem und moralischem Sein und seine politische Theorie“, *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf*, Dieter Hüning (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009. გვ. 29.

¹⁶¹ იქვე, გვ. 57.

გროციუსის აზრით: მართალია, ბუნება მთელი გონითურთ თავდაპირველად ღმერთმა შექმნა, მაგრამ ამის შემდეგ ის წყვეტს ღმერთის ნებით პრედესტინირებას და შეუძლია საკუთარი თავიდან გამომდინარე მოქმედება, ანუ ბუნებაში გაცხადებული გონება პრაქტიკულად სუვერენულია. რაციონალური ფორმით ჩამოყალიბებული კანონი უკვე ბუნების საკუთრებაა. ამდენად იმის ძიება, თუ საიდან წარმოიშვა ბუნება და ვის უნდა უმადლოდეს იგი თავის რაციონალურ არსს, თავად ამ ბუნების შესატყვისი მოქმედების ნორმად აღიარებისთვის საჭირო აღარ არის. ერთხელ განსაზღვრული, იგი თავად ხდება დროისა და სივრცის მიღმა მდგომი და გამოცხადების წყარო. შემოქმედი, ბუნების დაფუძნების შემდეგ, თავის სამყოფელს უბრუნდება, ხოლო აქაურობას მას აბარებს.

„ბუნებითი სამართალი არის იმდენად უცვლელი, რომ მისი შეცვლა თავად ღმერთსაც კი არ შეუძლია“.* მიუხედავად იმისა, რომ მისი ძალაუფლება განუზომელია, „მაინც არსებობს საგნები, რომლებზეც ის არ აღესრულება... რამდენადაც ღმერთსაც არ ძალუძს იმაზე ზემოქმედება, რომ ორჯერ ორი ოთხია, იმდენადვე არ შეუძლია მას ის, რომ ცუდი, თავისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, არ იყოს ცუდი... ამიტომ თავად ღმერთიც საკუთარ თავს ამ წესების მიხედვით განსჯის (De jure belli ac pacis, I, 1, IV, 5).¹⁶²

ამ დებულებებში პუფენდორფი აშკარა თეოლოგიურ წინააღმდეგობას ხედავს: გონი უნდა ყოფილიყო ღვთაებრივი გეგმის ნაწილი და მისგან გამომავალი, მაგრამ ასეთი ფორმით, თავად შემოქმედი აღმოჩნდა თავის მიერვე შექმნილ კანონს დაქვემდებარებული.

თუ ამ საკითხს არ ჩავთვლით, პუფენდორფის პოზიციები გროციუსს მხოლოდ არაარსებით, პარტიკულარულ საკითხებში შორდება, მაგალითად, როდესაც ის უარყოფს გროციუსის მიერ ნიდერლანდების საზღვაო-სავაჭრო და სამხედრო ინტერესების (მდინარეებისა და ზღვების თავისუფლება, გავლისა და ვაჭრობის

* მანამდე მსგავსი მოსაზრება გამოთქმული აქვს დუნს სკოტს (1266-1308), რომლის კლასიფიკაციითაც არსებობს მცნებათა ორი გვარი: 1. აბსოლუტური ძალის მქონე, რომელთა შეცვლა საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოსვლის გარეშე თვით ღმერთსაც არ შეუძლია: ისეთების, როგორიცაა უშუალოდ ღმერთისგან მომავალი ათი მცნება და 2. მცნებები, რომელთა შეცვლა ღმერთს ხელეწიფება, თუ ამას ადამიანური ურთიერთობები მოითხოვს, მაგ. მონოგამიის წესი. ვრცლად იხ. თაბორიძე, ი. „ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში“, ქართული სამართლის მიმოხილვა, GEPLAC 2004, გვ. 129.

¹⁶² ირაკლი თაბორიძე, „ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში“, ქართული სამართლის მიმოხილვა, GEPLAC 2004, გვ. 137-138.

თავისუფლება, უპირატესი უფლება სავაჭრო ხელშეკრულებებში, ომიანობისას ნეიტრალური ტერიტორიების დაკავება) დაცვის საკაცობრიო მოვალეობათა რანგში აყვანას და მათ სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხებს მიაკუთვნებს.¹⁶³

გროციუსი აგრძელებს ჰუმანიზმის წარმომადგენელ სამართალმცოდნეთა ტრადიციას, ჩამოყალიბებინათ სამართალი მეცნიერების დარგად იმ კუთხით, რომ ცდილობს ბუნებითი სამართლის დაფუძნებას პოზიტიური სამართლის რაციონალურ ფუნდამენტად, ხოლო პუფენდორფის მიზანია, გადააქციოს ბუნებითი სამართალი *კანონზომიერ დისციპლინად, რომლის სრულ ურთიერთთანმხილვაში მყოფი ნაწილები ერთმანეთისგან თვალნათლივ ვითარდებიან*.¹⁶⁴

ის ამატებს მოთხოვნას, რაც გროციუსისეულ ბუნებით სამართლის კონცეფციაში არ გვხვდება: ბუნებითმა სამართალმა უნდა მოიცვას მორალური ქმედების პრინციპებისა და საფუძვლების შესახებ მოძღვრება, რომელიც თავისუფალი იქნება რელიგიასა ან გამოცხადებაზე რაიმე სახის დაყრდნობისგან.

ტენდენცია ჰობსისა და გროციუსის ბუნებითი სამართლის მოძღვრებათა ფუძემდებლური პოსტულატების გარკვეული თვალსაზრისით ეკლექტური სინთეზირებისა, პუფენდორფმა უკვე მის ადრეულ ნაშრომში *Elementia*-ში გამოავლინა, როდესაც მის მიერ ადამიანის ორ წამყვან მიდრეკილებად (*inclinationes*) მიჩნეული ჰობსისეული თვითგადარჩენის მისწრაფება და გროციუსისეული მისწრაფება სოციალურობისადმი, არა ურთიერთგამომრიცხავ, არამედ ურთიერთშემავსებელ პრინციპებად მიიჩნია,¹⁶⁵ ვინაიდან ცალკეულ ადამიანს თავისი მსგავსი არსებების საზოგადოებისკენ პირველ ბიძგს სწორედ საკუთარი თავის სიყვარული აძლევს. თუმცა, გროციუსისგან განსხვავებით, საზოგადოებრიობისაკენ ეს მისწრაფება პუფენდორფს ესმის არა როგორც ბუნებრივი ტელეოლოგიური ბიძგი, არამედ ცხოვრების წარმართვის რეგულაციური პრინციპი, რომელიც რაციონალური ბუნებითი სამართლის მიერ არის ნაკარნახები და, მაშასადამე, მორალურ მოვალეობას წარმოადგენს.¹⁶⁶

¹⁶³ Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, გვ. 798.

¹⁶⁴ Horst Dreitzel, Samuel Pufendorf, გვ. 796.

¹⁶⁵ Klaus-Gert Lutterbeck, „Pufendorfs Unterscheidung von physischem und moralischem Sein und seine politische Theorie“, *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf*, Dieter Hüning (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009. გვ. 28.

¹⁶⁶ Klaus-Gert Lutterbeck, გვ. 31-32.

ის, რასაც სპეციფიკურად მოდერნული ბუნებით-სამართლებრივი იდეით განმსჭვალული გროციუსი, ჰობსი და პუფენდორფი ერთნაირად იზიარებენ, გახლავთ ბუნებითი სამართლის არსებითად სტოიციკური გაგება,¹⁶⁷ რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანი, მათი საერთო ადამიანური ბუნების წყალობით, წარმოადგენს თავისუფლებისა და ღირსების მატარებელ არსებას, ხოლო აქედან გამომდინარე, უკვე მოდერნული ინტერპრეტაციით, სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტსაც.

მოწოდება, რომელსაც სამივე მონდომებით ემსახურება, არის ბუნებითი სამართლის (და ამით სამართლის ფილოსოფიის) სეკულარიზაციის საქმე, რასაც ისინი, ჰობსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მიიჩნევენ *ქეშმარიტ და ერთადერთ მორალურ ფილოსოფიად*.¹⁶⁸ მათი დამსახურების შედეგად, ამიერიდან მისი შემეცნების წყარო იქნება არა ღვთაებრივი გამოცხადება, არამედ ადამიანის გონება, ამასთან ეროვნული, წოდებრივი, კონფესიური და სხვა კუთვნილებისგან დამოუკიდებლად განხილული ადამიანის გონება. გამომდინარე იქიდან, რომ ბუნებით მდგომარეობაში ადამიანთა განუყოფელ ატრიბუტებს ისინი მიაკუთვნებენ თავისუფლებასა და თანასწორობას, იმის მიუხედავად, თუ რამდენად პრობლემურად და კანონის საფუძველზე რა ხარისხში შესაზღუდად მიაჩნიათ ეს თვისებები, ამ ანთროპოლოგიური სურათით არღვევენ შუასაუკუნეობრივ რწმენას - ადამიანის ცოდვით დაცემის შედეგად წარმოდგარი კანონზომიერი უთანასწორობისა და თუნდაც იგივე სამეფო ხელისუფლების საკრალური წარმომავლობის თაობაზე. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონტინენტური ევროპის მრავალ ქვეყანაში, მათ შორის იმ ქვეყნებში, სადაც პუფენდორფს უხდებოდა სეკულარიზაციისა და ადამიანების ერთმანეთისადმი არსებული ბუნებრივი მოვალეობების იდეათა განვითარება, მე-17 საუკუნე ჯერაც კუდიანებზე და ერეტიკოსებზე ნადირობის ხანაა, რომელიც მე-13 საუკუნიდან იწყება და ამ საქმეში პროტესტანტული ეკლესია რომისას თუ არ უსწრებდა, არც ჩამორჩებოდა.* ამდენად

¹⁶⁷ Kari Staatsamoinen, Pufendorf and the Stoic Model of Natural Law, გვ. 260.

¹⁶⁸ დავით პატარაია, თომას ჰობსის ლევიათანი, <https://burusi.wordpress.com/2013/10/28/leviathan/>.

* ბიბლიის ლუთერისეულ თარგმანში, კათოლიკეთა მიერ გამოყენებული ვულგატასგან განსხვავებით, გამოსვლის სტროფი 22.17 „ჯადოქარი ცოცხალი არ უნდა დატოვო“, გადმოტანილი იყო ასე: „კუდიანი ცოცხალი არ უნდა დატოვო“ და სამიზნედ უმთავრესად ქალებს მოიაზრებდა, რასაც ამ უკანასკნელთა გაძლიერებული დევნა ახლდა კიდევ პროტესტანტულ ქვეყნებში. იხ. Hexenverfolgung, https://de.wikipedia.org/wiki/Hexenverfolgung#Fr.C3.BCHe_Neuzeit

რისკი, რაც ახლდა *libertas philosophandi*-ს (ფილოსოფოსობის თავისუფლებას), უკავშირდებოდა პირადი არაკეთილმოსურნეებისა თუ მოშურნეების მხრიდან მეტ-ნაკლებად მაინც დასაბუთებული ბრალდების წამოყენებას მწვალებლურ და არადოგმატურ შეხედულებებში, პუფენდორფის ისეთ დებულებებზე აპელირებით, როგორიცაა მაგალითად ბუნებითი მდგომარეობის რაიმე კავშირში არ ყოფნა ადამისა და ევას სამოთხის იდილიასთან, რაც სრულიად მარტივად შეიძლებოდა ბრალდებულს ქონების, თავისუფლების ან სიცოცხლის ფასადაც დასჯდომოდა. მხოლოდ პუფენდორფის მიმდევარი და მოწაფე ქრისტიან თომასიუსი (1655–1728) ახერხებს ამ დამკვიდრებული მახინჯი პრაქტიკის წინააღმდეგ მასშტაბურ გალაშქრებას.

რაც შეეხება თავად პუფენდორფს, ის თავისი ბუნებითი სამართლის დასაცავად იბრძვის ლოგიკური მსჯელობის, მაგრამ ხშირად ასევე მოწინააღმდეგეების მიმართ მწარე ირონიის გამოყენებით. სამუელს გაუმართლებს და ლუნდში ერეტიკოსთა და მათი ნაწარმოებებისთვის განკუთვნილ კოცონზე არა თავად, არამედ მასთან დაპირისპირებული კლერიკალი პროფესორის, ბეკმანის მიერ პუფენდორფის წინააღმდეგ შეთხზული საბრალდებო პამფლეტი აღმოჩნდება.¹⁶⁹ ერთ-ერთი იმათგანის, რომელსაც პუფენდორფი უპირისპირდებოდა, როგორც უნივერსიტეტებში მისივე თქმით - ბარბაროსული ფილოსოფიის, ანუ სქოლასტიკის დამცველებს, ვინც მეინსტრიმულ ლუთერანულ სოციალურ პრივილეგიებით სარგებლობდა, საწინააღმდეგო აზრს კი მწვალებლობად აცხადებდა და ამით მასთან პოლემიკისას მომგებიან პოზიციაში იყენებდა თავს.¹⁷⁰

¹⁶⁹ Fiammetta Palladini, Einleitung zur *Eris Scandica und andere polemische Schriften über das Naturrecht*, Fiammetta Palladini, (ed.), (Series: *Samuel Pufendorf: Gesammelte Werke*, W. Schmidt-Biggemann[ed.], Volume 5), Berlin: Akademie Verlag, 2002, გვ. IX-X.

¹⁷⁰ იქვე, გვ. XIV.

2. Entia Moralia

„... განსხვავება მოდუსსა და სუბსტანციას შორის ნათელს ხდის, რომ მორალური ფორმები არ არის თვით-მყოფადი, არამედ დამოკიდებულია სუბსტანციებსა და მათ მოძრაობაზე, რაზეც ისინი მხოლოდ გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ“¹⁷¹

ყოფნის მორალური ფორმების შესახებ* მოძღვრება ადრეული პუფენდორფის ყველაზე მასშტაბური, სამართლის ონტოლოგიური გაგებისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე¹⁷² სააზროვნო კონსტრუქტია, რომელიც ავტორმა იენის უნივერსიტეტის პერიოდის მასწავლებლის, კარტეზიანელი ერჰარდ ვაიგელის მიერ ინსპირირებულმა შექმნა. გარდა ამისა, ეს მეტასტრუქტურა ჩვენი კვლევის ძირითადი თემის, მოვალეობათა შესახებ მოძღვრებისთვისთვის შემამზადებელ ფილოსოფიურ ფონს ქმნის, გამომდინარე იქიდან, რომ მიუხედავად მორალურობის მისეული ინტერპერსონალური ან საჯარო გაგებისა, ბუნებითი მოვალეობები პუფენდორფს ესახება არა როგორც ტექნიცისტურად და მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველმყოფ, კონვენციური და იძულებითი ხასიათის ინსტრუმენტებად, არამედ მორალური განზომილების მატარებელ ფენომენად. რაც შეეხება თავად მორალურ განზომილებას, იგი იმდენადვე აუცილებელია სოციალური ურთიერთობისთვის, როგორც ფიზიკური საგნებისთვის არის აუცილებელი დროისა და სივრცის აბსტრაქტული სუბტრაქტი.

ამ ორ მოძღვრებას შორის არსებული კომპლექსური ბმის გამო, ყოფნის მორალურ ფორმებს მოცემულ დისერტაციაში შეძლებისდაგვარად დეტალურად მიმოვიხილავთ. აღსანიშნავია, რომ ვაიგელის მთავარი ნაშრომი, „მორალური სიბრძნის არითმეტიკული აღწერა“ პუფენდორფის უმთავრესი ბუნებით-სამართლებრივი ნაშრომის გამოსვლიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1674 წელს

¹⁷¹ Samuel Pufendorf, *On the Law of Nature and of Nations in Eight Books*, (Editet by Craig L. Carr, translated by Michael J. Seidler Series: *Natural Law and Enlightenment Classics*, K. Haakonssen [ed.]), Indianapolis: Liberty Fund; revised edition of New York, Oxford University Press, 1927b. 2009 *Political Writings of Samuel Pufendorf* 2, (P.104-296), გვ. 111.

* ან *მორალური არსებების*, მხოლოდით რიცხვში იქნება *ens morale*.

¹⁷² ამასთან დაკავშირებით იხ. ვრცლად, Theo Kobusch „Die Entdeckung der Person, Metaphysik der Freiheit und modernes Menschenbild“, Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt 1996, გვ. 67-82.

დაიბეჭდა და ამ მიმართულებით პუფენდორფის განაზრებანი, თავდაპირველი ვაიგელისეული იმპულსის აღიარებით, მის ორიგინალურ კონცეფციად შეგვიძლია მივიჩნიოთ. entia moralia-ს სტრუქტურის დიდი ნაწილი „ელემენტებიდან“ „ბუნებით და ხალხთა სამართალშიც“ იქნა გადატანილი.

მოვალეობის პრინციპთან ერთად, მორალურ არსობათა შესახებ მოძღვრება პუფენდორფის მთელი ფილოსოფიისთვის საკვანძო მნიშვნელობის მქონედ შეგვიძლია ჩავთვალოთ. თუ რა როლს ანიჭებდა თავად პუფენდორფი ამ მოძღვრებას ჩანს იქიდან, რომ მისი ძირითადი ნაშრომი - „ბუნებითი და ხალხთა სამართლის შესახებ“, იწყება თავით: „მორალური ფორმების წარმოშობისა და ნაირსახეობის შესახებ“. აქ ხაზგასმულია მისი რწმენა, რომ მორალური ფორმები (entia moralia), უყურადღებოდ არიან დატოვებული, ბევრად უკეთ შესწავლილ ფიზიკურ ფორმებთან (entia physica) შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ მათი ბუნების ცოდნა ადამიანს დიახაც მოეთხოვება, რომელთა წარმოების ნიჭი მას ებოძა და რომელთა ძალა სიღრმისეულად განმსჭვალავს მას მთელი ცხოვრების მანძილზე“. ¹⁷³

საქმე იმაშია, რომ მისი მეშვეობით, გამიჯნა რა entia physica და entia moralia ერთმანეთისგან, პუფენდორფმა შეძლო ბუნებითი სამართლის მეცნიერებაში ნატურალიზმის დომინირებისთვის თავის არიდება, რისი საფრთხეც განსაკუთრებით ჰობსისა და სპინოზას მიერ კარტეზიანული მეთოდის უპირობო გამოყენებიდან მომდინარეობდა. ¹⁷⁴ მან ეს ისე გააკეთა, რომ არ შესულიყო დავაში თავად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, რომელთა მეთოდსაც პატივს მიაგებდა სქოლასტიკის სილოგიზმის საპირისპიროდ. თუმცა არ იქნებოდა სწორი, თუკი ვიფიქრებდით, რომ ბუნებითი სამართლის მოაზროვნეთა ინტერესი განვითარების თვისობრივად ახალ ფაზაში შესული საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი მხოლოდ მეთოდს უკავშირდებოდა. საქმე იმაშია, რომ ისინი ბუნებას მოიაზრებდნენ მეცნიერებათა ორივე მიმართულებისთვის საერთო ნიადაგად, ბუნებითი სამართლის შემთხვევაში - ადამიანური ქმედების, ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემთხვევაში - სხვა სახის ქმედების არეალად. ამ საერთო ნიადაგის ქონის

¹⁷³ Samuel Pufendorf, the Elements of Universal Jurisprudence in Two Books (Editet by Craig L. Carr, translated by Michael J. Seidler Series: *Natural Law and Enlightenment Classics*, K. Haakonssen [ed.]), Indianapolis: Liberty Fund; revised edition of New York, Oxford University Press, 1927b. 2009 Political writings of Samuel Pufendorf 1, გვ. 99.

¹⁷⁴ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, München, 1972, გვ. 70.

მოთხოვნილებამ გააჩინა ტენდენცია საბუნებისმეტყველო მექანიკის პარალელურად, ადგილი დათმობოდა ზნეობრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მექანიციკურ აღქმას, იმ არგუმენტით, რომ ამ უკანასკნელთა კანონებიც სხვა არაფერია, თუ არა ერთიანი საერთო ბუნების კაუზალური კანონები.¹⁷⁵

ამ გატაცების თანმიმდევრული შედეგი გახლდათ უკიდურესი ნატურალიზმი, რის საუკეთესო მაგალითადაც პუფენდორფის მასწავლებელი და მისი ფილოსოფიური ინტერესის პირველი ინსპირატორი - მათემატიკოსი, ასტრონომი და პითაგორელი მოაზროვნე ერჰარდ ვაიგელი (1625-1699) გამოდგება. იგი მის „მორალური სიბრძნის არითმეტიკულ აღწერაში“ შეეცადა ზნეობრივ-ისტორიული სამყაროს არითმეტიკულ-ფიზიკური აზროვნებით მოცვას. კერძოდ, მან მოახდინა საბუნებისმეტყველო და მათემატიკური მეცნიერებების ცნებათა და სააზროვნო ფორმათა გამოყენება კულტურული და სოციალური მოვლენების ასახსნელად, რამაც საკმაოდ ბუნდოვანი შედეგი გამოიღო, მაგ. იგი ცდილობდა ღმერთის სამბუნებოვნების მათემატიკურად დამტკიცებას.¹⁷⁶ მას სწამდა, რომ მათემატიკა არის სრულყოფილი, ჭეშმარიტი და ინტელექტუალური ფილოსოფია, რომელსაც ადამიანი მაღალ ზნეობრივ სიმაღლემდე აჰყავს („Rechnen ist rechtnen – richtig tun Rechenschaft geben”)¹⁷⁷, ხოლო მისი მეთოდი გულისხმობდა კვაზი-მათემატიკურ მიდგომას, რომელიც მორალურ საკითხებში არისტოტელეს ალბათობის საპირისპიროდ დემონსტრაციული სიცხადისკენ ისწრაფვოდა.

რაც შეეხება პუფენდორფის ღვაწლს ადამიანის თავისუფლებაზე დაფუძნებულ entia moralia-ს შესახებ მოძღვრების შემუშავებასთან დაკავშირებით, იგი მოგვევლინა იმ შემობრუნებად, რამაც საკუთარი სტრუქტურული კანონებისა და საბოლოო მიზნის ქონის მეშვეობით, კარგად დასანახი ზღვარი გაავლო მორალურ და ფიზიკურ სამყაროებს შორის.

ამ მოძღვრების გაგების ობიექტურ სირთულეს, რის მიზეზადაც თავად მის არსებით სიახლეს მიიჩნევდა, თან ერთვოდა წინააღმდეგობა პროტესტანტ სწავლულთა წრის წარმომადგენელთა მხრიდან, რომლებიც ძველ სქოლასტიკურ

¹⁷⁵ Hans Welzel, Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs, ein Beitrag zur Ideengeschichte des 17. Und 18. Jahrhunderts, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1958, გვ. 19.

¹⁷⁶ Erik Wolf, Grosse Rechtsdenker der deutschen Geistesgeschichte, 3. Aufl. Tübingen, 1951, გვ. 338-339.

¹⁷⁷ Reinhard Schielicke; Klaus-Dieter Herbst; Stefan Kratochwil, „Erhard Weigel – 1625 bis 1699 Barocker Erzvater der deutschen Frühaufklärung”, Jena 1999. გვ. 35.

სააზროვნო პარადიგმაში რჩებოდნენ, ხოლო არსებობის მორალურ ფორმებზე მსჯელობას ერეტიკულად მიიჩნევდნენ.

ადამიანის მორალური ფორმების გააზრებისას მნიშვნელოვანი საგულისხმო მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ აქ საქმე არ გვაქვს ადამიანის ორ სხვადასხვა ბუნებასთან. ადამიანური ბუნება მის ფიზიკურ ბუნებას ეფუძნება. არსებობს ადამიანური ბუნების სხვადასხვა საფეხურები, რაც ასევე მოიცავს საფეხურს, რომელიც ადამიანს ცხოველთა სამყაროსგან აშორებს.¹⁷⁸

პუფენდორფი *entia moralia*-ს თავისი ფუნდამენტური შრომის „*De Jure Naturae et Gentium, Libri Octo*“-ს პირველ წიგნს უთმობს.

entia moralia-ს წარმოშობა, განსხვავებით *entia physica*-სგან, რომელიც ქმნილებას (*creatio*) წარმოადგენს, ადამიანის თავისუფალი ქმედების მეშვეობით დამატებას (*impositio*) უკავშირდება.

ადამიანური ნების უმაღლესი გამოვლინება პუფენდორფისთვის არის თავისუფლება, რომელიც თავს ავლენს ინდიფერენტულობასა და თავისუფალ თვითგანსაზღვრაში. ინდიფერენტულობა აღნიშნავს ნების მიმართებას შესაძლო ქმედებებთან, რომელთა შორისაც არჩევანის გაკეთება რაიმე იძულების გარეშე ხდება; ხოლო თავისუფალი თვითგანსაზღვრა ნიშნავს იმას, რომ ქმედების გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ ნებისგან გამომდინარეობს, ამასთან მისი შინაგანი აღმძვრელის მეშვეობით. თავისუფლების თვითგამოვლენის მეორე ასპექტია, იმის ცოდნა, თუ რას აკეთებს ადამიანი.¹⁷⁹

ნებისა და ცოდნის ერთობლიობის, როგორც თავისუფალი ქმედების აუცილებელი პირობის პუფენდორფისეული გააზრება, როგორც ქმედების მორალური მიზეზობრიობის, საფუძვლად ედება სისხლის სამართლის თეორიის ფუნდამენტურ თავს, მოძღვრებას შერაცხვის შესახებ.

თუკი ადამიანის თავისუფლება, ნებისა და გონის ურთიერთქმედებისგან შედგება, მაშინ გამოდის, რომ ადამიანური ცხოვრების ოპტიმიზაციის ამოცანის მქონე ბუნებითი კანონიც ორივე მათგანს ამა თუ იმ ფორმით უნდა გულისხმობდეს. კანონს არ შეუძლია მოქმედება აიძულოს ნებას, ის მას განსაკუთრებულ შემეცნებას

¹⁷⁸ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, C. H. Beck, München, 1972, გვ. 68.

¹⁷⁹ Hans Welzel, *Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs, ein Beitrag zur Ideengeschichte des 17. Und 18. Jahrhunderts*, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1958, გვ. 23.

ანიჭებს, რაც მას საკუთარი ქმედების თავადვე განსჯისკენ უბიძგებს. ამავე დროს, ამ გზით ნათელი ხდება ის მიზეზი, თუ რატომ არის ნების თავისუფლება ყოველი მორალურად დიფერენცირებული ქმედების უპირველესი წინაპირობა.¹⁸⁰

თუ გავრცელებულ ენაში ქმედების მორალურობის თაობაზე კანონის გამაცნობიერებელი გონების მსჯელობას სინდისს უწოდებენ, პუფენდორფი ყოფს მას „წინარე“ და „მომდევნო“ სინდისად, იმის მიხედვით, ადამიანის ქმედების დაწყებამდე გამოთქვამს იგი თავის მსჯავრს თუ მისი დასრულების შემდგომ.¹⁸¹

entia moralia, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ ასპექტთან ერთად, ამ უკანასკნელის თვისების სახით არსებობს, დაერთვის რა entia physica-ს, ხელშეუხებლად ტოვებს მის ფიზიკურ სტრუქტურას, მაგრამ მას მატებს ყოფნის ახლებურ, მორალურ სახეს. მათი იზოლირებულად ერთმანეთისგან გამიჯვნა შეიძლება მხოლოდ მეთოდურ აბსტრაქციას წარმოადგენდეს.

ვინაიდან პუფენდორფი entia physica-ს იხილავს არა მხოლოდ ფსიქიკურ გამოვლინებებთან კორელაციაში, არამედ აგრეთვე სივრცით-სხეულებრივთანაც, არ იქნებოდა სწორი, თუ entia moralia-ს ფსიქიკურ გამოცდილებად განვმარტავდით. არსებობის მორალური ფორმები იმდენადვე ფიზიკურია, რამდენადაც ფსიქიკური და ამასთან არ არის რომელიმე მათგანის იდენტური. ens morale-ს შემატება ან დაკარგვა რაიმე ცვლილებებს არ იწვევს ფიზიკურ და ფსიქიკურ თვისებებში. „Eris Scandia“-ში, პუფენდორფს ამ პროცესის საილუსტრაციოდ მოჰყავს სტუდენტის მიერ დისერტაციის დაცვის ანალოგია, რა დროსაც მის ფსიქო-ფიზიკურ დონეზე რაიმე ცვლილება არ ხდება, არამედ იძენს რა მორალურ ხარისხს, დოქტორის ტიტულს, გადადის ახალ მდგომარეობაში.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ens morale მისი მატარებელი ადამიანის სუბიექტური რეალობის ნაწილია. იგი არ გახლავთ რაიმე სახის სააზროვნო ფიქცია, არამედ იმდენადვე ნამდვილია, როგორც entia physica, რომელთან კავშირშიც ის არსებობს. მისი სუბსტანციურობა არ გახლავთ ფსიქო-ფიზიკური რეალობის

¹⁸⁰ Hans Welzel, Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs, ein Beitrag zur Ideengeschichte des 17. Und 18. Jahrhunderts, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1958, გვ. 23-25.

¹⁸¹ Samuel Pufendorf, On the Law of Nature and of Nations in Eight Books (Edited by Craig L. Carr, translated by Michael J. Seidler Series: *Natural Law and Enlightenment Classics*, K. Haakonssen [ed.]), Indianapolis: Liberty Fund; revised edition of New York, Oxford University Press, 1927b. 2009, Political Writings of Samuel Pufendorf 2, გვ. 110.

იდენტური, არამედ წარმოადგენს ფიზიკურთან ან ფსიქიკურთან მიმართებაში აზრობრივად ინდიფერენტულ და მორალურად საზრისის მქონე ელემენტებს. კულტურული ცხოვრებაც სხვა არაფერია, თუ არა ბუნებრივი მუნყოფნის საზრისის მიხედვით მოწყობა. ყოველი ფიზიკური და ფსიქიკური გამოვლინება როგორც ასეთი, *entia moralia*-სგან აბსტრაგირებულად განხილული ღირებულებითად ნეიტრალურია - არც ცუდია და არც კარგი.

პუფენდორფი ყურადღებას აქცევს და აანალიზებს ხდომილების დეტერმინაციის სახეებს და ამბობს, რომ მიზეზობრიობა წარმოადგენს სპეციფიკურად ფიზიკური დეტერმინაციის რეჟიმს და იცნობს მხოლოდ მარადიულად უნიფორმულ ხდომილებას. ამის საპირისპიროდ, თავისუფლების მეშვეობით დეტერმინაციისას, რომელიც აუცილებელი პირობაა კულტურული ცხოვრებისთვის, სწორედაც პირიქით, სახეზე გვაქვს არა უნიფორმულობა, არამედ ნებისმიერი მიმართულებით საკუთარი თავის წარმართვის შესაძლებლობა. ამის დასტურია ადამიანთა შორის დიდი სულიერი მრავალფეროვნება, რასაც ცხოველებში არ ვხვდებით, ამა თუ იმ სახეობის წარმომადგენლებს ერთნაირი ინსტინქტები, მისწრაფებები და იმპულსები გააჩნიათ.¹⁸²

არსებობს ფიზიკური საგანთა კატეგორიების **ანალოგიური ოთხი სახის *entia moralia***: **პირი** (*persona*), **მდგომარეობა** (*status*-აღნიშნავს სივრცეს მოვალეობებითა და უფლებებით დეტერმინირებულ ნორმატიულ ჩარჩოებში, საზოგადოებაში მორალური პოზიციონირებისა და დროითი მდგომარეობების მნიშვნელობით), **ხარისხები** (*qualitas* აფექტური/ეფექტური რეჟიმები) და **ოდენობები** (*quantitas* შეფასებითი რეჟიმები).¹⁸³

მიუხედავად იმისა, რომ *ens morale* სუბსტანციურ ეგზისტენციას მოკლებულია, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათი არსებობა პირობადებულია ადამიანის თავისუფალი ქმედების არსებობით და სულაც არ არის გარანტირებული, მათი ერთი ნაწილი - **მორალური პირები** მაინც შეგვიძლია სუბსტანციათა

¹⁸² Hans Welzel, *Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs, ein Beitrag zur Ideengeschichte des 17. Und 18. Jahrhunderts*, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1958, 27.

¹⁸³ Samuel Pufendorf, *On the Law of Nature and of Nations in Eight Books* (Edited by Craig L. Carr, translated by Michael J. Seidler Series: *Natural Law and Enlightenment Classics*, K. Haakonssen [ed.]), Indianapolis: Liberty Fund; revised edition of New York, Oxford University Press, 1927b. 2009, *Political Writings of Samuel Pufendorf* 2., გვ. 116-118.

ანალოგიურად განვიხილოთ, იმდენად რამდენადაც დანარჩენი entia moralia მათ იმის მსგავსად ეფუძნებიან, როგორც ფიზიკურ სუბსტანციებს ფიზიკური თვისებები.¹⁸⁴

ისინი იყოფიან მარტივ და შედგენილ *მორალურ პირებად*, რომელთაგან ორივეს გააჩნია საჯარო და კერძო, პოლიტიკური და საეკლესიო და ასე შემდეგ ნაწილები. მორალური პირები უნდა გავმიჯნოთ ადამიანებისგან, როგორც მათი ფსიქო-ფიზიკური მატარებლებისგან. ამდენად, ერთსა და იმავე ადამიანს შეუძლია ერთდროულად რამდენიმე მორალური პერსონის მატარებელი იყოს ისევე, როგორც სხვადასხვა სტატუსში იმყოფებოდეს.

მსგავსად იმისა, რომ არსებობის საფუძველს წარმოადგენენ ფიზიკური სუბსტანციები სივრცისა და დროის სახით, ასევე მორალური პირებიც მათი ყოფნის ამ ფიზიკური სიდიდეების ანალოგიური წესრიგის სააზროვნო სისტემაში - **სტატუსში** (მდგომარეობაში) არიან წარმოდგენილი; მდგომარეობები განსაზღვრავენ ერთგვარ მორალურ-ლეგალურ სივრცეს, რომელშიც პირები, როგორც სხეულები ოპერირებენ; ისინი ამ უკანასკნელთა მიერ დაქვემდებარებულნი არიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გარკვეული აზრით თავის არსებობას პირველთ უმაღლიან.¹⁸⁵ თუკი სივრცესა და დროს ობიექტური რეალობა გააჩნიათ, სტატუსი მხოლოდ მიმართებათა სისტემას განასახიერებს, რომელსაც მასში მყოფი პირების გარეშე რაიმე თავისთავადი რეალური არსებობა არ აქვს. მდგომარეობა მრავალი ნაწილისგან შედგება. სივრცით-დროისმიერი, რომელთაგან სივრცითი კვლავაც იყოფა ზოგადად და განსაკუთრებულად; ზოგადი - ბუნებრივად და შეძენილად. პირველზე დეტალურად შევჩერდებით, რაც შეეხება შეძენილს, საუბარია ცალკეული სახის პირების მიერ შექმნილ ან დამატებულ სპეციალურ პირობებსა და ინსტიტუტებზე (მაგ. კომერციული რეპუტაცია, ქორწინება, სამოქალაქო სტატუსი).

ბუნებრივი მდგომარეობის სახით საქმე გვაქვს ბუნებითი სამართლის ფილოსოფიისათვის ცენტრალური მნიშვნელობის კონცეპტთან. არსებითია ის

¹⁸⁴ Samuel Pufendorf, *On the Law of Nature and of Nations in Eight Books* (Editet by Craig L. Carr, translated by Michael J. Seidler Series: *Natural Law and Enlightenment Classics*, K. Haakonssen [ed.]), Indianapolis: Liberty Fund; revised edition of New York, Oxford University Press, 1927b. 2009, *Political Writings of Samuel Pufendorf* 2, გვ. 101.

¹⁸⁵ Stanford Encyclopedia of Philosophy, Pufendorf's Moral and Political Philosophy. <http://plato.stanford.edu/entries/pufendorf-moral/>.

გარემოება, რომ პუფენდორფი *status naturalis*-ის ცნებას სამი განსხვავებული მნიშვნელობით იყენებს:

1. ადამიანის მოდგმის იდეალური მდგომარეობა (*status humanitatis*), რომლის განხორციელება ადამიანის მოვალეობას წარმოადგენს. ეს გახლავთ ცხოველთა სამყაროს საპირისპირო კაცობრიობის უმაღლესი კულტურული იდეალი. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ურთიერთთანადგომის კანონი, მოყვასის ძმური სიყვარული და ადამიანობა როგორც ასეთი, სრულად არის განხორციელებული. მას „ბუნებრივი“ ეწოდება იმის გამო, რომ იგი წარმოადგენს არა ადამიანური სუბიექტური თვითნებობის შედეგსა და გამოგონებას, არამედ ეფუძნება ღმერთის მცნებას და მის შესაძლებლობად უბრალო გონება საკმარისია.

2. მეორე მნიშვნელობით *ბუნებრივი მდგომარეობა* მეთოდური აბსტრაქციაა, რადროსაც ადამიანი აღებულია მისი ამჟამინდელი, როგორც რაციონალური, ისე უკუღმართი მიდრეკილებებით. ეს გახლავთ ანალიტიკური მეთოდური გზის უკანასკნელი პუნქტი, სადაც ადამიანური ბუნება მის საფუძველმდებარე სტრუქტურებამდეა დაყვანილი, რამაც მისი წყობის უმაღლესი პრინციპი უნდა გამოააშკარავოს. ამ მდგომარეობის მარტივად გასაგებად პუფენდორფს მოჰყავს „დედამიწაზე ჩაგდებული“ მარტოხელა ადამიანის მეტაფორა. მას „ბუნებრივი“ ეწოდება, იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ხმარებაში დაბადებით მოცემულ მდგომარეობას ნიშნავს, განსხვავებით მოგვიანებით საკუთარი ან სხვისი მეშვეობით შეძენილისგან.

3. *status naturalis*-ი ამავე დროს არის ნამდვილი სამართლებრივი ფენომენი, რომელიც აღნიშნავს იმ ადამიანთა სტატუსს, ვინც სუვერენული ხელისუფლების ქვეშევრდომად არ გვევლინება. ეს გახლავთ *status civilis*-ის საპირისპირო მდგომარეობა. ეს ბუნებითი მდგომარეობაც პრინციპში ფიქციაა, ვინაიდან ადამიანთა გვარი, მის მთლიანობაში, ერთდროულად ამ მდგომარეობაში არასოდეს ყოფილა. მხოლოდ შეზღუდულად და ნაწილობრივ შეიძლება ამ მდგომარეობას რეალობა გააჩნდეს, იმდენად რამდენადაც კაცობრიობის ნაწილი ცხოვრობს თანამეგობრობათა ფარგლებში, რომლებიც ერთმანეთთან მიმართებაში ბუნებით მდგომარეობაში იმყოფებიან.*

* კანტის წერილში „მარადიული მშვიდობისათვის“ ჩამოყალიბებული ხედვა სწორედ ამგვარი ბუნებითი მდგომარეობის გადალახვას ისახავს მიზნად.

განსაკუთრებული სივრცითი სტატუსი ის მდგომარეობაა, რომელიც მასში მყოფი პირების მაღალ ან მოკრძალებულ პატივისცემას უკავშირდება.

დროისმიერი სტატუსი იყოფა ახალგაზრდობად და ხანდაზმულობად, შესაბამისად არასრულწლოვანებად და სრულწლოვანებად.

მორალური მდგრადობა მიემართება იმ სხვადასხვა როლსა და საქმიანობას, რომელსაც ადამიანები თამაშობენ და ასრულებენ, როგორც ინდივიდები, ან როგორც შედგენილი წევრები, საკუთარი ძალისხმევით ან სხვების მეშვეობით (მაგ. ელჩების). მას შემდეგ, რაც ჩვენ ტიპიურად ვადგენთ მრავლობით, დამატებულ, მორალურ პერსონას, შესაძლებელი ხდება მათ შორის კონფლიქტი არა მხოლოდ ინდივიდების, არამედ კოლექტივთა შემთხვევაშიც, მაგ. ეკონომიკური ასოციაციების, რელიგიური ჯგუფების და ისეთი პოლიტიკური არსებობის, როგორებიცაა სახელმწიფოები, იმპერიები ან კონფედერაციები. ამდენად, მნიშვნელოვანია (განსხვავებული სახის), პირთა შესატყვისი მოვალეობებისა და უფლებების არტიკულირება და მათი რანგირება, მათივე რელატიური მორალური პრიორიტეტების ტერმინებში.

ასეთი დიფერენციაცია მოითხოვს **მორალური ხარისხებისა და ოდენობების** გამოყენებას, რომლებიც არიან შესატყვისად აფექტურნი და შეფასებითი რეჟიმები.

მორალური ხარისხები პირებზე ზემოქმედებენ და იყოფიან ფორმალურ და ოპერაციულ ნაწილებად, ამ უკანასკნელის დაყოფით პასიურ და აქტიურ ნაირსახეობებზე. ფორმალურს განეკუთვნება: ტიტული, აქტიურს (ოპერაციულს): უფლებამოსილება, სუბიექტური უფლება და ვალდებულება. პასიური ოპერაციული თვისებები მავანს აძლევენ საშუალებას - „მართებულად იქონიონ, მიიღონ რაიმე, ან დართონ რაიმეს ნება“, მაშინ როდესაც აქტიური ოპერაციული თვისებები არის ისინი, რომელთა შეთხვევაშიც ჩვენ შეგვიძლია სხვების მორალური აფექტაცია, ან ასე ვთქვათ ამოძრავება. ისინი იყოფიან უფრო მეტად ნაცნობ ისეთ ცნებებად, როგორებიცაა ძალაუფლება/ხელისუფლება (*potestas*), ვალდებულება (*obligatio*), და უფლება (*jus*) - რომლებიც შეადგენენ სოციალური ცხოვრების დინამიკას.¹⁸⁶

¹⁸⁶ Stanford Encyclopedia of Philosophy, Pufendorf's Moral and Political Philosophy. <http://plato.stanford.edu/entries/pufendorf-moral/>

ტერმინი *jus* ორაზროვანია, ამბობს პუფენდორფი და ის ზოგჯერ ნიშნავს კანონს (*lex*). ამის მიუხედავად, შესაძლებელია მისი მიკუთვნება პასიური მორალური ხარისხისთვის (როგორც მაგალითად, ვინმესთვის მართებულად ნივთების მიღების ნების დართვაა), ის აქტიურია იმდენად, რამდენადაც გვრთავს პიროვნებებზე მბრძანებლობისა და ნივთების ფლობის ნებას. ამ თვალსაზრისით, ის მსგავსია ხელისუფლის ძალაუფლებისა, რომელიც ოთხ ტიპად იყოფა იმის მიხედვით, ფლობს იგი პიროვნებებს თუ ნივთებს, თავისას თუ სხვისას.

ხელისუფლება მავანის საკუთარ თავსა და ქმედებებზე თავისუფლებაა (*libertas*), ხოლო სხვებზე - სუვერენობა (*imperium*); მორალური ძალაუფლება მავანის საკუთარ საქმეებზე გახლავთ საკუთარი თავის ბატონ-პატრონად ყოფნა ან დომინიონი (*dominium*), ხოლო სხვებზე ბატონობა (*servitus*). ძალაუფლების თითოეული სახე შეიძლება იყოს შეძენილი, დაიკარგოს ან განხორციელდეს ამა თუ იმ გზით: მაგალითად, ეფექტიანობა ან ძალა ძალაუფლებისა, შეიძლება იყოს „სრულყოფილი“ (უგამონაკლისო, განხორციელებადი), ან „არასრულყოფილი“ (ცვალებადი, ძლივს თავს მოხვევადი), როგორც შეიძლება იყოს კანონთა ძალა.

მორალური ოდენობები განასახიერებს პირთა, ნივთების ან ქმედებათა შეფასებას მათ სოციალურ და ღირებულებით ასპექტში - მათი ფასის მიხედვით (ეკონომიკური ღირებულება), ან დამსახურების მიხედვით (როგორც სასჯელი ან ჯილდო). პირთა მიმართებაში მას ჰქვია პატივისცემა, ნივთებთან მიმართებაში კი ფასი. ქმედებებთან მიმართებაში სპეციალური ტერმინი არ მოგვეპოვება.

ღმერთი მიემართება *entia moralia*-ს არა უშუალო, არამედ დაშორებული პირველმიზეზის (*causa remota*) სახით,¹⁸⁷ ვინაიდან ღმერთის მიერ კაცთათვის ბოძებული სიცოცხლე არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური არსებობით, რაც *entia physica*-შია გამოხატული, არამედ იგი ატარებს ზნეობრიობითა და კულტურით თვითსრულყოფის პოტენციალს, რასაც მასში საბოლოოდ წესრიგი და სილამაზე შეაქვს. პუფენდორფის ძირითად ვოლუნტარისტულ მორალურ ფილოსოფიაში, ღმერთი გააზრებულია, როგორც სამყაროს საბაზისო ნორმატიული განზომილების დამდგენი (სამყაროს შექმნასთან და მასთან თავსებადობასთან ერთად), სადაც

¹⁸⁷ Klaus-Gert Lutterbeck, „Pufendorfs Unterscheidung von physischem und moralischem Sein und seine politische Theorie“, *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf*, Dieter Hüning (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009. გვ. 23.

ადამიანებს ნაანდერძები აქვთ შემდგომი შემეცნების პროცესი, რათა მოახდინონ თავიანთი ცხოვრების მოწესრიგება, ორივე - როგორც ამ საკითხზე ფილოსოფირების, ისე თავიანთი ცხოვრების მარეგულირებელი კონკრეტული პრაქტიკებისა და ინსტიტუტების შემუშავების გზით.¹⁸⁸

entia moralia ადამიანის ნების თავისუფლებიდან გამომდინარეობს, განსხვავებით სხვა ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებისგან, რომელიც მიზეზობრიობას ემორჩილება. თუ ქმედების ფიზიკური ელემენტები ზნეობრივად არარელევანტურია - ისინი არც დადებით და არც უარყოფით ხასიათს არ ატარებენ, მაგ. ადამიანისთვის სიცოცხლის მოსპობა აუცილებელი მოგერიებისას, ომში და მკვლელობის დანაშაულის ჩადენისას ფიზიკურ ასპექტში არ განირჩევა ერთმანეთისგან, სამაგიეროდ ისინი ღირებულებით დიფერენციაციას განიცდიან, სწორედ იმდენად, რამდენადაც entia moralia-ს წყალობით ატარებენ დადებით, ან უარყოფით ზნეობრივ დატვირთვას.

ცხოველთა სამყარო, მისი ინსტინქტების ერთგვაროვნებით, პუფენდორფის აზრით, გვიჩვენებს ფიზიკური სამყაროს ერთფეროვნებას ზნეობრივი სამყაროსა და მისი კუთვნილი ადამიანის მრავალფეროვნების ფონზე. ადამიანის გვარის წარმომადგენელთა არაერთგვაროვნება ერთის მხრივ, არის პროგრესის წინაპირობა, მაგრამ ამავდროულად მისი ჰარმონიული განვითარების მიზნით, კანონების მეშვეობით ცხოვრების მოწესრიგებას საჭიროებს.

ფიზიკური და მორალური სამყაროები ერთმანეთისგან ცნებათა სამი ურთიერთსაპირისპირო წყვილის მეშვეობით შეგვიძლია განვასხვავოთ: მიზეზობრიობა-თავისუფლება; ღირებულებითი ირელევანტურობა-ღირებულებითი რელევანტურობა; ერთფეროვნება-მრავალფეროვნება.

როგორც დავინახეთ, entia moralia-ს შესახებ კონცეფცია ახდენს საბაზო ცნებების, კატეგორიების, გამიჯვნებისა და კლასიფიკაციების სპეციფიკაციას - სპეკულატიური გრამატიკისა და ლექსიკის აზრით, საიდანაც მორალური დისკურსი არის კონსტრუირებული. მეორეს მხრივ, მორალური არსობები ამ დისკურსის ონტოლოგიურ კორელანტებს ან რეფერენტებს განსაზღვრავენ, რომლებიც არიან

¹⁸⁸ Stanford Encyclopedia of Philosophy, Pufendorf's Moral and Political Philosophy. <http://plato.stanford.edu/entries/pufendorf-moral/>

უბრალო ფიზიკურ არსებებსა და სისტემებზე დაფუძნებული და ამავე დროს განირჩევიან მათგან.

პუფენდორფი მორალური და ფიზიკური სამყაროების ერთმანეთისგან გამიჯვნით აღწევს მნიშვნელოვან მიზანს - ბუნებითი სამართალი გამოჰყავს ახალი დროის ნატუროფილოსოფიური დომინირების არეალიდან და უმკვიდრებს მას ნორმატიული მეცნიერების კუთვნილ ადგილს, უსვამს რა ხაზს თავის შეხედულებას, რომ ნორმა, რომელიც ღირებულებას ეფუძნება, მხოლოდ იმ მნიშვნელობის წყალობით მოქმედებს, რასაც მასში ღმერთის ან ადამიანის თავისუფალი ნება დებს. ეს შედეგი ქმნის იმ აუცილებელ იდეალისტურ წინაპირობებს, რაც ხელს უწყობს ბუნებითი სამართლის ფილოსოფიაში მოვალეობათა შესახებ მისი ორიგინალური მოძღვრების განვითარებას.

**C. მოვალეობის შესახებ მოძღვრება, როგორც პუფენდორფის
ორიგინალური წვლილი მოდერნული ბუნებითი სამართლის
ფილოსოფიაში**

*„ცოდნას მოვალეობის, ე.ი. იმის შესახებ, თუ რა
უნდა ვაკეთოთ ცხოვრებაში და რაზე უნდა ვთქვათ
უარი, ადამიანები ცხადად ვიღებთ სამი წყაროდან,
კერძოდ: გონების სინათლიდან, საკანონმდებლო
ხელისუფლების განაწესებიდან, ღვთაებრივი
არსების განსაკუთრებული გამოცხადებიდან.“¹⁸⁹*

I. თანდაყოლილი უფლება-მოვალეობების ერთიანობა

1. მოვალეობის პრინციპის მოკლე ისტორიული რეტროსპექტივა

სამართლის მეცნიერებისა და სამართლის ფილოსოფიისთვის ისეთი საკვანძო და ფუძემდებლური მნიშვნელობის მქონე კატეგორიის თანამედროვე გაგების ჩამოყალიბებაში, როგორიცაა მოვალეობის პრინციპი, სამუელ პუფენდორფს სრულიად ერთმნიშვნელოვნად თავისი გამოკვეთილი წვლილი აქვს შეტანილი. ცალკეული ადამიანის პოლიტიკურ ერთობასთან სოციალური კავშირის დასაბუთებას პუფენდორფი სწორედ მოვალეობის ბუნებით-სამართლებრივი მოძღვრების საფუძველზე აგებს.

სანამ მოვალეობის პრინციპის უშუალოდ მის მიერ შემუშავებული კონსტრუქციის განხილვაზე გადავალთ, რაც მთელი მისი ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის ღერძს ქმნის, მოკლედ მიმოვიხილოთ მოვალეობის პრინციპის გენეზისი.

¹⁸⁹ Samuel Pufendorf, „On the Duty of Man and Citizen According to Natural Law”, Cambridge Texts in the History of Political Thought, 1991, გვ. 7.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ მოვალეობის პრინციპი სამართლისა და მორალური ფილოსოფიის, ასევე მორალური თეოლოგიის გზაგასაყარზე მყოფი კატეგორიაა და სამივე დასახელებული დისციპლინიდან მისკენ დამოუკიდებელი გზა მიემართება.

თუ საკითხს თანმიმდევრობით მივყევით, უპირველესად გავალთ დასავლური ცივილიზაციის სამართლებრივი კულტურის ეპიცენტრის - რომაული სამართლებრივი აზროვნების გზაზე, სადაც ძველი რომის თორმეტი ტაბულის კანონებიდან ჩანასახის სახით დაწყებულ და ბიზანტიური პერიოდის იუსტინიანეს (526-565) *corpus iures civilis*-ში კულმინირებულ ვალდებულების კატეგორიას დავინახავთ. იგი რომაული სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს და სამართლებრივ ბორკილს არის შედარებული¹⁹⁰ („*obligatio est vinculum iuris*,” Institutiones Justiniani III, 13)¹⁹¹. ტერმინის obligatio (ვალდებულება), რომელიც მოგვიანებით რომაული სტოიციზმისა და ქრისტიანული მორალური თეოლოგიური სინთეზის წყალობით officio-ს (მოვალეობა) მიმართულებით განიცდის შინაარსობრივ განვითარებას, სწორედ რომაულ ვალდებულებით სამართალში იღებს სათავეს. ანტიკურობაში იგი უმთავრესად მევალე-მოვალის სამართლებრივი მიმართებისთვის აქტუალურ ვალდებულებას აღნიშნავს. გვიან ანტიკურ ხანაში რომაული სამართალი ერთმანეთისგან ანსხვავებს ცივილურ და პრეტორიანულ ვალდებულებას და ვალდებულების იმ სახეს, რომელიც ხელშეკრულებიდან ან დანაშაულის ჩადენიდან წარმოიშობა (ზიანის ანაზღაურების ვალდებულება).

რომის სამოქალაქო სამართლის კუთვნილი ვალდებულების ცნება, რომელიც ფაქტობრივად მევალის (კრედიტორის) უფლების სტატუირებული ფორმაა, უზრუნველყოფს მოვალის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედების შესრულებას, არ არის მოვალეობის ცნების იგივეობრივი. გვიან ანტიკურ პერიოდში სტოიკოსთა აზროვნების გავლენით, თავს იჩენს წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც ადამიანებს სამართლის ძირითადი პრინციპები ბუნების იმანენტური გონის მიერ უწესდებათ, რომელიც ადამიანურ კანონში აისახება, ხოლო ადამიანური

¹⁹⁰ <https://dictionary.thelaw.com/vinculum-juris/>

¹⁹¹ Gerald Hartung, *Die Naturrechtsdebatte. Geschichte der 'Obligatio' vom 17. bis zum 20. Jahrhundert*, Freiburg/München, Verlag Karl Albert, 1998, გვ. 17.

თანამეგობრობის ერთი წევრის მიერ პირადი გამორჩენის მიზნით მეორისათვის რაიმეს წართმევა, ან სხვაგვარი ზიანის მიყენება, არის ბუნებრივი წესრიგის საწინააღმდეგო.¹⁹² ბუნებრივი წესრიგი შეიცავს მართებული ქმედების ძირითად წესებს და მათი შესრულება ადამიანის მოვალეობაა (officium). ციცერონის (106-43 წწ. ქრ. შობამდე) ერთერთ ცნობილ ტრაქტატს სწორედ ასეც ჰქვია „De officiis” - „მოვალეობათა შესახებ“. მაშასადამე, სტოიკური ფილოსოფია არ იფარგლება რომაული კერძო სამართლის კუთვნილი ვალდებულების (obligatio) ინსტიტუტით და შემოაქვს მოვალეობის უფრო ფუნდამენტური და მეტაფიზიკური კატეგორია.

შუა საუკუნეებში ძველი ვალდებულების ცნების მეტამოვალეობის მნიშვნელობით ტრანსფორმაციის პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური ხდება. თუ იგი ადრე კერძო სამართლებრივი ურთიერთობების თანასწორუფლებიან სუბიექტებს მევალე-მოვალეს შორის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების რეგულირების ფუნქციაზე იყო უმთავრესად ფოკუსირებული, სტოიკოსთა გავლენით, ქრისტიანულ შუა საუკუნეებში იგი იძენს პოლიტიკური ხელისუფლისა და ქვეშევრდომის ურთიერთობის მსახდრელი კატეგორიის მნიშვნელობას. აქ სუბიექტები ჰორიზონტალურ სიბრტყეზე მევალე-მოვალედ კი აღარ იყოფიან, არამედ ვერტიკალურად მოვალეობის დამკისრებლად და მოვალეობის მატარებლად, რა დროსაც აქცენტი ერთდროულად არის თეოლოგიურ-იურიდიულ-მორალური შინაარსის.¹⁹³

თეოლოგიური ასპექტი გულისხმობს იმას, რომ ადამიანს, ამქვეყნიური ცხოვრების დასრულების შემდეგ, ღმერთის წინაშე ანგარიშის გასწორება ევალება.¹⁹⁴

მეორე მხრივ, სამართლებრივი დისკურსი არ არის უცხო თავად ძველი აღთქმისეული რელიგიური აზროვნებისთვისაც, სადაც ღმერთი და მისი რჩეული ერი ფაქტობრივად ხელშეკრულების მხარეებად მოიაზრებიან. მოსეს რჯულის მიხედვით, რომელიც აერთიანებს საეწმუნოებრივ და იურიდიულ ასპექტებს,

¹⁹² Cicero, „De officiis”, „Vom pflichtgemässen Handeln”, Lateinisch/Deutsch, Reclam, Stuttgart, 2014, გვ. 240-241.

¹⁹³ Gerald Hartung, *Die Naturrechtsdebatte. Geschichte der 'Obligatio' vom 17. bis zum 20. Jahrhundert*, Freiburg/München, Verlag Karl Albert, 1998, გვ. 20.

¹⁹⁴ ამით ჰგავს ცათა სასუფეველი მეფეს, რომელმაც გადაწყვიტა ანგარიში გაესწორებინა თავისი მონებისთვის. მათეს სახარება, თავი მეთვრამეტე, 23.
http://www.orthodoxy.ge/tserili/akhali_agtqma/mate-18.htm.

ღმერთი თავის ერს ერთგულების სანაცვლოდ გარკვეულ ჯილდოს ჰპირდება. მორწმუნე ერს, როგორც ხელშეკრულების მხარეს, გააჩნია ჯილდოს მიღების პირობადებული, იურიდიულ ექვივალენტური რაციონალიზმით განმსჭვალული მოლოდინი. მის ვერ მიღებას საკუთარი ცოდვიანობით, მაშასადამე, ღმერთის წინაშე აღებული ვალდებულების შეუსრულებლობით ხსნის.¹⁹⁵ იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობისთვის მიცემული ახალი აღთქმა, ღმერთის მიერ კაცობრიობის უანგარო სიყვარულისა და უსასყიდლოდ ბოძებული მადლისა (*gratia gratis data*), რომელიც განსაკუთრებით გამოკვეთილად მოციქულ პავლეს მიერ იქნა ჩამოყალიბებული, ქრისტიანული აზროვნების ჰუმანისტურ აზრს ავითარებს, ამგვარი ვიწრო იურიდიული ლოგიკისა და ებრაელი ერის ექსკლუზიურობის დაძლევის მიმართულებით.¹⁹⁶ ქრისტიანული ღმერთის გულმოწყალება პრინციპულად აღემატება ადამიანის ვალს მის წინაშე. ამასთან, საუბარი აღარ არის ერთი კონკრეტული ერისა და შემოქმედის მოვალე-მევალის ურთიერთობაზე, არამედ მთელი კაცობრიობა მოაზრებულია ღმერთის მიერ სიყვარულით მოსყიდულად, რომელსაც რელიგიური დანაწესის ფორმალური შესრულება კი აღარ ევალება, არამედ უპირველესად ურთიერთსიყვარული და ღმერთის სიყვარული - მანიფესტირებული ცოცხალ რწმენაში. მოციქული პავლე, რომელთა მიმართ ეპისტოლეში, აყალიბებს ქრისტიანული ბუნებითი სამართლისთვის განზოგადებად მნიშვნელოვან წანამძღვრებს:

ვინაიდან როცა რჯულის არმქონე წარმართნი ბუნებრივად ასრულებენ რჯულს, მაშინ რჯულის არმქონენი თვითონვე არიან თავიანთი თავის რჯული.

ისინი გვიჩვენებენ, რომ რჯულის საქმე გულის ფიცარზე უწერიათ, რასაც მოწმობენ მათი სინდისი და მათი აზრები, რომლებიც ხან ბრალს სდებენ, ხან კი ამართლებენ ერთმანეთს.¹⁹⁷

მაშასადამე, ახალი რწმენის მიერ აღიარებული მოცემულობით, რჯულის მოთხოვნები, რომელიც ბუნებითი კანონის მნიშვნელობით შეგვიძლია

¹⁹⁵ Gerald Hartung, Die Naturrechtsdebatte. Geschichte der 'Obligatio' vom 17. bis zum 20. Jahrhundert, Freiburg/München, Verlag Karl Albert, 1998. გვ. 20-21.

¹⁹⁶ პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ, III.

http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/akhali/romaelta/romaelta-3.htm

¹⁹⁷ პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ, II.

http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/akhali/romaelta/romaelta-2.htm.

ვიგულისხმობთ, ეროვნული და რელიგიური თემისადმი კუთვნილებისგან დამოუკიდებლად განხილული, ინდივიდის გულშია ჩაწერილი და მის ნამდვილობას მისივე გონებასთან ოპონირებაში მყოფი სინდისის ხმა ამოწმებს.

შუა საუკუნეების მორალური თეოლოგია მაქსიმალურად უსვამს ხაზს ბუნებითი კანონის, როგორც დავალებულობის ცნობიერებისათვის საჭირო მტკიცებულების და სინდისის, როგორც ინდივიდუალურ ქმედებაზე პასუხისმგებლობის გრძობის ინსტანციის მნიშვნელობას.

სალამანკას სკოლის სახელით ცნობილი, ესპანური რენესანსის გვიანი არისტოტელიზმი (*secunda scholastica*), რომელსაც ყველაზე თვალსაჩინოდ ფრანცისკო დე ვიტორია (1483-1546) და ფრანცისკო სუარესი (1548-1619) წარმოადგენენ, ამ მიმართულებით ასევე ამბობს თავის სიტყვას.

ვიტორია ხალხთა სამართლის საფუძვლების დამუშავებისას ავითარებს მოსაზრებას, რომ ბუნებითი სამართლის საფუძველმდებარე პრინციპების დედუცირება თავად საგანთა ბუნებიდან (*ex natura rei*) არის შესაძლებელი; ასე მაგალითად: დეკალოგის მორალური მცნებები თავის ნამდვილობას ინარჩუნებენ კონკრეტული კანონმდებლის ნებისგან დამოუკიდებლად. რაც შეეხება საკუთრივ საერთაშორისო სამართალს, მას ბუნებითი სამართლისგან განსხვავებით, საფუძვლად უდევს არა აბსოლუტურად სამართლიანი წესრიგი, არამედ ხალხთა შორის კონსენსუსის შედეგად შექმნილი მეორადი წესრიგის ამსახველი სამართლებრივი ნორმები. თუმცა ამ უკანასკნელთ არანაკლებ უნივერსალური სავალდებულო ხასიათი გააჩნიათ, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოვალეობის წყაროდ და თვითკანონმდებლად ადამიანური გონება გვევლინება.¹⁹⁸

XVI საუკუნის ბოლოს იმავე სკოლის წარმომადგენელი ლუდოვიკუს მოლინა (1535-1600) პირველად იყენებს სიტყვათშეთანხმებას *obligatio naturalis* და მისი დეფინირებისას ხაზს უსვამს სამართლებრივად მნიშვნელოვან ასპექტს: ბუნებრივი ვალდებულება, სამოქალაქო სამართლებრივი გზით გასაჩივრებას არ ექვემდებარება,

¹⁹⁸ Gerald Hartung, *Die Naturrechtsdebatte. Geschichte der 'Obligatio' vom 17. bis zum 20. Jahrhundert*, Freiburg/München, Verlag Karl Albert, 1998, გვ. 52-53.

არამედ სინდისის შემბოჰველი მოვლენა გახლავთ, რომელიც ადამიანისგან ბუნებრივად სამართლიანი ნორმების მიყოლას მოითხოვს.¹⁹⁹

რომაულ და კანონიკურ სამართალში განსწავლულ თეოლოგ ფრანცისკო სუარესს ეკუთვნის თომა აქვინელის შემდეგ ყველაზე დეტალური კათოლიკური თეოლოგიურ-სამართლებრივი მოძღვრება - *Tractatus de legibus ac Deo legislatore*, რომელშიც ის ახორციელებს სამართალმცოდნეობისა და თეოლოგიურ-სამართლებრივი მოძღვრების კუთვნილი ცნებითი აპარატის ერთმანეთისგან დიფერენციაციას, რის გამოც ეს მოაზროვნე პუფენდორფის წინამორბედად შეგვიძლია მოვიაზროთ, თუმცა ეს ერთადერთი მიზეზი არ არის.²⁰⁰ სუარესს კანონი არ ესმის, როგორც მხოლოდ გონების საქმე, არამედ უპირატესად მოიაზრებს მას თავისუფალი ნების კანონად. მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ნება თავისუფალია, შეუძლია მას მორალური ეფექტი იქონიოს, ანუ კანონს დაქვემდებარებულებს მავალეზლად მოეცლინოს. სამოქალაქო კანონმდებლობის დამოუკიდებლობა სათავეს ხელმწიფის ნებაში იღებს, თუმცა ძლიერი ეფექტის მქონე ვალდებულებისათვის საჭიროა კანონთა რაციონალურობის უზრუნველყოფა, რაც არ გამორიცხავს მაკიაველური აზრით მისი გამოყენების საჭიროებას პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტად. სუარესის მიხედვით, ღმერთის ნების გამოხატულებაა, რომ პოლიტიკური წესრიგი, რომელიც წარმოადგენს თავისა (ხელმწიფე) და სხეულისგან (ხალხი) შემდგარ მთლიანობას, შინაგანად სტაბილური იყოს; ამდენად, ხელისუფალთა ბრძანებები, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს ატარებენ. სამართლის გამოცხადებისა და ადამიანური გონების შემეცნების სისტემური გამიჯვნის პრობლემაზე მუშაობისას, მიუხედავად იმისა, რომ მისი მეთოდი წმინდად სქოლასტიკურია, ქმნის იგი იმ თეორიულ წანამძღვრებს, რაც მოგვიანებით *obligatio naturalis*-ის პუფენდორფისეული კონცეფციის განვითარებას უწყობს ხელს. თუმცა პუფენდორფის მიერ გვიანი სქოლასტიკის რეცეფციის ხარისხში მეცნიერები განსხვავებულ შეხედულებებს ავითარებენ. მაგალითად, ფილოსოფოსი და ფილოსოფიის ისტორიკოსი თეო კობუმი თვლის, რომ ხსენებული გავლენა თუნდაც იგივე *entia moralia*-ს მოძღვრებაზე და მთლიანად მის ბუნებით სამართალზე ბევრად

¹⁹⁹ იქვე.

²⁰⁰ იქვე, გვ. 64-65.

დიდია, ვიდრე ამას ჰანს ველცელი მიიჩნევდა, ვინც პუფენდორფს ახალი მორალური და კულტურის ფილოსოფიის დამფუძნებლად აღიარებს.²⁰¹

ადრეული განმანათლებლობის აზროვნება ვალდებულების ცნებაში ახდენს ღმერთის წინაშე დასაბამისეული ვალდებულების თეოლოგიური ელემენტისა და სახელმწიფო ხელისუფლებისადმი არსებული მოვალეობის სამართლებრივ-ფილოსოფიური ელემენტის ერთიან მნიშვნელობაში შერწყმას.

სამუელ პუფენდორფი და პირველი ტალის სხვა ორი გერმანელი განმანათლებელი ქრისტიან თომასიუსი და ქრისტიან ვოლფი აფუძნებენ მოვალეობათა ბუნებით სამართალს, სადაც ადამიანის უფლებები გაგებულია, როგორც მოვალეობათა შესრულებისათვის აუცილებელი წინაპირობა.²⁰²

პუფენდორფის მიხედვით, განსხვავება, რომელიც მორალური თეოლოგიის, სამართალმცოდნეობის და ბუნებითი სამართლის მიერ ჩამოყალიბებულ მოვალეობათა მოძღვრებებს ერთმანეთისგან განარჩევს, ამ მოვალეობების შესატყვისი ქმედების დასაბუთების წყაროში მდგომარეობს. მორალური თეოლოგიისთვის ეს არის გამოცხადება, იურისპრუდენციისთვის სახელმწიფო კანონი, ხოლო ბუნებითი სამართლისათვის ადამიანური გონების სინათლე.

ვინაიდან პუფენდორფმა მიზნად დაისახა ბუნებითი სამართლის ერთიან მეცნიერულ სისტემად ჩამოყალიბება, მის წინაშე დგება სამართლებრივ ცნებათა მოუწესრიგებელ სიმრავლეში, სადაც ერთი და იგივე ცნება ზოგჯერ განსხვავებული შინაარსით მოიაზრებოდა, ნათელი დეფინიციების მეშვეობით სიცხადის შეტანის ამოცანა. მოცემული ამოცანის შესაბამისად, იგი ანსხვავებს ძალაუფლებასა (potestas) და უფლებას (jus) მათი მოქმედების ძალის მიხედვით. მაშინ როდესაც ძალაუფლება საგანსა ან ადამიანზე ფაქტობრივ წვდომას გულისხმობს, უფლება მოთხოვნას წარმოადგენს. უფლება არის აქტიური მორალური თვისება, ვინაიდან იგი ადამიანებს გაცვლისა და ხელშეკრულების მხარეების სახით ვალდებულებით ურთიერთობებში

²⁰¹ ამასთან დაკავშირებით იხ. Theo Kobusch. „Die Entdeckung der Person, Metaphysik der Freiheit und modernes Menschenbild“, Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt, 1996, გვ. 71-72.

²⁰² Henning Ottmann, Geschichte des politischen Denkens, Band 3/1, Die Neuzeit, von Machiavelli bis zu grossen Revolutionen. J. B. Metzler Verlag, 2006, გვ. 407.

აბამს, რა დროსაც ნივთზე არსებულ ერთის უფლებას, ამ უფლების პატივისცემის მოვალეობა შეესატყვისება მეორის მხრიდან.

რაც შეეხება ვალდებულებას (*obligatio*), იგი გახლავთ ადამიანის ქმედების მორალური თვისება, რომელიც უფლებას ავსებს, ხოლო ადამიანის ვალდებულება, პატივი სცეს სხვის უფლებას - ქმნის სამართლებრივ ბორკილს (*vinculum juris*).²⁰³ ვალდებულების აღების უნარის ფესვები ადამიანის მორალურობაშია: ვალდებულება და ნებაყოფლობითობა მორალური ქმედების კომპონენტებს წარმოადგენს. მორალუნარიანობა მხოლოდ ადამიანის, როგორც თავისუფალი ნებით გამორჩეული არსების თვისებაა.

ვალდებულების საფუძველს პუფენდორფი ეძებს არა თავისუფალი ნების გადაწყვეტილებაში, არამედ მას პირობად უდებს ნორმას, რომელსაც ადამიანის თავისუფალი ნება ექვემდებარება. ეს ნორმა გახლავთ არა მორალური თვისება, არამედ წესრიგის პრინციპი, რომელიც ადამიანური გადაწყვეტილების სამოქმედო სივრცეს ზღვარს უწესებს. მორალური კანონი არის ბორკილი ჩვენი ბუნებრივი თავისუფლებისა (*vinculum naturalis libertatis*).

აქ ჩნდება კითხვა - საფიქრებელია თუ არა თვითკანონმდებლობა და თვითვალდებულება? პუფენდორფი ამ კითხვაზე უარყოფითად პასუხობს, ვინაიდან ნების თავისუფლების პირობებში არავინ შეიძლება იყოს ერთდროულად ვალდებულების დამაკისრებელი და ვალდებული. მაშასადამე, ადამიანი, როგორც თავისუფალი ნების მატარებელი, არ შეიძლება ამავდროულად მორალურად შემოჭველი ძალის შემოქმედიც იყოს. ასეთი მხოლოდ ღმერთია, უმაღლესი კანონმდებელი.²⁰⁴

ადამიანს ევალება, მაგალითად, საკუთარი სიცოცხლის გაფრთხილება, ვინაიდან იგი ღმერთის ყმა და მის მიერ ნასურვები საზოგადოებრივი ერთობის ნაწილია. მორალური ნორმა, როგორც ბუნებითი კანონი, მის მავალეებელ ძალას

²⁰³ Gerald Hartung, *Die Naturrechtsdebatte. Geschichte der 'Obligatio' vom 17. bis zum 20. Jahrhundert*, Freiburg/München, Verlag Karl Albert, 1998, გვ. 34.

²⁰⁴ Gerald Hartung, *Die Naturrechtsdebatte. Geschichte der 'Obligatio' vom 17. bis zum 20. Jahrhundert*, Freiburg/München, Verlag Karl Albert, 1998, გვ. 35.

სწორედ კანონმდებელსა და ბრძანების მიმღებს შორის არსებული ამ დისტანციის საფუძველზე იძენს.

პუფენდორფი უარყოფს გროციუსის ცნობილ რევოლუციურ თეზისს, რომლის მიხედვითაც *ბუნებითი სამართალი მაშინაც ნამდვილი იქნებოდა, ღმერთი რომ არ არსებობდეს* და მას საშიშად აფასებს, ვინაიდან, მისი აზრით, იგი იძლევა შესაძლებლობას მორალურობის იმგვარი პოზიციონირებისა, რომელიც ღვთაებრივი კანონმდებლის ნებისადმი გულგრილია. ასეთ შემთხვევაში მორალური წესრიგი იქნებოდა არა რაღაც ისეთი, რაც ღმერთის მიერ არის ნასურვები და მის გონებასა და თავისუფალ ნებას შეესაბამება, არამედ ბედისწერა, რომლის კანონზომიერება რაციონალურად ვერ იქნებოდა გაცნობიერებული. ამგვარად, პუფენდორფი რჩება რელიგიურ მოაზროვნედ, რომელიც სამართლის რადიკალურ სეკულარიზაციას კი არ ესწრაფვის, არამედ მის მკაფიოდ გამიჯვნას მორალური თეოლოგიისგან. საქმე იმაშია, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბუნებითი კანონი გაიგება, როგორც ღმერთის საკანონმდებლო ნება, არის იგი ყველა ადამიანისთვის მავალელებელი, რომელიც ადამიანთა მორალურ დისპოზიციას აფუძნებს და სამართლის მორალურ თვისებად აღქმის შესაძლებლობის მქონეა.

რომ არა ჩვენი თავდაპირველი ბუნებრივი თავისუფლების ბორკილის (*vinculum naturalis libertatis*) არსებობის ფაქტი, სამართლის მორალურად შებოჭვასაც (*vinculum juris*) არ ექნებოდა ადგილი.

პუფენდორფი ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში ყურადღებას პრიორიტეტების მისეულ გაგებაზეც ამახვილებს და ამბობს, რომ ამა თუ იმ მოვალეობის წარმოშობაზე მნიშვნელოვანი მისი ძალაში ყოფნის საკითხია. აქ თავს იჩენს განსხვავება ბუნებით სამართალსა და სამართლებრივ თეოლოგიას შორის. ბუნებითი სამართლისთვის გადამწყვეტია ფსიქოლოგიური ფაქტი, რომ ყოველ ადამიანს ეს ვალდებულება სინდისში გამოცდილების სახით ეძლევა და, შესაბამისად, მისი ბუნების კუთვნილად შეიძლება იყოს გაგებული.

იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა შესაძლებელი მმართველობის მონარქიული ფორმის პირობებში იძულებისა და მოვალეობის ერთმანეთისგან გამოყოფა, პუფენდორფი სჯერდება იმის განცხადებას, რომ მორალური ქმედების ბუნებრივი განლაგება (დისპოზიცია) უნივერსალურად სახეზეა, რომელზეც

სამოქალაქო ძალაუფლების სწორება არის შესაძლებელი. ნებისმიერ ლეგიტიმურ პოლიტიკურ ხელისუფლებას შეუძლია მისი ბრძანებების მორჩილების დავალდებულება, თუკი ისინი ბუნებით კანონთან არიან თანხმობაში. ამ დათქმის, ანუ ხელისუფლის ბრძანების ბუნებით კანონთან შესაბამისობის, როგორც აუცილებელი წინაპირობის გარეშე, საქმე უბრალო იძულებასთან გვექნება და ამგვარი რეპრესიული ძალის მორჩილება არ წარმოადგენს ქვეშევრდომთა მოვალეობას.

ვინაიდან ბუნებით მდგომარეობაში კაცობრიობას სამართლის ყველა ელემენტი ებოძა, მათი ნამდვილობა ცივილურ მდგომარეობაში გადასვლის შემდეგ სამართლის სტაბილურობის გარანტი უნდა იყოს. ბუნებით მდგომარეობაში სახეზეა უფლებისა და მოვალეობის ურთიერთკავშირი და მორალური კანონზომიერებანი.

ყოველ ერში არსებობს ბუნებრივი რელიგიურობის გულისგული, რომელსაც მორალური ვალის თავდაპირველი ცოდნა შეესატყვისება. ასეთი ვალი, პუფენდორფის მიხედვით, ადამიანს არა მხოლოდ ღვთის წინაშე, არამედ თანამომხმეთა ღვთის მიერ ნასურვები საზოგადოების წინაშეც აქვს.²⁰⁵

მორალურად განსაზღვრული სამართლის სუბიექტი გახლავთ ცალკეული ადამიანი მორალური ვალის ცნობიერებით. ადამიანური გონება წვდება ბუნებით კანონს, საიდანაც უპირველესად მომდინარეობს ადამიანის მოვალეობა ღმერთის, შემდეგ კი სხვა ადამიანების წინაშე, რომელთა წრეში ცხოვრების ალტერნატივაც ინდივიდუალური უსუსურობის გამო მას არ გააჩნია. ერთმანეთთან ჰორიზონტალური სამართლებრივი ურთიერთობის პარალელურად, რაც დადებული ხელშეკრულებების შესრულების მოვალეობითაა განმტკიცებული და ანთროპოლოგიურად ურთიერთობათა რეგულირების უძველეს ფორმას წარმოადგენს, არსებობს ვერტიკალური, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის კონფიგურაცია, გამოხატული სახელმწიფო კანონში, რომელიც არა ქრონოლოგიურად, მაგრამ აღსრულებისა და მავალეული პრეროგატივით აღემატება სახელშეკრულებო სამართალს და ამ უკანასკნელიდან მომდინარე მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისთვის სამართლებრივი გარანტის ფუნქციასაც კისრულობს.

²⁰⁵ Gerald Hartung, *Die Naturrechtsdebatte. Geschichte der 'Obligatio' vom 17. bis zum 20. Jahrhundert*, Freiburg/München, Verlag Karl Albert, 1998, გვ. 79-81.

საგულისხმოა ასევე, რომ მოქალაქეთა მოვალეობას სახელმწიფო კანონის წინაშე არ შეესატყვისება მათივე უფლებები კანონმდებლის წინაშე, მაშინ როდესაც უფლებათა და მოვალეობათა ურთიერთკავშირი სრულიად თანასწორია სახელმწიფო ურთიერთობების დროს. კანონმდებლის წინაშე უფლებებს, მხოლოდ ადამიანთა თანამეგობრობა ატარებს მთლიანობაში, როგორც თავდაპირველი ბატონობის ხელშეკრულების მხარე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კანონმდებელი არ არის მოვალეობის მატარებელი მოქალაქეთა წინაშე, ვინაიდან კანონის მეშვეობით საკუთარი თავის დავალდებულება არავის ძალუძს – ისიც იმდენადვე, რამდენადაც მოქალაქეები არიან მოვალეობის მატარებელი ბუნებითი კანონის წინაშე.²⁰⁶

სახელმწიფო კანონმდებლის, ამ ცნების ფართო მნიშვნელობით, განსაკუთრებული როლი თვალსაჩინო ხდება, როდესაც გავიხსენებთ, რომ იგი წარმოადგენს ერთადერთ ამქვეყნიურ ინსტანციას, რომელსაც როგორც ბუნებითი, ისე სამოქალაქო სამართლის განხორციელება და მისი იძულებითი ფუნქციის რეალიზაცია ხელეწიფება. ვინაიდან ბუნებით კანონს გააჩნია პრინციპული უპირატესობა სახელმწიფო კანონთან მიმართებაში, მათგან მომდინარე მოვალეობათა კოლიზიას ადგილი არ აქვს.

სანამ აბსოლუტური (*officia absoluta*), ე.ი. უშუალოდ ბუნებითი სამართლიდან გამომდინარე, ადამიანურ ხელშეკრულებათაგან დამოუკიდებლად და ნებისმიერ ადამიანურ სიტუაციაში, შეუზღუდავი პირთა წრის მიმართ ნამდვილობის მქონე და რელატიური ხასიათის (*officia hypothetica*), ანუ ბუნებითი სამართლიდან მხოლოდ ადამიანთა მიერ კონსტრუირებულ, გარკვეულ პირობებში წარმოშობილი კონკრეტული მოვალეობების დეტალურ ანალიზს შევუდგებოდეთ, შეგვიძლია მოვალეობათა შესახებ სამუელ პუფენდორფის ბუნებით-სამართლებრივი მოძღვრება თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მოცემული სქემის სახით აღვიქვათ, რაც ერთიანი სურათის შექმნაში დაგვეხმარება.

²⁰⁶ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, C. H. Beck, München, 1972, გვ. 140-141.

მოვალეობის სამ წყაროს სამი მოვალეობა შეესატყვისება:

- **გონებას:** ზოგადადამიანური მოვალეობანი;
- **ხელისუფლებას:** მოქალაქის მოვალეობანი;²⁰⁷
- **ღმერთს:** ქრისტიანის მოვალეობანი.

ეს უკანასკნელნი, თავისმხრივ, სამ მეცნიერებას წარმოშობენ (მათგან გონებით ინსპირირებული, ზოგადადამიანურ მოვალეობებთან კავშირში მყოფი დისციპლინა უპირატესია), ესენია:

- ყველა ხალხისათვის საერთო ბუნებითი სამართალი;
- ყველა სახელმწიფოს მახასიათებელი პოზიტიური სამართალი;
- მორალური თეოლოგია.

თითოეულ ამ მეცნიერებას საკუთარი შემეცნების მეთოდი (ratio cognoscendi)²⁰⁸, გზა ახასიათებს:

- ბუნებით სამართალს: მართებული გონების (recta ratio) გამოყენება;
- პოზიტიურ სამართალს: სახელმწიფოს კანონი;
- მორალურ თეოლოგიას: წმინდა წერილი.

მიუხედავად მოცემული სამწევროვანი სქემის გარეგნული დასრულებულობისა, შეგვიძლია შევნიშნოთ ის გარემოება, რომ recta ratio ერთდროულად მოვალეობათა წყაროდ და მათი შემეცნების მეთოდად გვევლინება, რაც ფაქტობრივად ჩაკეტილ წრეს ქმნის.²⁰⁹

²⁰⁷ აქ უპირიანი იქნება თუ მხედველობაში ვიქონიებთ გერმანულ სამართლებრივ და სახელმწიფო აზროვნებაში სიტყვა მოქალაქის (ბიურგერის) სიახლოვეს რომაულ civis-თან, რაც გამოიხატებოდა მისი მნიშვნელობის გაფართოებასთან ქალაქის მიკუთვნებულობიდან სახელმწიფოსადმი მიკუთვნებულობამდე და განსხვავებას ფრანგული ტერმინისგან ბურჟუა, რომელიც საშუალო ფენის აღმნიშვნელად დამკვიდრდა. გერმანული ტერმინი ბიურგერი გულისხმობდა სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მატარებელ სუბიექტს, როგორც საშუალო ფენიდან, ისე არისტოკრატის წარმომადგენელს. იხ. Leonard Krieger „The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law, Chicago & London, The University of Chicago Press, 1965, გვ. 7.

²⁰⁸ Dieter Hüning, Souveränität und Strafgewalt. Die Begründung des jus puniendi bei Samuel Pufendorf, in Dieter Hüning (Hrsg.), Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf, Nomos, Baden-Baden, 2009, გვ. 74.

²⁰⁹ ირაკლი თაბორიძე, „ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში“, ქართული სამართლის მიმოხილვა GEPLAC 2004, გვ. 143.

2. აბსოლუტური მოვალეობები: ღმერთის, საკუთარი თავისა და სხვების წინაშე

„Inter officia absoluta seu quorumlibet erga quoslibet *primum* locum obtinet: *nequis alterum laedat*; Est quippe hoc officium omnium latissimum, omnes homines ut tales complexum.”²¹⁰

De officio I, 6, 2

პუფენდორფი განარჩევს ადამიანის აბსოლუტური ხასიათის მოვალეობებს ღმერთის, საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების მიმართ.

- **ღმერთის წინაშე მოვალეობები**, რომლებიც ბუნებითი სამართლიდან გამომდინარეობს, არსებითად ბუნებრივი რელიგიის განაწესებს წარმოადგენს. ღმერთის წინაშე არსებული მოვალეობების აღსრულების აუცილებლობა, ისევე როგორც სხვა ბუნებით-სამართლებრივი მოთხოვნების შემთხვევაში, ადამიანთა ამქვეყნიურ ჰარმონიულ თანაცხოვრებას უკავშირდება.²¹¹

ისინი თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად იყოფა. თეორიულ ნაწილში პუფენდორფი გულისხმობს სწორ რწმენას ღმერთის არსებობისა და მისი ბუნების შესახებ. პრაქტიკული ნაწილი იყოფა ორად: შინაგან და გარეგან მსახურებად. შინაგანი მსახურება გამოიხატება ღმერთის განდიდებაში, მის მოშიშეობაში, გარეგანი კი - ბუნებრივი კანონების მიყოლასა და ღვთის ნების საკუთარ ქმედებებში მანიფესტირებაში.

- **საკუთარი თავის წინაშე მოვალეობები** იყოფა სულიერი და ფიზიკური ხასიათის მოვალეობებად. პირველ მათგანს განეკუთვნება თვითსრულყოფისკენ სწრაფვა (*perfectio sui*) გამოხატული მომადლებული ინდივიდუალური ტალანტებისა და უნარების განვითარებაში, ხოლო მეორეს - თვითგადარჩენაზე ზრუნვა. პირველი პოზიტიური მცნებაა, რომელიც ბუნებრივი თანდაყოლილი უსუსურობით გამორჩეულ ინდივიდს იმ საზოგადოების საჭირო წევრად აქცევს, ურომლისოდაც მას ცხოვრება არ შეუძლია, მეორე კი ნეგატიური და გულისხმობს ღორმუცელობის,

²¹⁰ „თითოეულის აბსოლუტურ მოვალეობებში სხვა ყველას წინაშე პირველ ადგილზეა: ერთმანეთისთვის ზიანის მიუყენებლობა. ეს გახლავთ ადამიანურ მოვალეობათაგან ყველაზე მოცულობითი, რამეთუ იგი ადამიანთათვის, როგორც ასეთთათვის საყოველთაოა.“ სამუელ პუფენდორფი, „ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობის შესახებ, თანახმად ბუნებითი კანონისა, წიგნი I, თავი მე-6, პარაგრაფი 2. Pufendorf, *De officio hominis et civis juxta legem naturalem*, lt. The photographic reproduction of the edition of 1682. in The classics of international law, edited by James Brown Scott, Oxford University Press, New York, 1927, გვ. 96.

²¹¹ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, C. H. Beck, München, 1972, გვ. 143.

ლოთობისა და სუიციდის აკრძალვის და სხვათაგან მომდინარე მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის არ დაშვების გზით, საკუთარი სხეულისა და სიცოცხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.²¹² მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოგერიება ასევე განეკუთვნება თვითგადარჩენის სფეროს, თუმცა იგი უფლებას წარმოადგენს და არა მოვალეობას.

რაც უფრო მეტად ახდენს ადამიანი საკუთარი პიროვნულობის განვითარებას, მით მეტ ღირებულებას იძენს იგი, როგორც მოქალაქე მის გარშემომყოფთათვის. ამ ქვეყნად საკუთარი დანიშნულების, რაც არსებითად ადამიანურობაში მდგომარეობს, გაცნობიერების ამოცანა მარტივდება საკუთარი თავის გაცნობის ხარისხის პროპორციულად. საკუთარ თავზე ზრუნვის სოციალური განზომილება ნათელი ხდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ პუფენდორფი ამ ცნების ქვეშ არა უბრალოდ ყოფნის შენარჩუნებას გულისხმობს, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე თვითსრულყოფის პროცესსაც, რომელიც ერთდროულად არის როგორც საკუთარი თავის, ისე ღმერთისა და ადამიანთა საზოგადოების წინაშე არსებული მოვალეობა. „ბუნებითი და ხალხთა სამართლის შესახებ“ მესამე თავში, რომელიც ზოგადსაკაცობრიო მოვალეობებს ეძღვნება, უაღრესად დასაბუთებულად არის გადმოცემული საზოგადოების წევრთა მოვალეობა, იყვნენ საკუთარი ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი უნარების მეშვეობით სხვათათვის სარგებლობის მომტანი.²¹³ ისეთი კაცი კი, რომელიც თავს არ იწუხებს ამა თუ იმ საზოგადოებრივად სასარგებლო და შესაბამისად საპატიო შრომისთვის, მეცნიერებისა ან ხელოვნებისთვის საკუთარი სიცოცხლის მიძღვნივით, სცოდავს ბუნებითი სამართლის წინაშე, რამეთუ არ შეესაბამება იმ ბუნებრივ ტელოსს, რაც მას, როგორც გონიერ არსებას, ცხოველისაგან განასხვავებს.²¹⁴

²¹² Jakob Rösel, „Das Leben von Samuel Pufendorf und eine deskriptive Darstellung seiner Werke „De statu imperii germanici“ sowie „De officio hominis et civis iuxta legem naturalem“. Universität Rostock, 2003/2004 „HS Vergleichende Regierungslehre II Rechtsentstehung und Politik des Rechts II“, გვ. 20.

²¹³ Samuel Pufendorf, *On the Law of Nature and of Nations in Eight Books* (editet by Craig L. Carr, translated by Michael J. Seidler, series: *Natural Law and Enlightenment Classics*, K. Haakonssen [ed.]), Indianapolis: Liberty Fund; revised edition of New York, Oxford University Press, 1927b. 2009, *Political Writings of Samuel Pufendorf* 2. (P.104-296), გვ. 164-165.

²¹⁴ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, C. H. Beck, München, 1972, გვ. 143-144.

- **სხვა ადამიანების, ანუ საზოგადოების წინაშე არსებულ მოვალეობები**
პუფენდორფის მოვალეობათა მოძღვრების ქვაკუთხედს წარმოადგენს. მათი ცენტრალური მნიშვნელობა და აბსოლუტური ხასიათი უკავშირდება ადამიანის, როგორც სოციალური არსების ბუნებას, რაც გასაკვირი არ არის, რომ ბუნებით სამართალში იყოს არეკლილი. გამომდინარე იქიდან, რომ მოვალეობებისა და უფლებების ცნებები ადამიანის ბუნების იმანენტურ სოციაბელურობას ეფუძნება, რაიმე მწვავე წინააღმდეგობა ინდივიდის პრივატულ უფლებებსა და თანამოძმეთა წინაშე არსებულ ზოგადსაკაცობრიო მოვალეობებს შორის, პუფენდორფისთვის არ არსებობს. თუ ჰობსთან თვითგადარჩენის უფლება ნებისმიერ ფასად დასაშვებად იყო მიჩნეული, აქ პიროვნების უფლება უკან იხევს და ზღვარდებულია თანამეგობრობის სხვა წევრთა უფლებით, ხოლო მოვალეობის აღსრულება წახალისებულია სხვათა მიერ ანალოგიურ მოვალეობათა იმავე ხარისხით აღსრულების მოთხოვნით. ადამიანთა თანამეგობრობაში ცალკეულის უფლებათა რეალიზაციის პირობები იქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საკუთარი მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულებით, შეიტანს მისი ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების პროპორციულ კონტრიბუციას კაცობრიობის იმ ნაწილის ჰარმონიულ განვითარებაში, რომელშიც ცხოვრობს - თავისუფალი გარდაუვალი საბედისწერო შედეგებისგან, რასაც მას თანდაყოლილი უსუსურობის მდგომარეობაში არსებობა უქადდა.

ამდენად, საკუთარი თავის ბუნებრივი სიყვარულიდან გამომდინარე, ინდივიდუალურობა და როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე სოციალურობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანური აქტივობის ჭარბი ხვედრითი წილი ამ უკანასკნელზე მოდის, ერთმანეთთან პრინციპულ დაპირისპირებას გამორიცხავს. საერთო სიკეთე და კეთილდღეობა აისახება ინდივიდზე, როგორც ადამიანთა ერთობის განუყოფელ ნაწილზე და პირიქით.

ძირითადი მოვალეობები ყველასი ყველას წინაშე რამოდენიმეა და შესაბამის მცნებებს გულისხმობს.

უპირველესი და ბუნებითი სამართლის ფუძემდებლური კანონი (*lex naturae fundamentalis*) გამოიხატება სოციაბელურობისადმი საყოველთაო მოვალეობაში, რაც გულისხმობს მოწოდებას, რომ ადამიანის ხელთ არსებული შესაძლებლობები

მიმართული იქნას სხვებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად, კეთილგანწყობილი და სიყვარულით ნაკარნახები ურთიერთდამოკიდებულების შესაქმნელად (არა ყველას უფლებაში ყველაფერზე, როგორც ეს ჰობსთან იყო).

სოციალურობის პრინციპიდან მომდინარეობს მდიდრის მოვალეობა (*obligatio imperfecta*), დაეხმაროს საზოგადოების გაჭირვებულ წევრს.

მეორე მოვალეობაა სხვისთვის ზიანის მიყენების დაუშვებლობა და შესაბამისი მცნება - ნურავის ავნებ! ეს ნეგატიური ხასიათის და მრავლისმომცველი მოვალეობა გახლავთ და გულისხმობს, როგორც ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, პატივისა და ღირსების შელახვის აკრძალვას, ისე იმ ტიპის ქმედებებს, რაც სხვისთვის საზიანო შეიძლება იყოს, მაგ. ხელშეკრულების დარღვევას, რასაც პარტნიორისთვის ეკონომიკური ზარალის მიყენება შეუძლია, აგრეთვე ადამიანის მიერ კანონიერი გზით მიღებული სიკეთით სარგებლობაში ხელის შეშლას და ა. შ.

აღნიშნული მოვალეობის მნიშვნელობა დიდია იმის გათვალისწინებით, რომ მისი შესრულება ადამიანის არა მხოლოდ ელემენტარულ ფიზიკურ ყოფნას უზრუნველყოფს თავის მსგავსთა წრეში, არამედ მისი, როგორც თვითსრულყოფილების იმპულსით გამორჩეული არსების წახალისებას ამ გზაზე შეძენილი მატერიალური და არამატერიალური სიკეთეებით გარანტირებული სარგებლობის სახით, როგორიცაა კერძო საკუთრების, პროფესიული რეპუტაციის და ინდივიდუალური ღირსების დაცულობა, ხოლო მათი ხელყოფის შემთხვევაში - სავალდებულო კომპენსაციის მიღების ნორმატიული გარანტიის ქონა.

ზიანის გამომწვევთა პასუხისმგებლობა პუფენდორფის სისტემაში მკაფიო იურიდიული ლოგიკით არის დიფერენცირებული - უსამართლობის ძირითად ამსრულებელს, თანაამსრულებელსა და დამხმარესთან მიმართებაში. ასევე ნათელი დეფინიციებია მოცემული ქმედების ბოროტი განზრახვის, არაპირდაპირი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის სახით. რაც შეეხება ზიანს, რომელიც აღდგენას არ ექვემდებარება, მაგ. სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის გამოუსწორებელი დაზიანება, შემოთავაზებულია კომპენსაციის იმგვარი ფორმა, რაც უზრუნველყოფს იმ მდგომარეობას, რაც ზიანის დადგომის გარეშე იქნებოდა

სახეზე,²¹⁵ მაგ. მკვლელობის შემთხვევაში მოკლულის კმაცოფაზე მყოფი პირებისთვის ეკონომიკური სახსარის უზრუნველყოფა, ქურდობის შემთხვევაში მიუღებელი შემოსავლის კონპენსირება და სხვა სრულიად თანამედროვე სამართლებრივი მიდგომები.

მესამე საზოგადოებრივი მოვალეობაა ყველა ადამიანის, როგორც ადამიანის თანაბრად და ბუნებრივად თანასწორად მიჩნევა (ყოველი ადამიანი მიიღე შენს თანასწორად!). ეს მოვალეობა ასევე ყველას აკისრია თითოეულის წინაშე და უკავშირდება შემოქმედის წინაშე ღვთის შვილთა დასაბამისეული თანასწორობის ქრისტიანულ გაგებას. იგი გახლავთ ადამიანთა ბუნებრივი თანასწორობის აღიარებისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის უპირობო და ეთიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით უაღრესად კონსეკვენტური პოსტულატი.

როგორც ვხედავთ, პუფენდორფის ჰუმანისტური პოზიციები შორდება არისტოტელეს: არავის აქვს იმაზე პრეტენზიის ქონის უფლება, რასაც თავად იგი არ აღიარებდა სხვისი პრეტენზიის სფეროდ მასთან მიმართებაში (აქ გარკვევით შეგვიძლია გავარჩიოთ კანტის ცნობილი მაქსიმის კონტურები).

უთანასწორობა და ბატონობა წარმოსდგება მხოლოდ ხელშეკრულების შედეგად თავდაპირველად ბუნებრივად თანასწორ ინდივიდთა შორის.²¹⁶ ეს კი არსებითად განსხვავდება ბატონსა და მონას, ბერძენსა და ბარბაროსს, მამაკაცსა და ქალს შორის არსებული უთანასწორობის, როგორც ბუნებრივად დეტერმინირებული მოვლენის ბერძნული ფილოსოფიისთვის დამახასიათებელი, ყველაზე გამოკვეთილად კი არისტოტელესეული ხედვისგან, რასაც პუფენდორფი „de Jure“-ში ხაზგასმით ემიჯნება.²¹⁷

ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ პუფენდორფი რაიმე ნაივურ ხედვას არ გვთავაზობს ადამიანური ძალებისა და ნიჭის ბუნებრივი თანასწორობის შესახებ. მას არანაირი უტოპიური სურათის შექმნა არ აქვს განზრახული, რამეთუ მშვენივრად უწყის, რომ ადამიანები ობიექტურად თვალსაჩინო ფიზიკური და

²¹⁵ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, C. H. Beck, München, 1972, გვ. 145-146.

²¹⁶ Jakob Rösel, „Das Leben von Samuel Pufendorf und eine deskriptive Darstellung seiner Werke „De statu imperii germanici“ sowie „De officio hominis et civis iuxta legem naturalem“. Universität Rostock, 2003/2004 „HS Vergleichende Regierungslehre II Rechtsentstehung und Politik des Rechts II“, გვ. 21.

²¹⁷ Samuel Pufendorf, *On the Law of Nature and of Nations in Eight Books*, გვ. 163.

ინტელექტუალური უთანასწორობის მატარებლები არიან. პუფენდორფისეული ვერსია ადამიანთა თანასწორად განხილვის მოვალეობისა, უკავშირდება ადამიანთა სამართლებრივი თანასწორობის პოსტულირებას,²¹⁸ რაც იმაში მდგომარეობს, რომ ფიზიკურად და ინტელექტუალურად სხვაზე აღმატებული ადამიანი, ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ვინმეზე ბატონობის უფლებას არ ფლობს, არამედ მხოლოდ სხვათა თანხმობის შემთხვევაში ექნება უფლება იყოს მათთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში.²¹⁹ ამგვარი სამართლებრივი თანასწორობა ეფუძნება შეხედულებას ადამიანზე, როგორც ადამიანური ღირსების მატარებელ, თავისუფალ არსებაზე შეხედულებას, ხოლო ღირსება თანაბრად არის ადამიანის კუთვნილება იმდენად, რამდენადაც ის ადამიანია, დამოუკიდებლად მისი ფიზიკური, ინტელექტუალური, ქონებრივი თუ წოდებრივი მახასიათებლებისა.

„ადამიანურ ცხოვრებაზე დაკვირვებაც გვიჩვენებს ადამიანთა ბუნებრივ თანასწორობას. ყველა ადამიანი თანაბრად ექვემდებარება ფიზიკურ მოწყვლადობასა და წარმავლობას, ყველას ხვედრია იყოს დაბადებული, გაიზარდოს, ისაზრდოს და მოკვდეს.“²²⁰ არავინაა თავის მფლობელობის შენარჩუნებაში დარწმუნებული. რაც შეეხება სოციალური ცხოვრების კულტივირების მოვალეობას, ესეც ყველას თანაბრად აკისრია. არისტოკრატიის პრივილეგიას არ განეკუთვნება არც ადამიანთა ბუნებრივად თანასწორი ღირსების შელახვა და არც სხვა ადამიანებისადმი სიამაყით გამოწვეული უპატივცემულობა - გამოხატული მათდამი დამამცირებელი ფორმით.

ბუნებითი უფლებრივი თანასწორობა არის დასტური იმისა, რომ არ შეიძლება მონისა და ბატონის არსებობა ბუნებრივი იყოს. ყოველ უთანასწორობას საფუძვლად უდევს ხელშეკრულება და კანონი. ხელისუფლება სახელმწიფოში ანაწილებს საჯარო თანამდებობებსა და პრივილეგიებს, ქმნის ადამიანთა შორის უთანასწორობას, ყოველივე ამას ლეგიტიმაციისათვის დაქვემდებარებულთა თანხმობა ესაჭიროება,

²¹⁸ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, C. H. Beck, München, 1972, გვ. 148-149.

²¹⁹ Samuel Pufendorf, *On the Law of Nature and of Nations in Eight Books*, გვ. 161.

²²⁰ De Jure-ს, იმავე III წიგნის II თავში პუფენდორფი საყვედურობს ჰობსს, რომ მას „როგორც ჩანს მძინარენი ვგონივართ“, ვინაიდან უთანასწორობას ხან ბუნებრივ მოცემულობად გვაწოდებს ხან სამოქალაქო ხელისუფლების ნაყოფად. Samuel Pufendorf, *On the Law of Nature and of Nations in Eight Books* (edited by Craig L. Carr, translated by Michael J. Seidler Series: *Natural Law and Enlightenment Classics*, K. Haakonssen [ed.]), Indianapolis: Liberty Fund; revised edition of New York, Oxford University Press, 1927b. 2009 *Political Writings of Samuel Pufendorf* 2., გვ. 159-160.

და ვერანაირი გადამისამართება ადამიანის ან სახელმწიფოს ბუნებაზე უთანასწორობის დასასაბუთებლად ვერ იქნება სწორი.

აქედან გამომდინარე, უსამართლობა სამი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს: ადამიანს არ მიეცეს კუთვნილი, წაერთვას ის, რასაც იგი სამართლებრივ საფუძველზე ფლობს და მიადგეს იმგვარი ზიანი, როგორის მიყენებაც დაუშვებელია.

მეოთხე მოვალეობა ადამიანურობის ცხოვრებაში დანერგვაა. იგი პოზიტიური შინაარსისაა და მოგვიწოდებს: შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ სხვას! მისი ადრესატიცა და ბენეფიციარიც არის თითოეული ადამიანი იმდენად, რამდენადაც ის ადამიანია.

საუბარია იმ ტიპის საზოგადოებრივ სოლიდარობაზე, როდესაც თითოეული მოვალეა დანარჩენებს ხელი შეუწყოს, თუ ეს მის საკუთარ ინტერესს არ აზიანებს. გამოდის რა კაცობრიობის, როგორც ერთმანეთს დანათესავებული ერთობის სტოიკოსთა მიერ პოპულარიზებული კონცეფციიდან, პუფენდორფი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ურთიერთდაზიანებაზე უარის თქმა არ იქნებოდა საკმარისი - და აქ შემოდის არა მხოლოდ ზოგადადამიანური სოლიდარობის მკვეთრი ელემენტი, არამედ ყველაზე ცხადად ჩანს უფლებისა და მოვალეობის განუყოფლობა. თუკი ერთმანეთის თანასწორად განხილვის და დაუზიანებლობის მოვალეობა შეიძლება მაინც ინდივიდის სამართლებრივ პოზიციად გაგვეგო, ადამიანურობის მოვალეობა გვიწვევს ჩვენი ბუნებიდან მომდინარე უფლებების ადამიანური მოვალეობების სახით თანამომმეტა სამსახურში აქტიური ქმედებებით განხორციელება-განმტკიცებისკენ.²²¹ ეს უკანასკნელი შეიძლება გამოიხატოს შეჭირვებული ადამიანებისთვის ნებაყოფლობით რაიმეს ჩუქებაში ან სხვაგვარი მხარდაჭერის აღმოჩენაში, საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენებისა და სირთულეების წინაშე დაყენების გარეშე. ვინც შესაძლებლობის მიუხედავად არ ასრულებს ადამიანურ მოვალეობებს, პუფენდორფის მრწამსის მიხედვით, აღსავსეა სიძუნწითა და არაჰუმანურობით. იგივე დიდსულოვნება მოეთხოვება მთელ ადამიანურ საზოგადოებას სხვადასხვა ადამიანურ ერთობას მიკუთვნებულ პირთათვის საჯარო სიკეთეთა გაზიარების თვალსაზრისითაც: ვაჭრობის, თავშესაფრის, საზღვრების თავისუფალი გადაკვეთის უფლებათა სახით.

²²¹ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, C. H. Beck, München, 1972, გვ. 150.

კეთილდღეობისათვის საჭირო სიკეთეებით უანგაროდ დასაჩუქრებულ პირებს მოეთხოვებათ მადლიერებით აღსავსე რეფლექსია.

პუფენდორფი, ჰობსის მსგავსად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მადლიერებას, თუმცა „ლევიათანში“ მეოთხე ბუნებით კანონად წარმოდგენილი მადლიერება, უფრო მეტად სოციალური ღირებულების მატარებელი ფენომენია, ვიდრე ორ - გამცემსა და მიმღებ მხარეებს შორის წარმოშობილი მიმართების, როგორც ეს პუფენდორფს ესმის.²²² პუფენდორფს მტკიცედ სჯერა, რომ მიღებული სიკეთის სანაცვლოდ მადლიერება გახლავთ ადამიანურ მოვალეობათა შორის ყველაზე განსაკუთრებული და ლამაზი მოვალეობა, ხოლო უმადურობა - მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულად არ გვევლინება, მორალური თვალსაზრისით მასზე უარესია.

მეხუთე მოვალეობა ხელშეკრულების შესრულება (გროციუსის ბუნებითი სამართლის ერთ-ერთი ქვაკუთხედი - „pacta sunt servanda“ ხელშეკრულება უნდა შესრულდეს!). თუ ადამიანებს სურთ, რომ მათი თანაცხოვრება იყოს ყველასათვის გასაგები პრინციპებითა და წესებით მოწესრიგებული, მიცემული პირობის შესრულების მოვალეობა უნდა მიიღონ, როგორც აბსოლუტური მოვალეობა. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანური ბუნება ნაკლულია და სხვადასხვა სისუსტისკენაა მიდრეკილი. სოციაბელურობის პრინციპის სტიმულირებისთვის აუცილებელია არა მხოლოდ ადამიანურობის კეთილ ნებასა და ურთიერთსიყვარულზე მინდობა, არამედ ისეთი მექანიზმის განმტკიცება, როგორიცაა ხელშეკრულების ინსტიტუტი, მისი ყველაზე ფართო მნიშვნელობით.²²³

ის თუ როდის, რა სახის და კონკრეტულად რა შინაარსის ხელშეკრულება დადოს, თითოეული ადამიანის გადასაწყვეტია, მაგრამ ამ აქტის განხორციელების შემდეგ, რაც წერილობით ან ზეპირად შეიძლება მოხდეს, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უკვე მის ბუნებითსამართლებრივ მოვალეობას წარმოადგენს, რამეთუ უამისოდ ადამიანთა შორის საზოგადოებრივი და მშვიდობიანი თანაცხოვრება ვერ შედგება.

აქ რიგით მეორე პირდაპირი ასოციაცია კანტის დეონტურ ეთიკასთან ასევე ლეგიტიმურად გამოიყურება, რომელიც ყოველი მოვალეობის შესრულებას

²²² Robert A. Emmons, Michael E. Mc Cullough, The Psychology of Gratitude (edit.) Oxford University Press, 2004, გვ. 27.

²²³ Horst Denzer, Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf, C. H. Beck, München, 1972, გვ. 151-152.

მომეტებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მისი შეუსრულებლობით დამდგარი კონკრეტული მავნე შედეგის უნივერსალიზაციის პრიზმაში დანახვისკენ მოგვიწოდებს.

კანტის ფილოსოფიასთან დანახული ერთერთი პირველი პარალელი გახლდათ პუფენდორფის მიერ მოყვანილი არგუმენტაცია ბუნებითი სამართლის გასამიჯნად მორალური თეოლოგიისგან - იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ბუნებითი სამართალი ვერ გავრცელდება არეალზე, რომელსაც ადამიანური გონება ვერ წვდება. ამ საკითხთან მიმართებაში, კანტის აგნოსტიციზმის იდეური მემკვიდრეობითობა პუფენდორფთან ასევე თვალსაჩინოდ მიგვაჩნია.

3. რელატიური მოვალეობები დაკავშირებული: ქონების შეძენასთან, კონტრაქტის გაფორმებასთან, ქორწინებასა და ოჯახის შექმნასთან

ქონების შეძენასა და მისი ფორმების განსაზღვრასთან მიმართებაში, როგორც ღმერთის მიერ კაცთათვის ამქვეყნიურ ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე ბოძებული ძალაუფლების ფარგლებში არსებულ ადამიანურ აქტივობასთან, ბუნებით სამართალს არ შეიძლება იმისგან განსხვავებული მიდგომა ჰქონდეს, ვიდრე ამას ზოგადადადამიანური ბუნება განაპირობებს.

„ბუნებითი სამართლის საფუძველს ადამიანთა ერთობლივი ცხოვრება წარმოადგენს. კაცობრიობა იმგვარადაა შექმნილი, რაც საკმარისად ცხადად ჩანს, რომ ნივთებზე სხვებისგან განცალკავებული დომინიონის გარეშე მშვიდი და ღირსეული (*quietam et decoram*) საზოგადოება ვერ იარსებებს, ადამიანთა მრავალმხრივობისა და ხელოვნებათა მიმართ მიდრეკილების გამო. ბუნებითი სამართლის მიზანიც ადამიანური წყობილების საჭიროებათა კვალად ამართლებს კერძო საკუთრების შემოღებას“.²²⁴

საკუთრების ინსტიტუტთან დაკავშირებულია ქურდობის აკრძალვა, აგრეთვე სხვა ისეთი რეგულაციები, როგორიცაა მესაკუთრის ნებისგან დამოუკიდებლად და შემძენის ბოროტი ნებით მასთან აღმოჩენილი ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება, ნაპოვნი ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება, წესები,

²²⁴ Samuel Pufendorf, *On the Law of Nature and of Nations in Eight Books*, გვ. 185-186.

რომლებიც შეეხება კეთილსინდისიერი შემძენის ვალდებულებას და ნივთზე მფლობელობისა და საკუთრების უფლების მართლზომიერი გზით მოპოვებას.

საკუთრების უფლება საზოგადოების წინაშე არსებულ მოვალეობებთან არის ინტეგრირებული და მისი დაცვა არ არის უპირობო ისეთ მესაკუთრეებთან მიმართებაში, ვინც socialitas-ის პრინციპის წინააღმდეგ მოქმედებს.

ჰობსისგან განსხვავებით, პუფენდორფთან საკუთრება სახელმწიფოს მიერ ინსტიტუირებული სიკეთე არ არის, იგი ინდივიდთა მიერ სახელმწიფოს გაჩენამდეც თავისუფალი ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება არსებულიყო.²²⁵ ამიტომ მოქალაქეები სახელმწიფოს ფარგლებშიც აბსოლუტურად უპირატეს უფლებას ინარჩუნებენ თავიანთ საკუთრებაზე. შესაბამისად, არ არის გაზიარებული იგივე ჰობსის დებულება, რომლის თანახმადაც მოქალაქეების უფლება საკუთრებაზე მათი სარგებლობის უფლებას არ სცდება, მაშინ როდესაც ხელისუფალს მათი განკარგვის შეუზღუდავი, სუვერენული უფლება აქვს.

პუფენდორფის შეხედულებით, სახელმწიფოს რამოდენიმე ფორმით შეუძლია მოქალაქის საკუთრების უფლების შეზღუდვა, ხოლო გარკვეულ გარემოებებში მისი ჩამორთმევაც კი:

- საკუთრების სარგებლობის რეგულაციების დაწესებით;
- საკუთრებაზე გადასახადის შემოღებით;
- საომარ ვითარებაში სახელმწიფოსთვის საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში ქონების ჩამორთმევით.²²⁶

კონტრაქტი წარმოადგენს ვალდებულებით სამართლებრივ ხელშეკრულებას, რომლის წინაპირობაცაა შეთანხმება კონტრაქტის საგანსა და ღირებულებაზე. მოცემული თემატიკის დამუშევრისას პუფენდორფი მიმართავს იმგვარ ცნებებს, რომლებიც დღეისათვისაც სრულიად თანამედროვედ გამოიყურება, მაგ. ფული, შრომა, ნიადაგი, ინფლაცია და დეფლაცია; იძლევა კონტრაქტების დეტალურ დიფერენციაციას ცალმხრივ და ორმხრივ, რეალურ (ნივთიერ) და კონსენსუალურ (შეთანხმებით), წერილობით და ზეპირ სახეებად. ხაზს უსვამს კონტრაქტებთან დაკავშირებულ ბუნებით-სამართლებრივ მოვალეობებს, როგორიცაა

²²⁵ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, C. H. Beck, München, 1972, გვ. 154.

²²⁶ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, C. H. Beck, München, 1972, გვ. 155.

თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა, გამყიდველის მიერ მყიდველისთვის ნასყიდობის საგანთან დაკავშირებით უტყუარი ინფორმაციის მიწოდება და სხვა ისეთ ასპექტებს, რაც დღეისათვის მოქმედი ცივილური სავაჭრო ეთიკის ფუნდამენტს შეადგენს.

ქორწინებას, როგორც თანაცხოვრების პირველ ფორმას, პუფენდორფი ბუნებრივ მისწრაფებას უწოდებს. ბუნებითი სამართლისთვისაც, რომელიც ადამიანთა ფიზიკურ და ინტელიგიბელურ ბუნებას ეფუძნება, ქორწინების ფარგლებში განხორციელებული ყოველი ქმედება კაცთა მოდგმის შენარჩუნების, შვილების აღზრდისა და უკეთესი ადამიანური ცხოვრების შექმნის დანიშნულებით არის განსაზღვრული. პუფენდორფის შეხედულებები ქორწინების შესახებ წარმოადგენს გარკვეულ ნაზავს მკაცრი, კონსერვატიული პროტესტანტული მრწამსისა და ჰუმანისტური შეხედულებების.

ასე მაგალითად, მისი რწმენით, ქორწინების გარეშე გამრავლება არ არის დასაშვები, ვინაიდან მხოლოდ ქორწინებით კავშირში მიიღწევა ადამიანური თანაცხოვრების მოწესრიგებულობა, ბავშვების აღზრდა და ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესება. თავად ქორწინების ფარგლებშიც კი, სქესობრივი კონტაქტი მხოლოდ შთამომავლობის დატოვების და ქორწინების განმტკიცების მიზნით არის მისაღები, ხოლო დაქორწინება მოწიფულ ასაკში და ჩასახვისუნარიან მამაკაცს უნდა შეეძლოს, ვისაც ცოლისა და შვილების რჩენა და ოჯახის გაძლოლის უნარი შესწევს. პოლიანდრია დაუშვებელია, პოლიგამიის აკრძალვა არ არის პირდაპირ მოცემული, თუმცა მონოგამიური კავშირი მიიჩნევა ოჯახის, როგორც საზოგადოების მაორგანიზებელი უჯრედის სრულყოფილ ფორმად.²²⁷ განქორწინება საქორწინო ხელშეკრულების მხოლოდ ისეთი მძიმე ფორმით დარღვევის შემთხვევაშია დასაშვები, როგორიცაა სქესობრივ კონტაქტზე უარის თქმა, პარტნიორის მიტოვება, ცოლ-ქმრული ღალატი ან მეუღლის მხრიდან სისასტიკე.

ამავე დროს, პუფენდორფი აპელირებს მეუღლეთა პრინციპულ საწყის თანასწორუფლებიანობაზე და თავის არგუმენტებს ამყარებს ბუნებით-სამართლებრივი პოსტულატებით. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ მეუღლეს დაეკისროს ოჯახის მეთაურის ფუნქციის შესრულება, მათ შორის შეთანხმების

²²⁷ Samuel Pufendorf, On the Law of Nature and of Nations in Eight Books, გვ. 198-200.

საგანია. თუმცა, ქორწინების ოჯახად ტრანსფორმაციის შედეგად, რასაც პუფენდორფი ბავშვების გაჩენას უკავშირებს, მამაკაცის მნიშვნელობა იზრდება. ვინაიდან ქორწინებაში, როგორც არა მხოლოდ ბუნებრივ, არამედ მორალურ ინსტიტუტში დღის წესრიგში დგება დაქვემდებარებისა და ხელმძღვანელობის საკითხები, აუცილებლად ადგილი უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებას, ამდენად ქორწინებაც საქორწინო ხელშეკრულებას გულისხმობს. ქმრის ბატონობას ცოლზე სხვა რაიმე და მით უფრო ბუნებრივი საფუძველი არ გააჩნია.

ოჯახი ე.ი. ბავშვების შეძენის შედეგად ტრანსფორმირებული ქორწინება, სოციალური ცხოვრების უფრო მაღალი საფეხურია. მანამდელი პრინციპულად ჰორიზონტალური ურთიერთობების პარალელურად ჩნდება მშობლებსა და შვილებს შორის ვერტიკალური, დაქვემდებარებული მიმართება.

ოჯახური აღზრდის გარეშე ადამიანთა შორის საზოგადოებრივი ურთიერთობა შეუძლებელი იქნებოდა, ხოლო მის უზრუნველსაყოფად მშობლებს შვილებზე აუცილებელი ძალაუფლება ესაჭიროებათ. Potestas patria-ს განხორციელება ორივე მშობლის თანაბარი მოვალეობაა, ხოლო ოჯახის საგარეო რეპრეზენტაცია უშუალოდ მამაკაცის. იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლების ძალაუფლება შვილებზე არ ემსახურება მათი აღზრდის ფუნქციას, სოციალურობის მოვალეობის პრინციპიდან გამომდინარე, მათ ეს უფლება შეიძლება ჩამოერთვათ.

თუკი ჰობსისტვის ანტიკური ტრადიციის კვალად, ოჯახი მცირე სახელმწიფოს წარმოადგენდა, პუფენდორფი თანამეგობრობის ამ ორი ფორმის მადიფერენცირებელ კრიტერიუმად მათ განსხვავებულ მიზნებს ასახელებს.

გარდა ოჯახისა ვიწრო მნიშვნელობით, პუფენდორფი ეხება ოჯახურ თანამეგობრობაში შემავალ უფრო ფართო წრესაც, სადაც ოჯახის სხვა წევრებს, აგრეთვე მსახურებს მოიაზრებს. ამ უკანასკნელებზე ოჯახის უფროსს მეტი უფლებამოსილება (potestas herilis) გააჩნია, ვიდრე უშუალო ოჯახის წევრებზე. თუმცა ამ შემთხვევაშიც ოჯახის თავს ყმებზე ბატონობის უფლება მათი თანხმობით გადაეცემა. ამ შეთანხმებით ბატონი კისრულობს ყმის უწყვეტ რჩენასა და მასზე ზრუნვას, ხოლო ყმა სანაცვლოდ დებს მთელი ცხოვრების მანძილზე სამსახურის პირობას. ომის შედეგად შეძენილ ყმებზე ვრცელდება არა ომის სამართლის, არამედ ბატონ-ყმობის წესები, ვინაიდან აქაც სახეზეა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც

ერთი მხარე მეორეს სიცოცხლეს და გარკვეულ თავისუფლებას ჩუქნის, ხოლო მეორე სანაცვლოდ ერთგული სამსახურის პირობას დებს.

ამიტომ ბატონის ძალაუფლება ყმებზე არ არის შეუზღუდავი, მათი სიცოცხლის ხელყოფა მას მხოლოდ მძიმე დანაშაულის შემთხვევაში შეუძლია. იმავე ხელშეკრულებით არის განმტკიცებული ბატონის მოვალეობები ყმების წინაშე, რაც მათდამი ადამიანურ მოპყრობას გულისხმობს. ყმა ისევე არის ადამიანური ღირსების მატარებელი, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი და დაუშვებელია მისდამი, როგორც *სულიერი ნივთისადმი* ან *ცხოველისადმი* დამოკიდებულება. ბატონი ასევე მოვალეა გაწეული შრომის ადექვატური ანაზღაურების მიცემაზე.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ბატონისა და ყმის არსებობის თავად უსამართლო ფაქტის მიღებისა, პუფენდორფი ცდილობს გარკვეულ ჰუმანისტურ წესებს დაუქვემდებაროს იგი, სადაც ბატონობის უფლების ლეგიტიმურად განხორციელების აუცილებელ წინაპირობად აცხადებს ბატონის მოვალეობას ადამიანურად, ანუ ადამიანური ღირსების დაცვით მოეპყროს ყმას და გადაუხადოს შრომის შესაბამისი გასამრჯელო.²²⁸

პუფენდორფის მოვალეობათა მომღვრების კრიტიკა მდგომარეობდა სკეფსისში იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის საკმარისი *socialitas*-ის პრინციპი ღმერთისა და საკუთარი თავის წინაშე ბუნებითი მოვალეობების დასაფუძნებლად. პუფენდორფმა ამის საპასუხოდ განმარტა, რომ აქ საქმე ეხებოდა უპირველესად სამართლის დაფუძნებას (ამ სიტყვის რომის სამართალში დამკვიდრებული მნიშვნელობით) ადამიანებს შორის, და რომ, მთლიანად მისი ბუნებითი სამართალი მხოლოდ *socialitas*-ის პრინციპით არ ფუძნდება.²²⁹

თუ პუფენდორფის მიერ ერთიანი კონცეპტის სახით ჩამოყალიბებულ *imperfecta obligatio*-ს და *socialitas*-ის პრინციპიდან გამომდინარე სხვა აბსოლუტური და რელატიური ხასიათის მოვალეობებს, რომელთაც სხვანაირად ადამიანურობის მოვალეობები შეგვიძლია ვუწოდოთ, მათ ურთიერთკავშირში განვიხილავთ, ჩვენს წინაშე საკმაოდ ვრცელი იდეური პერსპექტივა გამოჩნდება. საზოგადოებაში ამ

²²⁸ Horst Denzer, *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf*, C. H. Beck, München, 1972, გვ. 159-160.

²²⁹ Horst Dreitzel, *Samuel Pufendorf*, გვ. 801.

მოვალეობების სტატუირების ჰიპოტეტური შედეგების ანალიზი გარკვევით წარმოაჩენს ჰარმონიაზე ორიენტირებულ ქრისტიანული, სოციალურ-კონსერვატული და ლიბერალური ღირებულებების იმგვარ ერთი შეხედვით ეკლექტიკურ სინთეზს, რაც მომავალში საფუძვლად დაედება ადამიანთა არსებითი თანასწორობის და თვითგანვითარების პროცესში მიღწეული წარმატების შედეგად სხვაზე მოპოვებული ლეგიტიმური უპირატესობის ერთდროულად მაღიარებელ, დაბალანსებულ, ცენტრისტულ პოლიტიკურ პლატფორმას, მის საფუძველზე რეალიზებული სამართლებრივი სახელმწიფოთი და სოციალური საბაზრო ეკონომიკით, რომელთა ერთიანობაც მოკლედ *კეთილდღეობის სახელმწიფოს* ან *კეთილდღეობის საზოგადოების* (ინგლ. welfare state, გერმ. Wohlfahrtsstaat) სახელით არის ცნობილი.

სამუელ პუფენდორფის მოვალეობათა მოძღვრების შეჯამებისას თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ფილოსოფოსი გვევლინება ადამიანთა თანაცხოვრების იმგვარი საჯარო პოლიტიკურ-სამართლებრივი ფორმის თეორეტიკოსად, რომელიც თანამედროვე განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობის რეალობას ან ორიენტირს წარმოადგენს. პუფენდორფი ამას ახერხებს, ერთი მხრივ, საზოგადოების სხვადასხვა ფენათა ერთმანეთის მტრებად გამოცხადებისა და „კლასობრივი ცნობიერების გამოღვიძების“, არსებითად კაცთმომღელე იმპულსების გარეშე, სადაც კერძო საკუთრების მფლობელები ყველა ბოროტების სათავედ იქნებიან მოაზრებულნი, ხოლო ასეთის არ მქონენი იმად, ვისაც „არაფერი აქვთ დასაკარგი ბოროტების გარდა“, მეორე მხრივ კი - ჯანსაღ კონკურენტულ გარემოში რაიმე მიზეზით მარგინალიზირებულ ადამიანთა უკიდურესი სიღატაკის, აგრეთვე მათი სოციალური გარიყულობისა და გარემოებათა წნეხის ქვეშ პიროვნული გაარარავების პერსპექტივის გამორიცხვის თეორიული უზრუნველყოფის გზით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, პუფენდორფის მიერ მოცემულია მულტიდისციპლინურ პერსპექტივაში დანახული და ნიუანსებში დამუშავებული არა მხოლოდ პოლიტიკურ-სამართლებრივად, არამედ ზნეობრივად გამართული საზოგადოებრივი წეს-წყობილების იდეური ნიადაგი, რომელზე დაფუძნებულ ადამიანთა ერთობას ადამიანურობაზე, ხოლო სახელმწიფოში მოქმედ სამართალს სამართლიანობაზე პრეტენზიის უფლება ექნება.

შეჯამება

სამუელ პუფენდორფი - მოდერნული ბუნებითი სამართლის არადოგმატიკოსი, ქრისტიან-პროტესტანტი მოაზროვნე

მოცემული სადისერტაციო კვლევა განვითარდა სამუელ პუფენდორფის ძირითადი ბუნებით-სამართლებრივი შრომების, ბუნებითი სამართლის ხანგრძლივ ტრადიციაში მისი პოზიციონირებისა და ავტორის ორი ფუნდამენტური მოძღვრების – მორალური ფორმების (*entia moralia*) და მოვალეობის შესახებ მოძღვრებათა დამუშავების შედეგების წარმოდგენის გზით.

entia moralia-ს კონცეპტის ანალიზმა დაგვანახა, რომ ფიზიკური და მორალური სამყაროები ერთმანეთისგან ცნებათა სამი ურთიერთსაპირისპირო წყვილის მეშვეობით შეგვიძლია განვასხვავოთ: *მიზეზობრიობა-თავისუფლება; ღირებულებითი ირელევანტურობა-რელევანტურობა; ერთფეროვნება-მრავალფეროვნება*. დიფერენციაციის ამ ფორმას, მიკვლევულს პუფენდორფის მიერ და დემონსტრირებულს მორალური არსებობის შესახებ მოძღვრების სახით, გააჩნია ძალიან დიდი ღირებულება სამართლიანობის ცნობიერების შესახებ ფილოსოფიური განსჯისთვის, ისევე, როგორც სამართლისა და მორალის ბუნებაზე სააზროვნოდ, რამეთუ ის წარმოადგენს ნათელ კრიტერიუმს ურთიერთდაკავშირებული ორი სამყაროს ერთმანეთისგან გასამიჯნად, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს არა მხოლოდ პუფენდორფის ლუთერანული სულისკვეთებით განმსჭვალული, მოვალეობათა ეთიკის, არამედ მთელი მისი ფილოსოფიის დაფუძნებულობას ლოგიკურ ფუნდამენტზე. ამავდროულად, ეს გამიჯვნა აშორებს მას ლუთერანული ორთოდოქსიის დოგმატიკოსთა რიგებს, რომლებიც ბუნებით სამართალს მორალური თეოლოგიის ნაწილად განიხილავდნენ.

ძირითადად საკვლევმა სურათმა სარწმუნოდ დაგვანახა, რომ სამუელ პუფენდორფის მოვალეობის პრინციპზე დაფუძნებული ბუნებითი სამართლის ცნება, სრულიად აკმაყოფილებს სამართლის ცნებისთვის თანამედროვე სამართლის ფილოსოფიაში აუცილებლად მიჩნეულ ისეთ ძირითად კრიტერიუმებს, როგორებიცაა: *რეალობის მოთხოვნა* (იგი ითვალისწინებს ემპირიულ ფაქტებს, რომლებშიც სამართალი მანიფესტირდება, მაგ. მისი ჩასახვა, ნამდვილობა და აღიარება); *დიფერენციაციის მოთხოვნა* (სამართალი, როგორც ნორმატიული

წესრიგის გამიჯვნა სოციალური ქცევის მომწესრიგებელი სხვა პრაქტიკებისგან - ეთიკისა და მორალისგან; *ნორმატიულობის მოთხოვნა* (სამართლის, როგორც სოციალური მოწესრიგების პრაქტიკის გაგება ნორმატიული ვალიდურობით, რაც მას განასხვავებს უბრალოდ ძალადობისგან ან მართლსაწინააღმდეგო იძულებისგან.²³⁰

პუფენდორფის ბუნებითი სამართალი მაქსიმალურად არის ორიენტირებული რეალურ ადამიანზე, რომელშიც ბუნებრივად არის მოცემული სხვათაგან დამოუკიდებლად გადარჩენის უუნარობა და საზოგადოებრიობისაკენ მისწრაფება. პუფენდორფის ბუნებითი სამართალი ადამიანის გარეგანი, სოციალურად რელევანტური ქმედებების ნორმატიული კონსტრუირებისკენ არის მიმართული - ე.ი. იგი განასახიერებს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი საწყისების ინტეგრირებულად მატარებელ, პიროვნული ცხოვრების ფუძემდებლურ წესრიგს საზოგადოებაში.

ნებისმიერი მცდელობა, ეს კონცეფცია წარმოჩინდეს, როგორც სოციალიზმის ან კოლექტივიზმის რაიმე სხვა ფორმის ადრეული ვარიაცია, არის მცდარი, რამეთუ პუფენდორფის socialitas-ის პრინციპით შეკავშირებული საზოგადოება რედუცირებადია ცალკეულ ინდივიდებზე, რომლებიც შეადგენენ საზოგადოებას, რისი დასტურიცაა მის მიერ ტერმინ სოციაბელურის და არა სოციალურის აღება თავისი დოქტრინის საკვანძო ცნებად.

პუფენდორფის მოვალეობათა ბუნებითი სამართალი აწესებს საზოგადოების თითოეული წარმომადგენლისა და მთლიანად საზოგადოების წინაშე საზოგადოებრიობის (socialitas-ის) პრინციპის დაცვისა და ხელშეწყობის მოვალეობას, სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანობის მოვალეობას, და კრძალავს ნებისმიერ ქმედებას, რასაც მშვიდობიანი და სამართლიანი თანაცხოვრებისთვის ზიანის მოტანა შეუძლია. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ პუფენდორფის საზოგადოებრიობის პრინციპის განხორციელებაში ჩართული ადამიანები უკვე მოიაზრებიან არა უბრალოდ იმთავითვე ბატონობის ურთიერთობაში ჩართულ animal sociale-დ, როგორც ეს არისტოტელიკოსთა მიერ იყო ნაგულისხმები, არამედ ამგვარი მოვალეობით დატვირთული ინდივიდები სანაცვლოდ იღებენ ორმხრივ გარანტიას

²³⁰ Peter Koller, Der Begriff des Rechts und seine Konzeptionen, კრებულში: Rechtsphilosophie im 21. Jahrhundert, Herausg. V. Winfried Brugger, Ulfried Neumann und Stephan Kirste. Suhrkamp Taschenbuch Wissenschaft, 3. Aufl. 2013, გვ. 162.

იქნენ აღიარებული - თანაბრად ფასეული ადამიანური ბუნების მქონე არსებებად და აქედან გამომდინარე - ღირსების მატარებლად. ამასთან, სიკეთის ქმნის უნივერსალური მოვალეობა პუფენდორფთან არ აუქმებს ადამიანის ბუნების მთავარ ქრისტიანულ მახასიათებელს - ნების თავისუფლებას.

ამქვეყნიური ყოფნის ჰარმონიზაციაზე ფოკუსირება სრულიადაც არ აკნინებს პუფენდორფისთვის ქრისტიანული რელიგიური რწმენის, როგორც ადამიანის სწორი ღირებულებითი ორიენტირის მნიშვნელობას და არც მის მიერ შემოთავაზებულ ონტოლოგიურ სურათში შეაქვს ეჭვი. პუფენდორფის ლაკონური ციტატიტ შეიძლება ილუსტრირებული იქნას მე-17 საუკუნეში მის მიერ შემუშავებული, სამართლის ფილოსოფიის სეკულარიზაციის ზომიერი და არა ათეისტური პროექტი, რამაც მაინც გამოიწვია ორთოდოქს ლუთერან თეოლოგთა (მაგ. ვალენტინ ალბერტის) აღშფოთება: *არა ყოველივე იქიდან, რაც შესაბამისობაშია ღვთისმეტყველებასთან, შეესაბამება ბუნებით სამართალს და პირიქით.*²³¹ ღვთისმეტყველებით მოცული არეალი სცდება იმ საზღვრებს, სადამდეც გონებას შეუძლია შეღწევა და, ამდენად, ეს გამიჯვნა სრულიად ლოგიკურია. არანაკლებ ლოგიკურია პუფენდორფის არგუმენტაცია, რომლის მიხედვითაც, თუ ბუნებით სამართალს წავუყენებთ ქრისტიანულ ღვთისმეტყველებასთან შესაბამისობის მოთხოვნას, მაშინ ანალოგიურად უნდა მოგვეთხოვა ქრისტიანული მედიცინის, ქრისტიანული გეომეტრიის, ქრისტიანული ასტრონომიის და სხვათა არსებობა. ღვთისმეტყველებასა და სამართალმცოდნეობას, პუფენდორფის რწმენით არა მხოლოდ ცოდნის განსხვავებული წყაროები გააჩნიათ, არამედ შინაარსიც. სამართლის მეცნიერებას საქმე ხილულ სამყაროსთან და ადამიანის ქმედებებთან აქვს, მაშინ როდესაც ღვთისმეტყველებას ადამიანის შინაგანი სამყარო და გულისთქმები არანაკლებ აინტერესებს.*

ექვგარეშეა, რომ პუფენდორფის მოვალეობათა შესახებ მოძღვრება მთლიანად პრაგმატული პროტესტანტული ეთიკის სულით არის განმსჭვალული. საზოგადოების წევრთა მოვალეობანი ერთმანეთისა და მთლიანად საზოგადოების

²³¹ Henning Ottmann, Geschichte des politischen Denkens, Band 3/1, Die Neuzeit, von Machiavelli bis zu grossen Revolutionen. J. B. Metzler Verlag, 2006, გვ. 406.

* გავიხსენოთ მღვდელი ოთარ ჭილაძის რომანიდან „ყოველმან ჩემთან მპოვნელმან“, რომელიც ამბობს: *გინდა მოგიკლავს და გინდა მოკვლა გდომებია!*

წინაშე, რაც აუცილებლად სახელმწიფოსთან არ უნდა გავაიგივოთ (იხ. რამდენიმე აქტისაგან შემდგარი პუფენდორფისეული საზოგადოებრივი ხელშეკრულების ანალიზი), ადამიანის სოციალური ბუნებიდან წარმოსდგება და მათდამი დამოკიდებულება გავლენას მთელი სოციუმის მდგომარეობაზე ახდენს. როგორც პუფენდორფი ამბობს: „მხოლოდ ერთი ადამიანის ირგვლივ არ ხდება რაიმე, მაშინ როდესაც იგი საკუთარი თვითსრულყოფისთვის (ერთერთი ბუნებრივი მოვალეობა) ირჯება; სინამდვილეში მისი მოწადინების ნაყოფი მთელ ადამიანურ გვარეობას სწვდება. რამდენადაც ჩინებული იქნება ვინმე საკუთარი თავისთვის, იმდენად დიდად დააფასებენ მას, როგორც მსოფლიოს კეთილშობილ და მოვალეობის ერთგულ მოქალაქეს. ამიტომ მან, ვისაც სოციალურობის ბუნებითი მოვალეობის მოხდა სურს, საქმე საკუთარი განათლებით უნდა დაიწყოს, რამეთუ, რაც უფრო წარმატებით მუშაობს ის საკუთარი თავის სრულყოფაზე, მით უფრო ბედნიერი იქნება ის იმ მოვალეობათა მოხდისას, რაც სხვა ადამიანთა წინაშე გააჩნია.“²³²

პუფენდორფი აკრიტიკებს არისტოტელეს მის მიერ ეთიკის არაზუსტ მეცნიერებად მიჩნევის გამო, თუმცა საზოგადოებრიობის გაგებაში იგი მის ნააზრევს ამოსავალ თეორიად იყენებს და ამ უკანასკნელის Zoon Politikon-ი cultura vitae-ს სახელით შემოაქვს (პუფენდორფი არის პირველი, ვინც ტერმინ კულტურას და კულტურულს თანამედროვე გაგებით იყენებს, მიჯნავს რა კულტურას ბუნებითი მდგომარეობისგან). სამართალზე საუბარსაც იწყებს არა ინდივიდიდან, არამედ სოციალური უჯრედიდან გამომდინარე, რის ხაზგასასმელადაც შემოაქვს გროციუსის *appetitus societatis*-ის, საზოგადოებრიობისაკენ მისწრაფების ცნების ოდნავ სახეცვლილი ფორმა *socialitas*-ი. აქაც უპირატესობა არა ინდივიდის, არამედ თანამეგობრობის ინტერესს ენიჭება და თვით სახელმწიფოც მასთან სხვა არაფერია თუ არა საზოგადოების ორგანიზების ოპტიმალური ფორმა, რომლის ხელისუფალიც, ჰობსის კონცეფციისგან განსხვავებით, მასთან საზოგადოებრივი კონტრაქტის

²³² Renata Rapp Wagner, Joachim Höfele, Moritz Nestor, Naturrecht als Grundlage für ein friedliches und gerechtes Zusammenleben der Menschen. <https://naturrecht.ch/das-naturrecht-als-grundlage-fuer-ein-friedliches-und-gerechtes-zusammenleben-der-menschen/>.

ხელშემკვრელ მხარედ და მაშასადამე, თავის მხრივაც მოვალეობების მატარებელ სუბიექტად გვევლინება.

ბუნებრივ მდგომარეობაში, სადაც არ არსებობს მმართველი და სასჯელის დადების ლეგიტიმაციის მქონე სუბიექტი, ქაოსში გადაზრდის საფრთხის შემცველი არასტაბილური მშვიდობა სუფევს, ხოლო „perfectio vitae humanae-ს“ (ადამიანური სიცოცხლის სრულყოფის) მიღწევა მხოლოდ ერთმანეთის უალტერნატივო საჭიროების გამათვითცნობიერებელ (არა მხოლოდ თვითგადარჩენის თვალსაზრისით) ადამიანთა კრებულს შეუძლია, რაც იმანენტურად გულისხმობს მისი წევრების მიერ სამართლიანობის ცნობიერებისა და ბუნებრივი მოვალეობების თვითშეგნების ქონას. ამ თვითშეგნების მატარებელი და პოპულარიზატორია თავად პუფენდორფიც, ვისთვისაც ნათელია, რომ მრავალნაირი ადამიანი არსებობს (in varietas), განსხვავებული იმპულსებით, რაც ინდივიდუალურ თავისუფლებათა ნაწილის დათმობას და ნებაყოფლობით, საკუთარი თავისთვის რისკის შექმნის გარეშე, ურთიერთდახმარებაზე ორიენტირებული პირებისგან შემდგარი საზოგადოების არსებობის საჭიროებას განაპირობებს. საინტერესოა, რომ ადამიანთა ასეთი კონსოლიდირებული თანაარსებობის ფორმა - სახელმწიფო, არ შთანთქავს პუფენდორფთან სახელმწიფომდელ პოზიტიურ ფენომენებს, მაგალითად ბუნებრივ რელიგიას, რაც ბუნებრივი თავისუფლების, ამ შემთხვევაში რელიგიის თავისუფლებისა და მასთან დაკავშირებული ტოლერანტობის მოვალეობის კონცეპტის ბუნებით-სამართლებრივი დასაბუთების მქონე შემოტანაა სახელმწიფოს შესახებ მომღვრებაში, მანამდე, სანამ ჯონ ლოკი ჩამოაყალიბებდა ბუნებითი უფლებების შესახებ სწავლებას.

წესრიგის სასარგებლოდ იმპულსურობაზე და ძლიერის სამართალზე უარის თქმასთან ერთად, რეფლექსიის ობიექტი ხდება ის საერთო ნიშანი, რომელიც განარჩევს ადამიანს ცხოველისგან - ადამიანის გონება (როგორც ვიცით, მასზე გადაწყვეტი აქცენტის დასმის გამო, განსხვავებით კოსმოლოგიაზე აპელირებისგან, როგორც ეს იყო ანტიკურობაში ან ღვთაებრივ განგებულებაზე - მსგავსად ქრისტიანული პერიოდის ბუნებით-სამართლებრივი განაზრებებისა, ეწოდა ახალი დროის ბუნებით სამართალს - რაციონალური ბუნებითი სამართალი. ბუნებითი სამართლის დიქტატის მიყოლის პრეროგატივა, პუფენდორფის მიხედვით, გონებას

ენიჭება. გონება აძლევს ადამიანს უნარს ცოდვით დაცემის შედეგად დაზიანებული მისი ბუნება აარიდოს ბოროტისკენ მიდრეკას. ისევ და ისევ ამ მცნებების მეშვეობით მაღლდება ადამიანის ბუნება სოციალურობამდე. ეს დებულება ფაქტობრივად პუფენდორფის მოძღვრებაში უნივერსალური ეთიკისა და დემოკრატიულ-ჰუმანისტური საწყისის მანიფესტირების აშკარად დანახვის შესაძლებლობას იძლევა. მოვალეობის პრინციპის განხორციელების საჭიროების შეგნება გადაჯაჭვულია ადამიანის, როგორც გონიერი და თავისუფალი ნების მქონე არსების აუცილებელი საზოგადოებრივი ცხოვრების აღიარებასთან. მოვალეობის პრინციპის ამ კონსტრუქციიდან არც რელიგიური მსოფლალქმაა განდევნილი; სახეზე გვაქვს მოვალეობები კლასიფიცირებული: ღმერთის (როგორც ნებისმიერი დასაბამისეული წესრიგის პირველშემოქმედის), საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების წინაშე, რომლებიც, ამას გარდა, განირჩევიან ნამდვილობის ხარისხის ნიშნით - საყოველთაო (ყველა ადამიანისთვის ნებისმიერ ვითარებაში საერთო) და ფარდობით (რომელთა ნამდვილობა ადამიანთა განსაზღვრული ინსტიტუციების მიერაა პირობადებული) მოვალეობებად. იმის გამო, რომ ყოველი ბუნებით-სამართლებრივი მოვალეობის ნამდვილობის წინაპირობას წარმოადგენს, მისი გაგება ღმერთის ბრძანებად და მაშასადამე, სავალდებულო ხასიათის მქონე კანონად, ღმერთის წინაშე მოვალეობები ყველა სხვა ბუნებით-სამართლებრივი მოვალეობის ნამდვილობის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ.²³³

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული ერთ-ერთი ამოცანის - მოდერნული ბუნებითი სამართლის შიგნით არსებული მოჩვენებითი ერთგვაროვნების ილუზიის გაფანტვისას, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საზოგადოებრივი ხელშეკრულების ორიგინალური პუფენდორფისეული ხედვა. იგი ორ ხელშეკრულებას, მთლიანობაში კი სამ აქტს მოიცავს. პირველი არის ხელშეკრულება, რომელსაც ადამიანები დებენ ერთმანეთთან და რომლის შედეგადაც საზოგადოებრიობა წარმოდგება, რასაც მოსდევს *დეკრეტი* სუვერენული სახელმწიფო მმართველობის ფორმის შესახებ (შეიძლება იყოს ერთი პირი, მონარქის

²³³ Thomas Behme, Ziele und Grenzen der Staatsgewalt bei Samuel Pufendorf, in Naturrecht und Staatsheorie bei Samuel Pufendorf, Dieter Hüning, (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009, გვ. 54.

სახით, პირთა წრე არისტოკრატიული მმართველობის სახით ან მთელი ხალხი, დემოკრატიის სახით), დაბოლოს, მეორე ხელშეკრულება ხალხსა და ხელისუფალს შორის. მეორე ხელშეკრულებით ადამიანები სახელმწიფო ხელისუფლებისთვის თავიანთი თავისუფლების ნაწილის დელეგირებას ამტკიცებენ, ანუ ხელშეკრულებას დებენ მომავალ სუვერენთან და გაწერენ მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ხელისუფალი მოვალე ხდება უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ხოლო ხალხი აცხადებს მისი მორჩილების მზადყოფნას.

ასეთი სამსაფეხურიანი სახელშეკრულებო გზით შემდგარი სახელმწიფო არის ბუნებრივი მდგომარეობის, თუმცა არა ბუნებითი სამართლის დასასრული.

როგორც შესაძლებლობა გვქონდა დაგვენახა, სამუელ პუფენდორფი ახდენს გროციუსისა და ჰობსის ნააზრევს კრიტიკულ გადამუშავებას და ადრეული მოდერნის ბუნებითი სამართლის იდეა, ყველაზე ცხადი ფორმით, სწორედ პუფენდორფის მიერ განხორციელებული ხსენებული სინთეზის შედეგად ჩნდება. მას საკუთრივ გროციუსთან ან ჰობსთან ასეთი დასრულებული სახით ადგილი არ აქვს.

ადამიანები თავისუფალნი და თანასწორნი არიან უკვე ბუნებრივ მდგომარეობაში (ჰობსი), მაგრამ ეს არის *კრეაციონისტული სისუსტის* (imbecilitas) მდგომარეობა (პუფენდორფის გარდამავალი ცნება) და ამიტომ წარმოდგება appetitus societatis-ი ან socialitas-ი, საზოგადოებრიობის ბუნებრივი მოთხოვნილება (გროციუსი) და ამ უკანასკნელის პუფენდორფისეული ტრანსფორმაციით - ბუნებით მოვალეობათა სისტემა (მოვალეობის პრინციპი), რომლიდანაც ადამიანის ყველა ძირითადი უფლება გამომდინარეობს.

ბუნებრივი მდგომარეობა პუფენდორფს ესმის როგორც ფიქცია, რომელიც განასახიერებს პირვანდელ ადამიანურ ყოფნას კულტურისა და მოქალაქეობრივი თანაცხოვრების გარეშე. ჰიპოტეტურ წინარე საზოგადოებრივ სურათზე რედუცირების საჭირობა უკავშირდება მისი მეშვეობით შემთხვევითი ისტორიული დეტერმინანტებისგან გაწმენდილი სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელის რეკონსტრუირების შესაძლებლობას. ეს სრულად შეესება მოდერნული ბუნებითი სამართლის მიერ გაზიარებული mos geometricus-ის მეთოდს, რომელიც გულისხმობს მთელი კონსტრუქციის საფუძველმდებარე ბირთვამდე დასვლას და შემდეგ მასზე ლოგიკურად გამართული ნაგებობის თანმიმდევრულად აგებას.

ჰობსიანური ვარიანტისგან განსხვავებით, პუფენდორფთან ადამიანები ამ წინარე სოციალურ ფაზაში - მართალია არ არიან ერთმანეთისთვის მგლები, საწყის ეტაპზე ამქვეყნიური სიკეთეები ყველას სამყოფად აქვს და შესაბამისად - ბუნებით მდგომარეობაში ადამიანთა ინტერაქციის სტრუქტურას არ განსაზღვრავს *bellum omnium contra omnes* - *ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ*, მაგრამ თანდათან სიხარბეს, გადამეტებულ პატივმოყვარეობასა და ადამიანის ბუნების დამახასიათებელ სხვა მანკიერ თვისებებს კატაკლიზმებისკენ მივყავართ; იმ სიტუაციაში, როდესაც არ არსებობს საყოველთაო მოვალეობათა შესრულების გარანტორი ინსტანცია - სახელმწიფოს სახით, მშვიდობას აუცილებლობით ექნება მყიფე ხასიათი და რაც მთავარია, ეს არ არის ის მდგომარეობა, რაც წარმოადგენს ადამიანის, როგორც მორალური თვისებების პოტენციურად მატარებელი არსების, მეტა დანიშნულებას. თუ ჰობსთან ლევიათანის (სუვერენი, რომლისადმიც თავისი ბუნებითი უფლებების გადამბარებული ადამიანები ცალკეულ ინდივიდთა ჯგუფს შეადგენს, მაგრამ არა ხალხს, როგორც სამართლის ერთიან სუბიექტს) პრივილეგიერებულ, უფრო სწორად, „ზესახელშეკრულებო“ პოზიციაში ჩამყენებული სოციალური კონტრაქტი განაპირობებს ნაბიჯს ქაოსიდან მშვიდობისკენ, პუფენდორფთან ეს არის ნაბიჯი არასტაბილური მშვიდობიდან კოოპერაციული, სტაბილური მშვიდობისკენ. იგი ეფუძნება ადამიანის ბუნებრივი სისუსტის კომპენსირებას, მასში ასევე ბუნებრივად ჩადებული, სოციაბელურობის უნარით.

ბუნებრივ მდგომარეობაშიც და მისი გადალახვის შემდეგაც, თავისი ნამდვილობა გააჩნია ბუნებით სამართალს. იგი უცვლელი შინაარსის მქონე, მარადიული და ადამიანის ნებისგან დამოუკიდებელია.

თუ არისტოტელესთვის ადამიანური თანაცხოვრების ყველაზე სრულყოფილი ფორმა, როგორც საშუალება ადამიანის ტელოსის განხორციელებისა, არის პოლისი მისი სუბსტრუქტურების შენარჩუნებით, როგორც არის, მაგალითად ოჯახი, ხოლო ქრისტიანული არისტოტელიზმისთვის საღვთო და კარდინალური სიქველეების პრაქტიცირებით შემზადება ცათა სასუფეველისთვის, მათ შორის უკიდურესად უთანასწორო ბატონ-ყმური სოციალური სტრატეგიკაციის აღიარება-გამართლების პირობებში, - პუფენდორფისთვის ეს არის მოვალეობის პრინციპზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ცხოვრება. ეს არ გახლავთ სახელმწიფოს იდენტური ცნება, ამ

სიტყვის თუნდაც ჰობსისეული - *მიწიერი ღმერთის*, ან მოგვიანებით, მე-19 საუკუნეში დამკვიდრებული რადიკალურად ეტატისტური მნიშვნელობით. სახელმწიფო, როგორც პროდუქტი ადამიანის ბუნებრივი თავისუფლების ნაწილის დათმობისა, მაინც წარმოადგენს გარემოებებით ნაკარნახებ, გარკვეულწილად კომპრომისულ არჩევანს. თუ ის რაციონალურ პრინციპზე დაფუძნდება, ხოლო სუვერენი, თავისი ლეგიტიმური უფლებამოსილებების განხორციელებისას, არ დაივიწყებს მის ერთ-ერთ ფუნქციას, იზრუნოს არა მხოლოდ მთლიანად სახელმწიფოს კეთილდღეობაზე, არამედ ცალკეულ მოქალაქეთა პირადი კეთილდღეობისა და კერძო საკუთრების ზრდაზეც, მაშინ მასში შესაძლებელი გახდება განხორციელდეს ბუნებითი სამართლის პრინციპების ჰარმონიული სტატუირება მოქმედ პოზიტიურ სამართლად.²³⁴

პუფენდორფის მიერ არა მხოლოდ სახელმწიფოს გენეზისის, არამედ აგრეთვე მისი ლეგიტიმაციის კონტრაქტუალისტური არსის ჩვენებით, წერტილი ესმება ღმერთის ნებაზე მისი დამოკიდებულების მტკიცებას. თომისტური კათოლიკური ორთოდოქსიისგან მისი დისტანცირება კარგად ჩანს იმაშიც, რომ მას ბუნებითი სამართალი არ ეგულება არც წმინდა წერილში და არც მის კომენტარებში. ამას გარდა, გამოირიცხება მონობის არსებობა, რამეთუ ყველა პირი ცხადდება ერთნაირად თავისუფალი ადამიანური ბუნების - რამდენადაც ის ადამიანია, მატარებლად და, აქედან გამომდინარე, თანასწორი ღირსების პატრონად და, შესაბამისად - თანაბარი პატივისცემისა და მოპყრობის ობიექტად. ადამიანების ადამიანებზე ბატონობა მისაღებია მხოლოდ დაქვემდებარებულთა თანხმობით, რაც ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ - თავად პუფენდორფის მტკიცება გადაუჭარბებელია იმის შესახებ, რომ მოვალეობის შესახებ მოძღვრების მეშვეობით, იგი *ethica universalis*-ს ქმნის. მაშასადამე, არისტოტელეს ბერძნულ პოლისზე და ციცერონის რომაულ *civitas*-ზე ორიენტირებული პარტიკულარული ეთიკის ფარგლებს სცდება, აგრეთვე არ ჯერდება სქოლასტიკური არისტოტელიზმის რელატივისტურ კონფორმიზმს და სრულიად სხვა მასშტაბის ეთიკას აფუძნებს. პუფენდორფის რწმენით, ადამიანური ღირსების კვინტესენცია

²³⁴ Leonard Krieger, „The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law, Chicago & London, The University of Chicago Press, 1965, გვ. 135-136.

მეც ღმერთის და საკუთარი თავის, როგორც მორალური არსების (ვისაც ღმერთმა ბუნებითი კანონების გზით განსაზღვრული მოვალეობები დააკისრა) შეცნობის უნარში. როგორც უზენაესი მორალური კანონმდებლის თვალშია ყველა ადამიანი თანასწორი, ისე ადამიანებმაც თანაბარი ღირსების მატარებლად და მაშასადამე - ბუნებრივად თანასწორად (*aequalitas naturalis*) უნდა მიიღონ ერთმანეთი, რაშიც უპირველესად არა ფიზიკურ-მატერიალური, არამედ მორალური თანასწორობა იგულისხმება.²³⁵

როგორც სადისერტაციო ნაშრომის შესაბამის ნაწილშია ნაჩვენები, პუფენდორფი განასხვავებს ბუნებრივი და მორალური საგნების კაუზალობას (ამიტომ არის ის არა ნატუროფილოსოფოსი, არამედ სამართლის ფილოსოფოსი. სამართალში განსხვავებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან, A ავტომატურად არ განაპირობებს B-ს, არ ვამბობთ - თუ სახეზეა A სახეზე იქნება B, არამედ სამართალი ჯერარსული ბუნების მქონეა, სადაც ვამბობთ, რომ A-ს უნდა მოყვეს B, შესაბამისად, სახეზე გვაქვს ნება).

ურთიერთდახმარების პასუხისმგებლობა, რაც საზოგადოების წევრებს აკისრიათ, გადატანილია სახელმწიფოზე. სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა იზრუნოს მის ქვეშევრდომთა კეთილდღეობაზე და აღზრდაზე ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, რათა მათი კანონმორჩილება ეფუძნებოდეს არა სანქციების შიშს, არამედ კეთილ ზნეს. სახელმწიფოებრივი აღზრდის ერთ-ერთ ყველაზე ფაქიზ ნაწილად პუფენდორფი მიიჩნევს ბუნებრივი რელიგიის დაცვას, როგორც საზოგადოების ყველაზე ძლიერი შემაკავშირებელი ძაფის, ადამიანთა შორის ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და ზოგადად ერთმანეთისადმი სათნო დამოკიდებულების საფუძვლის. სახელმწიფო ინტერესში განხორციელებული რელიგიური პოლიტიკა, მისი აზრით, ჭეშმარიტ რელიგიურ მოძღვრებას საფრთხეს არ უქმნის, ვინაიდან ეს უკანაკნელი თავისი ბუნებით ვერ იქნება მშვიდობის ანტაგონისტური.²³⁶ კანონშემოქმედებით პროცესში სახელმწიფო, თუ მას არ სურს ყაჩაღთა გაერთიანებას დაემსგავსოს (რომელიც ნეტარი ავგუსტინეს სწორი

²³⁵ Gerald Hartung, Samuel Pufendorf und die Verbreitung der Naturrechtslehre, Einleitung zur *De officio hominis et civis juxta legem naturalem* (1673), in Series: *Samuel Pufendorf: Gesammelte Werke*, Wilhelm Schmidt-Biggemann Bd. 2, Gerald Hartung (Hrsg.), Berlin 1997; lt/dt. გვ. XIII.

²³⁶ Thomas Behme, Ziele und Grenzen der Staatsgewalt bei Samuel Pufendorf, in *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf*, Dieter Hüning (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009. გვ. 63.

დაკვირვებით, თავის მხრივ ასევე ატარებს სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ გარკვეულ ატრიბუტებს: ერთიან მიზანს, მის წევრთა შორის არსებულ ურთიერთ ნდობას და სხვა),²³⁷ - მოვალეა ბუნებითი სამართლის ერთგული დარჩეს, რაც წარმოადგენს მუდმივ კავშირს სამართლიანობის იდეასა და პოზიტიურ კანონს შორის, ხოლო ამ კანონთა სისტემა მოქალაქეთა მიერ გაგებული უნდა იყოს, როგორც შესასრულებლად სავალდებულო ბრძანება, რომელიც ემსახურება სამართლებრივ წესრიგს - დაფუძნებულს საერთო ადამიანური საზოგადოებისთვის ზრუნვის საყოველთაო ვალდებულებაზე (*obligatio ad colendam vitam sociale*).²³⁸ ყოველივე ამის საჭიროების გაცნობიერებამდე ინდივიდი ავტომატურად არ მიდის, სახელმწიფოსა და მას შორის წარმოადგენილია ადამიანთა უფრო ადრეულ ერთობათა ბუნებრივი ფორმები: ოჯახი და ქორწინება, რომლებიც სტიმულირებას უწევენ მოქალაქის (თავად ფაქტი, რომ პუფენდორფის 1682 წელს გამოსული ნაშრომის სათაურში გამოტანილია მოქალაქის ცნება - *DE OFFICIO HOMINIS ET CIVIS...*, უკვე მრავლისმეტყველია) სახელმწიფოსთვის სასარგებლო წევრად ქცევას და მისი, როგორც საზოგადოებრივი არსების თვითიდენტიფიკაციას. სოციალიზაციის ამ სტადიაზე, კერძოდ ოჯახში, სწავლობს ადამიანი გულწრფელობას და სხვა სათნოებებს, კეთილსინდისიერებას და განსჯის უნარს, რაც უზრუნველყოფს მის მომავალ აქტიურ როლს საზოგადოებრივ ასპარეზზე.

რაც შეეხება სახელმწიფოთა ურთიერთობის პუფენდორფისეულ ხედვას, იგი შედარებით ნაკლებადაა განვითარებული და აქ რაიმე რევოლუციურ ინოვაციებს ადგილი არ აქვს. ბუნებრივი მდგომარეობა, ისევე როგორც ჰობსთან, ხელუხლებლადაა შენარჩუნებული, შესაბამისად, ომი ნებისმიერ დროსაა მოსალოდნელი. თუმცა, ლეგიტიმაციის გარკვეული მინიმალური საფუძვლების აუცილებლობა, ისევე როგორც ჯერ კიდევ ციცერონთან, მასთანაც აღიარებულია და ლეგიტიმურად მხოლოდ მართებულ საფუძველზე წამოწყებული ომი ითვლება, როგორცაა უკანონო ხელყოფისგან საკუთარი თავისა და ქონების დაცვა, აგრეთვე მიყენებული ზიანისთვის პასუხის მოთხოვნა, მსგავსი უსამართლობის მომავალში გამოსარიცხად.

²³⁷ თეო კობუში, „სამართლიანობის იდეა ავგუსტინესთან“, მოხსენება წაკითხული თბილისში, 2018 წ.

²³⁸ Thomas Behme, Ziele und Grenzen der Staatsgewalt bei Samuel Pufendorf, in *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf*, Dieter Hüning (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009. გვ. 55.

გამომდინარე იქიდან, რომ ძალის გამოყენებაზე მონოპოლიას პუფენდორფი სუვერენის პრეროგატივად მიიჩნევს, მის წინააღმდეგ მოქალაქეთა ამბოხების უფლებას მხოლოდ უკიდურეს ვითარებაში აღიარებს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც სუვერენი ღალატობს თავის დანიშნულებას, მიმართავს უსამართლო ძალადობას, მტრად ევლინება საკუთარ ხალხს ან ფიზიკური განადგურებით იმუქრება და ვითარებიდან გამომდინარე, მოქალაქეებს არ შეუძლიათ გაქცევით უშველონ თავს.²³⁹ ეს მაინც მეტია, ვიდრე უბრალოდ თავდაცვის ინდივიდუალური უფლება, ვინაიდან ასეთი სუვერენის წინაშე მორჩილების ვალდებულებისგან არა მხოლოდ უშუალოდ დაზარალებული, არამედ ყველა თავისუფალდება.

სხვანაირად რომ ვთქვათ, აბსოლუტური მონარქიის, ისევე როგორც მემკვიდრეობის პრინციპზე დაფუძნებული თავადაზნაურული წოდებრიობის ინსტიტუტის სამართლიანობის საკითხის დასმის გარეშე, პუფენდორფი აცხადებს, რომ უნივერსალური ბუნებითი სამართლის წინააღმდეგ წასული მონარქი და მისი მმართველობითი აპარატი კარგავენ ლეგიტიმაციას. ამასთან ეს პირობა გაგებულია, როგორც საზოგადოებრივი ხელშეკრულების ნაწილი და ამდენად მე-17 საუკუნის როიალისტურ-კონსერვატული პოლიტიკური აზროვნებისთვის სულაც არ არის უმნიშვნელო განაცხადი.

აქვე კიდევ ერთხელ გავიხსენოთ პუფენდორფის საზოგადოებრივი ხელშეკრულების სპეციფიკა, რომელიც საზოგადოებად კონსოლიდირებულ ადამიანებს არ უკარგავს ამ მდგომარეობას, მაშინაც კი, როდესაც მათ მიერ ხელისუფალთან დადებული მეორე ხელშეკრულება რაიმე მიზეზით უქმდება, რითაც იგი უკან მოიტოვებს არა მხოლოდ გვან არისტოტელიზმს, არამედ ჰობსსაც და შეამზადებს საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების, როგორც მისი არსებობის ლეგიტიმაციის იდეას, რამაც ოდნავ მოგვიანებით, მისი თანამედროვის, ჯონ ლოკის შრომებში იჩინა თავი და რასაც ლიბერალური ბუნებითი სამართლის თეორია ეწოდა.*

²³⁹ Leonard Krieger „The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law, Chicago & London, The University of Chicago Press, 1965, გვ. 143-144.

* ლოკი (იხ. „ორი ტრაქტატი სახელმწიფო მმართველობის შესახებ“ 1689 წ.) სახელმწიფოს არსებობის საჭიროებას და გამართლებას, მის მიერ ადამიანის მთავარი ბუნებითი უფლების - საკუთრების დაცვაში ხედავს, ხოლო საკუთრებას სამი კომპონენტისგან შემდგარ ფენომენად მიიჩნევს: სიცოცხლის, თავისუფლების და კერძო საკუთრების. მასთან სახელმწიფო კიდევ უფრო მკვეთრად, ვიდრე პუფენდორფთან, მოვალეობების მატარებელ სუბიექტად გვევლინება, რომელიც თავის

პუფენდორფი ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებას მოვალეობათა მოხდაში ხედავს. „De officio“-ში ის ამტკიცებს, რომ ადამიანები ცხოვრობენ მოვალეობათა მოხდის მიზნით და რომ ეს არის გონების მანიფესტი – ხელშესახები, თავისთავად ცხადი მოთხოვნა. თუ ადამიანის დანიშნულება საკუთარი მოვალეობის გაცნობიერება და აღსრულებაა, მაშინ სამართლის საფუძველიც მოვალეობა უნდა იყოს.

უფლებაც, რომელიც სამართლის გარეშე არ არსებობს, უშუალოდ მოვალეობიდან გამომდინარეობს. უფრო მეტიც, უფლებები ადამიანის მოვალეობის შესრულების წინაპირობებს წარმოადგენს და ის მოვალეობებთან ერთად ადამიანის, როგორც გონიერი და საზოგადოებრივი არსების თანშობილია. განსხვავებით იმულებისგან, მოვალეობა სულის შინაგან იმპულსს მოსდევს და გულისხმობს - როგორც გონებაში დაფუძნებულ უნარს ამ ნორმათა შემეცნებისა, ისე მათდამი მორჩილებაზე გაცნობიერებული უარის თქმის შესაძლებლობას, სხვანაირად რომ ვთქვათ, ბუნებით-სამართლებრივი მოვალეობა განუყოფელია ადამიანის თავისუფალი ნებისგან. მაშასადამე, ადამიანის უნარიანობა - იტვირთოს მოვალეობა, იმპლიციტურად გულისხმობს მის უნარს, საკუთარი მორალური პასუხისმგებლობით წარმართოს თავისი ქმედებები.²⁴⁰

ამ მოვალეობათა აქცეპტირების გარეშე, იგი მიდრეკილია სხვათა ინტერესის დაზიანებისკენ, ვინაიდან პირველცოდვიდან გამომდინარე, ნაკლული არსებაა და თუ სხვის დაზიანებაზე უარს არ იტყვის, ცხოველზე უარეს მტარვალად მოგვევლინება. მხოლოდ იქ, სადაც სახეზეა რაციონალური, ადამიანის ბუნების შესატყვისი ქცევის მოვალეობა (უპირველესი მოვალეობა), არის შესაძლებელი ისეთი უფლებების განხორციელება, რომლებიც მესამე პირთა ვალდებულებებიდან წარმოიშობა.

შორს მიმავალი სპეკულაცია არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მოგვიანებით სამართლის პოზიტივისტებისა და ნორმატივისტების მიერ სამუელ პუფენდორფისა

უფლებამოსილებას ახორციელებს არა სუვერენული უფლებების მიღების, არამედ მხოლოდ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული მანდატის მქონე ხელისუფლება (გამიჯნული საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებად) ბრალეულად თავს არიდებს თავისი მოვალეობის შესრულებას, ხალხს ავტომატურად უჩნდება მისი ახლით ჩანაცვლების, ტირანულის კი დამხობის უფლება.

²⁴⁰ Thomas Behme, Ziele und Grenzen der Staatsgewalt bei Samuel Pufendorf, in *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf*, Dieter Hüning (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009, გვ. 56.

და სხვა ბუნებით-სამართლებრივი მოაზროვნებისთვის დამახასიათებელი სამართლის ფუძემდებლური გაგების (რომლის მიხედვითაც ადამიანურ თვითნებობას არ ძალუძს ბუნებითი სამართლის გაუქმება, და პირიქით: ის, რაც წინააღმდეგობაშია ბუნებით კანონთან, არ გვევლინება ნამდვილ სამართლად) უარყოფამ*, შეამზადა თეორიული საფუძველი სახელმწიფო კანონმდებლობის ცნობილი, ანტიჰუმანისტური მიმართულებით განვითარებისა, რა პერიოდშიც სამართლის უსარფრთხოების პრინციპის მაღლა დაყენებამ სამართლის სამართლიანობასა და მის მიზნობრიობაზე, გამოხატულმა ფორმულით: „კანონი კანონია,“ გადაფარა კანონის შინაარსობრივი ღირებულების მოთხოვნა.

საუბარია ურთიერთდაპირისპირებული, მაგრამ ადამიანის ღირსებისა და ფუნდამენტური უფლებების ფეხქვეშ გათელვის იდეოლოგიურად გამართლებისა და პრაქტიკულად განხორციელების თვალსაზრისით, ორი სტრუქტურულად მონათესავე - კომუნისტური და ნაცისტური ტოტალიტარული რეჟიმების შესახებ, რომლებიც თავიანთ კაცთმომძულე გეგმებს, მტრად გამოცხადებული კლასებისა ერთი მხრივ და რასების მეორე მხრივ, მათი ფიზიკური განადგურების ჩათვლით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონმდებლობისა და რეგლამენტირებული საპროცესო წესების ფარგლებში ახორციელებდნენ, რამაც სასამართლო პრაქტიკულად გადააქცია მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოდან სერიული დანაშაულის ჩადენის იარაღად.

აქ უპრიანია გავიხსენოთ გერმანელი იურისტის გუსტავ რადბრუხის რიტორიკული კითხვა: „რა შეუძლიათ მოსამართლეებს, რომლებიც იმგვარად დეფორმირებულნი არიან, რომ პოზიტივიზმისთვის უპირობო უპირატესობის მინიჭებით, არ აღიარებენ სხვა სამართალს, გარდა მოქმედისა?“. ²⁴¹ მისივე ტერმინოლოგიის გამოყენებით რომ ვთქვათ, ბუნებითი სამართლის უარყოფამ შესაძლებელი გახადა *კანონისმიერი უსამართლობის* ზეიმი და პარადოქსის წესით, მანვე ყველა საღად მოაზროვნე ინდივიდს დაანახა *ზეკანონური სამართლის* საჭიროება, რაც აისახა კიდევ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და, ამ უკანასკნელის

* საკმარისია გავიხსენოთ პოზიტივისტური სამართლის ცნობილი ავსტრიელი თეორეტიკოსის, ჰანს კელზენის მაჟორული განაცხადი: „...kann beliebige Inhalt Recht werden“ („ნებისმიერ შინაარსს შეუძლია სამართლად ქცევა“).

²⁴¹ Gustav Radbruch, Gesetzliches Unrecht und übergesetzliches Recht, Süddeutsche Juristenzeitung 1 (1946).

მაგალითზე, მრავალ ეროვნულ კონსტიტუციაშიც ჰპოვა საპატიო ადგილი, ადამიანის თანშობილი და წარუვალი, მაშასადამე - ბუნებითი და არა სახელმწიფოს მიერ ბოძებული უფლებების აღიარებით.²⁴²

მოდერნული ბუნებითი სამართლის სააზროვნო ტრიადა: ბუნებითი მდგომარეობა-საზოგადოებრივი ხელშეკრულება-საზოგადოებრიობა, პუფენდორფმა მორალურ არსობათა შესახებ კონცეფციით გამყარებულ მოვალეობის პრინციპზე დააფუძნა, რითაც შექმნა ბუნებითი სამართლის ფილოსოფიის ახლებური, ჭეშმარიტად ინტერდისციპლინური პარადიგმა.

²⁴² ნათქვამის საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი, რომელიც ამბობს: *სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.*

გამომდინარე იქიდან, რომ სამართალი და სამართლიანობა სიმართლის კორელაციური კატეგორიებია, იმედს გამოვთქვამთ, რომ ყალბი და იძულებითი იდეოლოგიური წნეხისგან გათავისუფლების შემდეგ, აუცილებლობა ადამიანის ბუნებასთან დაკავშირებული ბუნებით-სამართლებრივი იდეის აღორძინებისა (იმის მიუხედავად, გავიგებთ მას ობიექტურად მოცემულ, ისტორიულად უცვლელ ფენომენად თუ სხვაგვარად), როგორც სამართლის მართებული გაცნობიერებისთვის საჭირო მყარი იდეური ფუნდამენტისა (რაც არსებითად დასავლური ცივილიზაციის სხვათაგან განმასხვავებელი, თავისუფლების ფუნდამენტია), დღეისათვის კვლავაც ნათლად გამოჩნდება, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა - ამ იდეის დასავლურ ფილოსოფიურ ტრადიციაში არსებობის 2500 წლოვანი ისტორიის მანძილზე;²⁴³ იდეის, რომლის კომპლექსური, მულტიდისციპლინური შესწავლის, მისი ტრანსისტორიული და ინტერსუბიექტური ხასიათის გამოვლენის, საუნივერსიტეტო სასწავლო დისციპლინის სახით დამუშავებისა და კაცობრიობისათვის მაქსიმალურად მწყობრი ფორმით მიტანის საქმეში ერთ-ერთი გამორჩეული ღვაწლის მქონე გერმანელი მოაზროვნე - სამუელ პუფენდორფი, ვისთვისაც *ადამიანი უმაღლესი ღირსების მატარებელია, ვინაიდან იგი სხვა ცოცხალ არსებათაგან ცნობიერების სინათლით განათებული სულით, საგნების შეფასების უნარითა და არჩევანის თავისუფლებით გამოირჩევა*, ამ მოკრძალებული ნაშრომის სახით პირველად გახდა ქართულენოვანი კვლევის საგანი.

²⁴³ ნიშანდობლივია, რომ თავად სამუელ პუფენდორფი მორალურობის ისტორიისადმი მიძღვნილ Eris Scandica-ს ფარგლებში გამოქვეყნებულ ესეში „De origine et progressu disciplinae juris naturalis (1678)“, უსვამს რა ხაზს მე-17 საუკუნეში ბუნებითი სამართლის შესწავლაში მიღწეულ დიდ გარღვევას და გროციუსის დამსახურებას ამ საქმეში, ამბობს, რომ *ბუნებითი სამართალი იმდენადვე ძველია, რამდენად თავად კაცთა მოდგმა*. იხ. Tim J. Hochstrasser, „Natural Law Theories in the Early Enlightenment“, Cambridge, Cambridge University Press, 2004, გვ. 81.

ბიბლიოგრაფია

პუფენდორფის შრომები:

1. *De Naturae et gentium libri octo* (1672), Frankfurt a. M. 1967; *Acht Bücher vom Natur und Völker-Rechte*, 2 Bde., Frankfurt a. M. 1711, Hildesheim, 1998;
2. *On the Law of Nature and of Nations in Eight Books*, (edited by Craig L. Carr, translated by Michael J. Seidler Series: *Natural Law and Enlightenment Classics*, K. Haakonssen [ed.]), Indianapolis: Liberty Fund.; revised edition of New York, Oxford University Press, 1927b. 2009, Political Writings of Samuel Pufendorf 2. (P.104-296);
3. *De officio hominis et civis juxta legem naturalem* (1673), in Series: Samuel Pufendorf: *Gesammelte Werke.*, W. Schmidt-Biggemann Bd. 2, G. Hartung (Hrsg.), Berlin 1997; lt/dt.
4. *Die Pflicht des Menschen und des Bürgers nach dem Gesetz der Natur*, hrsg. U. Übers. v. K. Luig, Frankfurt a. M. 1994.
5. *De officio hominis et civis juxta legem naturalem*, the photographical reproduction of the edition of 1682. in the classics of international law, edited by James Brown Scott, Oxford University Press, New York, 1927.
6. *The Whole Duty of Man, According to the Law of Nature*, B. Tooke (trans.), I. Hunter and D. Saunders (eds.), (Series: *Natural Law and Enlightenment Classics*, K. Haakonssen [ed.]), Indianapolis: Liberty Fund., 2003.
7. *Elementa jurisprudentiae universalis*, T. Behme (ed.), (Series: *Samuel Pufendorf: Gesammelte Werke.*, W. Schmidt-Biggemann [ed.], Volume 3), Berlin: *Akademie Verlag*, 1999.
8. *The Elements of Universal Jurisprudence, in Two Books*, (editet by Craig L. Carr, translated by Michael J. Seidler Series: *Natural Law and Enlightenment Classics*, K. Haakonssen [ed.]), Indianapolis: Liberty Fund; revised edition of New York, Oxford University Press, 1927b. 2009, Political Whritings of Samuel Pufendorf 1 (P. 1-104).
9. *Des Freyherm von Pufendorff politische Betrachtung der geistlichen Monarchie des Stuhls zu Rom, mit Anmerckungen*, Zum Gebrauch der Thomasischen Auditorii, Halle, Renger, 1714.

10. *Eris Scandica* und andere polemische Schriften über das Naturrecht, F. Palladini (ed.), (Series: Samuel Pufendorf: Gesammelte Werke, W. Schmidt-Biggemann[ed.], Volume 5), Berlin: Akademie Verlag, 2002.
11. *Of the Nature and Qualification of Religion, in Reference to Civil Society*, J. Crull (trans.), London, A. Roper and A. Bosville, 1698.
12. *The Divine Feudal Law, or Covenants with Mankind, Represented Together with Means for the Uniting of Protestants*, T. Dorrington (trans.), London: John Wyat, 1703.
13. *Verfassung des deutschen Reiches* (1667), lat.-dt., H. Denzer (Hrsg.) Frankfurt a. M., 1994.
14. *О Должности Человека и Гражданина по Закону Естесевенному*, Санкт Петербург, 1726.
15. *The Pufendorf Lectures*, Annotations from the teaching of Samuel Pufendorf, 1672-1674. Lindeberg, Bo (ed.) Stockholm, 2014.

სეკუნდარული და სხვა ლიტერატურა:

1. Augat A., *Die Aufnahme der Lehren Samuel von Pufendorfs (1632–1694) in das Recht der Vereinigten Staaten von Amerika*, Ph.D. dissertation, Christian-Albrechts-Universität, Kiel, 1985.
2. Behme T., Gegensätzliche Einflüsse in Pufendorfs Naturrecht, in Palladini-Hartung 1996, 74-82;
3. Behme T., Samuel von Pufendorf, Naturrecht und Staat, Göttingen 1995;
4. Behme T., Einleitung, zur Elementia jurisprudentiae universalis, T. Behme (ed.), (Series: Samuel Pufendorf: Gesammelte Werke, W. Schmidt-Biggemann [ed.], Volume 3), Berlin: Akademie Verlag, 1999.
5. Behme T., Ziele und Grenzen der Staatsgewalt bei Samuel Pufendorf, in Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf, Hüning Dieter (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009.
6. Bloch E., Naturrecht und menschliche Würde, 3. Aufl., Frankfurt M., 1999.

7. *Briefwechsel*, D. Döring (ed.), (Series: *Samuel Pufendorf: Gesammelte Werke*, W. Schmidt-Biggemann [ed.], Volume 1), Berlin: Akademie Verlag, 1996.
8. Cicero, M. T., „De officiis“, „Vom pflichtgemässen Handeln“, Lateinisch/Deutsch, Reclam, Stuttgart, 2014.
9. Cicero, M. T., *The Treatises of M. T. Cicero on The Laws*, literally translated, chiefly by the editor, C. D. Yonge, B. A., London, Henry G. Bohn, York Street, Covent Garden, MDCCCLIII.
10. Coreth E., Schöndorf H., *Grundkurs Philosophie: Philosophie des 17. und 18. Jahrhunderts: Grundkurs Philosophie*, BD 8, 2008.
11. Daston L., and Stolleis M. (eds.), *Natural Law and Laws of Nature in Early Modern Europe: Jurisprudence, Theology, Moral and Natural Philosophy*. Burlington, VT, Ashgate, 2008.
12. Denzer H., *Moralphilosophie und Naturrecht bei Samuel Pufendorf, Eine geistes- und wissenschaftsgeschichtliche Untersuchung zur Geburt des Naturrechts aus der praktischen Philosophie*, C. H. Beck, München, 1972.
13. Denzer H., Samuel Pufendorf – ein vergessener Klassiker des Naturrechts, in: *Politisches Denken*, Jahrbuch 2004, Berlin 2004, 61-75.
14. Döring D., *Pufendorf-Studien*, Berlin, 1992.
15. Döring D., Untersuchungen zur Entstehungsgeschichte der Reichsverfassungsschrift und soziale Ordnung. Religionstoleranz als Problem der politischen Theorie am Ausgang des 17. Jahrhunderts, in: *Politische Vierteljahresschrift* 36, 1995, 3-34.
16. Döring D., „Pufendorfs föderalistische Denken und die Staatsräsonlehre,“ in *Samuel Pufendorf und die Europäische Frühaufklärung. Werk und Einfluß eines deutschen Bürgers der Gelehrtenrepublik nach 300 Jahren (1694–1994)*, F. Palladini and G. Hartung 1996 (eds.), Berlin, Akademie Verlag, 1996, pp. 105–22.
17. Döring D., „Samuel Pufendorf und die Heidelberger Universität in der Mitte des 17. Jahrhunderts,“ in *Späthumanismus und Reformierte Konfession. Theologie, Jurisprudenz und Philosophie in Heidelberg an der Wende zum 17. Jahrhundert*, C. Strohm, J. S. Freedman, and H. J. Selderhuis (eds.), Tübingen, Mohr Siebeck, 2006, pp. 293–323.

18. Dufour A., Pufendorfs Ausstrahlung im französischen und anglo-amerikanischen Kulturraum, in: K.A. Moder (Hrsg.), Samuel von Pufendorf, Stockholm, 1986, 96-119.
19. Fiorillo V. (ed.), 1996, Samuel Pufendorf Filosofo del Diritto e della Politica. Atti del Convegno Internazionale Milano, 11–12 Novembre 1994, Napoli, La Città di Sole.
20. Fiorillo V. (ed.), „Von Grotius zu Pufendorf. Wissenschaftliche Revolution und theoretische Grundlagen des Rechts,” *Archiv für Rechts- und Sozialphilosophie*, vol. 75(2): 1989, 218–38.
21. Friedrich, C. J., DIE PHILOSOPHIE DES RECHTS IN HISTORISCHER PERSPEKTIVE, ENZYKLOPADIE DERRECHTS - UND STAATSWISSENSCHAFT, BEGRÜNDET VON F. VON LISZT UND W. KASKEL, HERAUSGEGEBEN VON W. KUNKEL· H. PETERS· E. PREISER SPRINGER-VERLAG BERLIN· GOTTINGEN· HEIDELBERG 1955.
22. Geyer B., Georlich H. (Hrsg.), Samuel Pufendorf und seine Wirkungen bis auf die heutige Zeit, Baden-Baden 1996.
23. Goodwin I. J., Pufendorf's Critique of Hobbes's Contract: The Essential Set of Problems Related to the Concept of Obligation in the Seventeenth Century, Ph.D. dissertation, Columbia University, New York, 1993.
24. Grotius H., On the Law of War and Peace, Trans. By A. C. Cambell, A. M. Kitchner, Ontario, 2001.
25. Gröschner, Dierksmeier, Henkel, Wiehart, Rechts- und Staatsphilosophie, Springer-Verlag, Berlin Heidelberg, 2000.
26. Grunert F., 2000, *Normbegründung und politische Legitimität. Zur Rechts- und Staatsphilosophie der deutschen Frühaufklärung*, Tübingen, Max Niemeyer.
27. Haakonssen K., „German Natural Law,” in *The Cambridge History of Eighteenth-Century Political Thought*, M. Goldie and R. Wokler (eds.), New York, Cambridge University Press, 2006, pp. 251–90.
28. Haakonssen K., „Protestant Natural Law Theory. A General Interpretation,” in *New Essays on the History of Autonomy. A Collection Honoring J.B. Schneewind*, N. Brender and L. Krasnoff (eds.), New York, Cambridge University Press, 2004, pp. 92–109.
29. Haakonssen K. „Natural law and moral philosophy From Grotius to the Scottish Enlightenment, Cambridge University Press, 1996.

30. Hartung G., *Die Naturrechtsdebatte. Geschichte der 'Obligatio' vom 17. bis zum 20. Jahrhundert*, Freiburg/München, Verlag Karl Albert, 1998.
31. Hartung G., Samuel Pufendorf und die Verbreitung der Naturrechtslehre, Einleitung zur *De officio hominis et civis juxta legem naturalem* (1673), in Series: *Samuel Pufendorf: Gesammelte Werke*, W. Schmidt-Biggemann Bd. 2, G. Hartung (Hrsg.), Berlin, 1997.
32. Hartung G., Vertragstheorie und Konstruktion der Souveränität bei Samuel Pufendorf, in Hüning Dieter (Hrsg.), *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf*, Nomos, Baden-Baden, 2009.
33. Heideking J., 1995, "The Law of Nature and Natural Rights. Die Positivierung von Naturrecht in Amerika des ausgehenden 18. Jahrhunderts," in Dann 1995 (ed.), pp. 48–60.
34. Hobbes Th. *De Cive*, London, Printed by J.C. for R. Royston at the angel of Ivie-Lane, 1651. page copyright © 2000 Blackmask Online.
35. Hobbes Th. *Leviathan, or the Matter, Form, & Power of Common-wealth Ecclesiastical and Civil*, London, printed for Andrew Grooke, at the Green Dragon in St. Pauls Church yeard, 1651. Prepared for the McMaster University Archive of the History of Economic Thought, by Rod Hay.
36. Hochstrasser T. J. „*Natural Law Theories in the Early Enlightenment*“, Cambridge, Cambridge University Press, 2004.
37. Hochstrasser T. J., and Schröder P. (eds.), *Early Modern Natural Law Theories. Contexts and Strategies in the Early Enlightenment*, Springer-Science+Business Media, B.Y., Dordrecht, 2003.
38. Holzney H. (Hrsgb.), *DIE PHILOSOPHIE DES 17. JAHRHUNDERTS: BAND 4 / 1-2: DAS HEILIGE RÖMISCHE REICH DEUTSCHER NATION. NORD- UND OSTMITTELEUROPA*, Schwabe & CO AG Verlag, Basel 2001.
39. Horster D. „*Rechtsphilosophie*“, Grundwissen Philosophie, Reclam, Stuttgart, 2014.
40. Hunter I., and D. Saunders (eds.), *Natural Law and Civil Sovereignty. Moral Right and State Authority in Early Modern Political Thought*, New York, Palgrave Macmillan - 2002.

41. Hüning D. (Hrsg.), *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf*, Nomos, Baden-Baden, 2009.
42. Hüning D., *Souverenität und Strafgewalt. Die Begründung des jus puniendi bei Samuel Pufendorf*, in *Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf*, Hüning Dieter (Hrsg.), Nomos, Baden-Baden, 2009.
43. Hunter J., „The love of a sage or the command of a superior: the natural law doctrines of Leibniz and Pufendorf”, in *Early modern natural law theories: contexts and strategies in the early Enlightenment*, edited by T. J. Jochstrasser and P. Schröder, Dordrecht, 2003.
44. Jaeschke W., *Vom Völkerrecht zum Völkerrecht. Über das Verhältnis von Philosophie und Rechtsgeschichte*. Deutsche Zeitschrift für Philosophie (DZPH), Berlin 56 (2008), 001-0002.
45. Kaufmann/Hassemer, „*Problemgeschichte der Rechtsphilosophie, Einführung in Rechtsphilosophie und Rechtstheorie der Gegenwart*“, 6. Aufl., 1994, Heidelberg.
46. Kempe M., 2007, „The Anthropology of Natural Law. Debates About Pufendorf in the Age of Enlightenment,” in *The Anthropology of Enlightenment*, L. Wolff and M. Cipolloni (eds.), Stanford University Press, Stanford, 2007 - pp. 252–261.
47. Kobusch Th. „*Die Entdeckung der Person, Metaphysik der Freiheit und modernes Menschenbild*“, Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt, 1996.
48. Kobusch Th. „*Von der Rethorik zur Methaphysik der Freiheit. In Person und Rechtsperson, zur Ideengeschichte der Personalität*”, (Hrsg.) R. Gröschner, Stephan Kirste. O.W. Lembke, Mohr Siebeck, Tübingen, 2015.
49. Koller P. „*Der Begriff des Rechts und seine Konzeptionen*“, კრებულში: *Rechtsphilosophie im 21. Jahrhundert*, Herausg. V. Winfried Brugger, Ulfrid Neumann und Stephan Kirste. Suhrkamp Taschenbuch Wissenschaft, 3. Aufl., 2013.
50. Korkman (eds.), „Pufendorf and the Stoic Model of Natural Law,” *Grotiana* (new series) 22–23: 257–69. 2002.
51. Korkman (eds.), „*The Morality of the Fallen Man. Samuel Pufendorf on Natural Law*”, Helsinki, Finish Historical Society, 1995.
52. Krieger L. „*The Politics of Discretion. Pufendorf and the Acceptance of Natural Law*”, Chicago & London, the University of Chicago Press, 1965.

53. Krieger L., „History and law in the seventeenth century: Pufendorf“, in Journal of the History of Ideas, - vol. 21 (1960), pp.190-210.
54. Kunzmann/Burkard/Wiedmann, dtv-Atlas zur Philosophie, München, 1991, Meyers großes Taschenlexikon, 5. Aufl., Mannheim, 1995.
55. Laufer H., „*Grundrechte und Marxismus-Leninismus*“, in Informationen zur politischen Bildung, 239, Grundrechte, 1998.
56. Lezius F., „Der Toleranzbegriff Lockes und Pufendorfs“, Leipzig 1900.
57. LUIJPEN W., PHANOMENOLOGIE DES NATURRECHTS. MARTINUS NIJHOFF/HAAG/, 1973.
58. Lutterbeck K.-G., „Pufendorfs Unterscheidung von physischem und moralischem Sein und seine politische Theorie“, in Hüning Dieter (Hrsg.), Naturrecht und Staatstheorie bei Samuel Pufendorf, Nomos, Baden-Baden, 2009.
59. Meinecke F., [1925], „Pufendorf,“ in *Machiavellism: The Doctrine of raison d'état and Its Place in Modern History*, New Brunswick, Transaction Publishers, translation of Meinecke 1998 - pp. 224–43.
60. Palladini F., „Pufendorf disciple of Hobbes: The nature of man and the state of nature: The doctrine of *socialitas*“, in History of European Ideas, Volume 34, Issue 1, March 2008, Pages 26–60.
61. Palladini F. / G. Hartung (Hrsg.), „Samuel Pufendorf und die europäische Frühaufklärung. Werk und Einfluss eines deutschen Bürgers der Gelehrtenrepublik nach 300 Jahren (1694-1994)“, Berlin 1996.
62. Ottmann H., „Geschichte des politischen Denkens“, Band 1/2, 2001 „Die Griechen“, Metzler Verlag, Stuttgart, Weimar. 2001.
63. Ottmann H., „Geschichte des politischen Denkens“, Band 3/1, „Die Neuzeit, von Machiavelli bis zu grossen Revolutionen“, Metzler Verlag, Stuttgart, Weimar, 2006;
64. Ottmann H., „Geschichte des politischen Denkens“, 2/1 „Die Römer“, Metzler Verlag, Stuttgart-Weimar, 2002.
65. Palladini F., „Stato, chiesa e tolleranza nel pensiero di S. Pufendorf,“ *Rivista Storica Italiana* 1997, vol.109(2): 436–82.

66. Palladini F., „*Samuel Pufendorf discepolo di Hobbes. Per una reinterpretazione del giusnaturalismo moderno*“, Bologna, Il Mulino, 1990.
67. Rabe H., „*Naturrecht und Kirche bei Samuel von Pufendorf*“, Göttingen, 1958.
68. Randelzhofer A., „*Die Pflichtenlehre bei Samuel von Pufendorf*“, Festvortrag gehalten am 2. Dez. 1982 im Kammergericht. Schriftenreihe der Juristischen Gesellschaft e. V. Heft 78 Walter de Gruyter, Berlin, New York, 1983.
69. Rommen H., „*The Natural Law: A Study in Legal and Social History and Philosophy*“ (First published as *Die ewige Wiederkehr des Naturrechts* in 1936), Translated by Thomas R. Hanley, Introduction and Bibliography by Russell Hittinger, Printed in the United States of America by Liberty Fund., 1998,
70. Rösel J., „*Das Leben von Samuel Pufendorf und eine deskriptive Darstellung seiner Werke „De statu imperii germanici“ sowie „De officio hominis et civis iuxta legem naturalem“*“.Universität Rostock, 2003/2004 in: „*HS Vergleichende Regierungslehre II Rechtsentstehung und Politik des Rechts II*“.
71. Schielicke R., Herbst Kl-D., Kratochwil St. (Hrsg.), „*Erhard Weigel – 1625 bis 1699 Barocker Erzvater der deutschen Frühaufklärung*“, Jena 1999.
72. Schmidt (eds.), New York: Cambridge University Press, „*Pufendorf's Place in the History of Ethics*,“ 1987, *Synthese* 72: 123–55.
73. Seidler M. J., „*The Politics of Self-Preservation: Toleration and Identity in Pufendorf and Locke*,“ in T. Hochstrasser and P. Schroeder, 2003 (eds.), pp. 227–55.
74. Scattola M., auth., T. J. Hochstrasser, P. Schröder eds. „*Early Modern Natural Law Theories, Contexts and Strategies in the Early Enlightenment*“.
75. Weischedel W., „*Die philosophische Hintertreppe*“, dtv, München, 2002.
76. Welzel H., *Die Naturrechtslehre Samuel Pufendorfs, ein Beitrag zur Ideengeschichte des 17. Und 18. Jahrhunderts*, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1958;
77. Wolf E., „*Samuel Pufendorf*“, in: „*Grosse Rechtsdenker der deutschen Geistesgeschichte*“. dritt. Aufl. Tübingen, 1951.
78. Wollgast S., „*Die deutsche Frühaufklärung und Samuel Pufendorf*, in: Palladini/Hartung 1996, pp. 40-60.

79. Wyduckel D., „Der Vertragsgedanke bei Samuel Pufendorf in seiner Bedeutung für die Konstitution von Recht und Staat, in: Geyer/Goerlich 1996, 39-62.
80. თევზაძე გ., „აღორძინების ეპოქის ფილოსოფია (მარსილიო ფიჩინოდან იაკობ ბოემემდე),“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 2008.
81. თევზაძე, გ., „ახალი ფილოსოფიის ისტორია“, ნაწილი I, გამომცემლობა CARPE DIEM, თბილისი, 2010.
82. თაბორიძე, ი. „ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში“, ქართული სამართლის მიმოხილვა, GEPLAC, თბილისი 2004.
83. თაბორიძე, ი., „სამუელ პუფენდორფი და მისი ნაშრომი ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობა თანახმად ბუნებითი კანონისა (De officio hominis et civis juxta legem naturalem)“, კრებული სახელმწიფო და რელიგია, ედიტორები: მამუკა ბერიაშვილი, არნდ პოლმანი, აწსუ-ს გამომცემლობა, ქუთაისი, 2017.
84. გრაციანი, ბ., „ჯიბის ორაკული ანუ კეთილგონიერების ხელოვნება“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2014.

ელექტრონული და მულტიმედიური წყაროები

1. ბიბლია, ძველი და თანამედროვე ქართულის პარალელური ტექსტებით და საძიებო სისტემით.<http://www.orthodoxy.ge/tsmidatserili.htm>
<https://oll.libertyfund.org/titles/cicero-treatise-on-the-laws>
2. Pufendorf, S., Of the Nature and Qualification of Religion, in Reference to Civil Society [1687]<http://oll.libertyfund.org/titles/pufendorf-of-the-nature-and-qualification-of-religion-in-reference-to-civil-society>
3. Pufendorf, S., The Divine Feudal Law: Or, Covenants with Mankind, Represented [1695],<http://oll.libertyfund.org/titles/pufendorf-the-divine-feudal-law-or-covenants-with-mankind-represented>
4. Pufendorf's Moral and Political Philosophy, Stanford Encyclopedia of Philosophy, <http://plato.stanford.edu/entries/pufendorf-moral/>
5. თევზაძე გ., აღორძინების ეპოქის ფილოსოფია
<https://www.scribd.com/document/171113072/>

6. იემკე ვ., ლექციები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, „პანთეიზმის, ათეიზმისა და თეიზმის დავა გერმანულ ფილოსოფიაში“, 25-27 ნოემბერი 2014.
<https://www.youtube.com/watch?v=vAt2XteFSCY&list=PLwf-P4nOg0yyxsqWVDMgjIFUXD1CFpApO>
7. ადო პ., ფილოსოფია როგორც ცხოვრების წესი <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.10&d=HASHc5e05db089b7f9057c77fa.4.1>=1>
8. პატარაია დ., თომას ჰობსის ლევიათანი,
<https://burusi.wordpress.com/2013/10/28/leviathan/>.
9. Pink Thomas, Natural Law and the Theory of moral obligation.
https://www.researchgate.net/publication/226807501_Natural_Law_and_the_Theory_of_Moral_Obligation
10. Palladini F., Pufendorf and Stoicism, in Grotius and the Stoa. Laurens C. Winkel, Grotiana, a journal under the auspices of the Grotiana Foundation, New Series vo. 22/23 2001-2002
https://books.google.de/books?id=47i-A7j9dTQC&pg=PA245&lpg=PA245&dq=Pufendorf+and+Stoicism+Fiammetta+P&source=bl&ots=KbhbGSgg9i&sig=X5Q65V2U-eboXB5KFReit4B7064&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwjR_tjer4bMAhWCjg8KHX4LB_AQ6AEIHDA#v=onepage&q=Pufendorf%20and%20Stoicism%20Fiammetta%20P&f=false
11. Staatsmoinen K., Pufendorf and the Stoic Model of Natural Law, in Grotius and the Stoa. Laurens C. Winkel, Grotiana, a journal under the auspices of the Grotiana Foundation, New Series vo. 22/23 2001-2002
https://books.google.de/books?id=47i-A7j9dTQC&pg=PA245&lpg=PA245&dq=Pufendorf+and+Stoicism+Fiammetta+P&source=bl&ots=KbhbGSgg9i&sig=X5Q65V2U-eboXB5KFReit4B7064&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwjR_tjer4bMAhWCjg8KHX4LB_AQ6AEIHDA#v=onepage&q=Pufendorf%20and%20Stoicism%20Fiammetta%20P&f=false
12. The Psychology of Gratitude, edited by Robert A. Emmons, Michael E. Mc Cullough, Oxford University Press, 2004

<https://books.google.de/books?id=Qz4nhZ3ZMmgC&pg=PA27&lpg=PA27&dq=pufendorf+gratitude&source=bl&ots=CGK2n2AbYb&sig=pD3k3Ocz84a5gppVYqlOeSCgOA&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwjN3s3P9ovMAhXBYA8KHWoLDOMQ6AEIHDA#v=onepage&q=pufendorf%20gratitude&f=false> THE THIRTY YEARS' WAR AND THE PEACE OF WESTPHALIA <https://www.britannica.com/place/Germany/The-Thirty-Years-War-and-the-Peace-of-Westphalia>

13. Wagner R., Höfele J., Nestor M., Naturrecht als Grundlage für ein friedliches und gerechtes Zusammenleben der Menschen. <https://naturrecht.ch/das-naturrecht-als-grundlage-fuer-ein-friedliches-und-gerechtes-zusammenleben-der-menschen/>
14. რადბრუხი გ., „კანონიერი უმართლობა და ზეკანონიერი სამართალი“ Gesetzliches Unrecht und übergesetzliches Recht, 1946. Statutory Lawlessness and Supra-Statutory Law <https://www.scribd.com/document/20546247/Oxford-Journal-of-Legal-Studies-Vol-26-No-1-2006>
15. <https://www.britannica.com>
16. ვიკიციტატა <https://ru.wikiquote.org>
17. Moritz Nestor, Friede herrscht nicht, er muss gestiftet werden. <https://naturrecht.ch/>
18. <https://dictionary.thelaw.com/vinculum-juris/>